

114 / 3
1954



განათლება

114 / 3

9

სექტემბერი



1954



მნათობი

6638

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური - მუშაკთა პარტია
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახალი

საპარტიო საგნო მუდრეობის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტი

9



საქართველო

19

სახელგამი
თბილისი

54



შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

ხუბა ბერულავა — ღირსეული რვეულიდან. ლექსები	3
ვალათყოლი — ლექსები. თარგმანი ვახტანგ ბეწუჯელიძისა	5
აკაკი ბაქიაშვილი — უღლებილი. რომანი. გაგრძელება	8
ქონსტანტინე ბაუსტრომსკი — ნაძვის ვირჩებით სავსე კალათა. მოთხრობა. თარგმანი ნუნუ ხომერაძისა	33
როდინი მორძინა — ახალ მიწაზე. მოთხრობა	40
მან ლაფიტინი — პარიზი ზამთრის დანაწყისში. ნაწყვეტი რომანიდან, თარგმანი თამარ შვალაბაძისა	48
ივანე ურჯუმილაშვილი — ძია ესტატე. მოთხრობა	55
ვილიამ დე მილი — უღმობელი. მოთხრობა. თარგმანი ინგლისურიდან მაია ნათაძისა	59
დ. შუმბინი — სოფლის ფოსტალიონი. მოთხრობა	61
ამედეო უგოლინი — უსიტყვოდაც გასაგებია. მოთხრობა. თარგმანი ფატი ნიშინიანიძისა	65

მოგონებანი

ბარონტი ძიმოძე — განთიადიდან შუადღემდე	68
--	----

ლიტერატურული კრიტიკა

გიორგი ჯიბლაძე — ქართული საბჭოთა პროზა. წერილი	95
აკაკი ბაქიაშვილი — ტიპიტრობის საკითხი ლიტერატურაში. წერილი პირველი	117
ალექსანდრე მუთილია — ილია ჭავჭავაძე — რევოლუციური დემოკრატი. წერილი	133
სოლომონ ცაიშვილი — დავით მიქელაძე (მეველე). წერილი	157

ბიბლიოგრაფია

ვლავუჯა მალაძე — უილამ შექსპირის „ტრაგედიები“	164
ახალი წიგნები	168

რედაქტორი
ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კაცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.
 ზედმოწერილია დასაბუჯდად 22/IX-54 წ. ნაბუჯ ფორმათა რაოდენობა 10 1/2, შვედეთის ჯ 624, 150 15732, წტირავი 5,300.
 საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლღერაფგამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

საბა ბერუაძე

ღირიკუდი რვეუდიდან



გზაზე

შორს არის ახლა ჩვენი სადგური,
სადაც დაგტოვე დარდის ამარა,
დამემშვიდობე ფერდაკარგული
და ველარ შესძელ ცრემლის დამალვა.

ამბობენ: თვალს რომ შორდება თვალი,
შორდებიანო ერთურთს გულეებიც.
არ არის სწორი! და თუ ხარ ქალი,
არ დაიჯერო ძველი თქმულების.

მე დამიჯერე, მე მომისმინე:
როგორც კი ოდნავ გაეცილდი თბილისს,
მყის მომენატრა შენი სიცილი,
შენი შეკრული წარბების ჩრდილიც.

როგორც გამოჩნდა ზუგდიდ-ქალაქი,
თვალწინ დამიდგა ის დრო ლამაზი,
როცა გაგიხსენ გული ამაყი
და სიყვარული შემოგთავაზე.

როსტოვში მგზავრი რომ ამოვიდა
და გაანათა მთელი ვაგონი,
რატომღაც ისევ შენ მომაგონდი,
შენ წინ მუხლებზე დგომა მომინდა...

მატარებელი მიჰკივის სივრცეს,
და მგონი მიწის დასასრულს ერთვის,
მე თითქოს ახლა მივხვდი და ვიგრძენ —
რარიგ ძვირფასი ყოფილხარ ჩემთვის.

მევედივარ, ვეღლავე, და რაც გშორდები,
იქედნად უფრო ვიახლოვდები!



დალესტნელ მიზორგაებს

დასამალავი აბა რად არი
 (ამაზე ჩვენში ზარებიც რეკდნენ!),
 ბევრი ნათელა, ბევრი თამარი
 გაუტაციათ წარსულში ლეკებს.

იმ მოგონებით მიზორგაეს მკერდი
 და მღელვარება გულს ეფინება,
 მეც რომ მოგტაცოთ ლამაზი ერთი,
 დალესტნელეზო, ნუ გეწყინებათ!

ავადმყოფობა

... და სიკვდილი თავზე მადგა, ვგონებ,
 და მე ვგავდი ძველი ციხის ნანგრევს,
 როცა შენი სუნთქვა გავიგონე,
 როცა ვიგრძენ შენი ცხელი ბაგე.

შენ კი არა, ამ ოთახში ახლა
 გაზაფხულმა შემოაღო კარი,
 და მე მჯერა: მრავალ მაისს ვნახავ,
 რადგან, კარგო, ცოცხალს მომისწარი!

პირველი კოცნა

თოვდა ლამაზად, ბარაქიანად.
 რა თოვლი იდო ფაფუკი, თბილი!
 და იყო ისე თეთრი, კრიალა,
 რომ ზედ რჩებოდა გამვლელთა ჩრდილი.

გოგოვ, გიქირდა ასეა აღმართზე
 (ბევრი იარე, ვგონებ, იმ დილით!),
 და შენ, სიცოცხლის ეშხით აღსაესე,
 ხესთან შეჩერდი დონემიზდილი.

დიდხანს გიმზირე ღელევით და თრთოლევით,
 მწველი მშვენებით თვით წამაქეზე,
 და... როგორც ფიქტი პირველი თოვლის,
 პირველი კოცნა გადნა ბაგეზე!

წამოიჭერ და გაფრინდი ისე,
 თითქოს იმ კოცნამ შეგასხა ფრთები.
 მე დაბნეული ვიდექი ისევე
 და ჩემებრ სდუმდნენ კოლხეთის მთები.

თოვდა ლამაზად, ბარაქიანად...

ვერტიკალი

ინფორმაცია

დ ე მ ს ე ბ ი

★

თბილისი

აი თბილისი —
დიდებული,
მართლაც ზღაპრული,
მწვანე ზეგანთა თვალმომზიდველ
თვლებში ჩაფლული,
ვით ჰიმალაის ხეობაში
შრინაგარ ჩვენი,
აღმოსავლეთის მოციქულებს
წინ გვხვდება ლხენით,
რომ მადლიერი მოგონება
ჩვენს გულში დარჩეს,
და დიდ გაზაფხულს
ხის რტოებზე
ბავშვივით არწევს.
მღერის თბილისი,
დახატული
ვარდით, იეზით
და ჰფანტავს ღიმილს
დამათრობელ მაგნოლიების.
ყვავილ-ქალაქო!
ირგვლივ აფრქვევ ნელსურნელებას,
მტკვარზე ციმციმებს
საღამოვამს შენი მშვენება
და უხვი წყლები
ელექტრონის შუქნათელს ახვევს
ფაბრიკებს, ქარხნებს, სასახლეებს
და მწვანე ბაღებს.
ზოლო შემდეგ კი
ამ ვარსკვლავთა ცოცხალი მძივი
მისდევს შენობებს,
ქუჩის გასწვრივ ნათელის მფრქვევი...
არ იშორებენ ბაგეთაგან
ვარსკვლავნი ღიმილს,
სტოვებენ ქალაქს,
მიიწევენ თხემისკენ,
ზევით.

ხედავ, თბილისო,
ხეთა შორის პატარა სახლებს,
სახლებს კი არა, ფერდობებზე
გაფანტულ კაკლებს,
უარს ბავშვებივით რომ წასულან
თავის ნუბაზე?..
მაგრამ უნდა ვთქვა მე ამ სახის
გახსენებაზე,
არაა ზუსტი,
ის სიმართლეს არ გამოხატავს,
ეს ზომ მშრომელთა ბინება,
სახლები, სადაც
ცხოვრობენ თვითონ
პატრონები ახალი ქვეყნის,
საკუთარ ხელით ეს დოვლათი
რომელთაც შექმნეს.
ამაყად ვუწერ,
ცადატყორცნილ მწვერვალზე მდგარა,
ნაირფერებად მოციმციმე
თვალწარმტაც ქალაქს.
მზეზე გაშლილი
მზესუმზირას გულების დარი
ბრწყინვენ ლამაზები
და გვმატებენ ეშხსა და ძალას.
ზღაპრულ პარკებში
მოყვავილე ოლენდრები
ფერებსა ღვრიან,
ჩრდილებს შლიან დიდი ქანდრები
ყვავილებივით ტურფანი და
მკერდგაშლილები
დასეირნობენ ხეივანებში
ქალიშვილები.
იქ, სადაც ფეხქვეშ შრილებდა
სილა თუ შლამი,
მე ვხედავ ახლა უზარამზარ
მშვენიერ ბაღებს,

სადაც იწვოდნენ უდაბნონი,
ნატრულნი ნამის,
ტბები დგას ახლა
და ფრინველნი გალობენ ტბაზე.
პეი, სამშობლოვ
ხალხთა დიდი ბედნიერების,

შენი სიმდიდრე ალამაზებს
ბუნებას ასე,
და ყოველივე —
კუთვნილება შენი ერების,
არის უდიდეს სიხარულით,
სინათლით საესე.

1951 წ. ივლისი,
თბილისი

გადლობა



ო, საქართველოვ!
ჩემს წინა ხარ
ტურფად გაშლილი
მცხუნვარე, მზიან თბილისიდან
მღელვარე ზღვამდე,
შენი ბალები —
სიამაყე მთელი კავშირის
გადაქიმულა ველ-მინდვრებზე
მთებიდან მთამდე.
როს ყველგან ვხედავ
ნაკადულებს, ეგრეთ ანკარას,
ამ მთებს — ხავერდის ყდაში
ჩამჯდარს

ველ-მინდვრიანად,
მეც მჯერა მაშინ,
მეც ვამტკიცებ, ვამბობ აშკარად,
რომ შეილნი შენნი
ამაყობენ სამართლიანად.
და აი ახლა,
ამ საამო ჩრდილებში რტოთა,
ამ შენს უძველეს, სახელგანთქმულ
ქართულ მიწაზე
ინდოელ სტუმრებს
დედასაგიტ ვვლებულობ როცა,
შენი გულუხვი მასპინძლობა
დასტურ ვიწამეთ.
ამ მხიარულ წამს,
როცა თვრება ჩვენი გულები,
გვწვავს სიხარული
ესდენ დიდი, ჩატქრობელი,
თქვენს ქვეყანაში

უცხოობას არ ეგრძნობთ სრულგებით.
თითქოს ძმები ვართ ქართველების,
ვართ მახლობელნი.
ო, საქართველოვ!
დგახარ მართლა, როგორც ზღაპარი,
მოსავ ველ-მინდვრებს,
შენი მთებიც იისფერია,
რომ გითხრან ქება,
ჯერ არ თქმული,
შენი სადარი,
შენი ერთგული პოეტები
შენ გიმღერიან.
აგერ, მღერიან
ოსტატებიც უხვი მოსავლის,
თითქოს სიმღერა
მათ საგმიროდ აგულისებდეს,
და იწერება
ოქროყანის შუქსხივოსანი
სტროფები მინდვრის
დაუწერელ პაპირუსებზე.
რა დიდი წვაა, ოცნება და
შემოქმედება
ყველგან, სად შენი
დაუმცხრალი მუზა ხშიანობს!
საქმენი შენი
შენს დიდებას ენიშნვეტება
ძმების კავშირში,
ღირსო წევრო, მხარვე მზიანო!
რათა გამრავლდეს მოსავალი
შენი ყანების,
გაუენებლდეს პაპანება

და გვალვა მწვავე. —
 მტკვარი,
 არაგვი,
 მდინარენი უხვწყლიანები
 შესსამფლობელოს,
 შესსველ-მინდვრებს
 გულუხვად რწყავენ.
 და შენი მშვიდი მყუდროების
 მარადი მცველი,
 უკვდავი ბრძენი,
 ვინც ჩაგვრისგან იხსნა ერები,
 დადგა ლენინი
 ზაქსისკენ გაწედილი ხელით,
 როგორც სიმბოლო
 ხალხთა დიდი ბედნიერების.
 იქ კი,
 სად დგანან გუშაგებად
 ალვის ხეები,
 სად ჰვალვებს ავსებს
 დამატკობი ხმა ფრინველების,
 ლელავენ ველთა
 თვალუწყდენი სიშორეები,
 ბადებენ გრძნობას
 დიდებისა და ძლიერების.
 მაღალ მთებიდან,
 თხემებიდან
 ზღვის ნაპირამდე
 ამღერებულა სიხარული,
 ვით შადრევანი,
 მხესუმშირათა ხალიჩები
 ყვითლად ბრწყინავენ
 და ძირს იხრება
 შეთვალული ყურძნის მტკვანი.
 შენ კი, ძლიერო,
 შესს გარშემო ამრავლებ ბაღებს,
 გადაგყავს თაღნი,
 ჩუქურთმებით ნაეარაყები,
 კავკასიონის
 მაღალ მთებსაც კი უცვლი სახეს —

მოფენილია ფერდობები
 მზიურ პარკებით.
 შენი დიდებით,
 სილამაზით
 მთლად შეპყრობილი
 და ისტორიის თვალშეუდგამ
 მწვერვალზე მდგარი,
 ვფიქრობ სტალინზე,
 ის ხომ გორში
 არის შობილი,
 სახელოვანი შვილი შენი,
 ძე სანუკვარი.
 დიდ საქმეთათვის,
 რომ დაეხსნა შენი ქვეყანა,
 სილატაქისთვის,
 ტანჯვისთვის რომ
 მოეღო ბოლო,
 განსაცდელიდან
 ხალხები რომ გამოეყვანა,
 აქ დაიბადა შენი შვილი —
 ძლიერის სიმბოლო.
 ო, საქართველოვ,
 ხელოვნების და წიგნთა მხარევე,
 სახელი შენი შორს განითქვა,
 შორს გახშირდა,
 შემოქმედების დაუშრეტო,
 უკვდავო წყაროვ,
 უხვო საუნჯევე
 უძვირფასეს ადამიანთა.
 აბა რა გიძღვნათ
 ამ აღურსის სამაგიეროდ,
 რით გამოეხატოთ ჩვენ მადლობა
 ნამდვილი, წრფელი?
 სტუმართმოყვარევე!
 მხარევე, ტურფავე და მშვენიერო,
 არა მარტო ჩვენ,
 დაგიმადლებს
 ქვეყანა მთელი.

თარგმანი მ. ბეწუაძლისა.

1951 წ. ივლისი,
 თბილისი

უ ლ ე ტ მ ხ ი ლ ი

რომანი *



თავი მეთექვსმეტი

მოულოდნელად ქარი ამოვარდა და თოვა დაიწყო. ლეიტენანტის რაზმი ტყვე გერმანელებს კარგაზანს მოერეკებოდა უღელტეხილისაკენ, ხოლო მეორე გუნდი ზურგჩანთების ჩამოსაზიდად გაემართა და, სანამ ბადრაგით გარშემორტყმული ტყვეები ქედამდე ამოაღწევდნენ, დანარჩენ მებრძოლებს უკვე ჩამოზიდული ჰქონდათ თავიანთი ბარგი-ბარხანა. თითოეულ მათგანს ორ-ორი ზურგჩანთა მოეკიდა და ისე მოაბიჯებდა.

ქარი თანდათან გაძლიერდა, ღამე ახლოვდებოდა. თავშესაფრის ძებნაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სიცივისაგან აკანკალებული ტყვეები საცოდავად მობუზულიყვნენ და წიწილებივით ერთმანეთს ეკვროდნენ.

ლეიტენანტმა შესწოტებით მიმოიხედა და დავითს ჰკითხა:

— ამხანაგო ინსტრუქტორო, როგორ ფიქრობთ, გამოიძარებს?

— ძნელია იმის თქმა, გამოიძარებს თუ არა. შეიძლება ერთ კვირაზე მეტს გაგრძელდეს, შეიძლება ხვალვე გამოიძაროს, — უბასუხა დავითმა, — ასე ადრე მთაში რომ მოეთოვოს არ მახსოვს.

ორივემ გადაწყვიტა, რომ ღამის გასათევი ადგილი მოეძებნათ და კარვები დაედგათ, რადგან ქარი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და გაყინულ თოვლის ფიფქებს ეკლებივით

აყრდა ხალხს სახეზე. დავითის რჩევით, სამხრეთის ნაცვლად ჩრდილოეთის მხრის დაქანებაზე არჩიეს დაბანაკება, თუმცა აქ ქარი უფრო ძლიერად ჰქროდა და მსუსხავი სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ეს მხარე უფრო ხელსაყრელად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ საჭირო იყო ამ ხიდწინა სიმაგრის ხელში დაქერა. მტრის მოძრაეი რაზმები, ალბათ, ქედგადაღმა მყოფი ჯარების მისაშველებლად დაიძროდნენ და უმთავრეს ამოცანას სწორედ მათთვის გზის გადაჭრა წარმოადგენდა. რაც შეეხებოდა ქედის სამხრეთით გადასულ ჯარებს, თუ კი ისინი უკან დაიხევდნენ, ასეთ ამინდში უღელტეხილზე მაინც ვერ ავიდოდნენ. ამ უღელტეხილის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩრდილოეთის მხარე ნაკლებად დაქანებული და ადვილად დასაძლევია იყო, ხოლო სამხრეთი მხარე მთლად ციცაბო. მისი გადალაზვა მხოლოდ ზაფხულობით შეიძლებოდა, როდესაც თოვლი დადნებოდა, ისიც წყნარსა და მოწმენდილ ამინდში. დანარჩენ დროს, არათუ ზამთარში, ყოველგვარ ცუდ ამინდშიც სამხრეთ კედელზე ასვლა შეუძლებელი იყო.

საჩქაროდ იქნა არჩეული დასაბანაკებელი ადგილი ჩრდილო დასავლეთ ქედზე, რომელიც ხეობას თავზე დასცქეროდა. მებრძოლები მამინვე შეუდ-

გნენ კარვების დადგმას. მთასველ მებრძოლებს წამოღებული ჰქონდათ პატარა კარვები, რომელთა სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატებოდა და შიგნით მხოლოდ სამი ადამიანის მოთავსება შეიძლებოდა. კარვების რაოდენობა სავსებით სკამარისი იყო მებრძოლთა მოსათავსებლად, მაგრამ მდგომარეობა მოულოდნელად გაართულეს ტყვეებმა, მათი გარეთ დატოვება შეუძლებელი იყო. ყველანი დაიღუპებოდნენ, ხოლო მათთვის ცალკე არც კარვები ჰქონდათ და არც სხვა რაიმე თავშესაფრის გამოჩანხვა შეეძლოთ. ვადაწყდა, გაენაწილებინათ და ყოველ კარავში ორი მებრძოლის შორის ერთი ტყვე ჩაეწვინათ. არც ერთ მებრძოლს არ უნდოდა ტყვე გერმანელის შესახლება.

— ჩვენ დავწევებით ოთხ-ოთხი, — შევხვეწა ერთი მებრძოლი ლეიტენანტს, — მაგათ მივცეთ ცალკე კარვები და თავი ქეას ახალონ.

— არ შეიძლება, გაიბარებინან, — იუარა ლეიტენანტმა, თუმცა სავსებით დარწმუნებული იყო, გერმანელებს კიდევაც რომ ჰქონოდათ გაბარვის სურვილი. შეუძლებელი იყო გაბარულიყვნენ, გარდა ამისა, ტყვეებისათვის ცალკე კარვები კიდევაც რომ გამოეყოთ, მათ საძილე ტომრები არ ჰქონდათ და უამისოდ კარვებში გაიყინებოდნენ. ორ მებრძოლს შორის კი უფრო შესაძლებელი იყო ქარბუქი გადაეტანათ.

— რის იმედით მოდიოდით, მე თქვენი დედ-მამის სული და თქვენი წინამძღოლის ასე და ისე, — აგინებდა მათ გუჯა, — ჩემს მოსაკლავად წამოხვედით და ახლა მე უნდა მოგიაროთ? მე უნდა ვიღარდო, არ გამიცვივდეს თქვენი თავი?

ქარი გაძლიერდა და თოვლის ფიფქები ახლა ჰორიზონტალურად მიჰქროდნენ. კარვების დადგმა გაძნელდა.

რეზინით გაფლენილ ნივთს მსუბუქ კარვებს ქარი ხელიდან გაუვიწყრებოდა, სწუნდა და დატოვებული უჩვენებდა. ქარისკენ ზურგშექცეული მებრძოლები გათოშილი ხელებით ცდილობდნენ, როგორმე დაემარებინათ კარვის ბოლოები და გაბოროტებით იგინებოდნენ.

კარგახნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გამართეს კარვები, შიგნით საძილე ტომრები გაშალეს და სათითაოდ დაიწყეს შეძრომა თავიანთ ბუდეებში. ორმოცდათორმეტ კარავში განაწილებული იქნა გერმანელი ტყვეებიც. მათ, კიდევ კარგი, სურსათი მაინც აღმოაჩნდათ, თორემ ჩვენს მებრძოლებს ესეც საზრუნავი გაუხდებოდათ. დავითი ანაწილებდა ტყვეებს და მებრძოლებს უსახლებდა კარვებში. სიცვიისაგან აძაგაგებული ტყვეები მორჩილად ძვრებოდნენ ამ ვიწრო ბუდეებში, ცდილობდნენ, როგორმე ჩაქედლიყვნენ მათ შორის.

დავითს და ლეიტენანტს მოუხდათ ტყვე ოფიცრის თავიანთ კარავში შესახლება. როგორც იქნა, სამივენი გაქირვებით მოთავსდნენ ერთად და კარვის კალთები ჩაკეტეს. დავითისა და ლეიტენანტის საძილე ტომრებს შორის ჩაჭედული ოფიცერი მორიდებულად გაირინდა და ეშინოდა განძრეულიყო, თუმცა არც ისე მოხერხებულად იწვა, ჩაცმული შინელი აწუხებდა.

გარეთ კვლავ მძვინარებდა ქარი, ისმოდა გამუხდმებული შხუილი.

სიცვიისაგან გათოშილები ჩუმად იწვნენ და ყურს უგდებდნენ აბობოქრებული ქარიშხლის გამუხდმებულ ხმაურს. კარავი მთლად შეკრული იყო დღე ერთი მთლიანი ნაჭრისაგან შემოსალტული. მისი კალთები კი ისე მჭიდროდ იკეტებოდა ორმაგი თასმებით, რომ შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ჰერს შიგნით შეედწია. მიუხედავად ამისა, ქარი

ისე ბერავდა კარავს, თითქოს გახეთქას უპირებდარო. კარგა ხანი გავიდა, სანამ ტანსაცმელშემოყინული მებრძოლები გათბებოდნენ და ხმის ამოღებას მოახერხებდნენ.

ლეიტენანტმა ჯიბის ელექტროფარანი ამოიღო და ტყვე ოფიცერი შეათვალიერა, იგი ფარნის ყოველ მინათებაზე თვალებს ხუჭავდა და იღიმებოდა.

— ძალიან ორიგინალურად მიხდება ტყვის დაკითხვა, — უთხრა ლეიტენანტმა დავითს, — რას იზამ, ისევ უნდა შევეურიგდე ბედს. შენ, მგონია, იცი გერმანული.

— მე რუსული ვიცი, — თქვა ტყვემ და მერე დაძინა, — ერთ დროს მეც რუსეთის ქვეშევრდომი ვიყავი.

— როგორ? — გაკვირვებით ჰკითხა ლეიტენანტმა.

— რიგაში დავიბადე. კურლიანდელი გერმანელი ვარ და ჩვენს ოჯახში კარგად იცოდნენ რუსული.

— აა, ძალიან კარგი. მაშ ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად ვისაუბროთ. თქვენი ბიოგრაფია შემდეგ მიამბეთ, ახლა ჩემს შეკითხვებზე მიპასუხეთ. თქვენი სამხედრო წოდება?

— ლეიტენანტი.

— ნაწილი?

— სამთო მსროლელი დივიზია „ადრლფ შიტლერი“.

— ოჰო, ეგ რა, სპეციალური დივიზიაა ასეთი? — ჰკითხა დავითმა.

— დიახ. ჩვენი დივიზია საგანგებოდ იყო დაკომპლექტებული მთებში საბრძოლველად და დღემდე ბრძოლებშიც კი არ მიგვიღია მონაწილეობა.

— საკვირველია, თუ აგრეთა, რატომ კარები არ გქონდათ თან? — ჰკითხა დავითმა.

— თან არ წამოგვიღია, რადგან ქედგადაღმა ბანაკი გვაქვს და იქ არის ჩვენი სატრანზიტო ბაზა მოწყობილი. ჩვენ მხოლოდ იმ ბაზამდე უნდა მიგვეღწია.

— ოჰო, ესეც ახალი ამბავი, — წამოიძახა ლეიტენანტმა.

ტყვე გერმანელმა ჩაიცინა.

— რას იცინით? — ჰკითხა ლეიტენანტმა.

— არაფერს.

— არა მაინც? — არ ეშვებოდა ლეიტენანტი.

— თქვენი გულუბრყვილო ეშმაკობა მაკვირვებს.

— როგორ?

— როგორ და, თითქოს არ იცოდეთ იმ ბაზის არსებობის შესახებ. თქვენ ზომ იმ გზით ამოხვედით ამ ქედზე. ცხადია, უკვე ბაზა თქვენს ხელში იყო, თორემ აქ საიდან გაჩნდებოდით.

— ეგ, მე მგონია, თქვენთვის სულ ერთი უნდა იყოს, — უთხრა ლეიტენანტმა ტყვეს, — თქვენ ეს მითხარით...

— მე ყველაფერს გეტყვით.

— მით უკეთესი. მითხარით თქვენი ნაწილების განლაგება ჩრდილოეთ ხეობაში, ან რა ძალები მოძრაობენ თქვენს კვალდაკვალ.

ტყვე ოფიცერმა დაწერილებით უამბო ორივეს, რაც იცოდა.

გამორჩევა რომ ეს რაზმი ავანგარდი იყო იმ მსროლელი პოლკისა, რომელიც მოეშურებოდა ხეობაში გადასული ჯარების მისაშველებლად. რაკი ეს ნაწილი დაღამებამდე მთლიანად ვერ მოასწრებდა უღელტეხილზე გადასვლას, ამიტომ იალალებზე დაბანაკებულიყო. წინ მხოლოდ ერთი ოცეული გაეგზავნათ. ამ მცირე რაზმს უნდა მოესწრო დაღამებამდე ქედზე გადასვლა, ხოლო დილით დაიძრებოდა დანარჩენი კოლონა.

— ისინი შორს არიან? — ჰკითხა ლეიტენანტმა.

— აქედან, დაახლოებით, ხუთი ან ექვსი. კილომეტრი იქნება იმ ადგილამდე.

— შეიარაღება?

— დაახლოებით იგივე, რაც ჩვენ. ცხადია, არტილერიის როლს ნაღმსატყორცნები ასრულებენ. სხვა შეიარაღება არა გვაქვს.

ლეიტენანტი საგონებელში ჩავარდა. დილას თუკი გამოიდარებდა, მას თავისი მცირე რაზმით მოუხლებოდა ბრძოლა მოწინააღმდეგის საკმაოდ დიდ ძალებთან. ეს კი არც ისე ადვილი ამოცანა იყო, თუნდაც იმის გამო, რომ მათ ტყვეებისა და ჭურვების მარაგი მეტად მცირე რაოდენობის ჰქონდათ. მართალია, ამ მარაგს ტყვე გერმანელების ტყვია-წამალიც მიემატა, მაგრამ არც ეს იყო საკმარისი იმისათვის, რომ მტრის კოლონა ხანგრძლივად შეეჩერებინათ. ყოველი ვაზნა თუნდაც სწრაფი მომჭირნობით ეხარჯათ, ერთ დღეზე მეტს მაინც არ ეყოფოდათ.

ლეიტენანტს მთელი ღამე არ უძინია და ყურს უგდებდა ქარის ზუსტუნს.

გათენდა და ქარიშხალი არათუ შენედა, უფრო გაძლიერდა. კარვიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო. დავითმა რამდენიმე წუთით გააძვრინა კარვის კალთებში თავისი ალტიმეტრი, რომელზედაც თერმომეტრიც იყო დამაგრებული.

თერმომეტრმა მინუს ოცდაორი გრადუსი უჩვენა.

ასეთ ამინდში, ცხადია, შეუძლებელი იყო ადგილიდან დაძვრა. ისევ კარვებში უნდა განეგრძოთ წოლა.

კარავში შედარებით თბილოდა. არათუ საძილე ტომრებში შემჭვრალი დავითი და ლეიტენანტი, თვით ტყვე ოფიცერიც კი შედარებით კარგად გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ მას საძილე ტომარა არ ჰქონდა და მარტო თავისი შინელის იმედით იყო. ის მშვენივრად მოეწყო დავითისა და ლეიტენანტის შუაში, არხეინად ეძინა.

მთელი დღე არ შეწყვეტილა ქარის ზუსტუნს და ამინდს იოტის ოდენადაც არ ეტყობოდა გამოდარება. გარეთ გამოსვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ლეიტენანტმა მაინც ვერ მოითმინა, კარვიდან გამოძვრა და დანარჩენი კარვები ყველა შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ ორი კარავი ქარს დაეშალა და ნამჭერს

დაეთვარა. მებრძოლები არხეინად იწყნენ ჩაფუშულ კარავში და მტრის მიმართობდნენ მის გასწორებას. ლეიტენანტმა უბრძანა, კარავი ისევ გაემართათ, მაგრამ მათ დაამშვიდეს თავისი უფროსი, არა გვიშავს-რა, თავს მშვენივრად ვგრძნობთ, ასე გვიჩვენიაო.

გაყინულ-გათოშილი ლეიტენანტი თავის კარავში მიბრუნდა, დიდი გაჭირვებით შეძვრა შიგნით და იმდენი სიცხვე შეიყოლა, რომ ტყვე ოფიცერს ძაგძაგი დააწყებინა. კარვა ხანი გავიდა, სანამ ისევ დათებოდა კარავში.

დავითს ხან ეძინა, ხან ფიქრებს ეძლეოდა, ხან ტყვე ოფიცერთან საუბრობდა. ხანგრძლივი წოლისაგან გვერდები ტკიოდა. ქარი გამაბზრებლად ზუსტუნებდა და გაყინული თოვლის ფიფქები ქვიშასავით ხრიალებდა კარვის სახურავზე.

დროს მოსაკლავად ხანგამოშვებით მუსაიდობდნენ და თავიანთ თავგადასავალს ერთმანეთს უამბობდნენ. დავითმა გერმანელ ოფიცერს ჰკითხა მათი თანამედროვე კულტურის შესახებ და გაოცდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ოფიცერს არათუ თანამედროვე, არამედ გერმანიის წარსული კულტურის შესახებაც კი ბევრი არა გაეგებოდა-რა.

— „ვერტერი“ წაგიკითხავთ? — ჰკითხა დავითმა.

— არა.

— „ფაუსტი“?

— არა. ესწავლობდი ბავშვობის დროს და რამდენიმე გვერდი ვიცოდით. მოსაწყენი წიგნია.

— მაშ არც „პერმან და დოროთეა“ წაგიკითხავთ?

— ეგ მგონი წაკითხული მაქვს და აღარ მახსოვს.

— მაშ რა წაგიკითხავთ?

— ბევრი არაფერი. იცით რა, წიგნებს ვერ ვკითხულობ, ძილსა მგვრის. ამიტომ, რაც სასწავლებელი დავამთავრე, წიგნი ხელში არ ამიღია. ხანდახან

ილუსტრირებულ ჟურნალს თუ გადაეხედავ.

სამაგიეროდ, ტყვე ოფიცერი კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის ისეთ დაწესებულებებს, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა სიყვარულის საიდუმლოების აღსრულება, და მოჰყვა, თუ როგორ დაურიღებლად ნებდებოდნენ მამაკაცებს გერმანელი ამეძავი ქალები თეატრებში, კინოებში, ვაგზლებში.

— ვაგზლებში? — გაოცდა დავითი.

— ჰო, ვაგზლებში, — უბასუხა ტყვემ, — რა ვაგიკვირდათ. თქვენ არ იცნობთ ჩვენს ღამის პეპლებს. ისინი ისეთი ოსტატები არიან, რომ თუ მოისურვებთ, ეკლესიაშიც კი მოახერხებენ დაგნებდნენ წირვის დროს. ერთ ქალს ვიცნობდი, როზა ერქვა, რა გოგო იყო! მას მგონი რაიხსტაგშიც კი დაჰყავდა თავისი სტუმრები. რაც შეეხება ქალაქის ბაღებს, მუზეუმებს და მთელ რიგ ისეთ დაწესებულებებს, სადაც ყველაზე ნაკლებად შეიძლება ასეთ საქმეში ყურადღება მოგაქციონ, ყველგან ადვილია, სურვილი შეისრულო. შეერთებულ ბისმარკის ძეგლის პედესტალზე...

— ფუჰ! თქვენი... — შეუტყუართხა ლეიტენანტმა, — კარგი პატივისცემა კი გცოდნიათ თქვენი ქვეყნისა... თუ ჩვენს სასიამოვნოდ იტაქები და ტყუილებს ამბობ?

— არა, მართალს ამბობს, — უთხრა დავითმა ლეიტენანტს, — შენ არ წაგიკითხავს მაკს ჰელცის „თეთრი ჯვრიდან წითელ დროშამდე“?

— არა.

— ჰოდა, იმასაც მრავლად აქვს ასეთი ამბები აღწერილი.

ქარი განუწყვეტლად მძვინვარებდა და მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა მისი ზუზუნი. დავითი და ლეიტენანტი ხანგამოშვებით იძინებდნენ, ან გარინდული იწვნენ და ყურს უგდებდნენ ბუნების მრისხანე ბობოქრობას.

დაღამდა და ქარი უფრო გაძლიერდა. ახლა ძილი არც შეეძლოთ ეკარებოდა. ტყვე ოფიცერმა ჩინჯი-კუნტა, რომ თბილის ნაქუქში ჩაეტეოდა.

ღამე გაგრძელდა. აღარ დაადგა საშველი გათენებას. მთელი ღამის განმავლობაში არც ერთს თვალი არ მოუხუტავს. ლეიტენანტი ბორბავდა. მას დანარჩენ კარვებში მყოფი მებრძოლების მღგომარეობა ადარდებდა. დავითმა დაამშვიდა. ყოველ მათგანს ჰქონდა საძილე ტომარა და მათთვის არავითარი ყინვა არ იყო საშიში.

ჩუმად იწვნენ. ლაპარაკის სურვილიც არა ჰქონდათ.

ყველანი თავიანთ ფიქრებს მისცემოდნენ.

იმედი ჰქონდათ, რომ დილას გამოიდარებდა და მოუთმენლად მოელოდნენ გათენებას, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. მეორე დღეს ქარი ისევ შეუწუნებლად ზუზუნებდა, ისევ ტრიალებდა თოვლის გაყინული ფანტალები და ახლა გარეთ გამოხედვაც კი შეუძლებელი იყო.

დავითს მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა. მათ სურსათის მარაგი დიდხანს არ ეყოფოდათ და ამინდი კი შეიძლება მთელ კვირას არ გამოკეთებულყო. მართალია, დავითმა წინასწარ გაათრთხილა მებრძოლები, რომ დღის ნორმაზე მეტი არ დაეხარჯათ, მაგრამ იცოდა, რომ ბევრი ვერ დაიცავდა კვების ამ მტკიცე რეჟიმს და მთელი კვირის მარაგს ერთს ან ორ დღეში შეჰკადა. პირველ რიგში, რასაკვირველია, შოკოლადსა და შედედებულ რძეს მოუღებდნენ ბოლოს, ხოლო დანარჩენ დღეებს ნახმობ პურებს დაუწყებდნენ ზერას.

ქარი კი მძვინვარებდა და გამოდარების ნიშანს არ იძლეოდა.

დავითმა რამდენჯერმე დააპირა კარ-
ვიდან გასვლა, მაგრამ, როგორც კი
კალთის ერთ ღილს შეხსნიდა, ქარი
რეზინის კამერასავით ბერავდა კარავს
და ისეთი სიცივე შემოჰქონდა, რომ
ყველაფერი უცბად რთვილით იფარე-
ბოდა.

— კაპიტან სკოტის დღიურები თუ
წაგიკითხავს, — ჰკითხა დავითმა ლეი-
ტენანტს.

— როგორ არა.

— სწორედ იმის მდგომარეობაში
ვართ.

— როგორ ფიქრობ, გადავურჩებით?

— თუ ადრე გამოიდარა...

— მე მგონია, აღარასოდეს გამოი-
დარებს.

— ეგ აგრეა ყოველთვის. აღელვე-
ბულ ზღვას რომ უცქერი, ასე გგონია,
არასოდეს არ დაწყნარდებოა. მეორე
დღეს შეხედავ და — ზეთივით უძრა-
ვდაა...

— ზღვა სხვაა. ეს მთებია.

— მერე რა.

— არა! მე უკვე გადავწყვიტე. აღა-
რასოდეს გამოიდარებს.

— დაუნაძლეველეთ.

— კარგი. რაზე?

— რაზედაც გინდა.

— როდის გამოიდარებს?

— ხვალ დილას მოწმენდილი იქნე-
ბა.

— უჰ! ხვალ დილაზე შორსაა.

— მაშ შენ გინდა ახლავე გამოიდა-
როს?

— კარგი, ხვალ დილას იყოს. რაზე?

— წაგებულმა მთელი ჩვენი რაზმი
აქეიფოს.

— ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ
გამოიდაროს.

სანაძლეომ ორივე გაახალისა. ყურს
უგდებდნენ ქარის ზუზუნს და ცდი-
ლობდნენ გამოერკვით, აპირებდა თუ

არა გამოდარებას. ღამით ქარი თით-
ქოს შენეულდა და დავითმა უკვე შეძგა
მომავალი საქეიფო ~~საქეიფო~~ შედგენას.
სათითაოდ ჩამოუთვალა ლე-
იტენანტს, თუ რა იყო საქირო კარგი
ნადიმისათვის. ჯერ მარტო ორასი ბო-
თლი ღვინო უნდა ეყიდა. არა, ორასი
რას ეყოფოდა. სამასი უნდა ეყიდა.
მთავლელ მებრძოლებში ისეთი ბიჭე-
ბი იყვნენ, რომ ზოგი მათგანი ნა-
ხევარ ვედრო ღვინოს უკანმოუხედა-
ვად ჩაწრუბავდა. მერე, თითოს თითო
წიწილა ხომ უნდა ჰქონოდა საინზე,
ტაბაკად გაშლილი წიწილა.

— რა ამბავია, — ედავებოდა ლეი-
ტენანტი, — წიწილა კი არა, ყვერულე-
ბი მომთხოვე. თითო კერძი სოუსი თუ
გაჭამოთ, იმის მადლობელიც იყავით.

— სოუსი რაა, მე წესიერ ნადიმზე
გელაპარაკები, — არ ეშვებოდა დავი-
თი, — ხუჭაურებზე რას იტყვი?

— არა, იქნება არტიშოკებიც მომთ-
ხოვ.

— კუპატებსაც არა უშავს-რა.

— რაო?

— კუპატები, ჩვენებური კუპატები!
დაიცა, დამუხუჭებული სოკო და ზედ
თითო არაყი! საუხუმე ხომაა საქირო!

— იცი რა, მოდი, ასე შევთანხმდეთ:
თითო ბოთლი ღვინო ყველას და თი-
თო კერძი საქმელი.

— ჰო, დიახ. შეატყვე, რომ ქარი
შენეულდა და ახლავე უკლებ! არა ძმაო,
მე თანახმა არა ვარ.

დილას უკვე ლეიტენანტი ადგენდა
მენიუს და ახლა დავითი ევაჭრე-
ბოდა, რა ამბავია, მაგას რა გაუძღვებს
ქორწილი ხომ არ უნდა გადაეხადოთ.

ქარი ისევ მძვინვარებდა. მათ კი ახლა
დარჩენილი სურსათი მხოლოდ ერთ
დღედაღამეს თუ ეყოფოდათ. შემდეგ
ყველანი მარხულობას უნდა შესდგო-
მოდნენ. ასეთ ამინდში კი ერთი ან ორი
დღის შიმშილი დალუპვას მოასწავებდა.

ქარი კი ისევ ზუზუნებდა და კარვის
დაგლეჯას ლამობდა.

გორაკზე იდგნენ და ქედს შესცქეროდნენ მაიორი ივანოვი და რაიკომის მდივანი ვალიკო მანაგაძე. ეს კუხისმაგვარი გორაკი იქვე იყო ბარაკებთან ახლოს და იქიდან კარგ ამინდში მშვენივრად მოჩანდა მწვერვალი დანგითაუ და მის გასწვრივ მთელი ქედი. ახლა კი არც ერთი არ ჩანდა, არც მწვერვალი და არც უღელტეხილი. დაბლა დაშვებული ღრუბლები მიძიმედ დაწოლოდა მთებს. შეუძლებელი იყო იმის გამორკვევა, თუ რა ხდებოდა ზემოთ. უკვე მესამე დღე იწურებოდა და თოვლქყაბი არ შეწყვეტილა. ორი დღის განმავლობაში სულ ქენქები იდგა, მესამე დღეს კი თოვლმა ხეებზე მაინც მოიკიდა ფეხი და ტყეები თანდათან გადაათეთრა. ზემოთ კი ალბათ ყველფერი თოვლით იყო დაფარული.

მაიორმა ჩქარა დაამთავრა ოპერაცია და მალარობებში გადმოკრილი გერმანელების ბატალიონი ქვაბნარადან გალაშქრების მეორე დღეს გაანადგურა. სალამოს უკვე მტრის დარჩენილ ნაწილებს კვალდაკვალ მისდევდა, როდესაც დანიშნულ დროზე ცოტა ადრე ქედზე აშვებულ სასიგნალო რაკეტას მოჰკრა თვალი. უღელტეხილზე გზა, ცხადია, მტრისათვის გადაჭრილი იყო. მაიორმა მეორე დღის საიერიშო გეგმა დაწერილებით შეიმუშავა, დილას კი, დაახლოებით ათსა თუ თერთმეტ საათზე, მტრის პარალამენტორი მოვიდა და მალე მთელი მომწყვედელი რაზმი ტყვედ დანებდა. აღმოჩნდა, რომ ისინი იძულებული იყვნენ, უკან მობრუნებულიყვნენ, რადგან მათთვის ამოვარდნილი ქარიშხლის გამო არათუ უღელტეხილზე გადასვლა, ქედამდე მიღწევაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო.

მაიორს ახლა ის აღარდებდა, რომ არაფერი არ იცოდნენ იმ რაზმის შესახებ, რომელსაც დავითი გაუძღვა. ამიტომ ივანოვი რაიკომის მდივანთან ერ-

თად გაემართა გორაკისაკენ იმ იმედით, რომ გამოდარების რაიმე ნიშანს მაინც დაინახავდა.

— ნუთუ არ უნდა გამოიდაროს? — ჰკითხა მაიორმა ვალიკოს.

— არ მახსოვს, რომ ზაფხულის მიწურულს ასე გაფუჭებულიყოს ამინდი. ჯერ რა დროს თოვლია. პირველ თოვლამდე, სულ ცოტა, ორთვენახევარია.

— ციკლონი მოვარდა საიდანღაც.

— არ ვიცი. გინდა ციკლონი დააჩქვი, გინდა ანტიციკლონი. უცნაური კია. თუმცა ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, ამ თხუთმეტი წლის წინათ აგვისტოში მოვიდა თოვლი და მოუშველი პურის ყანები დაფარა.

— სიგნალით კი მანიშნეს, რომ დანიშნულ დროზე ადრე მივიდნენ.

— თქვენ ნამდვილად დაინახეთ? — ჰკითხა ვალიკომ და პაპიროსი გააბოლა.

— ნამდვილად. სამჯერ ისროლეს რაკეტა. ასე გეჭონდა დათქმული.

— მაშასადამე, ისინი იქ არიან.

— არიან, კი არიან, მაგრამ გადაურჩებიან ქარიშხალს?

— ხომ წაიღეს ყველაფერი?

— წაიღეს. კარები ჰქონდათ, საძილე ტომრები ჰქონდათ, სურსათი... სურსათი კი ძალზე მცირე.

— ეგ კი ცუდია. კონსერვები არ წაუღიათ?

— უიმისოდაც თითოს ორმოც კილოგრამამდე ბარგი მოუგროვდა. ხუმრობა ხომ არაა მთებში ამოდენა ბარგის თრევა.

ისინი კარგა ხანს იდგნენ და გასცქეროდნენ ქედს.

— რა ვქნათ? — იკითხა მაიორმა.

— წავიდეთ, ბარაკში დავსხდეთ. სულ ერთია, აქედან მაინც რას ვუშველით?

— მე უკვე მოველაპარაკე, როგორც კი გამოიდარებს, მაშინვე თვითმფრინავით დაქვევარავთ.

— ეგ კარგია. იცით რა, მე წავყვები პილოტს, — უთხრა ვალიკომ.

ორივენი ბარაკისაკენ გამობრუნდნენ

ატალახებულ მიწაზე ფეხი ცურავდა.

— თქვენ... — მაიორი შეჩერდა და ვალიკოს შეხედა, — კრილობა არ გაწუხებთ?

— არა. — ვალიკომ ქუდი გადაიძრო და თავზე ხელი მოსვა. თავი მარლით ჰქონდა შეხვეული. კრილობის ადგილას მოჩანდა მიმხმარი სისხლის მრგვალი ლაქა. — ტყვილსაც კი არ ვგრძნობ. ოღნავ გამკრა ტყვიამ. მე ქედს კარგად ვიცნობ. ადვილად მოვნახავ მათს დაბანაკების ადგილს.

— მანამდე ჩვენც ავალთ ქედზე.

— ვერა, ვერ ახვალთ. ეს უღელტეხილი ახლა უკვე მიუვალაია. დავითის კვალდაკვალ ხომ გაგზავნეთ დამხმარე რაზმი?

— გავგზავნე. იმათგან ცნობა მომივიდა. იალალზე შეუძლებელია წინსვლა და ტყეში დაებანაკდითო.

— იალალებიდან კი რამდენი გზაა. მერე ციცაბო კლდეები იწყება ისეთი, რომ... წარმოადგენაც კი შეუძლებელია.

— თუ გამოიდარა?

— მაშინაც შეუძლებელი იქნება ასვლა. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ასეთ კლდეებში თოვლის მოსვლა. ჯერ კარგ ამინდში, ისიც ზაფხულში, ამ ადგილზე ქედის გადალახვა ადამიანის შესაძლებლობის საზღვარს წარმოადგენს. ახლა კი, როდესაც ეს ციცაბო ქარაფები თოვლითაა დაფარული, ყოველი ფეხის ნაბიჯი სიცოცხლესთან თამაშს მოასწავებს.

— თქვენ მთასვლელი ხართ?

— არა, მაგრამ მე ბევრი მივლია ასეთ ადგილებში. ჯიხვებზე მინადირია.

— აჰ! ჯიხვებზე? ეგ ალბათ წარმტაცი რამეა.

— გავრეკოთ მტერი და მე და თქვენ წავიდეთ ჯიხვებზე სანადიროდ.

— აუცილებლად.

ორივენი ბარაკში დაბრუნდნენ. შტაბის უფროსი, ახალგაზრდა პირტიტელა კაპიტანი, ხმამალა განკარგულებებს იძლეოდა. ქვაბნარაში აგზავნიდა ტყვე-

ებს. გერმანელები აბუზვლები იდნენ, მხოლოდ იტალიელი ბერსალელები ყოყინებდნენ მხიარულად.

ტყვეებს მცირე ჯგუფებად ისტუმრებდნენ. თითო ჯგუფში ათი კაცი იყო და ბადრაგად მათ ხუთი მცველი მისდევდა. უმეტესი ნაწილი უკვე გაეგზავნათ და მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დარჩენილი. რადგან დღე უკვე იწურებოდა, კაპიტანი ფიქრობდა, ეს ჯგუფი დილაამდე აქვე დაეტოვებინა. გერმანელი ოფიცრის ჩვენებით, ქედს გადმოღმა გადმოსული მათი რაზმი მთლიანად იყო განადგურებული, ასე რომ, აქ ოპერაცია დამთავრებულად ჩაითვლებოდა. ტყვე ოფიცრის ჩვენებას ისიც ადასტურებდა, რომ მაიორ ივანოვის მხვერავებმა მთლიანად დაიარეს ახლომახლო მიდამოები, მაგრამ მტრის ერთი ჯარისკაციც კი ვერ აღმოაჩინეს.

მაიორის საზრუნავს ახლა მხოლოდ დავითის მეთაურობით ქედზე ასული რაზმის მდგომარეობა წარმოადგენდა. ცუდმა ამინდმა მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციას ხელი შეუწყო. გზა გადაუყეტა სამხრეთით გადმოქრილ გერმანელთა მოსაშველებლად დაძრულ ჯარებს, მაგრამ აქ ქარიშხალმა მოიშწყვდია საბჭოთა საუკეთესო, რჩეული მთასვლელებისაგან შემდგარი რაზმიც.

ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში მაიორს. იქნება მთელი ეს ჩვენი რაზმი განადგურებული იყო. მაშინ, გამოდარების შემდეგ, მტერი ისევ შეეცდებოდა ქედი გადმოეღახა და მალაროები დაეჭირა. ასეთ შემთხვევებში საბჭოთა ნაწილებს ახლავე უნდა გამაგრებინათ ზეობის სათავე და, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, გამოდარებისთანავე იერიში მიეტანათ ჩასაფრებულ მტერზე, ქედის გადაღმა გადაერეკათ, რომ „ზიდ-წინა“ სიმაგრე ხელში სჭეროდით. უამისოდ არ შეიძლებოდა იმ დიდი ოპერაციის უზრუნველყოფა, რომელიც ჩქერულას მთავარ უღელტეხილზე უნდა

დაწყებულიყო და სადაც ახლა გროვდებოდა ძირითადი შემტევი ძალები.

მაგრამ ამ ამოცანის შესრულებას ორი გარემოება უშლიდა ხელს — მოულოდნელი ქარიშხალი და ქედის სამხრეთი კედლის მიუვალობა. ეს კედელი თითქმის შეეული კლდეების სისტემას წარმოადგენდა. ჩრდილოეთის მხრიდან მტერი ადვილად შესძლებდა ქედის გადმოლახვას იმის გამო, რომ ის მხარე შედარებით ნაკლებად დაქანებულ მთაგრენილთა და ხეობათა მწყობრს წარმოადგენდა და, ამგვარად, ქედის კვეთილი კონტური წააგავდა სწორკუთხიან სამკუთხედს, რომლის პიპოთენუსა ჩრდილოეთის მხარე იყო, ხოლო მახვილი კუთხის მოპირდაპირე კათეტი — სამხრეთი მხარე. სამხრეთ კედელზე კი, ცხადია, მტრისათვის უფრო ადვილი იყო ზემოდან დაშვება, ვიდრე ქვემოთ დან ასვლა ჩვენი მეტროპოლებისათვის. ზევით ჩასაფრებული მტრის თუნდაც ერთ კაცს ჩვენი ათასი კაციც კი ვერას დააკლებდა.

ამის გამო ყველაფერი დამოკიდებული იყო იმ ასეულის ბედზე, რომელმაც ასე კარგად მიაღწია ქედს და რომლის შესახებ მაიორმა არაფერი იცოდა.

ბარაკების პირდაპირ შემალღებულ სერზე საკმაოდ მოზრდილი, თუმცა ოდნავ დაქანებული, ვაკე-მინდორი იყო, რომელზედაც ახლა აეროდრომი უნდა მოეწყოთ. მინდვრის ზომა საკმარისი აღმოჩნდა თვითმფრინავების ასაფრენად და დასაშვებად. მხოლოდ, საჭირო იყო ალაგ-ალაგ ამოზრდილი მაცვლის ბუჩქებისაგან და ძეძვებისაგან მოედნის გაწმენდა, მორენების გადაყრა და ქვიანი ადგილების ბალახიანი ბელტებით მოფენა. მესანგრეები გაფაციცებით მუშაობდნენ, რათა გამოდარებასთან ერთად აეროდრომიც მზად ყოფილიყო.

მაიორმა სთხოვა ვალიკოს დაეთვალიერებინათ, როგორ მიმდინარეობდა მუშაობა. ორივენი გადავიდნენ მდინარეზე ხიდად გადებულ მორზე და აღმართი

მარდად აიზბინეს. მესანგრეები უკვე ამთავრებდნენ აეროდრომის მოწყობას. ძეძვები დაეთხარათ, მოეშრებოდა მთაგრეებისათ და ახლა გასუფთავებულ მინდორზე, თითქოს დახეულ საბანს აკრებდნენ, სადაც მოჩანდა ქვიშიანი ადგილები, ლამაზ ოთხკუთხედებად აქრილ ბალახიან ბელტებს აწყობდნენ.

— თუ გინდა, ფეხბურთი ითამაშე, — კმაყოფილად ჩაილაპარაკა მაიორმა, — ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად გიმუშავიათ, უკვე ასეთ მაღალ მთაზე აეროდრომიც გვაქვს.

ვალიკომ ექვის თვალით შეათვალიერა გარშემო ამართული მაღალი ციციბო მთები და მაიორს გაუზიარა თავისი მოსაზრება:

— აქ ან როგორ უნდა დაეშვას თვითმფრინავი, ან როგორ უნდა აფრინდეს. ავტოკირი — პელიკოპტერები რომ გვექონდეს, მესმის.

— ნუ გეშინია, დაეშვება, — ღიმილით ანუღეშა მაიორმა, — აქ ყველაფერი გამოთვლილია.

— როგორაა გამოთვლილი, — შეედავა ვალიკო, — ერთი ვიწრო ზოლია, მეტი არაფერი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული. ვთქვათ ქარი ჩრდილოეთიდან უბერავს და თვითმფრინავი იძულებულია სამხრეთიდან დაეშვას აეროდრომზე. მაშინ როგორ გვიბრძანებთ, შემოვებარუნოთ აეროდრომი?

— რატომ! თვითმფრინავები ყოველთვის ერთი მხრიდან, აღმოსავლეთიდან დაეშვებიან და აფრინდებიან იმავე მიმართულებით.

— ამ ქაში როგორღა ჩამოეშვებიან? — ეგ ჩვეწმა მფრინავებმა იციან. ნუ შიშობთ, ამხანაგო რაიკომის მდივანო.

— ყოველ შემთხვევაში, გამანადგურებელთა დასაშვებად ეს მოედანი, მე მგონია, საკმარისი არაა.

— ჩვენ არც გვეკირდება გამანადგურებლები. ჩვენ გვინდა პატარა, მსუბუქი პ-5, კოლმეურნეობებს რომ აქვთ, ისე-

თი. ისინი ჩვენ მოგვიზიდავენ ვაზნებს, იარაღს, სასმელ-საჭმელს თუ საჭირო იქნა, ბრძოლაშიც გამოგვადგებიან.

— სანამ მინდორი არ გაშრება, კიდევაც რომ გამოიდაროს, ამაზე თვითმფრინავი მაინც ვერ დაეშვება. შეხედეთ, მესანგრეებიც მთლად სველები არიან.

— გამოიდაროს, ოღონდ გამოიდაროს და ყველაფერს მოვახერხებთ, — უპასუხა მაიორმა და ქედს გახედა.

მთები წინანდებურად ღრუბლებში იყვნენ შემალულნი და გამოდარებას პირი არ უჩანდა.

— ოჰ! რას არ შევესრულებდი იმას, ვინც იმათ ამბავს შემატყობინებდა, — ამოიოხრა მაიორმა, — წავიდეთ, პური ეჭამოთ. არ მოგშვიდათ?

— წავიდეთ. ახლა გამახსენდა, რომ დილიდან არაფერი მიჭამია. გაქვთ რამე?

— მოვნახავთ, — ღიმილით უპასუხა მაიორმა, რადგან სასაცილოდ მოეჩვენა ვალიკოს კითხვა: გაქვთ რამეო?

ორივენი ისევ გაბრუნდნენ ბარაკებისაკენ.

— ყველანი მეცოდებიან, მაგრამ დავითი რომ დაიღუპოს, არ ვციცი, რა მომივა, — თქვა ვალიკომ.

— ეგ რომელი?

— ინსტრუქტორი.

— აა, დავით გიორგიევიჩ. ასე ჰქვიაან ხომ? ის კარგი კაცი უნდა იყოს, ეტყობა.

— ამ მალაროების მთავარი ინჟინერია. რჩინაა ნამდვილი. ჩვენ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში.

— თქვენც ინჟინერი ხართ?

— დიახ!

— პარტიული ხაზით წახვედით?

— დიახ! თუმცა აქ სწორედ იმისათვის გამოგზავნეს, რომ ამ რაიონში ხუთი სამთამადნო წარმოებაა. ოჰ, რომ იცოდეთ, რა კაცია. ერთს ასში არ გავცვლი, სიყვარულში არ წყალობს უბედურს ბედი, თორემ...

— როგორ?

— ეჰ, ეს გრძელი ამბავია. საკვირვე-

ლია პირდაპირ. რატომღაც ხშირად, რომ... გრიბოედოვის პიესის ეპიგრაფი გახსოვთ?

«Судьба проказница, шалунья
Определила так сама:
Всем глупым счастье от безумья,
Всем умным горе от ума.»

— სიყვარულში ეგ რატომღაც ხშირად მოვლენაა.

— ის კი არ არის ამის ღირსი.

როდესაც ორივენი ახალშენს დაუახლოვდნენ, ბარაკების წინ მუშებისა და მუშა ქალების ჯგუფი დაინახეს. მალაროების რაიონში საბჭოთა ჯარების შესვლის დროს აქ მომუშავეთაგანი აღარავინ არ დახვედრიათ, ეჭიმის გარდა, რომელიც გერმანელების ტყვეობიდან იხსნეს, და ახლა ორივეს გაუკვირდა მუშების აქ ყოფნა. ვალიკო დაწინაურდა და მოსულებს მიესალმა. ისინი დასველებულიყვნენ და სიარულში გახურებულებს ტანზე ორთქლი ასდიოდათ. ვალიკო ბევრ მათგანს პირადად იცნობდა.

— გამარჯობათ თქვენი, გამარჯობა, მელიტონ, — გაუწოდა ხელი ვალიკომ მელიტონს, რომელიც თავის სვანურ ქედს სწურავდა, — საიდან, როგორ?... გამარჯობა, თომა, გამარჯობათ... საიდან მოდიხართ?

— ტყეში ვიყავით დამალული, ბატონო ვალიკო, — უპასუხა ყველას მაგივრად მელიტონმა, სველი ქუდი გაშალა და ისევ თავზე დაიხურა, მერე ბლუზის კალთაზე ხელები გაიწმინდა, ვალიკოს ღიმილით შეხედა თვალებში, — იცოცხლე, ჩვენ შიში ეჭამეთ. მერე რომ დაგვჭირდა, ჩამოვედით გზაზე და ჩვენებს არ წავეწყვით! იცოცხლე, გაგვხარდა...

— პირველად გერმანელები გვეგონა, — შეაწყვეტინა მელიტონს პელაგია. რომელმაც ქართული არ იცოდა, მაგრამ გუძანიტ ხედებოდა, რასაც მელიტონი ლაპარაკობდა, — ჩაუცვამ... ნაური ტანსაცმელი... დავით, ჩვენ ხიან... ჩვენებურად... ნებიან...



— გერმანელებს როგორ ვაეპარეთ?

— რახან არ დავგვაპტიმრეს, გააპრვა არ იყო ძნელი საქმე, ამ ტყეში რას გვნახავდნენ, სიმონი დააპტიმრეს მარტო, მართლა, რავაა მისი საქმე, არაფერი ვიცი, — იყითხა მელიტონმა.

— სიმონი გადაეპტიმრეთ. ქვანახაშია ახლა. თქვენც იქ რომ წასულიყავით, სჯობდა.

— რა ვიცოდი. თუმცა აქ რას ვამაყვებთ.

— წადით ახლა, გაშრიტ. თავს მიხედეთ, მილაგ-მოლაგდით და მერე მოვილაპარაკოთ, — უთხრა მუშებს ვალიკომ, — თომა, დატრიალდი შენებურად, გაახურე შენი ღუმელი და გაამზადე რამე. მაიორს ვეტყვი, სურსათს მოგცემენ. ტყეში არ მოგშვივდათ?

— რუსთაველი ამბობს... — დაიწყო თომამ, მაგრამ მუშებმა არ დააქალეს. სიცილი დააყარეს.

— დაიწყო ახლა...

— სიბრძნეს იტყვის, დააცათ.

— თქვი, თომა. თქვი, — გაამხნევა ვალიკომ.

— თქვენ რა გესმით. — თვალეზი გადაუბრიალა მუშებს თომამ, — ქართული ანდაზაა, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. მე, ბიძია, რომ გეუბნებით, დიდი მეცნიერი ხალხის ნათქვამს ვიმეორებ და ყური დაუგდეთ. გამოგადგებათ. სოკრატმა თქვა...

— არა, შენ ის გვითხარი, რუსთაველმა რა თქვა... — დაიძახეს ისევ მუშებმა.

— რუსთაველმა რა თქვა, სიტყვას ნუ გვიბრუნებ...

— წამოდით, რა დროს ეგ არის, — შეუტია უცხად ყველას მელიტონმა, — შემცივდა, ძმაო. სიარულში არ ვგრძნობდი და...

— დაიცა, თომამ გვითხრას, რა თქვა სოკრატმა.

— რა თქვა სოკრატმა?

— სოკრატმა თქვა, კარგია, ვილაპარაკოთ და ხალხს აეუხსნათ, რაც ციციტ

და რაც საქიროა, თუ არა-და, უძგობესია გავჩუმდეთო. ასე რომ, ყველას კი არ გაქეთ, ჩემო ბიძია, ლაპარაკის უფლება. მე თუ ვლაპარაკობ...

მელიტონმა აღარ დაუცადა თომას სიბრძნეებს და საშუარეულოსკენ გაიქცა, ყველანი თან მიჰყვნენ. თომაც იძულებული იყო მათ დასდევებოდა, რადგან ვალიკომ ღიმილით მოუთათუნა მხარზე ხელი, სიტყვა პირში შეატოვა და ბარაკისაკენ წავიდა. კარებში ჩამდგარი მაიორი ხელით ანიშნებდა — სუფრა გამოილია, მოდი, პური ვკამოთო.

— ამხანაგო რაიკომის მდივანო, — მოესმა ვალიკოს ხმა ერთ-ერთი მუშა ქალისა, რომელიც უკან დასდევებოდა.

ვალიკომ მოიხედა. მის წინ ნადია იდგა. მას ბრეზენტის ქურთუკი და შარვალი ეცვა. ქურთუკი და შარვალიც ისე იყო გაშეშებული, თითქოს სველი ფანერისაგან შეეკერათ.

— გისმენთ.

— ამხანაგო რაიკომის მდივანო, თქვენ არ შეგიძლიათ მითხრათ...

ქალი შედგა, თითქოს კითხვა ეუხერხულებოდა.

— თქვენ არ შეგიძლიათ მითხრათ, — გაბედა ბოლოს ქალმა და ფუსფუსით განაგრძო: — ხომ არ იცით, სად არის ამქამად დავით გეორგიევიჩი?

— ვინ? — ვალიკო უცხად ვერ მიხვდა, ვის შესახებ ეკითხებოდნენ.

— დავით გეორგიევიჩი.

— რომელი დავით გეორგიევიჩი... აჰ! დალახეროს ეშმაკმა, — გაიცინა ვალიკომ. — დათიკოს შესახებ მეკითხებით?

— დიას.

— აი იქ არის, — გაიშვირა ქედისაკენ ხელი. — ქედზეა, მხოლოდ...

— მხოლოდ რა? — შეშინებული სახით იკითხა ქალმა და ქედისაკენ გაიხედა. მერე ისევ ვალიკოს მიაცქერდა, თავი ნელა გაიქნია და ჩარჩულით თქვა: — არ მესმის!

— მხოლოდ ის, რომ არაფერი ვიცი რა მოუვიდა. — ვალიკოს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ მწარე ფიქრებმა შეიპყრო, ქალისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია, გაბრუნდა და ბარაკში შევიდა. იქ მას მაიორი ელოდებოდა.

ნადია გარინდებული იდგა და უზროდ იცქირებოდა სივრცეში, მერე მობრუნდა და ისევ ქედისაკენ გაიხედა.

ქედი არ ჩანდა, ის წინანდებურად ღრუბლებით იყო დაფარული.

კარგა ხანს იცქირებოდა ნადია ქედისაკენ. მერე სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. ატირდა იმისთვის, რომ ის თავიდანვე იყო დარწმუნებული თავის უბედობაში. თავიდანვე სწამდა, რომ, რადგან დავითი ასე გაგვიყვებით უყვარდა, სწორედ ამისათვის ბედი არ გაუღიმებდა.

ამოუჯდა გული და ატირდა.

„ჩვენ ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს“, მოაგონდა ნადიას თავისივე სიტყვები.

და თითქოს გული მოუვიდა, უბად შეწყვიტა ტირილი. თვალბეჭედი ხელები ამოისვა, ცრემლები ამოიწმინდა, თავი დახარა, თითქოს ეშინოდა ისევ შეეხედა ღრუბლიანი ქედისათვის, და საშხარეულოსკენ წავიდა.

„არ ვიტყვებ. შენს ჯიბრზე არ ვიტყვებ.“

„შენს ჯიბრზე ისე არ მოხდებოდა, მაგრამ შენ გგონია. აი მე მირველ შენს ვედრ მამაკაცს გავყვები ცოლად, ის კი გადარჩება შენ ჯიბრზე. შენ გინდა, ის დალუპო იმისთვის, რომ მე დამტანჯო? მე ხვალვე გადავიკარგები აქედან. ის კი ცოცხალი იქნება. და იმას მაინც ვეყვარები. ის სხვა ქალს შეირთავს, მაგრამ მე მაინც ვეყვარები. მე გადავიკარგები და ის მხოლოდ ამის შემდეგ შემეყვარებს. მე ეს ვიცი. შენ კი გინდა, რომ მე მას დაველოდო, მოუთმენლად დაველოდო, რომ ამ მოლოდინში ჩემი ტანჯვით დატკბე. იმას კი ბოლო მოულო? ვერ მოგართვი, ქალბატონო ბედისწერავ. შენ გგონია, რომ ყოველთვის შეგიძლია ასე უდიერად დაცინო ადამიანს. მე შენ დაგიმტკიცებ, რომ შენი ოჩინების ამოცნობა არც ისე ძნელი საქმეა.“

ქედზე კი ზუზუნებდა ქარიშხალი, გაცოფებით ეხეთქებოდა ყინულით შეკრულ სიბეჭს, პირიდან თოვლის ბუღსა და კორიანტელს აფრქვევდა, ბრაზიანი ღრენით ახათქუნებდა მწვერვალთა შორის თავის გიგანტურ ფრთებს და კვლავ ეჭიდებოდა ტილოს კარვებს, რათა ადგილიდან მოეგლიჯა ისინი და ღრუბლებისაკენ ხმელი ფოთლებივით აეფანტა.

თავი მიჩვიდმიტო

თბილისში ყველაზე უმძიმეს დღეებშიც კი ერთი წუთითაც არ დარღვეულა ნორმალური ცხოვრება. ხალხი შეეჩვია დაძაბულ საომარ პირობებს და ქუჩებში გამვლელები ახლა მშვიდად შესცქეროდნენ ცას, როდესაც საზენიტო ქვემეხები ასტეხდნენ ხოლმე ბაგაბუგს. ყველანი აუშფოთებლად ადევნებდნენ თვალს მოწმენდილ ცაზე მსკდომი ყუმბარებისაგან გაჩენილ ბამბის ქულებს და მათ შორის ცდილობდნენ მტრის თვითმფრინავისათვის თვალი მოეკრათ.

ისევე ჩვეულებრივად მუშაობდნენ თეატრები, კინოები, ესტრადა, ცირკი. მზადდებოდა ახალი დადგმები, იმართებოდა საღამოები, ლექციები და ქალაქში სრული დაბნელების მიუხედავად, არავინ არ ერიდებოდა ქუჩებში სიარულს.

გერმანელების წინსვლა შეჩერებული იქნა, თბილისში შეწყდა მოსახლეობის ევაკუაციით ჩამოყვანა. ქალაქის ახლად დანიშნულმა კომენდანტმა დაამყარა სრული წესრიგი. ახლა იშვიათად დაი-

ნახევდით ქუჩაში მთვრალ სამხედრო პირს და, თუკი რომელიმეს მაინც წასძლევდა სული და მაგრად გადაჰკრავდა, იგი ქუჩაში გავლის დროს ცდილობდა ფხიზლად მოეჩვენებინა თავი, უხმოდ მიიბარებოდა შინისაკენ, რომ სადმე პატრულს არ წასტეხოდა და პაუპტეხტაში არ ამოეყო თავი.

ომის განსაკუთრებული თავისებურება ჩვენი ქვეყნისათვის იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი სიმძიმე ამ ომისათვის ზურგზე უნდა გადაეტანა მოსახლეობის საუკეთესო ნაწილს. ომში, მოწინავე ცეცხლის ხაზზე იბრძოდა ჩვენი ქვეყნის შვილთა საუკეთესო ნაწილი, საბჭოთა ერების ყველაზე შესანიშნავი ადამიანები. ზურგშიც — ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, სახელმწიფო მინდვრებზე, სახელმწიფო დაწესებულებებში თუ სასწავლებლებში, თავაულებლად შრომობდნენ და უდრტვიველად იტანდნენ ყოველგვარ გაქირვებას ნამდვილი, მშრომელი, პატიოსანი მუშაკები; მშობლები, დები და ძმები ან შვილები იმ ადამიანთა, რომელნიც ფრონტზე სისხლს ღვრიდნენ, დარდით და შრომის სიმძიმით გაუტეხელი ადამიანები! მაგრამ არც პირველნი, არც მეორენი, არც მოწინავე ხაზზე მებრძოლნი, არც ქარხნებში და დაწესებულებებში შრომით დაქანცული მუშაკნი არ იმჩნევდნენ ამ სიდუხჭირეს. ფრონტზე მებრძოლნი ვაკეაკურად იტანდნენ ზარბაზნების კეჭა-ქუხილს, ტყვიების წვიმას, ხოლო ზურგის მუშაკნი — სურსათის ნაკლებობას და გაქირვებას.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გაქირვების ატანა არ სურდათ. არათუ გაქირვებისა, პირიქით, ახლა უნდოდით მოეპოვებინათ ამქვეყნიური ნეტარება, მაიმურიის თვისების მქონე ამ ადამიანებს არაფრის დათმობა არ სურდათ. ისინი ცდილობდნენ, ყოველგვარი ხერხებით რაც შეიძლება მეტი ფული მოეხვეჭათ და ამ ფულით რაღაც არ უნდა დასჯდომოდით, თავიანთი თავისათვის,

არაფერი დაეკლოთ. ამიტომ ყველაზე უდიდესი სიძნელე, რასაც ომის პირობები იწვევდა, ეს იყო ბაზარზე სუბსიდიის ზრდა. თუ ფრონტზე მებრძოლ და ზურგის მუშაკთა მოქალაქეობრივი შეგნება მაღალ დონეზე იდგა და ეს ადამიანები ბრძოლის ხაზზე, დახვედნთან, მანქანებთან, ლაბორატორიებში, სამეცნიერო კაბინეტებში გულმოდგინედ და პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თავისი ყოფაქცევით, უმსგავსო საქმეებით ხელს უშლიდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობას. ეს იყო მოსახლეობის ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოსათვის სასარგებლო საქმიანობაში, ან სულ არ მუშაობდა, ან ისეთი თანამდებობა ეკიბრა, რომ ადვილად შეეძლო ხელის მოთბობა. ამ ადამიანებმა სწრაფად დაიწყეს წარმოქმნილ პირობებთან შეგუება და ცდილობდნენ ყოველგვარი სიძნელე თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ამ პირობებში მუშათა მომარაგება შედარებით უკეთ იყო დაყენებული, მაგრამ საბურთალოს ბაზარზე, სადაც მუდამ ქიანჭველასავით ირეოდა ხალხი ხშირად ნახევდით უბრალო მუშასაც და პროფესორსაც, რომელთაც თავისი ტანსაცმელი ან საოჯახო ნივთი გასაყიდად გამოეტანათ. ამავე დროს იგივე მუშა და იგივე პროფესორი თავს არ იზოგავდა, რომ დახმარებოდა სამშობლოს, ორი და სამი თვის ხელფასის რაოდენობაზე აწერდა ხელს სახელმწიფო სესხზე, სწირავდა თავდაცვის ფონდში თუკი რამ ძვირფასი ნივთი გააჩნდა, აგროვებდა თბილ ტანსაცმელს ფრონტიკათვის და, რაც მთავარია, დაუღალავად შრომობდა.

ეს იყო ყველაზე უძნელესი ეტაპი სამამულო ომის პერიოდში ჩვენი ქვეყნისათვის როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.



პროფესორმა დანიელ გვაშელმა ინსტიტუტიდან სამეცნიერო გამომცემლობის სტამბაში შეიარა. ერთ-ერთ კრებულში მისი საკმაოდ მოზრდილი სტატია იბეჭდებოდა და უნდოდა შემამოწმებლად ანაბეჭდები წამოეღო.

პატარა საკორექტორო ოთახში იატაკზე ბურბუშელასავით ეყარა ჩამონაკერი ქაღალდები და წებოს სუნი იდგა. მინებთან ტიხარს იქით მოჩანდა სამწყობო კასები და ლინოტიპის რამდენიმე მანქანა.

უფროსი მეტრანაჰაი სტეფანე სარქისოვი უკვე იხსნიდა წინსაფარს და შინ წასვლას აპირებდა, რადგან სამუშაო დღე დამთავრებულიყო. სტეფანე დანიელის კარის მეზობელი იყო და მას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან იცნობდა, როდესაც, თვითონაც ახალგაზრდა ამწყობი, იწყებდა ცხოვრების სარბიელზე მოღვაწეობას.

— შხად არის კორექტურა? — ჰკითხა დანიელმა.

— შხად არის. შენ რად შეწყუხდი. მე მომქონდა, — უპასუხა სტეფანემ და საკმაოდ სქელი დასტა გაუწოდა.

— შენ რაო, რალაც გუნებაზე ვერ ხარ?

— ეეჰ! — ხელი ჩაიქნია სტეფანემ, თავისი დაჰყუღებული კეპი მონახა და თავზე ჩამოიფხატა. — გვირდებიან, სტამბის მუშებს სასადილოს გაგისნითო, სად არის? ეს ჩვენი სტამბა პატარაა, სულ თხუთმეტი თუ ოცი კაცი ვმუშაობთ, აბა ჩვენთვის ვისა სცალიან. სადღაც გაღმა მიგვამაგრეს. იქ სად ვიარო.

— გაძნელდა საქმე, — თქვა დანიელმა, კორექტურის დასტა პორტფელში შეინახა და სტეფანეს ჰკითხა: — შინ მიდიხარ?

— ჰო.

— მაშ ერთად წავიდეთ.

სტეფანემ დამლაგებელი ქაღალდების ერთ გროვანს მისწავსოდა ხელი არ ახლოო და შემდეგ დანიელთან ერთად ქუჩაში გავიდა.

დანიელს გაახსენდა, რომ იმ სასადილოსთან უნდა გაეელოთ, სადაც საგანგებო წიგნაკებით იძლეოდნენ სადილებს, და მაშინვე ჯიბეები მოიქექა, წიგნაკი მოძებნა და სტეფანეს უთხრა:

— მოდი, ჩემო სტეფანე, ჩვენს დახურულში დაგპატიყებ. ბევრი ვერაფერი შეილი სადილია, მაგრამ კარგი ლენო აქეთ და თითო ბოთლი წინანდალი გადაეკრათ.

ორივე მალე დაუახლოვდნენ სასადილოს და დიდ დარბაზში შევიდნენ. სუფთა, პატარა მაგიდებს მოსადილენი შემოსხდომოდნენ. ზოგს უკვე დაემთავრებინა სადილობა, ზოგი კერძს ელოდებოდა, ზოგი წვეს ხვრებდა.

დანიელმა და სტეფანემ მოძებნეს თავისუფალი ადგილი. ახალგაზრდა თეთრწინსაფრიანი ოფიციანტი ქალი სუფრას ალაგებდა და ჰუჭვიან საინებს ხმაურით აკოლიცებდა ერთმანეთზე.

— ტანია, თუ გავახარებ დღეს ხორციანი სადილით, — უთხრა დანიელმა და თავისი წიგნაკი გაუწოდა: — ორი სადილი მოგვიტანე.

— დღეს ხორცი არა გვაქვს, ლობიოა, — უპასუხა ქალმა.

— ვაჰ! მაგას სჯობს რამე? — წამოიძახა სტეფანემ. — რამდენი ხანია ლობიო არ მიქამია.

— ორი ბოთლი წინანდალიც მოგვიტანე! — მიაძახა დანიელმა სამზარეულოსაკენ წასულ ტანიას, მერე მობრუნდა, პორტფელიდან გაზეთი ამოიღო და გაშალა. — დღეს გაზეთი არ წამიკითხავს, ნეტავ რა ამბებია.

— უკეთ არის ჩვენი საქმე, — თქვა სტეფანემ და დარბაზში ხალხი შეათვალიერა. — მეგონა ნემცები გროზნოს

აილებდნენ, მაგრამ ვერა. საქმე სულ უკეთესობისაკენ მიდის. ნახავ, თუ ჩვენებმა მაგათ ცხელი დღე არ დააყარონ. კაცო, ეს ინგლისი და ამერიკა რას უცდიან? ამისთანა მოკავშირე გაგონილა? ერთი დედალ-გეურქა მყავდა ამხანაგი, შუა ბაზარში ჩხუბს რომ ატეხდა, მოჩხუბრებს მე შემომატოვებდა, თვითონ გაიქცეოდა და შორიდან მეძახდა, ყოჩაღად იყავი, სტეფანე, მოვალ და მაგათ დედას ვუტირებო. ისეა რალა. ეს აყალ-მაყალი იმათ ასტეხეს, მერე იმდენი ოინბაზობა გასწიეს, გერმანია თავზე დაგვასხეს და ახლა იძახიან, დაცათ, მოგვევლებითო. ბრძემის სკოლაა?

— მაგათ უნდათ, გერმანიაც დამარცხდეს და ჩვენც, — თქვა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დანიელმა, გაზეთი დაკეცა, სათვალე მოიხსნა და სუფთა ცხვირსახოცით წმენდა დაუწყო.

— ეგ ეგრეა, მაგრამ აბა ერთი ჩვენს დავთარშიაც ჩაიხედონ, ანგარიში ზომ არ ერევათ. ისე ვატყობ, კბილებს მოიკვეთენ.

ტანამ ორი ბოთლი ღვინო მოიტანა, ბოთლებს ხმაურით მოხადა თავი და ისევ გაბრუნდა.

მოულოდნელად სტეფანემ თვალი მოჰკრა დანიელის ვაჟს რეზოს, რომელიც მაგიდებს შორის დადიოდა, ეტყობოდა ვილაცას დაეძებდა. სტეფანემ ხელი დაუქნია და თვალით ანიშნა, აქა ვართო.

რეზო ჩქარი ნაბიჯებით მიუახლოვდა მათ მაგიდას.

— ვის ეძებ? დაჯექი. არ გისადილია? — ჰკითხა დანიელმა შეილს. — საიდან მოდიხარ?

— ლექციებზე ვიყავი, ამხანაგებს დავეძებ, მე უკვე ვისადილე, — უპასუხა რეზომ და ისევ მიმოიხედა დარბაზში.

სტეფანე სკამს მისწვდა და რეზოს მიუჩიჩა.

— დაჯექ, რეზო-ჯან. ერთი ჭიქა ღვინო დალიე, მამაშენისა ნუ გეშინია, მე გაძლევ ნებას.

— არა, გმადლობთ, მია სტეფანე! სხევაგან მიმეჩქარება, — უპასუხა რეზომ, მაგიდას მოსცილდა და სასადილოდან გავიდა.

სტეფანემ ჭიქები აავსო, თავის ჭიქა დანიელისას მიუქაზუნა და თქვა:

— მოდი, ეს შენი ბიჭი ვადღეგრძელოთ. ჩემს ხელში გაიზარდა და შეილივით მიყვარს. ახლა ქალაქში მაგისტანა ბიჭი არ დადის. კარგი ვაჟი გაზარდე, დანიელ გრიგორიჩ, ჩემმა მზემ. ღმერთმა კარგად გიმყოფოს.

სტეფანეს თითქოს კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ იმის შიშით, აქ არაფერი წამომცდესო, ჭიქა მოიყუდა. საქმე ის იყო, რომ რამდენიმე დღის წინათ ყური მოჰკრა ერთ უსიამოვნო ამბავს: უბნის ბიჭები ჩურჩულებდნენ, რეზო ზარსა თამაშობსო, და თავზარი დაეცა. გადაწყვიტა, ყოველივე გულახდილად ეამბო დანიელისათვის, მაგრამ ვერ გაბედა. პატიოსანი ხალხის თვისებაა: სხვის დანაშაულს ისე განიცდის, თითქოს თვითონ ჩაედინოს რაიმე ცუდი საქმე და გამხელას ვერ ბედავს. ასე მოუვიდა სტეფანესაც. რამდენჯერაც არ გადაწყვიტა ეთქვა დანიელისათვის, რაც გაიგონა, ვერც ერთხელ ვერ გადააბიჯა გამბედაობის საზღვარს. სულ მუდამ იმისი ფიქრი აწუხებდა, ვითუ ეწყინოს, პროფესორი კაცია და შეურაცხყოფად მიიღოს ეს ამბავი. ქვეყნის შეილებსა ზრდის, ლექციებს კითხულობს და ვითომ საკუთარი ერთადერთი შეილი ვერ გაუზრდია! მერე ვინ იცის, როგორ იმოქმედოს ასეთმა ამბავმა მამაზე. იქნება დამბლაც კი დაეცეს, და რა მრჯის, ამ სხვის ცოდვაში რომ არ ჩავდგე, თავის საქმე თვითონ უკეთ იცისო.

ასე ფიქრობდა სტეფანე, მაგრამ გული მაინც არ ასვენებდა. ასეთი კარგი ბიჭია, ჩემს თვალწინ გაიზარდა და რად

უნდა გაფუქდესო. რამდენჯერ პატარობისას რეზოს ეზოში ბურთის თამაშის დროს მისი ოთახის ფანჯარა ჩაუღებია, მაგრამ არც თვითონ, არც მისი ცოლი სოფიო საყვედურს არ ეტყოდნენ. ის კი არა-და, სოფიოს კაკლის მუარაბების გამსალბებელი რეზო იყო ხოლმე და, მგონი, დედამისი არ ანებივრებდა ისე პატარა ცელქ ბიჭუნას, როგორც ამ ძველი მესტამბის მეუღლე. ახლაც რეზო მათ ოჯახში შინაურივითაა მიღებული, თუმცა მას შემდეგ, რაც დაფუქდა და უმაღლეს სასწავლებელში შევიდა, იშვიათად ხედავენ ერთმანეთს.

— ხვალ კვირაა, ახლა გამახსენდა: ჩემი დისწული დისერტაციას იცავს, ამბობენ, ოპონენტად თურმე შენ ყოფილხარ. — უთხრა სტეფანემ დანიელს.

— შენი დისწული? — გაოცდა დანიელი. — რომელი?

— მაყვალა.

— მაყვალა გურგენიძე შენი დისწულია? საიდან, როგორ? მე რად არ ვიცოდი?

— ჩემი დისწულია. მამამაგისი აქ, თბილისში, ხელოსანი იყო, არკადი ელბაჭიძესთან ერთად მუშაობდა ორგანიზაციაში. მენშევიკებმა დაიჭირეს და დახვრიტეს. ეგ გოგო სულ პატარა დარჩა. ბიძებმა გაზარდეს.

— ოჰ, რა ნიჭიერია, ვერ წარმოიდგენ. აი მომავალი ნამდვილი მეცნიერი!

— მართლა? ხვალ მინდა მეც დავესწრო, შეიძლება?

— რატომაც არა. გაგებით ბევრს ვერაფერს გაიგებ, ჩემო სტეფანე, ცოტა რთული და ძალზე სპეციალური საკითხია, მაგრამ ისე მაინც საინტერესოა. მოდი, აუცილებლად მოდი. არა-და, ერთად წავიდეთ, რა შორს შენ ხარ. ნახე ერთი, რა დღე დაგვყაროს ოპონენტებს. საერთოდ ყოველთვის ასეა ხოლმე, დისერტანტს უნდა ეშინოდეს და წინასწარ ღელავდეს, ახლა კი, უნდა გულახდილად გითხრა, ცოტა არ იყოს, პირიქით, მე ველავ.

— აბა მაგას რას ბრძანებ, — გაიღიმა სტეფანემ. — ახლა გულს მიკეთებ, აქაო-და მისი დედის მძებრობა შეწყვეტე?

— არა, გეფიცები, რეზოს გეფიცები, თუ ტყუილს გეუბნებოდე. მომზადებულია, მაგრამ მართო მომზადებაში კი არაა საქმე, ტალანტია, ნამდვილი ტალანტი. მოდი, ამ გახსენებაზე ვაღდეგრძელოთ ის შენი დისწული, კარგი მომავალი ვუსურვოთ.

ნასადილევს შინისაკენ ორივემ ერთად განაგრძო გზა. სტეფანეს ლოყები აულაქლაქდა, დანიელს ძილი ერეოდა. ღვინო მოეკიდათ. სახლამდე ძლივს მილასლასდნენ. სტეფანე გზადაგზა ხანგამოშვებით ჩაიცივნებდა ხოლმე და თვისთვის ბუტბუტებდა:

— ხედავ, თითო ბოთლმა ღვინომ რა გვიყო, მუხლებში მომკვეთა. წინათ სამ ლიტრას, — ლიტრა რომელია, — სამ კვარტს დავლევდი და არაფერი!

— დავებრდიო, ჩემო სტეფანე, მე და შენ, დავებრდიო. — ეუბნებოდა ილიაში პორტფელამოწრილი დანიელი და ისე ლულავდა თვალებს, მზად იყო, ხეს მიყრდნობოდა და ხვრინვა ამოეშვა.



ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ნელ-ნელა დაიწყო ხალხმა მოგროვება. აქ უმთავრესად სტუდენტობა იყო. მათ შორის საგრძნობლად ჰარბობდნენ ქალები. ისინი პატარა ჯგუფებად ისხდნენ ამფითეატრივით ამაღლებული აუდიტორიის რიგებზე და გაფაციცებით საუბრობდნენ. დარბაზში ისმოდა ყრუ გუგუნი, რომელსაც ხანდახან თუ დაარღვევდა ვინმეს ხმაძალი რეპლიკა ან ჩაკისკისება. ხანში შესული პედაგოგები და პროფესორები წინა რიგში, საგანგებოდ ჩამწყვირებულ ვენურ სკამებზე ისხდნენ და ხმადაბლა ბაასობდნენ. უკანა რიგებში კი ისეთი ხალხი

მოგროვილიყო, რომელსაც, ეტყობოდა, მეცნიერებასთან მაინცდამაინც დიდი კავშირი არა ჰქონდა. ესენი იყვნენ დისერტანტის ნათესავები ან ნაცნობები, თავშალიანი ქალები და ქალარამერთული კაცები.

დარბაზში სტეფანე შემოვიდა და მორიდებულად კარებთან აიტუზა. მეცნიერი მუშაკები, პროფესორები და დოცენტები, თითქმის ყველანი იცნობდნენ სტეფანეს და, დაინახეს თუ არა, მაშინვე ერთი ხმაურით მიესალმნენ. სტეფანემ ჩამოიარა, სათითაოდ ჩამოართვა ხელი ყოველ მათგანს და უკანა რიგებისაკენ დააბირა წასვლა, მაგრამ არ გაუშვეს და იქვე თავისუფალი სკამი შეაგებეს.

— მოდი, აქ დაჯექი, ჩემო სტეფანე, — უთხრა მას ახლაგზარდა დოცენტმა მუდამ მხიარულმა შოთა ვეშაგური, — შენ, მართალია, მეცნიერ მუშაკი არა ხარ, მაგრამ მთელი ჩვენი მეცნიერული გამოკვლევები საკუთარი ხელით აგწყვია.

— ეგ კი სწორია, — უპასუხა სტეფანემ, — ექვთიმე თაყაიშვილის წიგნები, ივანე ჯავახიშვილისა, ზაქარია ჭიჭინაძისა, ახლებში კიდევ თქვენი, ხომ არც ერთი შრომა არ დამიტოვებია.

— ერთი ეს გამაგებინე, შენ რატომ დაინტერესდი დღევანდელი ამბით? — ჰკითხა შოთამ.

— დისწულია ჩემი.

— ვინა? მაყვალა? — გოცდა ვეშაგური, — რას მეუბნები?! აბა, უფრო მეტად უნდა მოგეფერო, ჩემო სტეფანე. ამისთანა შესანიშნავი დისწული თუ გყავდა, აქამდე რად არ გაგვაგებინე? ოჰ! ეს შესანიშნავია, შესანიშნავი. აბა ახლავე უნდა დავიკვირო სასიძო კანდიდატის რიგი. იცოდე, პირველი მე ვარ. განსაკუთრებით უნდა მომაქციო ყურადღება და არჩევანშიაც მე უნდა მომაკუთვნო უპირატესობა.

ვეშაგურის ხუმრობამ საერთო სიცილი გამოიწვია.

დარბაზი მალე მთლად გაიქვდა.

მოულოდნელმა აჩოჩქოვლებმა ყველას ყურადღება მიიპყრეს. დარბაზში შემოვიდნენ ინსტიტუტის დირექტორი და დანიელ გაეაშელი რამდენიმე სხვა პროფესორთან ერთად. ისინი პრეზიდიუმის მაგიდისკენ გაემართნენ. მათთან ერთად შემოვიდა მაყვალაც. იგი ჩქარი ნაბიჯებით მიუახლოვდა მოხუც მესტამბეს და ჩაულაპარაკა:

— ძია სტეფანე, შენც მოხვედი? — მისალმების ნიშნად ხელი ხელზე მოუთათუნა და მაშინვე გაემართა მაგიდისაკენ. სტეფანემ ვერც კი მოასწრო, რაიმე ეპასუხა.

ინსტიტუტის დირექტორი ადგა და თვალთ ვიდაცას დაუწყო ძებნა, მერე კარებისაკენ გაიხედა და იკითხა:

— სადაა სტენოგრაფისტი ქალი?

კარებს ერთი თავმოტვლებილი მამაკაცი მოსცილდა და დირექტორისაკენ ისე გაემართა წინ წახრილი, თითქოს სურდა შუბლი მიენათებინა მისთვის. მაგიდაზე გადაიხარა და რალაც უთხრა. დირექტორმა წარბები შეკრა და ხმამალა ჩაილაპარაკა:

— ახლავე მოვიდეს აქ. ის რა, თავის საკუთარ წესებს მიმყარებს? — მერე მობრუნდა, ზარი გააწყარუნა და, როდესაც სიჩუმე დამყარდა, საქმეს შეუდგა: კრება გახსნა, რეგლამენტი შეიმუშავა და სიტყვა მისცა სამეცნიერო საბჭოს მდივანს. კათედრასთან მივიდა მაღალი და გამხდარი მამაკაცი, ალბათ ერთი იმ პირველთაგანი, რომელსაც დაემთავრებინა თბილისის უნივერსიტეტი და ახლა თმები უკვე საკმაოდ შევერცხლოდა. მან მოახსენა სხდომას, რომ დისერტანტის მიერ წარმოდგენილი საბუთები წესრიგში იყო. ამ საბუთების მიხედვით ირკვეოდა, რომ დისერტანტი დაბადებულა ათას ცხრაას თხუთმეტ წელს, დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი ფრიადზე, სამი წლის განმავლობაში გაუვლია ასპირანტურის სპეციალური კურსი, დაუწერია თორ-

მეტი შრომა სხვადასხვა მეტად საყუ-
რადლებო მეცნიერულ თემაზე, მათ
შორის, ხუთი შრომა დაბეჭდილი ყო-
ფილა მოსკოვისა და ლენინგრადის მეც-
ნიერულ ჟურნალებში და სხვ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა
მოხსენებისთვის მისცა დისერტანტს.

სტეფანე დაძაბული ყურადღებით
უცქეროდა მთელ ამ ამბებს. მან რამ-
დენჯერმე გაიხედა აუდიტორიის უკანა
რიგებისაკენ და მაყვალას ნათესაეებს,
ბიძებს და ბიძოლებს მოჰკრა თვალი.
უნდოდა მათთან წასულიყო, რადგან
მათ წრეში უფრო თავისუფლად იგრ-
ძნობდა თავს, მაგრამ ახლა უკვე გვიან
ყო და ადგილზე დარჩა.

მაყვალა მიუახლოვდა კათედრას,
გამალა თავისი ხელნაწერები, თვალი
მოავლო აუდიტორიას და თავისუფ-
ლად, აუღელვებლად დაიწყო:

— ამხანაგებო, მეცნიერებისათვის ის
საკითხი, რომელსაც მიეძღვნა ეს შრო-
მა, ახალი არ არის და ის დიდი ხანია,
რაც კვლევის საგანს წარმოადგენს. ჯერ
კიდევ გასულ საუკუნეში გერმანელი
მეცნიერი თომას ჰელცი, ინგლისელი
ჯონ შერვუდი, სტოკსი ამერიკაში,
ცნობილი ფრანგი პროფესორი შარპან-
ტიე, რუსეთის ისეთი სახელოვანი მეც-
ნიერები, როგორც იყვნენ ვოზნიშევი-
სკი და სერგეევი, მიაქცევდნენ ყურად-
ღებას იმას...

ეს ყველაფერი სტეფანესათვის გა-
საგები იყო და მოხუცებული კაცი სა-
სიამოვნო აღელვებას განიცდიდა. ერთი
ამას დამიხედეთ, ამას, პატარაობისას
რომ ძლივს ტიტინებდა და რამდენჯერ
ხელში უბურთავებია, ერთხელ სამაბა-
ზიანი ტიკინა რომ უყიდა და მთელი
საათი ალტაცებისაგან ტიკინას რომ
უკოცნიდა ტუჩებს, ახლა რა ამბავშია,
ეს ინგლისის მეცნიერებო, ეს ფრანგე-
ბის პროფესორებო, ეს კიდევ ვინაო...
დაიცა, ეგ რას ამბობს.

— მაგრამ დღემდე, მიუხედავად ამ
მეცნიერების გულმოდგინე კვლე-

ვისა, — განაგრძობდა ახალგაზრდა
ქალი, — ჩვენ ამ საკითხზე (კვლევა) თუ
ბევრად გარკვეული მასშტაბით მიგ-
ვილია.

„ვია, ეს რაებს ამბობს! — გაიფიქრა
გუნებაში სტეფანემ. — ეგ მგონი ცოტა
ურევს, აი! ახლა იმათ ვერ გადაწყვიტეს
ეს საკითხი და ვითომ მაგან გადაწყვი-
ტა? ეე, ჰკუაზე მოდი, აქ გასაპარავად
არ გამიხდეს საქმე“.

— ...ჩვენ, რასაკვირველია, არ განგვი-
ზრახავს, თავს ვიდეათ ამ საკითხის გა-
დაქრა...

„აი ეგ ჰკუასთან ახლოა, აგრე ილაპა-
რაკე, შეილო. ახლა მაინცდამაინც ბევრს
კი ნუ მოინდომებ, სულერთია არ დაგი-
ჯერებენ“.

— ...მაგრამ ვცადეთ ოდნავ მაინც
დაუახლოვდეთ პრობლემის სწორად
გაგებას და ამით გაუადვილოთ მომა-
ვალ მკვლევარებს, უფრო ნათლად გაი-
თვალისწინონ ყოველგვარი სიძნელე და
უფრო მოხერხებულად გადაჭრან ეს
რთული და ჩვენი ქვეყნისათვის სასარ-
გებლო საკითხი...

— არსებითად თქვენ ის უკვე გადას-
ჭერით! — ესროლა რეპლიკა ახალ-
გაზრდა ქალს დანიელმა.

ამ რეპლიკამ ტაშის გრიალი გამო-
იწვია. სტეფანე დაიბნა, ალტაცებამ
ფეხზე წამოახტუნა, ველარ მოითმინა,
აუდიტორიის შუაზე ამავალი კიბე აირ-
ბინა და თავის მოყვრებს შუაში ჩა-
უჯდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, გიგო,
ბაგრატ, სარას ვახლავარი! — მიესალმა
ყველას სტეფანე. — ხედამთ, ეს ჩვენი
მაყვალა რა ამბებშია, ხედამთ?

— სს... სიჩუმე! — გაისმა აქეთ-იქი-
დან და სტეფანემ დამნაშავესავით თავი
მხრებში ჩამალა.

დარბაზში ლილი შემოვიდა. მიმოი-
ხედა და, როდესაც დაინახა, ადგილი
არსად იყო, კარებთან აიტუზა. შოთა
ვეშაგურმა, მოჰკრა თუ არა თვალი ლი-
ლის, მაშინვე ხელი დაუქნია და თავის

გვერდით თავისუფალ სკამზე მიუთითა. ლილი ვითომ უარობდა, მაგრამ მერე კვლევად გაიარა ნახევარწრიული პატარა მოედანი და შოთას გვერდით დაჯდა. ახალგაზრდა კაცი ისე შეეგება ლილის, რომ მთელი თავისი გარეგნობით, მოძრაობით, თვალების მზიარული ციმციკით გამოხატავდა თავის ალტაცებას.

— როგორ შეიძლება, რომ ასეთი მნათობი ფეხზე იდგეს, — წასჩურჩულა ლილის ვეშაგურმა.

ლილიმ მომზიბლავი ღიმილით უბასუხა, ხელთათმანები წაიძრო და ჩურჩულითვე იკითხა:

— დიდი ხანია დაიწყო?

— თქვენ სწორედ დროზე მოხვედით, — უბასუხა ვეშაგურმა.

— აქ ზის ვინმე? — ვითომ შეწუხებით იკითხა ლილიმ, სხვისი ადგილი ხომ არ დავიკირეო.

— ამჟამად თქვენ ზიხართ და მეტი აქ ვერავინ ვერ მობედავს მოსვლას, — წასჩურჩულა ახალგაზრდა კაცმა და მერე, აქაო-და არაფერი შემამჩნიონო, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და მომხსენებელს შეაკცქერდა.

ლილის არაფერი არ გაეგებოდა ამ სადისერტაციო თემის, რადგან ის სხვა დარგის სტუდენტი იყო, მაგრამ მაყვალას ხათრით გადასწყვიტა, აუცილებლად დასწრებოდა სხდომას, მით უმეტეს რომ დანიელი უნდა გამოსულიყო მომხსენებლის ოპონენტად. ჩაიკვა თავისი მოხდენილი ინგლისური კოსტიუმი და მთელი საათი იტრიალა სარკესთან, რათა კოსმეტიკით ისე მოკაზმულიყო, რომ სწორედ ეს კოსმეტიკა არ ყოფილიყო შესამჩნევი. ეს იყო მოკაზმვის ის უძნელესი და უმაღლესი ხელოვნება, რომლის საიდუმლოება ას ქალში ერთმა თუ ორმა იცის, ხოლო ლილი კი მას მთელი ოსტატობით ფლობდა.

— თქვენ როდის გაგვახარებთ დისერტაციით? — წაუჩურჩულა ვეშაგურმა ლილის.

— ოო, ჯერ შორსაა, — ისე უბასუხა ლილიმ, რომ შოთასაკენ კარგად გაუხედავს. უხაროდა, რომ ახალგაზრდა მკვნიერი ასეთი ყურადღებით ექცეოდა და გზადაგზა ქათინაურებით უმასპინძლებოდა. თან ისიც ახარებდა, რომ დარბაზში მისმა გამოჩენამ სათანადო ეფექტი გამოიწვია. ერთ წუთს მთელი ყურადღება მომხსენებლის ნაცვლად მისკენ იყო მიპყრობილი.

ლილის, გარდა ამისა, იმედი ჰქონდა, რომ აქ რეზოსაც ნახავდა და, სანამდისაც თვალი მიუწვდა, დარბაზი რამდენჯერმე შეათვალიერა, მაგრამ რეზო არსად არ ჩანდა.

დისერტანტის შესავალი სიტყვა ერთ საათს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში მთელი დარბაზი დამბული ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდა ქალს. ისეთები, რომელნიც კარგად ერკვეოდნენ სადისერტაციო შრომის შინაარსში, ხშირად გამოხატავდნენ თავიანთ ალტაცებას ერთსულოვანი ტაშით, ხოლო, როდესაც მოხსენება დამთავრდა, დარბაზში ეს ტაშისცემა კარგახანს არ შეწყვეტილა.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა პროფესორ დანიელ გავაშელს.

— მე, როგორც ოფიციალურ ოპონენტს, — დინჯად დაიწყო დანიელმა, ჩვეულებისამებრ ჯიბიდან თეთრი ქათათა ცხვირსახოცი ამოიღო, სათვალე მოიხსნა და წმენდა დაუწყო, — თითქოს ვალად მადევს, დაუნდობელი კრიტიკა სადისერტაციო შრომისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ტრადიციას უნდა ვუღალავო, კრიტიკა ბოლოსთვის შემოვიწინო, ხოლო თავში ქება-დიდება მივუძღვნა ჩვენს დისერტანტს იმ მშვენიერი, მართლაც მეცნიერული შრომისათვის, რითაც მან დღეს ყველანი ნაამდვილად გაგვახარა. მართალია, მან გადაჭარბებული კდემამოსილება გამოიჩინა და თავის შრომას მხოლოდ საკითხის გადაჭრის ცდა დაარქვა, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად დაუერიდებლად დაარღვია ეს

განსაზღვრა და არსებითად გადაჭრა ის საკითხი, რომლის გადაწყვეტაზე ბევრი შუბი და შუბლი დამსხვრეულა. პატივცემული მაცვალას შესავალი სიტყვა წარმოადგენდა ახალ აღმოჩენათა, ნიჭიერად გადაჭრილ საკითხთა ნამდვილ შადრევანს, ფეიერვერკს, არ ვიცი, კიდევ სხვა უკეთესი რა შედარება მოვიშველიო. დღეს მე ნამდვილად განვიცადე უდიდესი სიამაყის გრძობა იმის გამო, რომ მაცვალა, ჩემი სტუდენტი, ჩემი მოწაფე იყო. მე ვფიქრობ, რომ ასეთსავე გრძობებს განიცდიან მთელი ჩემი კოლეგები, რომელნიც ასწავლიდნენ მაცვალას და დღეს აქ გვესწრებიან.

ტაშმა ერთსულოვნად იქუხა. ხოლო როდესაც ყველანი მიწყნარდნენ, დანიელი დაწერილებით შეუდგა სადისერტაციო შრომის ანალიზს, გაარჩია მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და, დასასრულ, გააკეთა დასკვნა, რომ აღნიშნული შრომის ავტორი უდავოდ იმსახურებდა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს.

არსებული წესის მიხედვით, დისერტანტმა ყოველ ოპონენტს მაშინვე უნდა გასცეს პასუხი. ამისთვის დირექტორმა სიტყვა მისცა ახალგაზრდა ქალს. რაკი ოპონენტს არც ერთი შენიშვნა არ გაუკეთებია ისეთი, რასაც შეიძლება დავა გამოეწვია და საკამათო ყოფილიყო, ამიტომ მაცვალამ მოკლედ გასცა პასუხი, მიიღო ყველა შენიშვნა და მადლობა გადაუხადა დანიელს მისი შრომის ასე ყურადღებით გადასინჯვისათვის.

შემდეგ სიტყვა მისცეს მეორე ოპონენტს, მაგრამ აუდიტორია მას ისეთი გულისყურით როდი უსმენდა. უკანა რიგებში მარტო მაცვალას ნათესაეები გარინდულიყვნენ და ყურადღებით უცქერდნენ ორატორს. მართალია, მათ არაფერი არ ესმოდათ ამ მეცნიერული კამათისა, მაგრამ მაინც განიცდიდნენ უდიდეს და, თანაც, სანეტარო აღელვებას. სარას, ნაყვავილარი სახის ხანში-

შესულ ქალს, დაპაღუპით სდიოდა ცრემლები და ჭრელქობიანი ექსპრესიებით მალე მალე იწყებდა მარტოს შემამჩნიოსო.

სტეფანეც ერთხანს სმენად იყო ქცეული, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს ოპონენტი მაცვალასთვის არაერთარ საშიშროებას არ წარმოადგენდა, ამიტომ არხეინად შესწორდა სკამზე და თავის მოყვრებთან ჩურჩული გააბა.

— ახლა იმხელა კაცმა თქვა, — სტეფანე დანიელს გულისხმობდა, — არაფერი კრიტიკა არ მაქვსო. მაგან რაღა უნდა თქვას, არა, ბაგრატი!

— სწორია! — დაბალი ხმით უმოწმებდა სქელი, კლარათმიანი ბაგრატი.

— ცოდო არ არის, ამისთანა ნასწავლ კაცს შეილი არ გამოადგეს! — ვერ ისვენებდა სტეფანე. — დანიელზე ვამბობ.

— როგორ? — მოუხედავად იკითხა ბაგრატამ.

— მაგისი ვაჟი! ისე გაზარდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. საკმელი, სასმელი, ჩაცმა, დახურვა ისეთი, ისეთი, პრინცი ოლდენბურგსკის არ ექნებოდა. ახლა უმაღლესში სწავლობს, მაგრამ... — სტეფანე შედგა, მერე დაიხარა და ბაგრატას ყურში ჩასჩურჩულა: — გავიგე, თურმე ზარსა თამაშობს.

— ოჰ! — აღმოხდა ბაგრატას. — რას მეუბნები!

— მაშა, კაცო.

— მაშამისმა იცის?

— აბა საიდან. მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერ გავბედე. არ ეწყინოს-მეთქი.

— ეწყინოს რას მიჭვია. ეგრე სულელ როგორ იქნება კაცი? ჩემი შეილის გლაზა გაიგონო, მაშინვე უნდა მითხრა, თუ ჩემთვის კარგი გინდა.

— ეგ კი სწორია, მაგრამ განა ყველა ეგეთია? ზოგმა შეიძლება ისე გაგლანძლოს, მტკვარმა ვერ გაგრეცხოს. რომ გითხრას, ჩემს შეილს ტყუილს აბრალებო, წადი და დაუმტკიცე!

— ისე ვატყობ, ჩემო სტეფანე, ზედ-

მეტი მოვლა და პატრონობა უფრო წყენს ზოგიერთს.

— ეგრე გამოდის.

პაექრობის დამთავრების შემდეგ კრება შეწყვეტილი იქნა და სამეცნიერო საბჭოს წევრები გაემართნენ ცალკე დარბაზში სათათბიროდ.

მსმენელები აიშალნენ. თითქმის ყველანი გავიდნენ დერეფანში პაპიროსის მოსაწვევად და სამასლაათოდ. ბევრი არც დარჩენილა ბოლომდე, რადგან არავითარ ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ სამეცნიერო საბჭო საკითხს დადებითად გადაწყვეტდა. მარტო უახლოესი მეგობრები და ნათესავები არ იცვლიდნენ ფეხს, რადგან ყველას სურდა საკუთარი ყურით მოესმინა დადგენილება. ყველანი რიგრიგობით მიდიოდნენ ახალგაზრდა ქალთან და ულოცავდნენ დისერტაციის წარმატებით დაცვას.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ თავმჯდომარემ კვლავ ააწკარუნა ხარი და საზეიმო სიჩუმეში წაიკითხა დადგენილება, რომ მაყვალა გურგენიძეს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით მიენიჭა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

აუდიტორია დადგენილებას ტამისცემით შეეგება. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა სათითაოდ მიულოცეს დისერტანტს. განსაკუთრებით დიდხანს ართმევდა ხელს და კომპლიმენტებით უმასპინძლდებოდა ახალგაზრდა ქალს შოთა ვეშაგური. სტეფანემ თვალი ჩაუკრა თავის მოყვრებს და წაიდუღუნა:

— შოთას შეხედეთ.

— ვინაა ეგ ყმაწვილი? — ეჭვიანდ იკითხა ბაგრატმა, ხოლო სარამ თავშალი გადაიწია და ცალი ყური ცნობისმოყვარეობით თითქმის წაიგრძელა.

— დოცენტია. ძალიან ნასწავლი ვინმეა.

ქალიშვილები ერთის ტკრციალით შემოეხვიენენ ახალგაზრდა ქალს, ზოგი

კოცნიდა, ზოგი ყელზე ეხეუდა და იყო ერთი ჯიკვჯიკვაი.

დანიელმა სტეფანეს ჩხუპან მხარზე ხელი მოუთათუნა და მზიარულად უთხრა:

— გვასახელა შენმა დისწულმა, სტეფანე.

— მე რა უნდა ვთქო. ეგ თქვენ უფრო კარგად იცით. დანიელ გრიგორიჩ. — უპასუხა სიხარულით სახეგაბადრულმა მოხუცმა მესტამბემ. მას განსაკუთრებით ესია მოენა, რომ პროფესორმა მოყვრების თვალწინ ასე შინაურულად მიმართა.

„აჰ, რა კარგი კაცია ეს დანიელი. — ფიქრობდა გუნებაში სტეფანე. — ცოლო არ არის, მაგის შვილზე ასეთი რამე მესმოდეს? არა, მაგას ვერ ვეტყვი, მაგრამ მაგის ცოლს ყველაფერს ვუამბობ. ის, რაც არ უნდა იყოს, თავისი შვილის დედაა, ის უფრო გამიგებს.“

ასე გადაწყვიტა სტეფანემ, მაგრამ სასტიკად მოტყუედა.



დანიელის მეუღლე ანასტასია, ანუ როგორც შინაურობაში ეძახდნენ, ტასო, ეკუთვნოდა ისეთი სახის დიასახლისებს, რომელთა შესახებ გარეშე აღამიანებს ყოველთვის კარგი წარმოდგენა აქვთ. ამ ქალებს თითქოს ორი სხვადასხვა „მე“ აქვთ: ერთი საგარეო, გამოსაჩენი, თავმოსაწონი, მომზიბლავი, მეორე — საშინაო, აუტანელი, გამაბეზრებელი, სულის ამომხდენი, ჯიუტი. გათხოვების პირველ დღიდანვე აგრძობინა ტასომ ამ თვისების ყველა „მშვენიერება“ თავის ქმარს და წლების მანძილზე ისეთი გავლენა მოიპოვა მეუღლეზე, ისე ამოიღო ფეხქვეშ ეს ამოდენა კაცი, რომ სრული განმგებელი შეიქნა საოჯახო საქმეებისა და დაამყარა საკუთარ ჭერქვეშ ნამდვილი აბსოლუტიზმი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აუტანელი რეჟიმი ერთადერთ ხელქვეითზე, დანიელზე, ვრცელდებოდა. ამ

ყოვლად უწყინარმა და პატიოსანმა კაცმა იცოდა, მის ცოლს შემთხვევით ისეთი დანაშულიც რომ ჩაედინა, ვთქვათ, ქვეყანა დაექცია, ის ამ დანაშაულს მაინც თავისთავს კი არა, ქვეყანას დააბრალებდა. ამიტომ, როგორი სისულელეც არ უნდა ჩაედინა ტასოს, რაც არ უნდა გაეკეთებინა, დანიელი ხმას არ ამოიღებდა. არც ავს იტყოდა, არც კარგს. ისეთი უბრალო საქმე, როგორიცაა საკაბის ყიდვა, შეიძლება ისიც კი ტრაგედიად გადაქცეოდა. იყიდიდა ტასო საკაბეს, დანიელს რომ შეექო, კარგაო, იცოდა, ტასოს, მეორე დღეს იგი აღარ მოეწონებოდა და ქმარს თავზე გადაახვედა, შენი ბრალია, შენ მიქე, თორემ ამას მაშინვე უკან დავაბრუნებდიო. თუ უგინებდა, და მართლა დაუწუნებდა, მეორე დღეს მაინც თავზე გადაახვედა, შენ შემაძულე ეს საკაბე, თორემ აქამდე მომწონდაო.

მაგრამ, ვთქვათ, მეორე დღეს ამ საკაბეს ისე მოეხიბლა ტასო, რომ მაშინვე გაექანებინა შესაკერად, დანიელი შარს მაინც ვერ ასცდებოდა: ჩემი ხასიათი იცი, ახლა განგებ მიქეებ, რომ შემაძულაო. ამიტომ იყო, რომ დანიელი ყოველთვის ირჩევდა მიემართა მქვერმეტყველების იმ ძვირფასი ეანრისათვის, რომლის ღირსება ოქროს ხარისხამდე აღუყვანიათ ჩვენს წინაპრებს. მართალია, არც ასეთ შემთხვევაში ასცდებოდა საყვედური. რა კაცი ხარ, არც ავს იტყვი, არც კარგს და თუჯახის საქმეებში მონაწილეობას არ იღებო, მაგრამ ეს უფრო იოლი ასატანი იყო, ვიდრე გააფთრებული შეტყეები გამოთქმულ მოსაზრებებზე.

განსაკუთრებით გამოიჩინა ეს თვითნებობა ტასომ თავისი შვილის აღზრდის საქმეში. მას ყველაფერი თავისებურად ესმოდა და ყოვლად წარმოუდგენელი იყო, ამ საქმეში ვინმე ჩაერია. მისი რეზო ჯერ სულ პატარა რომ იყო, ამოიჩენია, აუცილებლად დესტირირებული წყალით უნდა ვბანო ხოლმეო და აგა-

რაკზედაც კი ქმარს დიდი შუშის ბალონებით აზიდვინებდა საგანგებოდ უწყობილ წყალს, აქაოდა ბრძანებდა: რეზოს განფექციური არაფერი შეეყაროსო. ბამბებში ზრდამ და ქიმიურად გაუმენდილ წყალში ბანაობამ კი ისეთი შედეგი გამოიღო, რომ ბავშვის ორგანიზმს თითქმის მთლად გაუნელდა ავადმყოფობასთან ბრძოლის უნარი და რამდენჯერმე კინალამ შეეწირა ამ გადაჭარბებულ მზრუნველობას. ხან უცნაურად დამუწუკდა და კინალამ გადაყენენ მის მორჩენას, ხან რა შეეყარა, ხან რა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ტასომ თავის უწმინდეს მოვალეობად მიიჩნია, მაინცდამაინც მიეძალებინა საქმელი ბავშვისათვის. ქართული ანდაზაა, მიძალებული ღორმა დაიწუნაო, და ტასომ ამ მიძალებით იმ შედეგს მიაღწია, რომ რეზოს ყველაფერი შეაძულა, არათუ რძე და კარაქი, არამედ ყოველგვარი საქმელი და, რა უნდა მიეტანათ მისთვის, რომ ზედ ზიზლით არ დაეხედა. ბავშვობის ხანაში და ზრდის იმ პერიოდში, როდესაც ამ ასაკის ახალგაზრდის მოპირვა ქამით შეუძლებელია, რეზოს მაშინაც კი ეზიზლებოდა ყველაფერი. ეს თვისება მას სულ შერჩა და იყო გაუთავებელი მუდარა და უარი დედა-შვილს შორის:

— მე თუ გიყვარვარ, ეს წვენი კიდევ ერთი კოვზი შეჭამე, შვილო.

— არ მინდა, დედა, დამანებე თავი.

— გემუდარები. კიდევ ერთი კოვზი. რა არის, სულ არაფერი გიჭამია. მე დავთვალე, მარტო ორი კოვზი, არა, კოვზნახევარი შეჭამე. კიდევ ერთი კოვზი... კიდევ...

— არრ რ მინდა! — ხელს ჰკრავდა საინს რეზო.

— ოღონდ კიდევ ერთი კოვზი და, რასაც მოხოვ, შეგისრულებ.

— მართლა?

— მართლა.

— არ მინდა. მომატყუებ.

— გეფიცები, არ მოგატყუებ. რამდენ კოვზს შეჭამ, იმდენ მანეთს მოგცემ.

— იპ! მანეთი რაა! თითო თუმანი მომეცი.

— მაგდენი არა მაქვს. კარგი, ორ-ორ მანეთს მოგცემ.

— ეე, მაგრე ხომ მთელი ქვაბი უნდა შევქაძო. არ მინდა, ხუთი მანეთი მომეცი.

— კარგი, მოგცემ.

— არა, ჯერ ფული მოიტა.

ტასო მოძებნიდა თავის საფულეში თხუთმეტ ან ოც მანეთს და ახლა ისევ დაიწყებოდა თავიდან ვაჭრობა. საბოლოოდ გამარჯვებული, ცხადია, რეზო რჩებოდა, ხოლო დედამისი, კმაყოფილი თავისი მიღწევით, არც კი ფიქრობდა იმაზე, თუ რაში უნდა გამოეყენებინა მის ვაჟს ამგვარად გამოტყუებული თუმნები. ბიჭია, იმას ვენაცვალე, ბიჭს ყოველთვის სჭირდება ფული, იტყოდა ხოლმე ეს მზრუნველი და მოსიყვარულე დედა. მაგრამ ამ მიძალებით განა მარტო ჭამა შეაძულა თავის შვილს ტასომ? ასევე შეაძულა მან რეზოს სწავლა და ყოველივე წიგნი. ერთხანს ტასოს ძალიან უნდოდა, რომ მის შვილს პირველი კლასიდანვე ხუთებზე ესწავლა და აღბათ ეს ასეც იქნებოდა, რომ მის გადაქარბებულ, ვითომდა მზრუნველობას უარესი შედეგი არ გამოეღო. მიძალებით, წარამარა ჩიჩინით, საჭმე იქამდე მიიყვანა, რომ რეზოსათვის არაფერი არ იყო ისე გულის ამრევი, მგონი საჭმელიც კი, როგორც სახელმძღვანელოს დანახვა. ამიტომ ხუთების ნაცვლად მას წლების მანძილზე სულ ორები და სამები ჰქონდა და ათწლეულის დამთავრებას თორმეტი თუ ცამეტი წელიწადი მოუნდა. მაშინ ტასომ, თავისი ჩვეულების მიხედვით, სულ ახალი თეორია შექმნა კარგი და ცუდი მოსწავლეების შესახებ. მისი აზრით, ხუთებზე მარტო უნიკოები და მოზეპირეები სწავლობდნენ, ხოლო ნამდვილი ნიჭის პატრონები მუდამ ასე გაპირვებით, სამებზე და ორებზე ამთავრებდნენ სასწავლებლებს, ხოლო შემდეგ უდიდესი მეცნიე-

რები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ხდებოდნენ. ამიტომ, მართალია, რეზოს საშუალო სასწავლებელში დამთავრება ძალზე გაუჭირდა და უფრო მეტად — უმალეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარება, მაგრამ ეს ტასოს სულაც არ აწუხებდა. მისი ახალი თეორიის მიხედვით, ეს სავესებით ნორმალური მოვლენა იყო და უეჭველად ადასტურებდა იმას, რომ რეზოს ბრწყინვალე მომავალი წინ ედო.

ამგვარი მოპყრობით ტასომ იქამდე მიიყვანა საჭმე, რომ თვითონ მოექცა შვილის გავლენის ქვეშ და მისი ყურმოქრილი მონა შეიქნა. რა უნდა ჩაედინა რეზოს, რომ დედამისს არ ეპატიებინა. ბავშვიც მიხვდა თუ არა, რომ მის უხიაკობას და ეჩინანობას სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული, ნამდვილი ტირანი შეიქნა მშობლებისათვის. მართალია, როდესაც სრულწლოვანი გახდა და ცოტად თუ ბევრად ჭკუაში ჩაჯდა, ბავშვურ ეჩინანობას თავი ანება, მაგრამ დედაზე კვლავ განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა. დანიელი რამდენჯერმე შეეცადა მკაცრად ჩარეულიყო შვილის აღზრდის საჭმეში, მაგრამ ყოველი მისი ცდა ძირშივე იყო ხოლმე აღკვეთილი ტასოს მიერ. აქ კი დანიელი იძულებული იყო ფარ-ხმალი დაეყარა, რადგან მის მეუღლეს თავი ისეთ აღზრდელად მიაჩნდა, რომლის ბადალი ქვეყანაზე არ მოიპოებოდა და, აბა, როგორ უნდა გაეებდა ქმარს ასეთი მცოდნე ცოლის პრეროგატივებში ჩარეულიყო, მით უმეტეს, დანიელს, მეუღლის ისეთ მონა-მორჩილ ადამიანს.

ასეთი იყო ტასო თავისი ვაჟის მიმართ. ამავე დროს, გაცივბას იწვევდა ისიც, რომ იგი თავის მეორე შვილისადმი სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. იქნება იმიტომ, რომ ის მეორე ქალიშვილი იყო და ამის გამო, როგორც ეს ზოგიერთებს ჩვეუიათ, არავითარ მზრუნველობას არ

იჩენდა. ხშირად უტყაუნებდა თავში, წარამარა გზავნიდა წვრილმან საქმეებზე, დაკაბიწებულს ამუშავებდა, ხან იატაკს არეცხინებდა, ხან სარეცხს, თავის გამონაცვლებს აცმევდა და წელიწადში ერთ იაფფასიან ფეხსაცმელს თუ უყიდდა, მაგრამ ამ სპარტანულმა მოპყრობამ გაცილებით უკეთესი შედეგი გამოიღო და პატარა გულიყო ისეთი ბეჯითი ქალიშვილი დადგა, რომ ყველას ყურადღებას იმსახურებდა. თუ მის ძმას გადაპარბებული მზრუნველობით შეძლებული ჰქონდა ყველაფერი ამ ქვეყანაზე და სრულიად დაკარგოდა ცხოვრების ხალისი, ახალგაზრდა გოგონა ნამდვილი განსახიერება იყო შრომისმოყვარეობისა და სიხალისისა. მართალია, დედის ამგვარმა მოპყრობამ ეს გოგონა, ცოტა არ იყოს, გულჩათხრობილი და პირმოკუმული გახადა, მაგრამ ძნელი იყო ადამიანს არ შეემჩნია მისი ცოცხალი, მოხდენილი სიტყვა-პასუხი და სალი აზროვნების უნარი.

დანიელმა თავისდაუნებურად მამობრივი სიყვარულის გრძნობა უმცროსი შვილისაკენ გადახარა, თუმცა ამკარად ვერც ამ გრძნობის გამჟღავნებას ბედავდა. მას ეშინოდა, რომ ტასო, თავისი ჯიუტი ხასიათის გამო, კიდევ უფრო აითვალწუნებდა ქალიშვილს. ამიტომ, რაც არ უნდა მომხდარიყო დედა-შვილს შორის, ეს უკვე შეჭლარებული მეცნიერი ყოველთვის ცდილობდა, ნეიტრალიტეტი დაეცვა და ამით უფრო სწრაფად დაემყარებინა სანატრელი სიმშვიდე.

როდესაც საღამოს ლექციების შემდეგ დანიელმა თავის სახლის კარები გააღო, უკვე დერეფანშივე იგრძნო, რომ სახლში რაღაც მოხდა. წლების განმავლობაში გამომუშავებული ჩვევის მიხედვით, ხანში შესული ადამიანები ელვის სისწრაფით ხვდებიან ყოველგვარ ცვლილებას ან მოვლენას, თუ რაიმე მოხდა ოჯახში. საკმარისია სულ უმნიშვნელო პატარა შტრიხი, ვთქვათ, რო-

გორ გამოიხედა შინაურმა, როგორ გაიხმაურა სამზარეულოში კუურჭვლმა, ან როგორ გაირბინა დერეფანში კატამ, რომ მეოჯახე ადამიანმა მაშინვე გამოინახოს ამგვარ ჩვეულებრივსა და უმნიშვნელო მოვლენებში ის ოდნავ შესამჩნევი ცვლილება, რითაც მაშინვე გამოიცნოს, რომ რაღაც ახალი ამბავია. მის ოჯახში ან ავი, ან კარგი.

სასადილო ოთახში ტახტზე ჩამომაჯდარი გულიყო საცოდავად ფშლუკუნებდა, ხოლო სავარძელში ჩაფლული ტასო აბაჟურიანი ლამპის შუქზე რაღაც სქელ რომანს კითხულობდა. მას თითქოს არც კი შეუშინებია ქმრის შემოსვლა, წარბშეკვრით გადახედა თავის ქალიშვილს და მკაცრად უთხრა:

— პერესტანი! წაეთრიე შენს ოთახში.

მერე ქმარს მიუბრუნდა და ისე ახედდახედა, თითქოს მისთვის სასიკვდილო განაჩენი უნდა გამოეტანა.

— რა მოხდა? — იკითხა დანიელმა.

— ოჰო! თქვენ საოჯახო მოვლენები-სადმი ინტერესსაც იჩენთ? — ცივად ჰკითხა ტასომ ქმარს.

როდესაც ის დანიელს თქვენობით მიმართაქდა, მაშინ ძალზე ცუდად იყო საქმე.

დანიელმა ამოიოხრა და სასადილო მაგიდასთან ჩამოჯდა.

— არა, მაინც რა მოხდა? — გაუმეორა მან ცოლს კითხვა.

— არაფერი. შენ თუ სტეფანეს დისწულს სამეცნიერო ხარისხი მიანიჭე, სტეფანეც არ ჩამოგრაჩა და შენს შვილს შესანიშნავი ხარისხი მიანიჭა.

— რა ხარისხი, რას ამბობ?

— კრეტინი, იდიოტი! — გაურკვეველად წარმოთქვა ტასომ ისე, რომ ვერ გაიგებდი, ვის ეკუთვნოდა ეს შეშვობა, დანიელს თუ სტეფანეს. — აი რა შეუძლია თურმე შურს და უღირსის პატივმოყვარეობას. აი რა დღემდე მივალწიეთ მე და შენ. — მწარედ ჩაიციხა ტასომ, — თუმცა მე, თორემ შენ რა, შენთვის ყველაფერი კანონზომიერი მოვლენაა.

შენ იქამდისაც კი მიდიხარ, რომ ხელი-ხელგაყრილი სეირნობ იმ პირდაუბანულ კაცთან და თავს უყადრებ. ამავე დროს, თავი პროფესორად მოგაქვს, მომავალ აკადემიკოსად. ის კი ყოველად უტიფრად ცილს წამებს შენს ერთადერთ ვაჟს, მთელი ქალაქის სიამაყეს, არა, ცილს კი არა, თავისი ნაძირალა წრის ბიჭბუბუების სასახლო ხარისხს ანიჭებს...

— რა ხარისხს, ქალო, ნუ გამაგიყე, მითხარი პირდაპირ! — აუწია ხმას დანიელმა.

— მე რად უნდა გითხრა, შენი მეგობარია, წადი და პკითხე. — გესლიანად ესროლა ტასომ, მაგრამ როგორც კი დანიელმა წამოიწია, მაშინვე უყვირა: — არ გაბედო! არ გაბედო იმასთან წასვლა. ეტოგო მერზავცა ნა პაროგ ბოლშე ნე პუშჩუ! შენ რომ იმას დაელაპარაკო, შენს ოჯახს გამოეთხოვე. ტუტუცი. შენი შვილი, ტასო-ჯან, ასე მითხრეს, ხარსა თამაშობსო!

— რაო?! — გაფიქრდა დანიელი.

— შენც ისეთი იდიოტი ხარ, მზადა ხარ, დაიჯერო. გამოდის, რომ მე არ ვიცი, ჩემი შვილი სად დადის და რას აკეთებს. გამოდის, რომ მე ჩემი შვილი ვერ გამიზრდია და მაგის ტურტლიან ნათესავენს, მებურებებს თუ მეხაშეებს

უკეთ სცოდნიათ შვილის გაზრდა, — ბობოქრობდა ტასო.

— ეგ რა მითხარი, ქალო! — წამოიძახა კვნესით დანიელმა და მიმოიხედა: — რეზო სად არის?

— არ გაბედო. არაფერი უთხრა! — იკივლა ტასომ, — ის ისეთი თავმოყვარეა, რალაც საშინელ ამბავს ჩაიდენს. ყველაფერი ეგ სისულელეა: ხანდახან ეორასთან პოკერს თამაშობს ხოლმე, შენ თვითონ მიგიღია მონაწილეობა, მერე რა! მაგათ ყური მოკრეს, გაბერეს ეს ამბავი, გაგვჭორეს და უნდათ ქვეყანაზე თავი მოგვჭრან. ნეტ! ნე ვი... დეტ! მე მაგათ ვუჩვენებ, მაგ არამზადებს! შენ კი, ვაჟბატონო, კიდევ რომ გავიგო, რომ მაგასთან ერთად გისადილია ან უბრალოდ დალაპარაკებიხარ, სახლში აღარ შემოგიშვებ. ჰმ! ხარს თამაშობსო. ჩემი რეზო! დღედაღამე ბავშვს გასწორებული აქვს მეცადინეობით, არ ვიცი, როგორ შევეუსუბუქო ეს ტვირთი და... რა უღმობელნი და დაუზოგველნი არიან ზოგიერთები, რა გესლიანები. ოლონდ ადამიანს აწყენინონ, გული მოუკლან, მოსპონ, და მეტი არაფერი არ უნდათ! მერე, როგორ მოხერხებულად აკეთებენ ამას. ვითომ შენთვის გული შესტივიათ, ზრუნავენ შენთვის. ახ! კაკიე ანი პადლეცი!

(გაგრძელება იქნება)

ნადვის ბირჩებით სავსე კადათა

მოთხრობა



კომპოზიტორი ედვარდ გრიგი შემოდგომას ატარებდა ბერგენის ტყეებში.

ყველგან წარმტაცია ფოთლებით აშრიალებული და სოკოს სურნელებით გაჟღენთილი ტყე. მაგრამ განსაკუთრებით დიდებულია ზღვის სანაპირო მთიანი ტყეები. აქ მუდამ ისმის ზღვის ტალღების ცემა. ზღვიდან მოჰქრის ნოტიონისკლი, ხოლო მისი სიჭარბისაგან მუდამ პირვანდელი ბრწყინვალეობით ბზინავს მწვანე ხავსი, რომლითაც დაფარულია თვითონ მიწა და ხის ტოტები. გარდა ამისა, მთიან ტყეშია დაბუდებული ის ჩხიკვიეთ გულმზიარული, დამკინავე და გამჭირდავი ეხო, რომელიც მარტო იმას-ღა ელის, რომ ვისიმე ხმა დაიჭიროს, გაიტაცოს და კლდიდან კლდეს გადასცეს.

ერთხელ გრიგს ტყეში გზად შემოხვდა ქერაკულულებიანი პატარა გოგონა — ტყის მცველის ქალი.

შემოდგომა იდგა. მთელი ქვეყნის ოქრო და ბრინჯაო რომ მოგეზიდათ, გამოგეკრათ მათგან ათასი, ათი ათასი და კიდევ ბევრად მეტი თხელი ფოთოლი, მაინც უმნიშვნელო ნაწილად გამოჩნდებოდა იმ უხვ საშემოდგომო მორთულობასთან, რომელიც ტყის მთებსა და ველებზე იყო გადაფენილი. ამასთან, ხელოვნურად გამოჩქვართებული ფოთლები ულახათო და უხეში იქნებოდნენ ბუნებრივთან, და ისიც ვერჩვის სათუთ ფოთლებთან შედარებით. ყველამ იცის, რა ნაწია ვერჩვის ფოთოლი, რომ ის ჩიტის სტვენისაგანაც თრთის.

— რა გქვია შენ, გოგონა? — შეეკითხა გრიგი.

— დაგნი პედერსენ, — ჩურჩულით მიუგო გოგონამ — ჩურჩულით იმიტომ კი არა, რომ შეეშინდა, არა, მორცხვობის გამო. შიში მას არც შეეძლო ეგრძნო, ისეთი სითბოთი და სიყვარულით შეპყურებდნენ გრიგის თვალები.

— სამწუხარაა, — უთხრა გრიგმა, — რომ შენთვის არაფერი მაქვს საჩუქარი. არც თოჯინები მყავს, არც აბრეშუმის ბაფთა, არც ხავერდის კურდღლები.

— მე სახლში მყავს დედაჩემის ძველი თოჯინა, — მიუგო გოგონამ. — ერთ დროს ის თვალებსაც ხუჭავდა აი ასე!

და გოგონამ ნელა დახუჭა თვალები. როდესაც ისევ გაახილა, გრიგმა შენიშნა, რომ მას მომწვანო თვალები ჰქონდა, ოქროს ფოთოლთა ნაპერწკლებით აელვებული.

— ახლა კი მას თვალიას სძინავს, — დანანებით განაგრძო დაგნიმ. — საერთოდ ცუდი ძილი აქვთ ბებრებს... პაპაჩემიც მთელი ღამეობით ოხრავს და კენესის.

— მომისმინე, დაგნი, — უთხრა მას გრიგმა. — მე უკვე მოვიფიქრე! გაჩუქებ ერთ საინტერესო ნივთს. მაგრამ ახლა კი არა, ათი წლის შემდეგ...

დაგნიმ მოუთმენლობისაგან ტაში შემოჰკრა.

— უჰ, რა ბევრი დროა!

— გამიგონე, ჯერ ხომ უნდა გავამზადო.

— მაინც რა?

— მერე გაიგებ.

— მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე, — წყრომით ჰკითხა დაგნიმ, — განა მარტო ხუთი-ექვსი სათამაშოს დამზადება შეგიძლიათ?

გრიგი შეიშმუნა.

— არა, გოგონი, ეგ მაგრე არ არის, — ყოყმანით მიუგო მან. — შეიძლება სულ რამდენიმე დღეში დავამზადო, მაგრამ ასეთ საჩუქრებს პაწია გოგონებს როდი აძლევენ. მე დიდებისთვის ვამზადებ საჩუქრებს.

— არ გავტეხ, არა! — შეევედრა დავნი და თან გრიგს სახელოზე დაებლაუჭა. — არც დავამტვრევ! არც გავაფუჭებ! თვითონვე ნახავთ! პაპასაც აქვს მინის სათამაშო ნაფი, მე ვწმენდავ მას მტკრისაგან, მაგრამ ერთხელაც არ მომიტეხია მისთვის არც ერთი პატარა ნამცეცი.

„სულ ღამაბნია ამ პაწია დავნიმ!“ — სინანულით გაიფიქრა გრიგმა და შემდეგ უპასუხა იმავე სიტყვებით, რასაც ყოველთვის იმეორებენ ბავშვების მიერ გამოუსვლელ მღვდლოპარებაში ჩაყენებული უფროსები:

— გერ კიდევ პატარა ხარ და ბევრი რამ არ გესმის. დაიცადე. მოითმინე. ახლა კი ვადმომეცი შენი კალათა, გატყობ, ძლივს ეზიდები, სახლამდე მიგაცილებ და გზაში სხვა ამბებზე ვისაუბროთ.

დავნიმ ამოიოხრა და თავისი კალათა გრიგს გადასცა. მართლაცდა მძიმე იყო ეს კალათა. ნაძვის გირჩებში ბევრი ფისია და ამიტომ წიწვებისაზე უფრო მძიმეა იგი.

როდესაც ხეებს შორის ტყის მცველის სახლიც გამოჩნდა, გრიგმა თქვა:

— ახლა კი სახლამდე თვითონ მიირბენ, დავნი პედერსენ. ნორვეგიაში ბევრი გოგონა ატარებს ასეთ სახელსა და გვარს. რა ჰქვია მამაშენს?

— ჰაგერუბი, — უპასუხა დავნიმ და წარბეჭემულხანით ჰკითხა:

— მამ ჩვენთან აღარ შემოხვალთ? ჩვენ მოქარგული სუფრა გვაქვს, ჭრელი ხატაურა, მინის სათამაშო ნაფი.

— გამადლობთ, გოგონა! მაგრამ ახლა არა მცალია. მშვიდობით, დავნი!

გრიგმა თმებზე ხელი გადაუსვა გო-

გონას და ზღვისკენ გასწრა დაგმი იდგა და შებლმეკრული გაძყურებდა მას.

მხარმოქცეულს ძლივს ხშირ საცხე კალათა, რომლისგანაც სცვიოდა გირჩები.

„მე მისთვის მუსიკას დავწერ, — ფიქრობდა გრიგი, — თავფურცელზე კი ვუბრძანებ დაბეჭდონ ასე: „ტყის მცველ ჰაგერუბ პედერსენის ასულს — დავნი პედერსენს, როდესაც თვრამეტი წელი შეუსრულდება.“

•••

ბერგენში ძველებურად მიდიოდა ისევ ცხოვრება.

ყველაფერი, რაც ხმას ახშობდა — ხალიჩები, ფარდები თუ რბილი ავეჯი, გრიგმა გაატანინა თავისი აგარაკიდან. დარჩა მხოლოდ ძველი სავარძელი, რომელზეც ათამდე სტუმარი დაეტეოდა. ამიტომ გრიგი ვერ ელეოდა მას.

მეგობრები ეუბნებოდნენ, რომ მისი სახლი ნამდვილ ტყის მცველის ქოხს მიაგავდა. მხოლოდ როიალი ამშვენებდა მას.

ადამიანს თუ წარმოსახვის უნარი ჰქონდა, ამ კედლებს შორის შეეძლო მოესმინა ზღაპრული ამბები, მოესმინა პანგები, დაწყებული ჩრდილოეთის მქუხარე ოკეანით, ქარიშხლის ველური დაეღურით რომ მოაცეკვებს უფსკრულიდან მგრავინავ ტალღებს, და დამთავრებული პატარა გოგონას ტკბილი გალობით, ნანინას რომ უმღერის თავის თოჯინას.

და მართლაც, მარტოოდენ ჩვენს შეგნებაში არ ჰქნება ფერები, არ თავდება გახაფხული და არ კედება სიყვარული. მარტოოდენ ჩვენს ფიქრებშია შესაძლებელი განუწყვეტლივ ჰქროდეს ყვავილოვანი მთით მონაბერი ნიაფი და მთელი დღის მანძილზე კიადობდეს ნამგალა მთვარე. მხოლოდ ოცნებაში შეიძლება გაიცინო პუსკინთან ერთად, დიკენსს ჩამოართვა გამხდარი ხელი და გა-

ყინულ ნაკადულში იპოვო ოფელიას ლურჯი ყვავილები. ოცნება თან სდევს ცხოვრებას ისე, როგორც ჩანჩქერს მზის ელვარება.

გრიგის როიალი სიყვარულზე მღეროდა ისევე ლალად, როგორც დიადისაკენ ადამიანის სულის ლალადისი. შავი და თეთრი კლავიშები სრიალებდნენ გრიგის მძლავრ თითებქვეშ, წუხდნენ და იცინოდნენ, ქარიშხლითა და მრისხანებით მძვინვარებდნენ და შემდეგ უეცრად მიწყდებოდნენ, მიუხრდებოდნენ.

სიჩუმეში ჯერ კიდევ დიდხანს თრთოდა ერთადერთი პატარა სიმი, თითქოს სადაღაც ჭვითინებდა მდიდარი დებისგან ჩაგრული ზოლუშკა.

დიდხანს უსმენდა თავგადაწეული გრიგი ამ ხმას. უსმენდა, ვიდრე სულ არ მიწყდა ის სამზარეულოში, სადაც კარგა ხანია დაბუდებულიყო ჭრიჭინობელა.

მეტრონომის სიზუსტით სცემდა ონკანიდან წყლის წვეთი; თითქოს დაბეჯითებით იმეორებდა, დრო გადის, უნდა იჩქარო, რომ ყოველივე ფიქრებულის შესრულება მოასწროთ.

თვეზე მეტხანს წერდა გრიგი მელოდიას დაგნი პედერსენისათვის.

მოვიდა ზამთარი. ნისლში ჩაიძირა მთელი ქალაქი. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ეანგმოკიდებული გემები, წყნარად ბოლავდნენ და ზარმაცად თვლემდნენ ნავთსაყუდელთან.

მალე თოვლიც მოვიდა. ფანჯრიდან ხედავდა გრიგი, თუ რა ირიბად ცვიოდა თოვლის ფიფქები და როგორ ებლაუქებოდა ხეების ტოტებს.

რაც არ უნდა მდიდარი იყოს ჩვენი ლექსიკა, სიტყვიერად მაინც ვერ გადმოსცემს მუსიკის პანგებს.

გრიგი წერდა ქალწულობისა და ბედნიერების უკნობ მშვენიებაზე.

წერდა და ხედავდა, თუ როგორ მოპქროდა მისკენ ხელგაშლილი, სიხარულით სუნთქვაშეგუბული ქალწული

შუქსავე მწვანე თვალქებით. ეხვეოდა მას ყელზე, მხურვალე, მგზნებარე. ლოყით ეკვროდა მის ქალაქს, მგზნებარე ლოყას და „გმადლობით“ — ეუბნებოდა. თვითონაც არ იცოდა, რისთვის უხდიდა მადლობას.

„შენ მზე ხარ ჩემი, — ეუბნებოდა გრიგი, — თბილი სიო და ცისკრის შუქი! შენს გულზე გაიფურჩქნა თეთრი ზამბახი და მთელი შენი არსება ვახაფხულის სუნთქვით დაათრო. თვითონ ცხოვრება დაეინახე მე! რაც არ უნდა გითხრან მასზე, მუდამ გახსოვდეს, რომ სიცოცხლე გასაოცრად მომხიბლავია! მე დაებერდი, უკვე მოვხუცდი, მაგრამ სიჭაბუკეს მიფუძღვენი ჩემი სიცოცხლე, შრომა და ნიჭი... ყველაფერი მას მივეცი დაუბრუნებლად! ამიტომაც შესაძლოა შენზე უფრო ბედნიერიც ვიყო, დაგნი...“

შენ თეთრი ღამე ხარ, მისი იდუმალი შუქით, ნათელით. შენ თვითონ ხარ ბედნიერება, ცისკრის სხივი. შენი ხმისაგან თვით გული ტოკავს.

დე კურთხეულ იყოს შენს გარშემო ყოველივე და ყველაფერი, რაც შენ გეხება და რასაც შენ ეხები, რაც გახარებს და რაც ფიქრებს აღგიძრავს, დაგნი!“

ასე ფიქრობდა გრიგი და თავისი ფიქრები როიალზე გადაჰქონდა. მას ეკვიჰქონდა, რომ ყურს უგდებდნენ, და ისიც იცოდა, თუ ვინ იყვნენ ყურის მგდებელი: ჩიტები, ნავსადგურის შემთვრალი მუხლვაურები, მრეცხავი ქალი მეზობელი სახლიდან, ჭრიჭინობელა, ციდან მოწყვეტილი თოვლის ფიფქი და ძველკაბიანი ზოლუშკა.

და თვითეული მათგანი თავისებურად უსმენდა გრიგს. თუმცა ლელავდნენ ჩიტუნები, მაგრამ მათ ტრაციალს მაინც არ შეეძლო ჩაეხშო როიალის ხმა. კიბის საფეხურზე ჩამომსხდარი მუხლვაურები დაღონებულნი და გაოცებულნი უსმენდნენ მას. მრეცხავი ქალიც წელში იმართებოდა, სოველი ხელით აწითლებულ თვალებს იშვინდდა და თავს გააქნევდა.

ჭრიჭინებელა ღუმელიდან გამოძვრებოდა და ქუჭრუტანიდან გასცქეროდა გრიგს. მფრინავი ფიფქი ერთი წუთით პაერში შეჩერდებოდა, რომ ყური მოეკრა იმ ზეციური პანგებისათვის, რომელიც ოქროს შადრევნად იფრქვეოდა გრიგის სახლიდან. ზოლუშკა კი ღიმილით ჩასცქეროდა იატაკს. ფერხითი ეწყო ბროლის ქოშები, რომლებიც ტოკავდნენ და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ იმ ხმებისაგან, რომელნიც გრიგის ოთახიდან ისმოდა.

მათ კი გრიგი უფრო აფასებდა, ვიდრე სპეციალურად საკონცერტოდ მორთულ თავაზიან მსმენელებს.

• • •

თვრამეტი წლის რომ გახდა, დაგნიმ სკოლა დაამთავრა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მამამ ის თავის და მაგდასთან გაისტუმრა ქალაქ ქრისტიანიაში. წაიღეს, ნახოს გოგონამ (თუმცა ის უკვე ქერანაწნაგებიანი ტანმოლტილი ქალწული იყო, მამა მაინც დაგნის გოგონად თვლიდა) ქვეყანა, ნახოს როგორ ცხოვრობს ხალხი, თვალეები გაახილოს, გაისეირნოს, ცოტათი გაერთოსო.

ვინ იცის, რას უშზადებდა დაგნის მომავალი? იქნებ პატიოსანსა და მოსიყვარულე, მაგრამ ძუნწსა და მოსაწყენ ქმარს? ან იქნებ გამყიდველის ადგილს სოფლის ღუქანში? ან კიდევ სამსახურს ბერგენის მრავალრიცხოვან გემთკანტორაში?..

მაგდა თეატრის მკერავად მუშაობდა. მისი ქმარი ნილსი იმავე თეატრის დალაქი იყო.

ისინი ცხოვრობდნენ ერთ პაწია ოთახში, თეატრის სახურავქვეშ, საიდანაც მშვენივრად მოჩანდა საზღვაო დროშებით აჭრელებული ყურე და იბსენის ძეგლი.

ღია ფანჯრებში განუწყვეტლივ ის-

მოდა გემის გუგუნო. ძია ნილსს არასოდეს შეეშლებოდა, რომელი გემის ხმა იყო: კოპენჰაგენის „ნორდლინგის“ თუ ზგოს „შოტლანდიელი მომღერლის“, თუ ბორდოს „ქანა დარკის“.

მაგდა მამიდას ბევრი სათეატრო ნივთი ჰქონდა შინ: ფარჩა, აბრეშუმები, მუარი, ბაფთები, სირაქლემას ფრთებით მორთული ძველი ფეტრის ქუდები, ბოშათა მოსასხამები, ჭალარა პარიკები, ბრინჯაოსდუხებიანი ჩექმები, დაშნები, მარაოები და ნაკერებზე გადახეხილი ვერცხლის ქოშები.

ყოველივე ეს უნდა შეეკეთებინა, დაემზადებინა და გაესუფთავებინა მაგდას.

კედლებზე ეკიდა წიგნებიდან თუ ეურნალებიდან ამოჭრილი სურათები: ლუდოვიკო XIV დროის ოფიცრები, ხაბარდაკაბებიანი ლამაზმანები, რაინდები, სარაფნიანი რუსის ქალები, მეზღვაურები და მუხის ტოტებისაგან დაწნული გვირგვინებით თავშემკული ვიკინგები.

ოთახისაკენ ადიოდა დახვეული კიბეები. იქ ყოველთვის ტრიალებდა საღებავისა თუ ოქროსფერი ლაქის სუნი.

• • •

დაგნი ხშირად დადიოდა თეატრში, რითაც დიდად იყო გატაცებული. შინ დაბრუნებისას კი მას დიდხანს აღარ ეძინებოდა და ზოგჯერ ტიროდა ხოლმე ჩუმად, ღოგინში.

შეშორებული მაგდა მამიდა აწყნარებდა მას და ეუბნებოდა, რომ შეუძლებელია ბრმად ირწმუნო ყველაფერი, რაც სცენაზე ხდებაო. ამაზე ბიძია ნილსი ჯავრობდა, ცოლს „ბატის ტვინას“ ეძახდა და დაგნის ეუბნებოდა: პირიქით, ყველაფერი უნდა გჯეროდესო. წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრი ხალხისთვის ზედმეტი იქნებოდაო. და დაგნისაც სჯეროდა.

მაგრამ მაგდა მამიდა მაინც ამტკი-

ცებდა, მრავალფეროვნებისათვის ზოგჯერ კონცერტიც კარგაო.

ამის საწინააღმდეგო ძია ნილსსაც არაფერი ჰქონდა.

— მუსიკა, — განაცხადა მან, — ეს გენიოსის სულის სარკეაო.

საერთოდ უყვარდა ნილსს ბუნდოვანი და მალაღმარდოვანი გამოთქმები. მაგალითად, დაგნის შესახებ ის ამბობდა უვერტიურის პირველ აქორდს ჰგავსო. ზოლო მაგდას კი, მისი აზრით, ჯადოსნური ზემოქმედების უნარი ჰქონდა ადამიანებზე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სათეატრო სამოსს ჰყვარავდა. ზოლო ვინ არ იცის, ადამიანი იმდენჯერ იცვლება, რამდენჯერაც სამოსს იცვლისო! ამიტომაც იყო, რომ იგივე მსახიობი, რომელიც გუშინ გულბოროტი კაცის მკვლელი იყო, დღეს ალტაცებული მიჯნურია, ხვალ მეფის მასხარა იქნება, ზეგ კი — სახალხო გამირიო!

— დაგნი! — მიმართავდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში მაგდა მაიდა, — ყურს ნუ უგდებ ამ სულელურ ყბედობას! თვითონაც არ იცის, რას როშავს ეს სახურავქვეშეთის ფილოსოფოსი!

თბილი ივნისი იყო. იდგა სახელგანთქმული თეთრი ღამეები. კონცერტები იმართებოდა ღია ცის ქვეშ, ქალაქის პარკში.

დაგნი კონცერტზე წავიდა მაგდას და ნილსის თანხლებით. მას სურდა ჩაეცვა თავისი ერთადერთი თეთრი კაბა, მაგრამ ნილსმა სასტიკად უარჰყო; ღამიანი ქალიშვილი ისეთი ჩაცმული უნდა გამოდიოდეს, ყველა მას უყურებდესო. ერთი სიტყვით, მისი უხვსიტყვაობა იმ დასკვნით დასრულდა, რომ თეთრ ღამეში შავ კაბებს უნდა ატარებდნენ, ბნელ ღამეში კი თეთრ აბრეშუმში უნდა ბრწყინავდნენო.

ნილსის გადარწმუნება შეუძლებელი გახდა. დაგნიმ ჩაიცვა შავი, აბრეშუმით რბილი ხავერდის კაბა, რომელიც მაგდამ სათეატრო გარდერობიდან გა-

მოიტანა. ბოლოს და ბოლოს, თვით მაგდაც დარწმუნდა, რომ ნილსის მართალი იყო: არაფერი ისე არ უნდა ხაზს დაგნის სახის მკაცრ სისპეტაკესა და ნაწნავების ბაჯალლო ოქროსფერ ელვარებას, როგორც საიდუმლოებით მოცული შავი ხავერდი.

— შეხედე, მაგდა, — ჩუმი ხმით წარმოთქვა ნილსმა, — ისეთი თვალწარმატება დაგნი, თითქოს პირველ პაემანზე ეშურებოდეს.

— კეშმარიათა! — უპასუხა მაგდამ, — რაღაც არ მაგონდება ჩემს გვერდით გონებადაბნელებული ქაბუკი, როდესაც პირველ პაემანზე გამოცხადდი. რა ენად გადაიქციე!

და სიყვარულით აკოცა შუბლში ძია ნილსს.

პორტის ძველი ნაღმიდან გასროლის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, დაიწყო კონცერტი. გასროლა შზის ჩასვლის მაუწყებელი იყო.

ბინდის მიუხედავად, არც ღირიორს და არც ორკესტრანტებს პულტებში შუტი არ ჩაურთავთ. ღამე იმდენად ნათელი იყო, რომ ცაცხვის ფოთოლთ შორის მბრწყინავი ნათურები მხოლოდ კონცერტის საზეიმო ელფერისათვის ანათებდნენ.

დაგნი პირველად ისმენდა სიმფონიურ მუსიკას, რომელმაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ორკესტრის ყოველი გადასვლა ერთი მელოდიიდან მეორეზე, ან მისი ქექა-გუგუნის მის წარმოდგენაში აცოცხლებდა ათასნაირ, სიზმარივით მრავალფეროვან სურათებს.

უცრად ის შეკრთა და წამწამები დაახამხამა. მოეჩვენა, რომ ფრაკიანმა მამაკაცმა, რომელსაც პროგრამა მიჰყავდა, წარმოთქვა მისი სახელი.

— შენ მეძახდი, ნილს? — ჰკითხა დაგნიმ ძია ნილსს და შეხედა მას წარბშეკმუნებით.

ძია ნილსი შიშით და თან ალტაცებით შეჰყურებდა მას. ასეთივე აღფრთოვა-

ნებით შესცქეროდა მას მაგდა მამიდაც, რომელსაც ტუჩებთან მიერთანა ცხვირსახოცი.

— რა მოხდა? — იკითხა დაგნიმ.

მაგდამ ხელი ხელზე მოუჭირა და უჩურჩულა:

— უსმინე.

მაშინ დაგნიმ აშკარად გაიგონა ფრანკიანი მამაკაცის სიტყვები:

— ბოლო რიგების მსმენელთა თხოვნით ვიმეორებ. მაშ ასე, შესრულებული იქნება ედვარდ გრიგის ცნობილი მუსიკალური პიესა, მიძღვნილი ტყის მცველ ჰაგერუპ პედერსენის ასულის, დაგნი პედერსენისადმი, თვრამეტი წლის შესრულების გამო.

დაგნიმ ისე ღრმად ამოისუნთქა, რომ მკერდში ტკივილი იგრძნო. ყელში მომჯენილი ცრემლები შეკავება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. თავი დახარა და სახე ხელეში ჩამალა.

ჯერ ვერაფერი გაიგო. გაბრუებული იყო და ქარიშხალი ბობოქრობდა მის სულსა და გულში. შემდეგ თანდათან გამოერყვა და მკაფიოდ გაარჩია განთიადისას მწყემსის სალამურის ხმა, რომელსაც ეპასუხებოდა ეხოსავით მთრთოლვარე ათი ათასი ხმის გამოძახილი.

მელოდია თანდათან იზრდებოდა და ძლიერდებოდა, გრიგალივით გრგვინავდა, ზღვის კიდეს ეხეთქებოდა, ხის კენწეროებს ლეწდა, ბალახს ამრიალებდა, ცივ შხეფებს აყრიდა სახეში. დაგნიმ შეიგრძნო მუსიკიდან მოვარდნილი ქარიშხალი და დამოშშინდა.

დიახ! ეს მისი ტყე იყო, მისი მთები, სალამურის ხმა და მისი ზღვის ქუხილი.

მინის ნაევი აქაფებდნენ ზღვას. ქარი ღლინებდა მათ იალქნებში. თანდათან გადადიოდა ის შროშანების შრიალსა და ჰაერში მოსრიალე ფრინველთ კიკიკიში, ბავშვთა ყრიაპულში, ტურფა ასულზე თქმულ სიმღერაში, შეყვარებული ვაჟი ფანჯარაში რომ ესროდა კენჭებს,

დაგნის თვითონ გაუგონია ეს სიმღერა საკუთარ მთებში.

მაშ ის ყოფილა! ის ტანშალაღი ვალარა კაცი, რომელმაც ნაძვის გირჩებით სავსე კალათა მოუტანა სახლამდის, — მაშ, ის ყოფილა ედვარდ გრიგი, მუსიკის ჯადოქარი და გენიოსი კომპოზიტორი! მაშ სწორედ მას უსაყვედურა დაგნიმ, სწრაფი მუშაობა არ გცოდნია!

აი თურმე რა ყოფილა ის საჩუქარი, რომელსაც ჰპირდებოდა ის ათი წლის შემდეგ.

დაგნი უკვე აშკარად ტროდა და მადლობის ცრემლებს დაჰაღუბით აფრქვევდა. ამასობაში მუსიკის ხმები მოეფინა მთელ ქალაქს. მელოდიური ტალღებისაგან ღრუბლებს მოედო მსუბუქი ქაველი, ხოლო მათ მიღმა აკამკამდნენ შუქურა ვარსკვლავები.

მუსიკის ხმამ ქღერა შეწყვიტა. ახლა იგი გეძახდა მხოლოდ. გეძახდა იმ სამყაროსაკენ, სადაც ვერაფრით ტანჯვაწამება სიყვარულს ვერ გადაგავიწყებს, სადაც ერთმანეთს არ ეჭიშუებიან ბედნიერებასა და სიბარულში, სადაც მზე ანათებს, ვით ოქროსგვირგვინოსანი სიკეთის ქალღმერთი.

ჰანგთა ტალღებში უეცრად ნაპირზე გამოირიყა ნაცნობი ხმა: „ციხკრის შუქი ხარ, — ეუბნებოდა ის დაგნის, — თვით ხორცშესხმული ბედნიერება!“

მუსიკა მიწყდა. ჯერ ფრთხილად, ნელა, შემდეგ კი ერთ მთლიან გრგვინვაში გადაიხარდა ტაშის ხმა.

დაგნი წამოდგა და საჩქაროდ პარკიდან გავიდა. ყველანი მას მისჩერებოდნენ. შესაძლოა ზოგიერთები კიდევ მიხვდნენ, რომ სწორედ ეს იყო დაგნი პედერსენი. ვისაც გრიგმა უძღვნა თავისი უკვდავი მუსიკა.

„მოკვდა! — ფიქრობდა დაგნი. — რისთვის? რისთვის? ნუთუ ველარასდროს დავინახე მას! აქ რომ მომევიწინოს უცებ!“ ო, რა გულსიძგერით გაეჭანებოდა მისკენ დაგნი, კისერზე შემოეჭ-



დობოდა, ცრემლით დანამულ ღოყაზე მიეკვრებოდა და მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყობოდა: „გმადლობთ!“ „რისთვის?“ — ჰკითხავდა ის. „თვითონაც არ ვიცი, — უპასუხებდა დანგი, — იმისათვის, რომ არ დამივიწყეთ. იმისთვის, რომ ასე უხვად დამასაჩუქრეთ. გადამიშალეთ ის წარმტაცი მშვენიერება, რომლითაც უნდა სულდგმულობდეს ადამიანი“.

დაგნი მარტო მიაბიჯებდა ხალხისგან დაცლილ ქუჩებში. ვერ ამჩნევდა, შორიახლო როგორ მისდევდა მაგდასაგან გაფრთხილებულია ძია ნილსი, რომელიც მთერალივით მობარბაცებდა და თავისთვის ბუტბუტებდა იმ დიად სასწაულზე, მათს მყუდროსა და პატარა ცხოვრებაში ქაირშხალივით რომ შემოიჭრა.

ჯერ კიდევ ღამის ბურუსი დასწოლოდა ქალაქს. მაგრამ შორეული ცის დასავალს შეჰპარვოდა უკვე სიყვი-

თლე და ნელ-ნელა იღვრებოდა დღის-კრის შუქი.

დაგნი ზღვის ნაპირთან მივიდა. ღრმად ეძინა ზღვას. გულმშვიდად თვლემდნენ ტალღები.

დაგნიმ ხელები გულზე გადაიკლო და გასაოცარი სილამაზით მოჯადოებულმა ამოიოხრა. ამ გაურკვეველ გრძნობას მოეცვა მთელი მისი არსება.

— ისმინე, ცხოვრებავ! — თქვა ჩუმად დაგნიმ, — მე მიყვარხარ შენ...

და მან გაიცინა და ფართოდ გახელილი თვალებით გახედა გემზე გაჩირაღდებულ ნათურებს, რომლებიც ათასფერად ლივლივებდნენ გულდაწმენდილ, კამკამა ზღვაზე.

როდესაც მისი სიცილი გაიგონა, ნილსი შინ გაბრუნდა. ახლა აღარ წუხდა დაგნისთვის. იცოდა, რომ ფუჭად აღარ ჩაივლიდა მისი სიცოცხლე.

თარგმანი ნუნუ ხომერიკისა.

★

1.

დილიდანვე ბაღში ტრიალებს კირილე. დახუნძლულან ხეხილის ტოტები. კარგი პირი უჩანს მოსავალს. შემოდგომის მზე გულთბილად ეფრქვევა არემარეს. ათბობს, ახარებს. ოქროსფერი დაპკრავს ღიმონ-მანდარინს, შეწითლებულა ყვითელი ხურმა, შვენის მწვანე ფოთლებს მათი ოქროს ღიმილი. ყავისფრად ჩამუქებული ზღმარტლი დინჯად დამდგარა ღობის კუთხეში, სევდიანად გაუხელია შავი წამწამები. თითქოს წყენია კოლხეთის მიწის მკვიდრს, რომ უცხო სტუმრებს უფრო ელოლიავებიან, უფრო უვლიან, ვიდრე მას. დაღის კირილე ბაღში, ამ თავის პატარა სამყაროში, და არწმუნებს თავის თავს, რომ ბაღს მას არავინ წაართმევს.

საღღაც შხელით ავარდა ხოხობი. კირილემ თვალი შეავლო მის ბრჭყვიან ფრთებს და ხოხობიც გაუჩინარდა. ტყიდან, ქარვისფერი შველი გამოხტა. დიდრონი, შავი თვალეები გაკვირვებით მიმოავლო არემარეს. შორს ექსკავატორმა მიაკიელა და შველიც გაპკრა. ლელეზე შემოჯდა ტანყვითელი მოლალური, ლელის დიდი მოყვარული და გამჩანაგებელი. კირილემ ჯოხი აიღო, მოუქნია და ხელი გაუშეშდა. ტიშკართან ვიღაც კაცები გამოჩნდნენ. კირილემ მიწვანის გამგე იცნო. გულმა ბაგაბუგი დაუწყუ.

მაშ ასე. მოვიდნენ და დღეს გადაწყდება კირილეს ბაღის ბედიც.

სწორედ გუშინ იყო აქ მიწვანის გამგე, ამხანაგი მიხა. ბევრი უმტყიცა, ბევრი ედავა, რომ ეს ბაღი დათმოს კირილემ. აქ დიდი პლანტაცია უნდა გაეაშენოთო, შენ სხვა ადგილს მოგ-

ცემთო. მაგრამ კირილემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არ დათანხმდა. მიხას გაუკვირდა. მუდამ წყნარი, ჩუმი კირილე რამ გააბრაზა?

— მაგიერს მოგცემთ, შე კაცო, — უთხრა მიხამ. — ეზოს წილ ეზოს მოგცემთ. ფაცბა გიდგას — ოღას მოგცემთ.

— ბალი? — თვალი მოჭუტა კირილემ და ირიბად შეხედა მიხას.

— ბალი შეუერთდება პლანტაციას. შენ კი აგინაზლაურებთ. რაც ეღირება, შევაფასებთ. ფოთლის ღირებულებასაც კი არ დაგაკლებთ. ასე რომ კმაყოფილი დარჩები.

— დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, მაგრამ მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რაც მაქვს.

მიხას თვალეებში ნაპერწყლებმა იელვა. ბოხობის ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა. ეს იმისი ნიშანი იყო, რომ გაბრაზდა. მაგრამ მიხამ ბრაზი წამსვე დაიოკა და ისევ მოთმინებით უთხრა:

— დამიჯერე, კირილე, მე შენთვის ცუდი არ მინდა! ჩუმი კაცი ხარ, უწყინარი, გავათავოთ ეს საქმე უჩხუბრად.

— მე არ გეჩხუბები, ბატონო! დამაყენე ჩემთვის!

— შე შენ საერთო საქმეზე გელაპარაკები, შენ კი საკუთარ ნაჭუქში ზიხარ ლოკოკინასავით და ხელს გვიშლი, — აიმაღლა ხმა მიხამ. — ბოლოს და ბოლოს ბევრს არ გალაპარაკებენ. დაფიქრდი!

კირილემ არაფერი უპასუხა. ეს კია, რომ ამოიხენეშა და საყვედურით შეაჩერდა მიხას. მიხამ ხელი ჩაიქნია და ტიშკრისაკენ გაემართა.

ეპ, როგორ უღალატებდა კირილე მება კირილეს. — მითხრეს, აქ დიდი მეურნეობა უნდა გავაშენოთ... ცეტრუსების მეურნეობა, მენჯი ჩვეულებრივ მოგვემოთ. სამაგიეროდ რად გავიხადო საქმე?

უეკველია, აქ თავმჯდომარე ეტყვის, რომ საერთო საქმისათვის კირილემ უნდა დასთმოს თავისი ბაღი და სხვა მიიღოს. ამასაც გაითვალისწინებს კირილე... საამისო პასუხსაც გააშუადებს. კირილემ ღრმად ამოისუნთქა. უეკველად ღრმად ამოისუნთქავს, რომ ნახოს თავმჯდომარემ, თუ როგორ უძძიმს კირილეს თავისი ბაღის დათმობა.

კირილემ ოჯახის ამბავი უნდა უამბოს დაწერილებით. ეტყვის, რომ ლაკადიდან ჩამოვიდა, იქ ერთი ხელის დადება მიწა ჰქონდა. ხელობით ხუროა. რამდენი ოდა აუშენებია სხვისთვის, თავისთვის კი ერთი ქოხის მეტი ვერ დაუდგამს. როცა ქაობის ამოშრობა დაიწყო, ლაკადაში კოლხიდის მშენებლობიდან კაცი ამოვიდა: მუშახელის ნაკლებობას განვიციდით და გვიშველეთო. მეც წამოვედი სამუშაოდ და მიწის საშოვნელადო. განაკოლხიდაში ცოტანი ჩამოვიდნენ ახალი მიწის საშოვნელად?

— მიწა საშოვარი არაა, — უბასუხებს თავმჯდომარე. — ვინც ჩამოსვლას ისურვებს, ჩვენ თვითონ შევუჩვენებ ადგილს. რაღა ტყეში იცხოვრებ? ჩვენ ხალხი სინათლისკენ მიგვყავს. შენ კი სიბნელისაკენ მიიწევ? ხალხი ქვიანია, კირილე! გლეხები რომ ქაობის ამოშრობაზე მუშაობენ, საქვეყნო საქმეს აკეთებენ. იმ საერთო საქმეში თავის წილსაც დაიდებენ. ხალხი გაიგებს შენს ამბავს და იტყვის, თავისი ეზოს იქით არ იხედებაო, საერთო საქმეს ხელი შეუშალაო.

— ასე არ გეტყოდნენ, — შეაჩერებს თავმჯდომარე. — აგისხნიდნენ, რაშია საქმე და სამაგიეროს მოგვემენ. — დიახ, დიახ! — მაშინვე დაეთანხ-

ეპ, როგორ უღალატებდა კირილე მება კირილეს. — მითხრეს, აქ დიდი მეურნეობა უნდა გავაშენოთ... ცეტრუსების მეურნეობა, მენჯი ჩვეულებრივ მოგვემოთ. სამაგიეროდ რად გავიხადო საქმე?

უეკველია, აქ თავმჯდომარე ეტყვის, რომ საერთო საქმისათვის კირილემ უნდა დასთმოს თავისი ბაღი და სხვა მიიღოს. ამასაც გაითვალისწინებს კირილე... საამისო პასუხსაც გააშუადებს. კირილემ ღრმად ამოისუნთქა. უეკველად ღრმად ამოისუნთქავს, რომ ნახოს თავმჯდომარემ, თუ როგორ უძძიმს კირილეს თავისი ბაღის დათმობა.

კირილემ ოჯახის ამბავი უნდა უამბოს დაწერილებით. ეტყვის, რომ ლაკადიდან ჩამოვიდა, იქ ერთი ხელის დადება მიწა ჰქონდა. ხელობით ხუროა. რამდენი ოდა აუშენებია სხვისთვის, თავისთვის კი ერთი ქოხის მეტი ვერ დაუდგამს. როცა ქაობის ამოშრობა დაიწყო, ლაკადაში კოლხიდის მშენებლობიდან კაცი ამოვიდა: მუშახელის ნაკლებობას განვიციდით და გვიშველეთო. მეც წამოვედი სამუშაოდ და მიწის საშოვნელადო. განაკოლხიდაში ცოტანი ჩამოვიდნენ ახალი მიწის საშოვნელად?

— მიწა საშოვარი არაა, — უბასუხებს თავმჯდომარე. — ვინც ჩამოსვლას ისურვებს, ჩვენ თვითონ შევუჩვენებ ადგილს. რაღა ტყეში იცხოვრებ? ჩვენ ხალხი სინათლისკენ მიგვყავს. შენ კი სიბნელისაკენ მიიწევ? ხალხი ქვიანია, კირილე! გლეხები რომ ქაობის ამოშრობაზე მუშაობენ, საქვეყნო საქმეს აკეთებენ. იმ საერთო საქმეში თავის წილსაც დაიდებენ. ხალხი გაიგებს შენს ამბავს და იტყვის, თავისი ეზოს იქით არ იხედებაო, საერთო საქმეს ხელი შეუშალაო.

— ასე არ გეტყოდნენ, — შეაჩერებს თავმჯდომარე. — აგისხნიდნენ, რაშია საქმე და სამაგიეროს მოგვემენ. — დიახ, დიახ! — მაშინვე დაეთანხ-

ნება? რატომ არ ესმის კირილესი მიხას?

საოცარია, რატომ არ ესმის კირილესი ცოლსაც? განა მარტო იმიტომ, რომ ერთი ხელის დადება მიწა აქვს და ზედ სახლი ვერ დაიდგა?

აი, ამ ერთი თვის წინათ იყო კირილე ლაკადაში და უთხრა ცოლს: მიწა მაქვს, ბალი გავაშენე, მოსავალიც ისეთი მოვიდა, რომ თავი სამოთხეში გეგონებათ. ამ შემოდგომას უნდა დავსახლდეთო. კოლხიდაში.

ცოლს გაეცინა. მიწა? ბალი? საიდან?

— არ გჯერა? — ეწყინა კირილეს.

— როდის გითქვამს დასაჯერებელი, რომ ახლა დაგიჯერო? — უთხრა ცოლმა ცივად. — ოცი წელია ზღაპრებით მკვებავ.

მართლაც, როცა კოლხიდის მშენებლობიდან მოვიდოდა და ხელფასს ამოიტანდა, ჩამოჯდებოდა თავისი ისლით დახურული ქოხის წინ, დაიწყებდა ოცნებას, მოჰყვებოდა ცის და ბრის ამბავს. ბავშვებს უყვარდათ მეოცნებე შამის ნაუბარი, ცოლს კი აბრაზებდა.

— არ გჯერა? — გაიმეორა კირილემ. — ჩამობრძანდი, ბატონო, შენს ძმას მაინც არ ინახულებ? კაცი დასახლდა და როგორი და ხარ, რომ არ ჩამოსულხარ სანახავად? კოლმეურნობაში სხვებიც მუშაობენ, მაგრამ თავისიანებთან დადიან.

— მოსავალს ავიღებთ და ჩამოვალ, — უგულოდ უპასუხა ცოლმა.

— ჰო, ჰო, ჩამოდი! ისეთი ბალი დაგახვედრო... ჰო, თათუ, ერთ ხეს, ყველაზე მაღალს და ლამაზს, ლიმონის ხეს, შენი სახელი ვუწოდე. ხა... ხა...

— კაცო, მოკლედ მითხარი, მოგცეს ადგილი ახალ დასახლებაში? შენ რომ ამბობ, ისე როდი ზდება დასახლება. მას თავისი წესები აქვს.

კირილემ იცოდა, რომ ახლა რაც უნდა ეთქვა, ცოლი არ დაუჯერებდა.

საქმე ის იყო, რომ კირილეს დღემდე არ უთქვამს ცოლისათვის უბედურება. ეშინოდა, ვაი, თუ უბედურებათაფერი გამოვიდეს, ცოლი ისედაც უიღბლოს მეძახის და შეერცხვებოთ. ახლაც, როცა მოსავალი მართლა ჩანდა და ბალი მართლა ბალობდა, კირილემ გაბედა და გაამელავნა ბალის ამბავი.

კირილეს არ უნდოდა ჩხუბი ცოლთან. ამიტომ გაიღიმა და ტკბილად უთხრა:

— მე რომ ტრახახი არ მიყვარს, ეს იმას როდი ნიშნავს, საქმეს ვერ გავაკეთებ... ჩამოდი და ნახე, მაქვს თუ არა ბალი...

ამიტომ კირილემ უკანასკნელი და მაგარი საბუთი სულ ბოლოსთვის შემოინახა, თავი დახარა და სთხოვა თავმჯდომარეს:

— ცოლთან ნუ შემარცხვენ, თავმჯდომარე! ვუთხარი: ბალი გავაშენებთქი. ჩამოვა სანახავად, რა ვუთხრა? მეც კაცი ვარ! მართალია, პატარა კაცი ვარ, მაგრამ ყველა რომ დიდი კაცი იყოს, მაშინ ჩაქუჩი ვინ დაჰკრას ლურსმანს? ბარი ვინ დაჰკრას მიწას?

— კირილე, ამხანაგო კირილე! — მოისმა ქიშკრიდან.

კირილე უცხად გამოერკვა. იცნო მიხას ხმა.

— უზრდევლობაში არ ჩამომართვან, რომ არ შევეგებო, — გაიფიქრა კირილემ, საკინძი შეიბნია, ქამარი შეისწორა და ქიშკრისკენ გაემართა.

2.

— მობრძანდით! — მიესალმა კირილე სტუმრებს. ქიშკარი ფართოდ გააღო და წამით თვალი გადაავლო სტუმრებს.

იცნო: ქალაქკომის მდივანი, კოლხიდმშენის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე, მიხა. (ჰმ! მიხას ერთი კილომეტრიდან იცნობდა კირილე). ვერ იცნო ერთი, რომელსაც გზა დაუთმეს და პირველა შემოვიდა ეზოში.

— შეიძლება დაავთვალიეროთ

თქვენი ბალი? — ჰკითხა ქალაქკომის მდივანმა, როცა ხელი გაუწოდა კირილეს.

— კი ბატონო! — მიუგო კირილემ და მდივნის ერთ გამოწვდილ ხელს თავისი ორი ხელი შეაგება. შემდეგ წელში გასწორდა, ცალი ხელი ბალისაკენ გაიშვირა. — მობრძანდით!

სტუმარმა დიხჯი ნაბიჯით შემოიარა ეზო, ბალი. დაწვრილები გამოჰკითხა რამდენი ძირი უდგას ლიმონი, მანდარინი, ხურმა. როდის დარგო, რა მოსავალს მოეღოს? როცა სტუმარმა გაიგო, რომ წელს პირველ მოსავალს ჰკრეფს კირილე, რომ კირილე ხელობით ხურთა, ხოლო მეზაღებმა ადგილობრივი გამოცდილი მეურნეებისაგან უსწავლია, მოუწონა და შეაქო.

— ყოჩაღ, კარგად გიმუშავნიათ! თქვენ ახლა ორი ხელობა გაქვთ: ხუროც ხართ და მეზაღეც. ჩვენს ქვეყანას დიდი მომავალი აქვს ტექნიკური კულტურებისა. ამიტომ უნდა ვცდილობდეთ შევისწავლოთ ეს კულტურები.

შემდეგ მდივანს მიუბრუნდა და უთხრა:

— აი, ხომ ხედავთ, რა მიწას ვართმევთ ჰაობს. თითქოს ეს მიწა ციტრუსებისათვის გაჩენილა. აქ მხოლოდ პლანტაციები უნდა გაშენდეს.

კირილე ეცა ლიმონის ხეს, შეარჩია მკიდროდ დასხმული ტოტი, სწრაფად ამოიღო ქამარზე ჩამოკიდებული დანა, მოსჭრა და მორიდებული სიამაყით მიართვა უცხო სტუმარს.

— კარგად გამოზამთრებული ხეა და ადრე დაისხა. მოვლაზე ბევრია დამოკიდებული, ბატონო!

სტუმარმა მადლობა გადაუხადა, ტოტი ჩამოართვა და უთხრა:

— კარგი ლიმონია! კარგი ბალი გაგიშენებიათ. თქვენ სასარგებლო საქმეს აკეთებთ. გთხოვთ სხვებსაც გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება...

„თუ მეშველა, ახლა მეშველა, — გა-

უელვა კირილეს თავში. მოდი, შევიჩვილო“.

მან არ იცოდა, ვინ იყო მისი სტუმარი, მაგრამ რაღაც ანდამატური ძალა იზიდავდა მას ამ კაცისაკენ.

— კი, ბატონო! შრომას როდი დავიშურებ, თუ ვინმეს გამოადგა, მაგრამ მეუბნებიან, პლანტაციისთვის გვინდაო შენი ნაკვეთი. ვის რაში გამოადგება, ბატონო, ეს ერთი ხელის დადება მიწა? აქ ერთი ნაბალი თუ გაიშლება, მეტი არა.

— როგორ თუ არ გამოადგება? — გაუკვირდა სტუმარს. — თქვენ, მშვენიერი ბალი გაგიშენებიათ.

სტუმრები ჰიშკრისაკენ გაემართნენ, კირილე აედევნა მათ. გარკვევით გაიგონა, თუ როგორ უთხრა მდივანმა კოლხიდმშენის დირექტორს:

— ბალი უნდა გადაიტანოთ. ერთი ფოთოლი არ დაზიანდეს.

— არც დაზიანდება, ისეთი მანქანები გვაქვს, — დაუდასტურა კოლხიდმშენის დირექტორმა.

კირილე დაწინაურდა, ჰიშკარი გაალო. სტუმრები რომ განაკაფზე გავიდნენ, კირილე დაეწია მიხას და ჰკითხა:

— ვინაა ეს ოქრო კაცი?

— პროფესორია, ნარინჯოვანი კულტურის დიდი მცოდნე, — უპასუხა მიხამ. — ჩამოვიდა ახალი მიწების შესასწავლად. ზოგნი ფიქრობენ, აქ ციტრუსები არ გაიხარებენო. ეს პროფესორი კი ამტკიცებს, ციტრუსისა და ჩისათვის უკეთეს მიწას ვერც ინატრებს ადამიანიო.

— მართალი უთქვამს. ჰკუის კოლოფი ყოფილა, — გაიღიმა კირილემ. — ხომ გაიგონე, რა თქვა ჩემზე?

— რა თქვა? — ჰკითხა მიხამ.

— როგორ, შე კაი კაცო, არ გაგიგონია? სხვასაც გაუზიარე შენი გამოცდილებათ.

— ჰო, ეს კი თქვა.

კირილემ განგებ მიიღო მხიარული სახე და ისევ ჰკითხა:

— ის თუ გაიგონე, ქალაქკომის მდივანმა რომ უთხრა კოლხიდმშენის დირექტორს: ბაღი გადაიტანეთო. რას ნიშნავს გადაიტანეთო? ყველაფერს წარმოვიდგენ, მაგრამ ბაღის გადატანა ვერ წარმოვიდგინე.

— მართლაც ძნელი წარმოსადგენია, ჩემო კირილე.

მიხამ გაიცინა, გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია, რომ დაწეოდა სტუმარს. კირილე კი დიდხანს იდგა ერთ ადგილას გაოგნებული.

სიცილი რა პასუხი იყო? ვის შერჩება ბაღი: კირილეს თუ მიწვანს?

3.

არ ეძინება კირილეს. რა უთხრა დღეს იმ მადლიანმა კაცმა? შრომა მოუწონა, შენი გამოცდილება სხვებსაც გაუზიარეო.

ერთი მხრივ სიამაყესა და კმაყოფილებას გრძნობდა, მეორე მხრივ, რაც უფრო უფიქრდებოდა სტუმრის სიტყვებს, მით უფრო ნათლად ხედავდა, რომ მას დიდი ამოცანა დაუსახა სტუმარმა. ხუმრობა საქმეა სხვას ასწავლო, დაეხმარო, შენი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარო?

ერთ სარზე ღობე არ შემოიღობებო, ნათქვამია. კირილეს კი სურს, ერთი სარივით იყოს აქ აჩხირული, განა შეიძლება ასე? მარტოობა ძაბუნნი კაცის საქმეა, კირილე კი თავმოყვარე კაცია, სასარგებლო საქმე გაუყეთებია და განა მარტო თავისთვის? სხვებისთვისაც...

ჰოდა, თუ ასეა, დაუტოვებენ ბაღს. ხომ მოუწონა პროფესორმა? ხომ თქვა ქალაქკომის მდივანმაც? ჰო, უეჭველად ასეა. დაუტოვებენ ბაღს...

აი, ჩამოიყვანს ცოლ-შვილს, აცხოვრებს აქ, მაგრამ უმეზობლოდ, უკაცრიელად იყოს? კირილესთვის მთავარი იყო მიწა და მისი ხელით დარგული ხეები. ერთიც აქვს და მეორეც და სხვაზე ფიქრი ახლა არ სურს მას... არ სურს, მაგრამ ფიქრი მაინც მოდის.

ზის კირილე აივანზე და გაბყურებს სივრცეს. მთვარის შუქში მწვანეს ქშირი ტყე, ჰქრის ნელი მღვთაურად მის ლაქაშების დაუსრულებელი შრიალი.

ცაზე გაბნეულან თეთრი ვარსკვლავები. ირმის ნახტომი ვერცხლის ქამარივით შემორტყმია ცის სივრცეს. საესე მთვარე უხვად დაქათათებს ტყეს და მაინც ხეს ხისაგან ვერ გაარჩევ. მთვარე რას გახდება ამ ტყესთან, როცა მზეც კი ვერ ატანს მის სიღრმეს. დღე უნდა ნახო ეს ტყე. ხე არაა, რომ დაბარდული არ იყოს. ამოდ ცდილობს ცაში ავარდეს, ტანი გაისწოროს, მზეს შეეფიცოს. მაგრამ რამდენი მტერი შემოხვევია: ნარი და ეკალი, ლიანები და სურო. არ უშვებენ ჭაობიდან. ეშმაკის თოკივით დაუბამთ ლხანებს იგი და აღრჩობენ, სიცოცხლეს უმწარებენ. აკი ამიტომ ეძახიან მას „ზის მალრჩობელას“ — ჯამქვიდას... ლაქაში და ჯაგანარა, კილი და ხავსი უხვად გაბნეულა ჭაობში, სვამენ ჭაობის წყალს, ასდით ჭაობის სუნი.

დღისით საოცარია ეს ტყე: როცა ქარი ჰქრის, ორი ფერი აქვს. ხან ვერცხლისფერი, ხან მწვანე. კირილემ იცის, რომ მურყანსა და ტირიფს ეს ორი ფერი აქვთ ფოთლების ორთავ მხარეზე. ქარი რომ დაუბერავს, ტყესაც ორი ფერი დაჰკრავს: ხან ვერცხლისფერი — საამური, ხან მუქი მწვანე — სევდიანი. კირილეს გაეცინა: ასეო კაცის ცხოვრებაც. ხან იმედიანი, ხან სევდიანი. დღეს იმედმა შემოანათა კირილეს ცხოვრებაში, ვერცხლისფრად აბრჭყვიალდა მის თვალწინ. ზის კირილე და ყურს უგდებს ტყის შრიალს.

მას კარგად ესმის ტყის ენა. იგი ხან ზღაპარს ჰგავს, ხან ბავშვის ტიტინს. ხან კი შეთქმულის ჩურჩულს. მარადიულ მესაიდუმლოესა ჰგავს ტყე, რომელსაც გამოუთქმელი ფიქრით საესე გული აქვს. რამდენიც უნდა იშრი-

ლოს, ვინ გამოლევს მის საიდუმლოებას? ამიტომ უყვარს კირილეს თავისი მოჩურჩულე მეზობელი. ტყის კაციო, ტყუილად როდი ეძახიან მას, თუმცა რამდენჯერ ააფორიაქა ტყის კაცი თავისმა მოჩურჩულე მეზობელმა!

პირველი ღამე გაახსენდა კირილეს, აქ რომ ფაცხა დაიდგა, ტურებმა რომ საშინელი ჩხავილი მორთეს, თითქოს გაჩეხილ ტყეს დასტირიანო. იჩხავლეს და იავეს, ნაკადი აიკლეს და ყურთასმენა წაიღეს. გაბრაზდა კირილე. გამოვარდა გარეთ და დასკვივლა. ტურები დაფრთხნენ.

ერთხელ ღამით მგლები მოადგნენ ქიშკარს. კირილე მერხზე იწვა და ტყის შრიალს ყურს უგდებდა. ის იყო თვალი მიღულა, რომ მგლების საზარელმა ყმუილმა გამოაფხიზლა. გულის შემზარავი და სულის შემზუთველი იყო ის ყმუილი. კირილემ იფიქრა, წაველნო, მაგრამ მგლები არ მიდიოდნენ.

კირილე არ ადგებოდა, მაგრამ მეორე დღეს სამუშაო ჰქონდა. კოლხიდმშენი ბარაკებს აგებდა მუშებისათვის და კირილე დროზე უნდა გამოცხადებულიყო სამუშაოზე. ღამნათევი კი ვერ იმუშაებდა. ადგა, გაბრაზებულმა მუგუზალი აიღო, გარეთ გამოვარდა და ცეცხლიან ჯარასავით დაატრიალა.

ცეცხლოვან რკალს ავლებდა მუგუზალი. ცვიოდნენ და ჰაერში ფრინავდნენ ნაპერწკლები, თითქოს ათასი წითელი თვალი გამოისხაო ღამემ.

მგლები დაფრთხნენ და გაიქცნენ. მერე კირილემ ძალი იშოვნა. ამის შემდეგ არც ტურები, აღარც მგლები სწვევიან კირილეს.

კირილემ ცას გახედა. აღმოსავლეთით განთიადის წითელი არშია იშლებოდა. მოისმა წეროების ყვილი, ხობების ფრთების ტყრციალი, ტყის ქათმების კაკანი. იღვიძებდა ტყე. თუმცა არ ეძინა კირილეს, მაგრამ მოეჩვენა, რომ თვითონაც გაიღვიძა. თვლებში

ხელი ამოისვა, ფართოდ შეხედა ქვეყანას.

ეროვნული

შორით მოისმა ექსტრანორმალური. კირილეს გაუხარდა. იცოდა, რომ ამ საყვირზე დგებოდნენ მუშები, რომლებიც ქაობს ებრძოდნენ და დაეინებით მოიწვედნენ მისი ეზო-ბაღისაკენ.

4.

მეორე დღეს საგარეო ტანისამოსში გამოწყობილი კირილე მიწგანის გამგეს ეწვია. გამგეს სადღაც მიეჩქარებოდა.

— ოჰ, ღმერთო! — და მიხას თვლებში ნაპერწკლებმა იელვა. — კიდევ იმ საქმეზე მოხვედი?

— დიახ, ამ საქმეზე. სწორედ ეს მინდა გავარკვიო. თუმცა ეს საკითხი გარკვეულია გუშინს აქეთ. — ისევ დინჯად, აუჩქარებლად განაგრძო კირილემ. — მე მინდა მხოლოდ ქალაქი მომცე, ბეჭედდარტყმული, რომ ჩემი ბალი ჩემია.

— ჰო! შენი საქმე ასეა, კირილე. ბალი შენ, მიწა კი ჩვენ. საქმის მოგვარება მე და კოლხიდმშენის ღირექტორს გვაქვს დავალებული.

კირილეს გააფრცოლა. ეს რა უცნაური უთხრა მიხამ? ღვთისა და ეშმაკის არაკისა არ იყოს!

— შენ, ამხანაგო მიხა, ბატონო მიხა, ღვთისა და ეშმაკის არაკი იცი?

— არ ვიცი, — მიხა დაჯდა.

თურმე ღმერთი და ეშმაკი წაიხსებნენ. ეშმაკმა უთხრა ღმერთს: — ეს რა სამართალია? მიწა შენ, წყალი შენ, ხე შენ. მე რა მქონდეს?

— მოვრიგდეთ, — უთხრა ღმერთმა. — აირჩიე, რაც გინდა. აი აყვავებული ხე, აი ანკარა წყარო, აი ფართო მიწა, აირჩიე, რომელი გსურს?

დახარბდა ეშმაკი აყვავებულ ხეს და უთხრა ღმერთს:

— ხე ჩემი იყოს!

— კარგი, — უთხრა ღმერთმა. — წაიღე, სადაც გინდა და გახსოვდეს: შენ შენი, მე ჩემი.

შეცდა ეშმაკი. ამოთხარა ნაყოფით დახუნძლული ხე, გაიღო მხარზე და გაუღდა გზას. მიდის, წყვეტს ნაყოფს და ჰამს. მიდის. მიდის, დაიღალა. ჩამოიღო ხე, დადგა მიწაზე.

— ა, პა, პა! — მოესმა ეშმაკს. — პირობა პირობაა. მიწა ჩემია. არ დადგა ხე.

რას იზამდა ეშმაკი? გაიღო ხე მხარზე, გაუღდა გზას. მიდის, მიდის. დაიღალა. ჩამოიღო ხე, დადგა მიწაზე.

— ა, პა, პა! მიწა ჩემია. — მოესმა ეშმაკს. — პირობა პირობაა!

რას იზამდა ეშმაკი? ისევ გაიღო ხე მხარზე, ისევ გაუღდა გზას.

და იმდენი იარა, და ისე მოიქანცა, რომ არაქათი გამოეღია. წაიქცა და მოჰყვა ქვეშ ხეს... ასე ხომ არაა ჩემი საქმე?

მიხამ გაიცინა. გაიცინა კირილემაც. არ ეცინებოდა, მაგრამ იფიქრა: ეგებ სიცილში მოღბეს ეს კაცო, ეგებ რამე გამოვიდესო...

— შენ ავაშენა ღმერთმა! როგორ გამაიცინე! — უთხრა მიხამ. — მაგრამ შენი არაკი უადგილოა. ბალი მართლა შეგრჩება შენ, მიწა კი... მიწა, ჩემო კირილე...

ახლა კი გაბრაზდა კირილე. უღვაშები აუქანკალდა. წამოდგა.

— ბატონო, არაკს შენ მეუბნები! ეს როგორ გავიგო: ხე — მე, მიწა — შენ...

— ისე უნდა გავიგო, რომ შენ მოგცეს ახალი ეზო, ახალი სახლი. სწორედ იქ, სადაც მე გეუბნებოდი. და მთელი შენი ბალი მოგერთმევა იქ. მოგერთმევა ისე, რომ ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდება.

ვერაფერი გაუგო მიხამ კირილემ. ადგა და კოლხიდმშენის უფროსთან წავიდა. კოლხიდმშენის უფროსი არ დახვდა. მშენებლობაზე წასულიყო დილიდანვე.

ხელ ვნახავო, გადაწყვიტა კირილემ და გასტრონომში გაიარა. ბავშვებს კამფეტები უყიდა და ცოლისძმისკენ

გასწია. კირილე რომ ეზოში შევრდა, ბავშვები გამოეფინენ, შემოეხვივნენ, კამფეტები დაირიგეს და ხარკეს: თათუშა მამიდა ჩამოვიდაო.

— თათუშა ჩამოვიდა? — გაეხარდა კირილეს. — სწორედ, რომ კარგ დროს ჩამოვიდა. ხელ წავიყვან. ვაჩვენებ ბალს. მერე ჩამოვიყვან ბავშვებს. როცა დაინახავენ ქალს და ბავშვებს, რას მეტყვიან? ბავშვებს ხომ ვერ გამოასახლებენ ჩემი ქოხიდან?

5.

შეე შავი ზღვისაკენ გადახრილიყო, როცა მეორე დღეს, თათუშა და კირილე ყორათის ახალშენს უახლოვდებოდნენ. კირილეს ბალისკენ მისასვლელი გზა ახალშენს უვლიდა. კირილე გვერდით მიჰყვებოდა ცოლს, თან უმტკიცებდა, რომ მთავარია, კაცს ჰქონდეს ეზო და ბალი. სახლს ყოველთვის დაიდგამსო.

— რატომ შენ არ დაიდგი? — გაეცინა თათუშას.

— კი, თათუ, კი, დაეიდგამ! — უთხრა კირილემ. — არ ხედავ რა ტყეებია გარშემო? მთავარი მაინც ბალია, ციტრუსის ბალი. გაიხედე, რამდენი ახალი სახლია სოფელში? არც ერთი ამ სახლის პატრონი არ მიჰყავთ გამოფენაზე. სახლი რა ბედენაა? მე შემარჩიეს კანდიდატად... კან-დი-და-ტად...

კირილემ სიტყვა დამარცვლა, რომ მეტი წონა მიეცა თავისი ნათქვამისთვის, და ამაყად შეხვდა ცოლს. ტყიდან გრილი ნიავი ჰქროდა და თათუშას ქერა თმებს ათამაშებდა.

— პო, რატომ დამსახეს კანდიდატად? ნაჭობარზე, ტყეში, უკაცრიელ ალაგას ახალი კულტურა მოვიყვანე. გესმის, კულტურა! ახლა მე ორი ხელობა მაქვს. დამათასეს, თათუ, დამათასეს.

კირილე მოუყვა ცოლს, ცოტა არ იყოს გაზვიადებულად, თუ რა მოხდა მის ბაღში ამ ორი დღის წინათ.

— ოჰ, რა კარგი ბალია! — წამოიძახა ერთგან თათუშამ და შეჩერდა, ხე-

ლი ჩაავლო კირილეს. — სახლიც რა კარგია!

კირილე შეჩერდა. გახედა ბაღს. მიბრუნდა, მობრუნდა. ისევ გახედა ბაღს. თვალეში ხელი ამოისვა.

— ოჰ, მე ვინ მადირსებს ასეთ სახლს, ასეთ ბაღს? — ამოიოხრა თათუშამ. და რადგან კირილე გაქვავებულივით იდგა, ცივად უთხრა: — წამოდი, შე კაცო, მარჯვენე ის შენი სამოთხე!

კირილე კი ისევ ისე გაქვავებულივით იდგა და უყურებდა ამ საოცარ ბაღს. საოცრება როგორ არ არის? ეს ხომ მისი ბაღია? მისი ხეები აქა დგას. ზღმარტლი რა არის, ისიც კი გადმოუტანიათ. ის ლიმონის ხეც, თათუშას სახელი რომ შეარქვა, თამამი და მაღალი.

— კირილე, რა დაგემართა? წავიდეთ! — ხელი მოჰკიდა ქმარს თათუშამ.

ტკბილმა სიტყვამ გონს მოიყვანა კირილე. გაუღიმა თათუშას და მერე თავის სახლს.

— სად წავიდეთ, თათუ, არ ჩემი ბაღი, ჩემი ოდა!

კირილე მიხედა ყველაფერს. მიხედა ნად ამოეპრათ ხეები და მანქანებით გადმოუტანიათ. მთელი ბაღი გადმოუტანიათ ახალ ეზოში, კირილეს თვალები აღუცმციმდა. შესანიშნავი მიწაა აქ, გრილია წყალი და უხვია მზე. იხარებს და განაგრძობს აქ სიცოცხლეს მისი ბაღი...

გასწორდა წელში ორმოცდაათი წლის კაცი, ამაყად შეხედა ცოლს.

— მობრძანდი, თათუშა! ბედნიერებაში, კეთილ ცხოვრებაში! — უთხრა და ჭიშკარი ფართოდ გაუღო.

თათუშა მხარზე მიეკრა კირილეს.

— კირილე, არ გადამრიო. ნუთუ შენია ეს მამული?! როგორ იშოვე-საიდან?

— როგორ თუ საიდან? — გაიმეორა კირილემ. — ქვეყნის დახმარებით, ბაჭტის და მთავრობის ხელშეწყობით. აბა როგორ გგონია შენ, ასე აფასებენ ადამიანის შრომას ჩვენში. ახლა გამოფენაზე ნახე შენი ქმარი, კან-დი-დატი... ახალი კულტურების მეზაღე.

პარიზი ზამთრის დასაწყისში

ნაწყობი რომანიდან „ცოცხლები იზრძვიან“



შეიდი საათისათვის მონ-პარნასის გარეუბანში უნდა ვიყო. საკმაოდ დიდი დრო მაქვს, თავისუფლად შემოძლია გავემზადო და ფეხით წავიდე ბულვარ სენტ-ფერმანით. მითხრეს, ფრთხილად ვყოფილიყავი, არავინ მენახა სადილობამდე. ჯერ შევედი ბულვარის ერთ-ერთ კინოთეატრში, შემდეგ შევცქეროდი ახალი ხიდის გვერდზე მყოფ მეთევზეებს. დარწმუნებული ვიყავი, რომ არავინ მითვალთვალებდა.

ისეთ მოუთმენლობას ვიჩენ, როგორსაც მეზღვაური, რომელიც უახლოვდება ნავსადგურს. აღსავსე ვარ უდიდესი სიხარულით იმის გამო, რომ ვცოცხლობ და თავს თავისუფლად ვგრძნობ. ერთი თვის წინ ორლეანის ციხეში ვიჯექი. არაფრით არ შემეძლო დამევიწყებინა ქალის ყვირილი, რომელიც მოისმოდა რომელიღაც ფერმიდან, სადაც ჩვენ გზა გადავიჭრა პირველმა მოტორიზებულმა კოლონამ. მე გამოვიქეცი ციხიდან 1940 წ. 30 ნოემბერს. დღეს უკვე დავდიოდი პარიზის ქუჩებში 300 ფრანკით ჯიბეში.

— სად წავიდე? როგორ მოვიქცე, რომ შევხვდე ჩემს მეგობრებს?

რამდენიმე ოჯახი, რომელთაც მე ვიცნობდი, კარგამოკეტილი იყო, ჩემს შეკითხვაზე მიპასუხებდნენ: „წავიდნენ აქედან, არ დაუტოვებიათ მისამართი“. ჩემი ბინა, სადაც ღამით მივედი, მთლიანად გაჩხრეკილი იყო, ბიბლიოთეკა კი — გატაცებული, განიავებული. გულმოკლულმა დავტოვე ჩემი პატარა ოთახი დილის 5 საათზე. საბედნიეროდ, გამახსენდა ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც ყავახანის გამგედ მუშა-

ობდა გარეუბანში. მე გავემართე მისკენ და შევხვდი მას, მომლიმარეს, თავის სახლთან. მთელმა ოჯახმა მხიარული ყრიაშული ატეხა ჩემს დანახვაზე. გაშლილ სუფრას კიდევ ერთი ჭურჭელი მიემატა ჩემს გამო. ამ დღის მენიუ დამშვენებული იყო შემწვარი ბატიო. ჩემი მეგობარი ჩავიდა თავის სარდაფში, რათა ძველი ღვინო ამოეტანა და ყოველ ამოტანაზე გვარწმუნებდა, რომ ეს ბოთლი უკანასკნელი იყო. როდესაც საუზმე დავაშთავრეთ და ბავშვები წავიდნენ, მან მითხრა:

— რასაკვირველია, კავშირს ეძებ.

— კეშმარიტებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მესიამოვნებოდა შენთან შეხვედრა.

— მაშ კარგი, — მითხრა უბრალოდ, — სექტორის მონაწილე ამალამ აქ მოვა და მასალას მოიტანს.

— აქა? — ეს არ არის მაინცდამაინც მიზანშეწონილი, ალბათ ისინი შენ გითვალთვალებენ. ახლა არ მითხარი, რომ ქალაქში ჩვენი ცნობილი ამხანაგების უმეტესი ნაწილი უკვე დაპატიმრებულია?

— ეგ მართალია, მაგრამ სხვა არჩევანი არა გვაქვს. ჩვენ უკვე ორჯერ გავჩხრაკეს, მაგრამ მასალა ძალიან კარგად იყო შენახული და ვერ მიაგნეს. უნდა ითქვას, რომ ამჟამად არ არის საშუალება მისი სხვა ადგილას შენახვისა, საჭიროა ვინმემ დამალოს იგი.

ნასადილევს გავეცანი დაბეჭდილ მასალას. აქ იყო პროკლამაციები, ბროშურები და საწერ მანქანაზე დაბეჭდილი გაზეთის რამდენიმე ნომერი. ვკითხუ-

ლობდი რა ამ მასალას, ხელმეორედ განვიცდიდი იმ გრძნობას, რომელიც უკვე ოდესღაც განვიცადე. აქ იყო ერთი ეგზემპლარი იატაკქვეშა „ლუმანიტე“-ში. 1940 წლის ივლისიდან ჩვენ უკვე მთლად გაფანტული ვიყავით ბანაკებში.

„საფრანგეთი, რომელსაც ასეთი წარმტაცი წარსული აქვს, არ დაიხო-ქებს იმ ლაქების წინაშე, რომელნიც მზად იყვნენ ყოველგვარი კუჭუყიანი საქმისათვის. არა გაიძვერა, არა გამყიდველი პოლიტიკოსი, არამედ ძლევამოსილი სარდალი შეძლებს ხელმეორედ აღამაღლოს და ააყვავოს საფრანგეთი.“

ხალხს დიდი იმედი აქვს, იმედი განთავისუფლებისა! მოწერილი იყო ორი გვარი: შორის ტორეზი და ჟაკ დიუკლო.

იმავე საღამოს გამაცნეს ის ამხანაგი, რომელსაც უნდა მიეღო ეს მასალა. იგი მე მიცნობდა და შემპირდა, რომ გამაცნობდა თავიანთ ხელმძღვანელს.

მეორე დღეს იმ ამხანაგს დანიშნულ ადგილას დაველოდე. განცვიფრებული დავრჩი მეგობართან შეხვედრით, ის მე საკონცენტრაციო ბანაკში მეგონა. მალთემ შეძლო გაპარვა ევაკუაციის დროს, როდესაც მისი ნაწილი ხელში ჩაიგდეს გერმანელებმა. ამ დღეს მე ველოდი ბევრ სხვა მოულოდნელ შეხვედრას. იმავე დღეს მქონდა მეორე შეხვედრა. იღბალი გქონია, — მითხრა ჩემმა მეგობარმა ჩემთან მოახლოების დროს, — შენ გეძებდი! იმავე საღამოს მან გამაცნო ერთი ქალი, რომელსაც მე არ ვიცნობდი. ამასთანავე, დამინიშნა შეხვედრის ადგილი და დრო. მე მას მეორე დღეს უნდა შეხვედროდი მეტრო კორვიზარის სადგურთან. მეორე დღეს დანიშნულ ადგილას მე ვნახე ლორანი*. გავემარ-

თეთ დიდი ყვახანისაკენ იტალიის მოედანზე. მან ძალიან თავაზიანად გამაცნო თავისი ახლანდელი მდგომარეობა.

— ჩვენ ყოველდღე ვბეჭდავთ გაზეთებს, ასიათასზე მეტ ეგზემპლარს, პარიზის უბანშივე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ პარტია ამჟამად ბეჭდავს უფრო მეტ ბროშურებს, ვიდრე ომამდე ბეჭდავდა.

მე თითქოს სიზმარში ვგრძნობდი თავს.

რასაც ვხედავდი და რაც მესმოდა, მარწმუნებდა, რომ პარტიამ შეძლო მთლიანად დაეჭირა ხელში თავისი ორგანიზაცია. ეს იყო სწორი და კარგი საქმე. მე მივეცი ლორანს რამდენიმე შეკითხვა იმათ შესახებ, ვინც პარტიმ რად იყო, აგრეთვე სხვების მდგომარეობაზეც შევეკითხე. როდესაც იგი მიპასუხებდა — „ის ჯანმრთელია“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის პიროვნება დაბრუნებული იყო თავის ადგილზე. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი, ბევრი რამ იყო საჭირო, რომ ეს საქმე გაეთებულყო, ციხეები კი საესე იყო ჩვენებით.

დღესაც თვალწინ მიდგას ლორანის ნლობით აღსაესე თვალეები, თითქოს ყურში კიდევ ჩამესმის იმ ბრძოლის ყვირინა, რომელიც უნდა დაწყებულიყო მშობლიური მიწის გასათავისუფლებლად.

ოპ, როგორ უყვარდა მას თავისი სამშობლო! მე მას არასდროს არ შეხვედრივარ მას შემდეგ, რაც მან მრავალი გაფრთხილება და დარიგება მომცა, რომ თავი დამეზღვია პოლიციის დევნისაგან. მან მე საარსებოდ გადმომცა 1000 ფრანკის ბილეთი და რამდენიმე ბონი. მითხრა, რომ მოვსულიყავი ორი დღის შემდეგ იმავე ადგილას, სადაც ჩვენ დავშორდით.

მესამე დღეს, როდესაც დანიშნულ ადგილას მივედი, დავინახე ჩემსკენ მომავალი ემილი. მაგრამ ეს თითქოს ვი-

* 1941 წ. 24 სექტემბერს ლორანი პეტენა ბრძანებით დასჯილი იქნა ვილიოტინით.

დაც სხვა, უცნობი ემილი იყო. მას ეცვა გრძელი პალტო, ეხურა მაღალი ცილინდრი, რომლის ფარფლებიც გვერდებზე აწეული ჰქონდა, თვალბზე სათვალე ეკეთა, მოშვებული ულვაშები ჰქონდა. ერთადერთი, რის დაფარვაც ვერ შეძლო, ეს იყო კრილობა ტუჩს ზევით. სწორედ ამ ნიშნით ვიცანი იგი. ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს, რის შემდეგ მან სასადილოდ წამიყვანა. მიბრძანა მეშოვნა ბინა, რომელიც მხოლოდ მე მეცოდინებოდა და სადაც ცოლთან ერთად ვიცხოვრებდი შეცვლილი გვართ. ახალ განკარგულებამდე, გარდა ლორანისა, არავისთან არ უნდა მქონოდა კავშირი. ყველას, ახლონათესაებს და აგრეთვე იმათაც, ვინც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ამხანაგი იყო, ჩემი თავი ციხეში მყოფად უნდა ჩაეთვალათ, რომ მქონოდა უშიშრად მუშაობის შესაძლებლობა.

შემდეგ დღეებში ემილი, რომელიც, როგორც მივხვდი, უამრავი საქმით დატვირთული იყო, როგორც ბავშვს, ისე დამტრიალებდა. მან მომცა არსებობის საშუალება, რომ იაფად მოეწყობილიყავი და აგრეთვე შემესრულებინა ის დავალება, რომელიც მე მქონდა დაკისრებული. ეს იყო დასაწყისი ჩემი იატაკქვეშა მუშაობისა.



მოხეტიალეს, რომელიც ამ საღამოს წყნარი ნაბიჯით მიიმართებოდა მონპარნასის მიმართულებით, ჯიბეში ცნობა ჰქონდა, რომ ის რობერტ დიბრეისი იყო. მეეზოვის თვალის ასახვევად იგი მუშაობდა, როგორც პოლიციის მუშაკი და სამუშაოდან ბრუნდებოდა ყოველთვის ერთსა და იმავე დროს. ქუჩაში იგი ისეთივე გამვლელი იყო, როგორც ყველა სხვა, იმათთვის კი, ვინც პირადად არ იცნობდა, იყო რობერტ დიბრეისი.

შვიდის თხუთმეტი წუთია, მე ვტოვებ ბულვარ სენტ-ჟერმესს, მივდივარ რენის ქუჩით და თხუთმეტი წუთის შემდეგ ვხვდები ემილს გოეთეს ქუჩაზე, კინოთეატრის დიდ დარბაზში. ემილი შემოვიდა. მან საჩქაროდ წამიყვანა მეზობელი ქუჩისაკენ. მალე ჩვენ შევდივართ სადგურის ახლოს დიდ ყაუხანაში, რომლის ფარდებიც დაშვებული იყო სინათლის შესანიღბავად. ემილმა დარბაზში ისე შემიყვანა, როგორც ოჯახში. ის ყოველ ნაბიჯზე დაკვირვებით ათვალეირებდა იქ მყოფი კლიენტების სახეებს. დარბაზის სიღრმეში ერთ-ერთ მაგიდასთან განმარტოებით იჯდა ახალგაზრდა ქალი. მან ჩვენ გაგვიღიმა. მე იგი ვიცანა, როგორც ოჯახში. ის ყოველ ნადავებზე ერთმანეთს, რის შემდეგაც ისე დავეჯექი მის გვერდში, თითქოს მისი ქმარი მე ვყოფილიყავი. ემილი დაჯდა ჩვენს პირდაპირ. მან იქ მყოფთა თვალეირება დაიწყო.

შეყვარებულთა ორი წყვილი ერთმანეთს ტუჩებში კოცნიდა. ერთი კოხტად ჩაცმული ქალი საათს დასცქეროდა.

„ესენი საშიში პირები არ არიან“, — თქვა კმაყოფილებით ემილმა.

მალე ჩვენ მაგიდასთან მოვიდა მოსამსახურე ბიჭი, მე მას ვუთხარი, არაყი მოეტანა. ემილმა გვითხრა, რომ მთელი დღის განმავლობაში საშუალება არა ჰქონდა, რამე ეჭამა, ახლა თავისთვის შეუკვთა ბივრტექსი პამიდორით და ერთი ულუფა კექსი, რისთვისაც მას გადაუხდის რამდენიმე პურის ბარათს. ათი წუთის შემდეგ ემილი გეტოვებს. ამასთანავე, უკანასკნელად გეაფრთხილებს:

— ძალიან ფხიზლად იყავით!

შვიდ საათზე ჩვენ ყაუხანიდან გამოვდივართ მკლავგაყრილები. როგორც კი კარის ზღურბლს გადმოვბაძივთ, შევნიშნე ერთი კაცი, რომელიც ადგა და ჩვენი მიმართულებით წამოვიდა. გარეთ

უკვე ბნელოდა. მე ამდღევა იმ აზრმა, რომ ეს კაცი უსათუოდ ჩვენს ნაბიჯებს გამოჰყვა, მაგრამ ემილის მეუღლემ, სიღონიამ, სწრაფად გამარკვია:

— ეს ალბერტია, დამშვიდებული იყავი!

ასიოდე მეტრის მოშორებით ერთ განაპირა ქუჩაზე ვჩერდებით და ველოდებით მას.

— როგორა ხარ?

ვიცანი ხმაზე. ბედნიერები ამ შეხვედრით ვკოცნით ერთმანეთს.

მისი სიახლოვით ვგრძნობ ენით აუწერელ სიხარულს და მღელვარებას.

— მაშ, შენ ვერ მიცანი, როდესაც მე წამოვდექი ყაფახანაში?

— ვერა, სრულებითაც ვერ ვიცანი, სწორედ რომ კარგად შენიღბულხარ.

სამივენი მივამბიჯებდით ჩაბნელებულ ქუჩაში. მივდიოდით მხოლოდ პატარა და ვიწრო ქუჩებით. არ შეიძლება ამ ქუჩების ცნობა. სხვათაშორის, მე ქუჩებზე არა ვფიქრობდი, სიღონიას მივყავდი, ის მიხვეულ-მოხვეული გზებით გვატარებდა, რომ დაეთარა ჩვენი გზაკვალი. მზრუნველობით აღსავსე ალბერტი მეკითხება ჩემი ჯანმრთელობის შესახებ. რაც შეეხება მას, მითხრა, რომ შეძლო საზღვარზე დროულად გადასვლით თავი დაეღწია გერმანელებისაგან, რომ ხელში არ ჩავარდნოდა მათ.

ნახევარი საათის სიარულისა და უკანასკნელი შემოწმების შემდეგ ვიგრძენით, რომ გვიოთვალთვალებდნენ. სიღონიამ აგვიხსნა, რაც უნდა გაგვეკეთებინა.

მე უნდა მეარა წინ მასთან ერთად, ხოლო ალბერტი ჩუმიად დაგვედევნებოდა და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა შემოსულიყო იმ ოთახში, სადაც ჩვენ შევიდოდით. ჩვენი ასეთი დაქსაქსვა საჭირო იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად არ გაგვევლო მწვერავთა ბინის წინ. ალბერტი ლიფტით უნდა ასულიყო მეოთხე სართულზე და იქ დაეცადა. ყველაფერი ისე შე-

სრულდა, როგორც ნათქვამი იყო. მალე ჩვენ ავედით კიბის პატარა მოედანზე. აქ სიღონიამ ერთ-ერთს ვერ დარეკა. კარი მაშინვე გაიღო. ერთმა ქალმა, რომლის ზურგის მეტი არაფერი არ დამინახავს, კარი გაგვიღო, თვითონ კი მეზობელ ოთახში გავიდა. მე მოეხვედი პატარა ოთახში, რომელშიც არავითარი ავეჯი არ იყო, გარდა ერთი სავარძლისა და მაგიდისა. სიღონია კარების დაკეტვასთან ერთად გავიდა ოთახიდან. ჩვენ მარტო დავრჩით.

— შეგვიძლია ვილაპარაკოთ, მაგრამ ხმადაბლა, — მითხრა ალბერტმა.

მაგიდაზე შევნიშნე ერთი გრაფინი ალუბლის სასმელი და სამი ქიქა. მე ალბერტს ვკითხე:

— ველით ვინმეს?

— შეიძლება, — მიბასუხა მან.

ერთი საკითხი ბაგეებს მწვეავდა.

— მოგვივიდა თუ არა ახალი ამბავი ჩვენი მეგობრებისაგან?

— კი, ისინი ძალიან კარგად არიან ამაში შენ მალე დარწმუნდები.

ცნობისმოყვარეობა მძლევედა, მაგრამ ვითმენდი. ალბერტმა ამოიღო ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი, ერთი სიგარეტი მომაწოდა, ცეცხლი მოუკიდა და თან შემეკითხა, თუ რას ვფიქრობდი საერთო მდგომარეობაზე.

ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს შეხედულებებს. ამ საუბარში განვლო რამდენიმე ზანმა. უეცრად კარი გაიღო და სწრაფადვე დაიხურა.

— ჟაკ!

მე არ შემეძლო, ხმამალა არ დამეძახა. ჟაკი ჯანსაღად იყო. ის სახეგაბრწყინებელი გადამეხვია. ალბერტს, რომელსაც ჟაკის ნახვა არ გაკვირვებია, მაგრად ჩამოართვა ხელი, რის შემდეგ იგი მესამე სკამზე დაჯდა. ჟაკმა საათს დახედა და მოგვიმართა:

— ჩემს განკარგულებაში ერთი საათია.

ის სიყვარულით შემეკითხა ჩემი მდგომარეობის შესახებ. მკითხა დედის,

ცოლის ჯანმრთელობის შესახებ და საქმეზე დაიწყო ლაპარაკი.

— ჩვენ ვაწარმოებთ უდიდეს და ხანგრძლივ ბრძოლას. ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ომის ყველა ეტაპი, მაგრამ უეჭველია, რომ ბოლოსდაბოლოს დემოკრატია გაიმარჯვებს!

საფრანგეთმა, რომელიც ამჟამად გაყიდულია გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტებზე, უნდა მოიპოვოს რევოლუციის ისეთი რამ, რაც მას მთლიანად გაათავისუფლებს. მე მაგონდება ერთი წინადადება, რომელსაც განუთები ყოველდღე იმეორებენ: „ჩვენ დამარცხებულნი ვართ!“

... დადგება ის დღეც, როდესაც ამერიკა თავის ადგილს დაიკავებს ომში, რომელიც ახლა დაიწყო... ის დღეც დადგება, როდესაც საბჭოთა კავშირიც ჩაებმევა ამ ომში. არავითარი ეჭვი არ გვებარება იმაში, რომ წითელი არმია გადამწყვეტ დახმარებას აღმოუჩენს მთელს კავშირიობას მისი განთავისუფლების საქმეში.

ალბერტი მობრუნდა და ჩვენ ერთმანეთს გაეუცინეთ. უაკი, რომელიც ორივე ხელით მაგიდაზე იყო დაყრდნობილი, განაგრძობდა თავის საუბარს:

— გარემოებით შექმნილმა დახმარებამ უსათუოდ უნდა გააძლიეროს შინაგანი ბრძოლა. თავის მხრივ შინაგანი ბრძოლის გაძლიერებას შეუძლია დაახჩაროს გარეგანი ძალების ამოქმედება.

უაკმა შემოგვხედა, ის ჩვენი თანხმობის ნიშანს ელოდა. ალბერტმა თავი დახარა. მას არ ჰქონდა დრო და საშუალება ცეცხლი მოეკიდა ჩიბუხისათვის, რომელიც უკვე ჩამჭარალიყო.

— ამგვარად, ყველაფერი ნათელია. უეჭველია, უნდა გავაჩალოთ ბრძოლა ოკუპანტებისა და ვიშელ მოლაღატეების წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი მიზანი. ეს ის ბრძოლაა, რომელსაც ჩვენ ბოლომდე უნდა მივდიოთ!

— უფრო ხმადაბლა ილაპარაკე, — მიმართა მას ალბერტმა, — მეზობლის

ოთახი ფანერის ტიხრით არის გაყოფილი.

— შენი აზრით, შეგიძლებოდა გეგებონ?

— არა, მაგრამ სილონიამ გვირჩია ხმადაბლა გველაპარაკა.

— მაშასადამე, მე იმას ვამბობდი, რომ საჭიროა ბრძოლა განვაგრძოთ. ჩვენებს ყოველდღე აპატიმრებენ, სიკვდილით ჯერ არ დაუსჯიათ, მაგრამ ეგეც ალბათ მალე იქნება.

ქუჩაში გაისმა სასტევენის ხმა. ეს იყო შენიღბვის ჩვეულებრივი წესრიგის დამცველი. იმავე წუთს ფანჯრისაკენ მივიხედეთ. ფარდები ბოლომდე დაშვებული იყო, სინათლე გარეთ არ გავიდოდა. ასე რომ, ეს სტენა ჩვენ არ გვეხებოდა. უაკმა განაგრძო:

— საბოლოო მიზანი მტრებისა ჩვენი თვის ნათელია. მათ სურთ დაარბიონ ჩვენი ორგანიზაციები. აგრეთვე ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ იმ რიგებში, ვინც იბრძვის პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ისეთებიც იმყოფებიან, რომელთაც არ ეწყინებათ ჩვენი მთლიანი განადგურება. ასეთი მოქმედების გამო უნდა ვფხიზლობდეთ და პარტიას ისევე უნდა ვიცავდეთ და ვუფრთხილდებოდეთ, როგორც თვალის ჩინს. ჩვენმა დაპატიმრებულმა აქტივისტებმა არ უნდა დაიკადონ მანამდე, სანამ მტერი გააფთრებით დაიწყებდეს პატრიოტების ხოცვა-ჟლეტას. ისინი უნდა გავათავისუფლოთ ყოველგვარი ღონისძიებით. დანარჩენებს კი უფლება არა აქვთ ხელში ჩაუვარდნენ, თავი დააპატიმრებინონ.

— ჩემად, კიბიდან ლაპარაკი მოისმის!

— მე მგონია, ისინი გვერდით შედიან. კარზე ახლაზან დააკაკუნეს. სილონია გაგვაფრთხილებს, თუ რამე იქნება. — შენიშნა ალბერტმა.

უაკმა განაგრძო.

— მაშასადამე, ჩვენ უნდა შემოვიღოთ რეინისებური დისციპლინა. არ

შეიძლება იმის დაშვება, რომ დაქვრები ისევე გაგრძელდეს, როგორც დღემდე იყო. მთელი ჩვენი ორგანიზაცია მთლიანად უნდა გარდაიქმნეს!

ამ დროს კარზე ვილატამ დააკაკუნა. სიღონამ კარებში თავი შემოპყრო და ჩუმიად გვითხრა:

— მეზობლები ახლახან დაბრუნდნენ. ხშირად ნუ ლაპარაკობთ, მათი ოთახი ამ ოთახის გვერდითაა.

— იცით თუ არა თქვენ, — განაგრძობს ქაი, — ჩვენ უნდა ავიღოთ მაგალითი სამხედრო გემისაგან. კრეისერი აშენებულია იმგვარად, რომ შეიძლება დახვრიტონ ერთ ან რამდენიმე ადგილას, მიუხედავად ამისა, ის განაგრძობს სვლას და არ იძირება. ჩვენც ამ მაგალითით უნდა ვისარგებლოთ, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი ორგანიზაციის სისტემა!

ქაიმა ჩვეულებრივი ქესტით საათს ყური დაადო და იკითხა:

— რომელი საათია?

— ო, უკვე ცხრას შეიძი წუთი აკლია. — უპასუხა ალბერტმა, — შენს განკარგულებაში მხოლოდ 20 წუთია.

— საქმარისია. რაც არის საქირო, იცით. საქიროა შრომა. უნდა ვიმშრომოთ, რათა ის დავალება შევასრულოთ, რომელიც მივიღეთ. ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ არ შევანეროთ ჩვენი ყოველდღიური მოქმედება. სულ მალე საფრანგეთში, რომელსაც ამჟამად მტრები ძარცვავენ, დაიწყება შიმშილის ამბოხება. საქიროა ამ ამბოხების გაძლიერება, ხელმძღვანელობა, ორგანიზება, იმიტომ რომ დღეიდან ყველა სახალხო მოქმედება, როგორც არ უნდა იყოს ის და რა სახეც არ უნდა ჰქონდეს მას, იქნება ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ. ეს არის პატრიოტული მოქმედება, რომელიც ჯანთავისუფლებისათვის ნიადაგს ამზადებს. — ქაი გაჩუმდა.

და. იგი თხუთმეტი წუთის შემდეგ უნდა წავიდეს. ის კოვსს ჰყოფს ქილაში, რემელშიც ალუბლის სასმელს დაიჭურვებს ჩვენს ჭიქებს. თვალმოუშორებლად გვეკითხება, თუ რას ვფიქრობთ ჩვენს საერთო საქმეზე.

მე ოდნავ ვიბნევი, ერთი წუთით ვჩუმდები და ვფიქრობ. მაშინ ის მიხსნის, თუ რას ელიან ჩემგან. ის მე მამლევს ყველა საქირო განმარტებას იმ თანამდებობის შესახებ, რომელიც მე უნდა დავეკავო.

ალბერტი, რომელსაც დღეგამოშვებით უნდა შევხვდე, შემახვედრებს პარტიის ხელმძღვანელთან. ის იქნება უშუალო პასუხისმგებელი ჩემზე. კრების დამთავრებისას ქაი უამრავ რჩევას გვაძლევს, არა სტოვებს უყურადღებოდ უბრალო, პატარა რამესაც კი იატაკქვეშა მუშაობიდან.

ქაი დიუკლო ჰგავდა მამას, რომელიც შეილებს სიყვარულით ელაპარაკება. ის ჩვენს შორის იდგა, აშკარად ემჩნეოდა მღელვარება, გვეკონიდა და გვეუბნებოდა: მე თქვენ მალე გნახავთ. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ყველაფერი მოწყვრიდება. იგი ჩვენ გვტოვებს ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ. იმ წუთში მე ვგრძობდი რაღაც ზედაშიანურ ძალას. ალბერტი მაგიდაზე რუქას შლის და მაცნობს პარიზის ოლქის ახალ დანაყოფებს. რამდენიმე წუთის შემდეგ სიღონია მოდის ჩვენს წასაყვანად. ბინას ისე ვტოვებთ, რომ გზაში არავის ვხვდებით. ყარაულის ოთახი განათებული არ იყო. «გააღეთ, თუ შეიძლება!» ჩვენ ქუჩაში გავდივართ. მე მეგონა მივიდიოდით იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რომლითაც ჩვენ მოვედი. ბნელოდა. დაახლოებით ოცი წუთის სიარულის შემდეგ ჩვენი ხელმძღვანელი გვეუბნება:

— განაგრძეთ პირდაპირ სიარული და მეტროსთან მიხვალთ, ის აქედან დაშორებულია ასი მეტრით.

მივედიოთ იმ ადგილას და მე ვიცანი ქუჩისეხ მოედანი.

ალბერტი მეორე დღისათვის მინიშნავს შეხვედრის დროს. უნდა შევხვდეთ პატარა ყავახანაში, მოედნის კუთხეში. მეტროშივე ვემშვიდობებით ერთმანეთს და თვითეული ჩვენთაგანი საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ამ წუთიდან დაწყებული ჩვენ ერთმანეთს აღარ ვიცნობთ.

სალამოს ათი საათია.

მე მივდივარ შატელის მიმართულე-

ბით, ჯიბიდან გაზეთს ვიღებ და დაბნეულად ვათვალიერებ, რომ როგორმე დავმშვიდდე.

გაზეთის მარცხენა მხარეს, „სხვადასხვა ამბებში“ გამოცხადებული იყო ცნობა პარიზის ოლქში კომუნისტური ორგანიზაციის წევრების დაპატიმრების შესახებ.

ისინი ჩვენ ჯერ ვერ დაგვიჭერენ! ახლა მე ვიცი, რომ პარიზში არიან ადამიანები, რომელთაც ყველაფერი ესმიათ და რომელთაც მაგრად უჭირავთ საკე იმ გემისა, რომელშიც მეც დავიკავე ადგილი ბრძოლისათვის.

თარგმანი **თამარ შვალაშვილიშვილისა**

ტემ, რომელსაც გული უფრო მეტად მოუვიდა იმ ირონიულ ღიმილზე, რომელიც თავმჯდომარის გაღაყდაცხულ სახეს არ სცილდებოდა.

— ისე, ჩემო ესტატე, რომ მოხუციდი და აღარა გაგეგება-რა. წისქვილის შეკეთებას ბევრი ფული უნდა, მინდს კი სახელმწიფო წაიღებს და აბა, მითხარი, ჩვენ რა სარგებლობა უხდა მოგვიტანის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, წისქვილი ძველია და რა საჭიროა მისი შეკეთება. ცოტაც იცოცხლე და ნახავ, როგორ ელექტროწისქვილს ავაშენებთ. — თქვა ეს თავმჯდომარემ დიდმნიშვნელოვნად და ნაბიჯს უფრო აუჩქარა, რითაც თითქოს იმის თქმა უნდოდა, რომ ლაპარაკს დამთავრებულად ვთვლიო.

სოფლის თავში თავმჯდომარე ესტატეს დაემშვიდობა და ფერმისაკენ გადაუხვია. მოხუცმა კი გზა განაგრძო. მიდიოდა ესტატე და ფიქრობდა, თანაც თავის ნაფიქრალს ხმამაღლა ამბობდა:

— ერიპა, რა ყოფილა ეს სურამელი. როცა ზრივადირად მუშაობდა თავმჯდომარი, გულისხმიერი და შრომისმოყვარე კაცი იყო. ახლა კი მამალ ინდუტრით გაფხორილი დადის, ცივი და შიუკარბელი გახდა, ხმაც რომ გამოეცვალა?! თავი კოლმეურნეობის ბატონ-ბატონი ჰგონია და რასაც გინდა, იმას აკეთებს. კარგი-და, ერთი ეს უნდა ვიკითხო, საიდან იცის თავმჯდომარემ, ცოტას ვიცოცხლებ, თუ ბევრს. არ იცის, ხომ მამ, რას მეუბნება, ცოტა კიდევ იცოცხლეო. ცოტას კი არა, რაც მიცოცხლია, ერთ იმდენს კიდევ ვიცოცხლებ, მამ, აბა რა ჰგონია ჩვენს თავმჯდომარეს. მოიცა! ძია ესტატე შეჩერდა და ფერმისაკენ შეტრიალდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე აღარ ჩანდა.

— აი. სწორედ ამაზე იტყვიან: კაცი გორში გალახეს და გული ჯავაში მოუვიდაო, — გაიღიმა ესტატემ, უცბად ხელი გაიჭინა, თითქოს ვიღაცას დაემუქრაო, და გზა განაგრძო.



— ბიჭებო, ძია ესტატეს აბჯარი აუხსამს და კრებაზე მოდის, — ჩაილაპარაკა რომელიღაც კოლმეურნემ. აბჯარს ამის შთქმელი აღბათ უწოდებდა კომბალს, რომელიც ძია ესტატეს მხოლოდ საღამოობით ეჭირა ხელში.

მართალია, ჩუმიად იყო ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ მოხუცის მახვილმა სმენამ კარგად გაიგონა. „აღბათ მართლაც მოვხუციდი“, ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა მან და ელნათურებით განათებულ კლუბში შევიდა. ვიღამ არ შესთავაზა სკამი, მაგრამ ყველას ესტატე თავის დაკვრით მადლობას უხდიდა და წინ მიიწევდა. პირველ რიგში რამდენიმე სკამი იყო ცარიელი. განაპირა სკამს წამოაფლო ხელი და ზედ სცენის ძირას დადგა. ქუდი მოიხადა, კომბალი სცენაზე მიაყუდა, კლუბში მოსულ ხალხს თვალი გადაავლო და სკამზე ჩამოჯდა.

ესტატე მეტისმეტი კეთილი, სათნო ადამიანი იყო. იმისგან წყენა კაცს არ ახსოვდა სოფელში. ახალგაზრდობაში თითოთ საჩვენებელი ვაკეკაცი იყო: შრომისმოყვარე, მუყაითი, პურადი. ახლაც თავი ყოჩაღად ეჭირა. ეს არის, კოლმეურნეობაში აღარ მუშაობდა, თორემ საკუთარ ოჯახში, რომელიც შვილებით, შვილიშვილებითა და შვილიშვილიშვილებით ოც სულზე მეტს ითვლიდა, რაღას არ აკეთებდა. ვაზის ისეთი კარგი გასხვლა იცოდა, რომ მთელ სოფელში კაცი ვერ შეედრებოდა.

ადრე ძია ესტატე კოლმეურნეობის არც ერთ კრებას არ გამოტოვებდა, ისე საკითხი არ განიხილებოდა, რომ მას სიტყვა არ წარმოეთქვა. ამ ბოლო დროს კი, რაკი-ლა კოლმეურნეობაში არ მუშაობდა, ეგონა, მის ნათქვამს ფასი არ ექნებოდა. აბა, მამ რა უნდოდა კრებაზე! აკი ამიტომ სათოფედ არ ეკარებოდა კლუბს. დღეს კი...

დღეს კი გულმა ვერ მოუთმინა მოხუც ესტატეს.

კრება დაიწყო.

დღის წესრიგში შემინდვრეობის საკითხი იდგა.

ძია ესტატე ყურადღებით უსმენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოხსენებას. სურამელის შემდეგ რამდენიმე კაცმა ილაპარაკა. ბოლოს, როცა კრების თავმჯდომარემ იკითხა, კიდევ ხომ არავის უნდა გამოსვლაო, ძია ესტატე მორიდებით წამოდგა და კრების თავმჯდომარეს კი არა, ხალხს მიმართა, სალაპარაკო მაქვსო.

კლუბში ჩურჩული ატყდა. მოხუცებმა სკამები წინ წასწიეს და ესტატესაკენ ის ყურები შეატრიალეს, რომლითაც უკეთ ესმოდათ.

— ხალხო და ჯამათნო, — გაუბედავად წამოიწყო ძია ესტატემ, ჯერ ხალხს მოაელო თვალი და შემდეგ პრეზიდენტი მსხდომებს სათითაოდ შეხედა. — წისქვილზე მინდა ვილაპარაკო. წისქვილის საკითხს კარგად უნდა გავეცნოთ, ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ.

— ვინ გიმლის, ძია ესტატე, გაეცანი და ასწონ-დასწონე. — წამოიყვირა ვილაცამ უკანა რიგიდან. კლუბში სიცილი გაისმა. განსაკუთრებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე იცინოდა. საწყობის გამგემ და მოანგარიშემ რომ დაინახეს თავმჯდომარე იცინისო, გულიანად გადაიხარხარეს, თუმცა ძნელი შესამჩნევი არ იყო, რომ ერთიც და მეორეც ნაძალადევად იცინოდა. უხერხულობაში ჩავარდნილმა მოხუცმა კომბალს წამოაელო ხელი, იატაკზე რამდენჯერმე დააკაუნა და ხმამაღლა დაიძახა:

— ხალხო, რახან სიტყვა მომეცით, მომისმინეთ კიდევ.

— ილაპარაკე, ილაპარაკე, ძია ესტატე, — ერთდროულად გაისმა რამდენიმე კოლმეურნის ხმა.

ესტატემაც ჩვეული სიღარბისლით ილაპარაკა, თუ რა ძნელი იყო კოლ-

მეურნეებისათვის უწისქვილოდ ცხოვრება, თუ როგორ უჭირდა ხალხს ხუთი კილომეტრით დამორტყმულ წისქვილში საფქვეავის წაღება ამ განუხრებელი მუშაობის დროს. გაიხსენა ისიც, თუ რამდენჯერ დააყენა ეს საკითხი სოფელმა თავმჯდომარის წინაშე, მაგრამ სურამელი არაფრად აგდებდა ხალხის ჩივილს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჯერ ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფრად აგდებდა მოხუცის ლაპარაკს, ერთთავად ილიმებოდა. თანდათან ხასიათი შეეცვალა, აწითლდა, ალღელება შეეტყუა. ერთხელ ზარიც კი დააწყარუნა. ეს კი სრულიად ზედმეტი იყო, რადგან კრების მონაწილენი ესტატეს დიდი ყურადღებით უსმენდნენ. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა სურამელმა აღღებების დასაფარავად ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და ვითომ ბლოკნოტში შენიშვნებს იწერდა, ნამდვილად კი რაღაც უაზრო სიტყვებს ჯღაბნიდა.

უცებ ესტატე სცენაზე ავიდა, მაგიდის წინ შეჩერდა და იატაკზე კომბლის კაქუნით თავმჯდომარეს ხმამაღლა მიმართა:

— რომ მეუბნები, შეილო, ძველი კაცი ხარო, მერე რა მოხდა? განა ხანდაზმულობით კაცი დაიძრახება? თუ მკითხავ, მე კი არა, შენ ხარ ძველი კაცი, რომ ძველებურად ლაპარაკობ. ამბობ, წისქვილის შეკეთებაზე ფული რად უნდა დაგხარჯოთ, მინდს ხომ სახელმწიფო წაიღებსო. სახელმწიფო და ჩვენ ვის გავუყვივართ. სახელმწიფოს სიმდიდრე განა ჩვენი სიმდიდრე არ არის?!

სურამელი გაქვეავებული იჯდა. მოხუცის უკანასკნელ სიტყვებზე ხელიდან ფანქარი გაუვარდა.

— მიპასუხე, რას გაჩუმებულხარ? — ერთხელ კიდევ დააკაუნა მოხუცმა კომბალი, სცენიდან ჩამოვიდა და თავის ადგილზე დაჯდა.

ესტატემ დაჯდომისთანავე დაინახა თავჩაღუნული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელსაც უკვე აეღო იატაკიდან ფანქარი და გათლილი წვერით გამეტებით ირტყამდა მუხლის თავზე.

კრების მონაწილენი ალაპარაკდნენ, ესტატე ვერ გებულობდა, თუ ვინ რას ამბობდა, მაგრამ გარკვევით ესმოდა აქეთ-იქიდან წამოძახილი:

— მართალია, მართალი.

კრების თავმჯდომარე წამოდგა და ზარი დააწკარუნა. კლუბში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო, — მიმართა მან კრების მონაწილეებს, — შემოსულია წინადადება, დაუყოვნებლივ შევაკე-

თოთ წისქვილი. — ვინ არის მომხრე, გთხოვთ...

— რა საჭიროა კენჭისყრა, — დაიძახა ერთდროულად რამდენიმე კოლმეურნემ, — ვერ ხედავ, ყველანი მომხრე ვართ? მომხრე კი არა, ერთხმად მოვითხოვთ სწრაფად შეკეთდეს წისქვილი.

— მოვითხოვთ, მოვითხოვთ, — დაუდასტურეს კრების მონაწილეებმა.

კრების თავმჯდომარე სურამელისაკენ მიტრიალდა და ხმადაბლა რაღაც უთხრა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე წამოდგა, ხელი მალა აიშვირა და დაიძახა:

— ამხანაგებო, მეც მომხრე ვარ!



ტყეებს ოქტომბრის მზის გამჭვირვალე შუქი ეფინა. ხეებზე შემოდგომის გადარეული ფერები ღვიოდა. ჰაერი სველი მიწისა და ნაცვენი ფოთლების მძაფრი, ამაღლევებელი სუნით იყო გაქვნილი.

კაცმა ბოროტი ღიმილით გამოალო სააბაზანოს კარები, გადაჭრა თავისი აგარაკის მდიდრული სისადავით მორთული სასტუმრო ოთახი და ფიჭვის კედელში მოწყობილ განჯინას მიადგა. ეს იყო მისი საკუთარი განჯინა, რომელიც საიმედოდ იკეტებოდა. აქ ის თოფებს, სანადირო ტანსაცმელს, ანკესებს, სათევზაო მოწყობილობას და სასმელებს ინახავდა. მის ცოლსაც კი არ ჰქონდა განჯინის გასაღები, რადგან ჯადსონ ვებს უყვარდა თავისი პირადი საკუთრება და შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს, მას რომ სხვა ვინმე შეჭებოდა. ახლა ჯადსონი საზამთროდ ინახავდა თავის ნივთებს, რადგან მალე, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, ცივილიზაციას უბრუნდებოდა.

მისი ღიმილი არცთუ ისე სასიამოვნო იყო, როცა მან ბოთლებიან თაროს შეხედა. ყველა ბოთლი გაუხსნელი იყო, გარდა ერთისა, რომელიც სანახევროდ დაკლილი, მაცდურად იდგა წინა რიგში, ვისკის პატარა ჭიქის მეზობლად. ჯადსონმა ბოთლი თაროდან გადმოიღო. საწოლი ოთახიდან მისი ცოლის ხმა გაისმა:

— მე უკვე მზადა ვარ, ჯადსონ. ალკი არ მოსულა? გასაღები უნდა ჩაეაბაროთ.

ალკი ცხოვრობდა მათი სახლიდან ერთი მილის დაშორებით. მას ებარა აგარაკები ზამთრობით, როცა სახლის პატრონები ქალაქში იყვნენ.

— ტბაზეა წასული. ნავები მოაქვს

წყლიდან. ნახევარ საათში დაბრუნდება.

ოთახში მერცია შემოვიდა. გაკვირვებული შედგა, როცა ქმრის ხელში ბოთლი დაინახა.

— ჯადსონ, — წამოიძახა მან, — ნუ თუ ამ დილაადრიან დალევას აპირებ?!

— ცდები, ძვირფასო, — ჩაიხიზნითა ჯადსონმა, — მე არაფერს არ ვსვამ ამ ბოთლიდან. პირიქით, შიგ მინდა ჩაეავლო პატარა რამ.

ჯადსონმა მუქი გაშალა, მაგიდაზე ორი პაწაწინა თეთრი აბი დადო და ვისკის გახსნა დაიწყო. ქალს თვალები დაუეწიროვდა. ქმრის ამგვარი კილო ყოველთვის შიშს ჰგვრიდა მას. ეს ის კილო იყო, რომელიც ჰქონდა ხოლმე ჯადსონს, როცა „საქმის გაჩაჩხვას“ აპირებდა.

— ვინც შარშან გატეხა ჩემი განჯინა და ვისკი მოიპარა, ალბათ, წელსაც მოაკითხავს აქაურობას, — განაგრძო ჯადსონმა. — ოღონდ ამჯერად, ცოტა არ იყოს, ინანებს.

ქალს სუნთქვა შეეკრა, როცა დაინახა, როგორ ჩაავლო ჯადსონმა აბები ბოთლში და გახედა სინათლეზე, როგორ იხსნება ისინი ვისკში.

— რა არის? გულს აურევს? — იკითხა ქალმა.

— და მერე როგორ! — ჯადსონი მონუსხულივით აკვირდებოდა, როგორ იცვლება უწყინარი ბურბონი მომაკვდინებელ შხამად. — ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავის აღმოუჩენია მისი წამალი. ყელში თუ გადაგვდა, გათავებული საქმეა. ჯადსონმა დაუცო საცობი თავის შურისძიების იარაღს და დადგა ისევ თაროზე, ვისკის პატარა ჭიქის გვერდით.

— ყველაფერი რიგზეა, — კმაყოფილად შენიშნა მან. — ახლა, ბატონო

ქურდო, როცა მოხვალ, დალიე და შეგერგოს! არ დაგაყვედრებ.

ქალი გაფითრდა.

— ნუ იზამ ამას, ჯადსონ, — შეევედრა ქმარს. — ეს საშინელებაა, მკვლელობაა.

— კანონს არ მიაჩნია ბოროტმოქმედებად ქურდის მოკვლა, თუკი ის ძალად იჭრება ჩემს სახლში, — თქვა ჯადსონმა მკვახედ. — ვირთხების საწამლავის ხმარება კი დაშვებულია ერთადერთი გზა, რომლითაც ვირთხას შეუძლია აქ მოხვედრა, განჯინის გატეხაა. რაც მერე მოხდება, თავის თავს დააბრალოს.

— ნუ იზამ ამას, ჯადსონ, — შეეხვეწა ქალი. — კანონი ქურდს სიკვდილით არ სჯის. რა უფლება გაქვს შენ...

— როცა საქმე ჩემი საკუთრების დაცვას ეხება, მე თვითონ ვქმნი კანონებს, — მისი დაბალი ხმა ძაღლის ღრენას წააგავდა, რომელსაც სახრავი ძვლის დაკარგვის ზიფათი მოეღის.

— მათ ზომ მხოლოდ ცოტა სასამელო მოიპარეს, — შეეკამათა ცოლი. — ალბათ ბიჭებმა იცელქეს. სერიოზული არაფერი დაუშავებიათ.

— ეს სულერთია, — თქვა ვებმა. — ვინმემ რომ გამაჩეროს და ხუთი დოლარი წამართვას, ისევე მეწყინება, როგორც ასი დოლარის წართმევა. ქურდი ქურდია.

ქალმა უკანასკნელი ღონე იხმარა.

— ჩვენ მომავალ გაზაფხულამდე აღარ ჩამოვალთ. მე არ მომასვენებს ფიჭრი. რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ სასიკვდილო მახე იქნება დაგებული. ვთქვათ, რაიმე შეგვემთხვა და არავინ იცის...

ჯადსონმა ჩაიციინა.

— რისკი გავწიოთ, — მთელი ჩემი ქონება რისკის გაწევით მაქვს მოპოვე-

ბული. მე თუ მოგვედი როგორც ვინდოდეს, ისე მოიქეცი. ბოთლი-შენს საკუთრებად იქცევა.

— მე ქვევით მოვიცდი, ფერმაში. მინდა ხალხს დავემშვიდობო, — თქვა ქალმა მშვიდად. გადაწყვიტა, ყველაფერი ეთქვა ალექსის ცოლისთვის. ვინმეს ზომ უნდა სცოდნოდა ეს ამბავი.

— კეთილი, ჩემო კარგო, — ჯადსონმა მხიარულად გაიღიმა, — ნუ გაწუხებხს შენი პატარა, საწყალი ყაჩაღის ბედი. ზომ იცი, ბედს ვერსად წაუხვალ.

შერცია ბილიქს გაძყვა, ჯადსონი განჯინას მიუბრუნდა, მაგრამ გაახსენდა, რომ სანადირო ფეხსაცმელი გარეთ, აივანზე, დარჩა. საქირო იყო მისი განჯინაში შენახვა. ამიტომ კარი ღია დატოვა, თვითონ კი აივნისაკენ გაემართა, სადაც ხის მძიმე მაგიდაზე, პალტოსა და ჩემოდნის გვერდით, მისი ფეხსაცმელი შრებოდა.

ალეკი ტბიდან მოდიოდა და შორიდან ხელი დაუქნია ჯადსონს. ჯადსონის მძიმე ნაბიჯებით შეშინებულმა თრიოთინამ დააგდო რკო, რომელიც კედელში მოთავსებულ საწყობში მიჰქონდა და ქერის კოჭებში გაუჩინარდა. ჯადსონი ფეხსაცმელს მისწვდა, მაგრამ რკოზე ფეხი დაუცურდა და თავი მაგიდას დაარტყა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჯადსონი გამობრუნდა. თავი ალექსის ღონიერ მკლაფზე ჰქონდა დაყრდნობილი და მისი კეთილი ხმა მოესმა:

— ცუდად არ დაცემულხართ, არაფერი დაგიშავდათ. მხოლოდ ნოკაუტში ჩაეარდით ერთი წუთით. აი, დალიეთ, ეს მოგამაგრებთ.

ტუჩებთან ვისკის პატარა ჭიქა მიუტანეს. გაოგნებულმა და ნახევრად გონმოსულმა ჯადსონმა დალია.

სოფლის ფოსტალიონი



სალომე რაიონული ცენტრის ფოსტის პატარა ოთახში იჯდა და ფოსტას ელოდებოდა. ლოდინმა გული გაუწყალა. დილით, სახლიდან რომ გამოვიდა, ცა სარკესავით მოკრიალებული იყო, ახლა კი განუწყვეტლივ თოვდა. ფოსტის მანქანას გზაში რაღაც გაფუჭებოდა, წუთი-წუთზე ელოდნენ მის მოსვლას. ლოდინში ნელ-ნელა ბინდი ჩამოწვა. ოთახში თბილად. ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა. მოწითალო შუქი, რომელიც ღუმელიდან გამოკრთოდა, სალომეს ნაოჭებით დაღარულ სახეს უფრო განაწამებდა ხდიდა. წლებისაგან მოხრილ, გამხდარ მხრებზე თავშალი ჰქონდა მოხვეული.

სალომე სოფლის ფოსტალიონი იყო. ფოსტის წასაღებად იგი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ხოლმე სოფლიდან რაიონში. ცუდი სიბერე ხვდა სალომეს წილად. თუმცა ჯერ კიდევ ყოჩაღად გრძნობდა თავს, მაგრამ ხუთი კილომეტრი ტრიალი მინდვრით სიარული ადვილი საქმე არ იყო სამოც წელს მიღწეული ქალისათვის. სულ ახალგაზრდა იყო სალომე, როდესაც დაქვრივდა. მეორედ აღარ გათხოვილა. ეშხიან და გამრჯე ქვრივს ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ მთელი თავისი ახალგაზრდობა პატარა ბიჭის, მიშას გამოზრდას შესწირა.

„ობლობას არ ვაგრძნობინებ. მაშინაც ვალს არ დავაჩაგვრინებ“. — გულში ფიცი დასდო ახალგაზრდა ქალმა.

წლებმა როგორც სიზმარმა, ისე გაირბინეს. სალომე შრომობდა, თავსაც ირჩენდა და ბიჭსაც ასწავლიდა. ძნელი იყო დედისათვის გრძელი ზამთრის დამებში მარტოდმარტო ჯდომა.

ვიდრე მიშა ინსტიტუტში სწავლობდა, ზაფხულობით მაინც ჩამოდიოდა ხოლმე სოფელში და მაშინ სალომეს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

მიშამ ინსტიტუტი დაამთავრა, სამუშაოდ რუსეთში წავიდა. სალომეს პირველ წელიწადს მოსდიოდა წერილები შვილისაგან, მაგრამ მერე ისე გავიდოდა თვე, რომ მისგან აღარავითარი ცნობა აღარ ჰქონდა. ყოველი წერილის მიღება დღესასწაული იყო სალომესათვის. ფოსტალიონი ვანო ყველაზე მიღებული და პატივსაცემი სტუმარი იყო მის სახლში. თვალები გაწყალებული ჰქონდა სალომეს გზაზე ყურებით. მოუთმენლად ელოდა ხოლმე ფოსტალიონის გამოჩენას, ჩანთაგადაკიდებულს ხელჯოხი ილიაში ამოეჩარა და დინჯად მოაბიჯებდა გზაზე.

— რა უკან-უკან გრჩება ფეხები, ღმერთი კი არ გიწყენს, ცოტა რომ ჩქარა გადმოადგა, — დანახვისთანავე გასძახებდა გზაზე გამოსული სალომე.

ერთ არაყს გადააკვრევინებდა, წერილს ხელიდან გამოგლეჯდა, კარებს ურდულით ჩაქეტავდა, თითქოს ეშინოდა, არავის შეეშალა ხელი წერილის კითხვის დროს, მერე თვალებზე ცრემლმორეული დაჰკოცნიდა, ჩაიკრავდა გულში წერილს და მარცვალ-მარცვალ შეუდგებოდა კითხვას.

გული ჰქონდა გაწერილებული სალომეს ფოსტალიონის ლოდინში...

ერთ დღეს გადაწყვიტა თვითონ გამზდარიყო ფოსტალიონი. მაშინ ლოდინიც აღარ დასჭირდებოდა და შვილის წერილს პირველად ის ჩაიკრავდა გულში.

ერთ დღეს ფოსტალიონ ვანოს ამის

შესახებ სიტყვა ჩამოუგდო. ვანო ჯერ უარზე დადგა, მაგრამ ის მელასავით თავს იკატუნებდა, რომ ქვრივის გული მოეგო და თანაც ბოთლი გამოეცალა. ვანო ათი წელი იყო ფოსტალიონად და რაიონამდე სიარულით ფეხები ჰქონდა დათეთქვილი. ამ თანამდებობის მიტოვებას თვითონაც აპირებდა, მაგრამ შემცვლელი ვერავინ ეშოვა.

ასე იყო თუ ისე, დიდი ზევწის შემდეგ ვანო დათანხმდა.

— სალომე, თუ შენ არა, სხვას არავის დაეუთმობდი ამ თანამდებობას, — უკვე კარგა შეზარხოშებულმა, ენის ბორძიკით უთხრა ფოსტალიონმა.

— მეხი კი დაგაყარე, თანამდებობა, თორემ მინისტრობა დამითმე.

სალომემ ვანო კი დაიყოლია, მაგრამ მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა. ახლა უარზე კოლმეურნიების თავმჯდომარე დადგა.

— რას ატეხილხარ, ქალო, რა დროს შენი ფოსტაში სიარულია, თუ გიკირს ან გაკლია რამე, გვითხარი, დაგეხმარებით. მაგ გროშების გულისთვის ველმინდორში რატომ უნდა იარო. ვერ გავიშვებ ფოსტალიონად. რას მეტყვიან, სოფელში კაცები ხომ არ ამოწყვეტილანო.

მაგრამ ქვრივი თავისას არ იშლიდა. ისე შეუჩნდა თავმჯდომარეს, ისეთები უთხრა, რომ იძულებული გახადა, დასტური მიეცა. თანაც თავმჯდომარე მიუხვდა გულის წადილს და აღარ აწყენინა მოხუცე ქალს.

ასე გახდა სალომე ფოსტალიონი.

ხუთიოდე წლის წინათ სალომესათვის რომ გეთქვათ, ფოსტალიონად იმუშავეო, გულიანად გაიცინებდა. წინათ სულ სხვანაირად წარმოედგინა თავისი ცხოვრება. სალომე ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც შვილი ინჟინერი გაზღებოდა, სადმე ახლო-მახლო დაიწყებდა მუშაობას. ხშირად ჩამოვიდოდა მასთან, ან თვითონ წავიდოდა სტუმრად ზამთრობით, როდესაც სოფლად საქმეებს

მოათავებდა. მერე ცოლსაც შეერთავდა მისი მიშა და შვილიშვილებზე დაეყრებოდა მისი მიყრუებულუღი *მეორე ქალი*.

მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. მიშა რუსეთში წავიდა სამუშაოდ. ისე სასწრაფოდ წავიდა, რომ გამოშვებობებაც ვერ მოასწრო. პირველი ზამთარი გავიდა. დედას იმედი ჰქონდა, შვილი შეებულებას მაინც აიღებს და მინახულებსო, მაგრამ არც აქ გაუშვართლდა იმედები. მიშა სადღაც ზღვის პირზე წავიდა დასასვენებლად თავის ახლადშერთულ ცოლთან ერთად. ეწყინა დედას, დარდი ჩაწვა სიხარულის მომლოდინე გულში, მაგრამ დედის გული დიდია.

— რა ვქნათ, — ამბობდა გულში სალომე. — გაფრენილი ბარტყი ბუდეში აღარ ბრუნდება. ის ნასწავლია, ნასწაველ ცოლს შეერთავდა, მე ბებერი გლეხის ქალი რაღა გამოსაჩენი ვარ მის გვერდში? ოღონდ ვიცოდე, რომ ბედნიერია, კარგად არის და მე მეტი არაფერი მინდა, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, — ასეა თუ ისე, დედის გულმა გაამართლა შვილი. ბედს შეურყვდა სალომე. ახლა მის სიხარულს და ბედნიერებას მხოლოდ წერილებიღა შეადგენდნენ, შვილისაგან რომ იშვიათად დებულობდა ხოლმე.

ჩანთაგადაკიდებული სალომე, ჯოხით ხელში ხალისით გაუდგებოდა ხოლმე შარავნას რაიონისაკენ. ათროლოებული ხელებით მიითვლიდა კონვერტებს და თან ეძებდა შვილის ხელით დაწერილ მისამართს. თუ მის სახელზე წერილი იყო ამ ძვირფას კონვერტს უბეში ჩაიდებდა, დანარჩენს ჩანთაში ჩააწყობდა და სოფლისაკენ აჩქარებით მიდიოდა. სახელდახელოდ ჩამოარიგებდა სოფელში წერილებს და ჩვეულებისამებრ სახლში ჩაიკეტებოდა, თითქოს არ უნდოდა, რომ სხვასაც გაეზიარებინა მისი დიდი სიხარული და აცრემლებული თვალებით კითხვას იწყებდა. მაგრამ როდესაც შვილისაგან წერილი არ იყო, წელმოწყვეტილი,

გაუნძრევლად რომ იჯდეს. მთელი სხეული საკვირველმა სითბომ მოიცვა. ჩასთვლიმა. ხედავს ის თავის პატარა ბიჭს, რომელიც გარბის და თან ეძახის: „აბა დამიპირე!“ — მისდევს უკან გახარებული სალომე და ვერ დაუჭერია. აი, წამოეწია, დაიჭირა. ბავშვმა თავი კალთაში ჩაუღო და ტკბილად ატიტინდა: „შემეცოდე, თორემ ვერ დამიჭერდი“. თითებით ეალერსება ბიჭუნას თმას, მკერდში იკრავს მის გახურებულ თავს... მეორე დღეს სოფელში ხმა დაირხა, სალომე დაიკარგაო. მთელი ხალხი გამოვიდა მის საძებრად. ნამჭერი ჩამდგარიყო, მოწმენდილ ციდან მზე ცივად იყურებოდა.

ძეწკვად გამწკრივებული ხალხი შარაგზაზე და შარაგზის გასწვრივ გულ-

მოდგინედ სინჯავდა მონამჭრულ ადგილებს.

— ვიპოვეთ, ვიპოვეთ, — უცებ გაისმა ყვირილი და მთელი ხალხი განცალკევებით მდგარი მუხისაყენ გაიქცა.

თოვლი გათხარეს და შავებში ჩაემულ ქალს შალი გადახადეს. სალომე გაქვავებული იჯდა. დაკოჭრილ ხელებში კი კონვერტი ეჭირა.

— იმ უჯიგროს წერილი გამოუგზავნია... ეტყობა, ქარხნის დირექტორმა, რომელსაც მე მივწერე, გამოუძახა და შეარცხვინა. ძალით დაუწერინებია იმ უცხო კაცს საკუთარ დედასთან. ჰაი, დედასა, იმასაც ეთქმის შვილი ვარო! — ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ და გვერდზე გატრიალდა, რომ ხალხს თვალეზზე მომდგარი ცრემლი არ შეემჩნია.

უსიტყვოლაც გასაგებია



ფრანჩესკო დუმდა. ბოლო დროს, როცა მეტისმეტად მწარე ფიქრები აღაშფოთებდა, მთელი საათების განმავლობაში არაფერს ლაპარაკობდა. უმიზნოდ დაბორილობდა ოთახში, შედიოდა სამზარეულოში და უკან ბრუნდებოდა...

მისი ორი უფროსი ვაჟი სკოლაში იყო. ყველაზე უმცროსს რძე დაეღია, ახლა იჯდა პატარა სკამზე, მაგიდაზე გადაფარებულ მუშამბას ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა. მას დღეს დიდიდანვე არ უტირია.

ბოლოს ცოლმა შეხედა ფრანჩესკოს და ჰკითხა:

— როგორაა საქმე?

მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა და განზე გაიხედა. ფრანჩესკომ რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა.

— დღეს ერთ ადგილას უნდა მომცენ პასუხი. ნაშუადღევსათვის დამიბარეს. მაგრამ... ახლავე წაველ.

ცოლი გაჩუმდა. ფრანჩესკო გარეთ გავიდა, კბეებზე დაეშვა და ტროტუარს გაჰყვა, სიარულის დროს შენობების კედლებს ეფარებოდა. ანა ახლა, რა თქმა უნდა, სამზარეულოს ფანჯარასთან დგას, რომ დაინახოს, როგორ გადაივლის მისი მეუღლე ქუჩას, ალბათ, მოელის, რომ იგი ხელს დაუქნევს წინანდებურად. მაგრამ ფრანჩესკო მეორე მხარეზე გადაუსვლელად და უკან მოუხედავად განაგრძობდა სიარულს.

აი, უკვე ორი თვე გავიდა, რაც ცოლი ფანჯარასთან დგას და ყოველდღე დუმილით ელოდება ფრანჩესკოს. მაგრამ არაფერს ეკითხება, რადგან იცის, პასუხი მუდამ ერთი და იგივე იქნება. რა საქირო იყო ცოლისათვის

გამემორებინა ის, რასაც მას ეუბნებოდნენ: „სამწუხაროდ, სამუშაო არა გვაქვს. ჩვენთან ყველა ადგილი შევსებულია“.

მაგრამ დღეს ასეთი პასუხიც არსაიდან იყო მოსალოდნელი. ყველგან მხოლოდ და მხოლოდ ისეთივე დუმილი ელოდებოდა, როგორც ოჯახში.

ფრანჩესკომ განვლო ძველი, დახვესებული სახლებით გაქედილი ქუჩა, რომელსაც მზის სხივები იშვიათად ხედებოდა და სადაც ხალხი ნესტიან, ამშორებულ ჩრდილში ცხოვრობდა.

ფრანჩესკო ალაღბედზე მიდიოდა. მალე თავი ამოყო ხეებშემორგულ განიერ ქუჩაზე. ქუჩის დასასრულს, ერთი სახლის წინ, რომელიც შენების პროცესში იყო, ხალხის გროვა მოჩანდა.

რომელიღაც დედაბერმა ფრანჩესკოს გვერდით ჩავლის დროს ჩაილაპარაკა:

— ამბობენ, ვითომც თვითონ ის უბედური იყო დამნაშავეო...

მოსახვევში რამდენიმე კაცი ტრამვაის ელოდებოდა.

— დემონსტრაცია! — თქვა ერთერთმა იმათგანმა. — ეს ხალხი მუდამ ეძებს მიზეზს დემონსტრაციის მოსაწყობად. — მან უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, რომელიც შემდეგ გახეთქი ჩარგო.

სახლი იყო მაღალი, მთლიანად ხარაჩოებში. აქ გახლდათ მდიდრების უბანი, რომელსაც განიერი ხიდი და სუფთა ტროტუარები ამშვენებდა.

ვიღაცა კაცი ხალხის ჯგუფს გამოეყო და ტრამვაის გაჩერებასთან მივიდა. მას მღელვარებისაგან სახე აწითლებოდა და ხელებს იქნევდა.

— რა მოხდა იქ? — ჰკითხა ფრანჩესკომ.

მამაკაცი გაბრაზებული შემობრუნდა...

— მიწისძვრაც რომ მომხდარიყო, ხალხი მაშინაც მოძებნიდა მიზეზს და იმასაც ვინმეს დააბრალებდა! — თითქმის წამოიყვირა მან.

შენობის წინ შეგროვილი ხალხი დუმდა. ბოლოს გამოჩნდა საკაცე, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანაში შეიტანეს. კარები ყრუ ხმაურით მიკეტეს და მანქანა ხანგრძლივი და უბედურების მაუწყებელი ზუზუნით გაქრა.

ხალხი ნელა დაიშალა. ფრანჩესკოს უნდოდა ჩაეელო, მაგრამ, უცებ, თითქოს მოულოდნელად, რაღაცა გაახსენდაო, უკან შემობრუნდა.

სახლის წინ ერთი მუშა უძრავად იდგა.

— დაიქრა? — ჰკითხა ფრანჩესკომ.

მუშამ უარის ნიშნად გადააქნია თავი,

— მოკვდა. მეექვსე სართულიდან გადმოვარდა.

ქარი ხეებიდან ფოთლებს გლეჯდა და ჰაერში მტერის კორიანტელს აყენებდა.

— დიდი უბედურება მომხდარა, — ხმადაბლა წარმოსთქვა ფრანჩესკომ. — აქ ჩავიარე და ხალხის გროვა დავინახე. მე უმუშევარი ვარ, სამუშაოს დავეძებ... ცოლშვილიანი გახლავარ...

— სამუშაოს? აქ განთავისუფლდა ადგილი... მაგრამ შეიჯარადრე წასულია. ჩქარა დაბრუნდება. გვიყვიროდა, რომ უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ. ყველა დაგვტუქსა. ამბობდა, რომ ის ახალგაზრდა კაცი თვითონვე იყო დამნაშავე. მწარე სიტყვები გადმოიანთხია. დამნაშავე კი აი ვინ არის... — თქვა და კირით გასვრილი ხელი ხე-ტყეს მიაჯახა.

— აი სად არის დანაშაული. ხე-ტყე ცოტაა. ჩვენზე იჩენენ მომპირნეობას... იმ უბედურის ცოლი კი ახლა მალე მო-

ვა. ყოველდღე მოაქვს ქმრისთვის სადილი. ისინი სადღაც აქ ახლო ცხოვრობენ, მაგრამ არ ვიცი, რომელ სახლში. იგი ახლავე უნდა მოვიდეს, როგორც ყოველთვის... სამუშაო... ახლა არის თავისუფალი ადგილი: მან სწორედ ნახევარი დღის სამუშაო შეასრულა. ხე-ტყეზე მომპირნეობენ, ძაღლის შეილები, ასეთ ქარში თავი ვერ შეიკავა და ჩამოვარდა. მე ვხედავდი, როგორ დაეცა: ზურგიით, ხელებგამოლილი.

— რა მოხდება ახლა, როცა ცოლი გაიგებს? — თქვა მეორე მუშამ, რომელიც კარებთან, საფეხურზე ჩამოშვდარიყო.

— როდესაც მუშა კვდება, ამით ყველაფერი თავდება. შემდეგ მასზე არავინ ფიქრობს...

მას სიტყვა გაუწყდა.

ერთი ქალი ტროტუარზე სწრაფად მოაბიჯებდა. მის განიერ ხალათსა და თავსაფარს ქარი აფრიალებდა.

ხე-ტყესთან მდგომმა მუშამ ხელი დაუქნია და სწრაფად გაეშურა მის შესახვედრად. მეორე მუშა მოღუშული გასიქპეროდა.

ქალი შეჩერდა. მუშა რაღაცას ელაპარაკებოდა და ქუჩის გასწვრივ მდგარ მძღალ, ლამაზ სახლებზე მიუთითებდა.

ქალმა შენობას შეხედა და გაშეშდა. უმოძრაო, თითქოს უსიცოცხლო ხელზე აბვა ჩამოეკიდა. ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს. ბოლოს შეტრიალდა და უკანვე წავიდა. თავი ისე დახარა, თითქოს თვალეხს მტერისგან იფარავსო.

მუშა ცოტა ხანს შეჩერდა, ქალს გახედა და უკან დაბრუნდა.

— ვუთხარო, რომ შენმა ქმარმა ხელი გაიქრა, ეჭიმთან წავიდა და შემდეგ შინ დაბრუნდება-მეთქი. მას არაფერი არ უთქვამს, ხოლო ძალზე გაფითრდა.

— სიმართლე უნდა გეთქვა, — შენიშნა მეორე მუშამ, — ეს უარესია.

— ვიცი, მაგრამ გამბედაობა არ მეყო. შენ გაპყვევი.

— კარგი, წავალ.

მეორე მუშა ადგა და თითქმის სირბილით გაჰყვა ქალს, მაგრამ მალე შეანელა ნაბიჯი და უკან ჩამორჩა. ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით: მიაღწიეს ტრამვაის გაჩერებამდე და მარცხნივ შეუხვიეს.

— არის ხოლმე ისეთი რამ, რისი გამოთქმაც შეუძლებელია, — კვლავ დაიწყო მუშამ. — როგორც კი ვუთხარი, ხელი გაიჭრა-მეთქი, ენა დამება, მას კი თვალები გაუფართოვდა და გაუშტერდა. მე ენა ვეღარ მოვაბრუნე.

ფრანჩესკო იქით იცქირებოდა, სადაც ქალი მიიშალა. ეტყობოდა, რომ მას ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ქალის პატარა ტანი, შავი თმის ჩარჩოში ჩასმული სახე, აბგა, რომელიც ხელში ეჭირა და მისი ფართო ხალათი...

— გამბედაობა არ მეყო, — გაიმეორა მუშამ. — სწორად არ მოვიჭეცი, მაგრამ, სულერთია, მიხედება... ასეთი რამ უსიტყვოდაც გასაგებია, მაშინაც კი, არავინ არაფერი რომ არ გითხრას. მაგრამ, მაინც უკეთესი იყო მეტქვა: თუმცა კი იცი, გრძნობ, მაგრამ, მაინც, მთელი დღე და ღამე მოელი, რომ იქნება ვინმემ მითხრას: — ეს ისე არ არის, როგორც შენ გგონია, ასე მხოლოდ შენ გეჩვენებო...

ფრანჩესკომ თავი დაუქნია.

— ეს სწორია.

„კიდევ რომ არაეის, ^{მარცხენა} მხარეს მჯდომი იმის შესახებ, რაც მოხდა, — ფიქრობდა იგი, — მისი გაფართოებული თვლები მაინც მიაშტერდებოდნენ ციკედლებს, გრძელ ქუჩას და ხალხს, რომელსაც სხვისი მწუხარება არ ესმის“.

— ვერ შევძელი, ენა ვერ მოვაბრუნე... ჩვენთვის, მუშაკაცებისათვის, ძნელია სიტყვის მოძებნა. მაგრამ ის მიხედდა, რომ მე გამბედაობა არ მეყო, და მკვდარივით გაფითრდა.

— დიახ, — დაუდასტურა ფრანჩესკომ. — ის მიხედდა.

ფრანჩესკომ რამდენიმე ნაბიჯი ნელა გადადგა.

— მე მოგვიანებით მოვალ, — უთხრა მუშას.

— მეიჯარადრე ახლავე დაბრუნდება. უკეთესია, დაუცადო. ის უბედური უკვე გარდაიცვალა: შენ ხომ იმას არაფერს ართმევ?..

— დიახ. — გაიმეორა ფრანჩესკომ. — კარგი.

და იგი დარჩა. ფრანჩესკო უხმოდ გასცქეროდა მაღალ და ღამაზ შენობას.

განთიადიდან შუალეგდე



როდესაც ადამიანი ხანში შედის, მას ბავშვობასა და სიჭაბუკეში განცდილი ამბები უკეთ აგონდება, ვიდრე გუშინდელი. ჩემი ცხოვრების პირველი შთაბეჭდილებები განსაკუთრებით ცხოველია, შეიძლება იმიტომაც, რომ ბავშვობის დღეები თერთმეტ-თორმეტ წლამდე ბედნიერად გავატარე.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ დაებრუნდით ახალ წელიწადს დილით სოფლის ეკლესიიდან და ბიძაჩემმა ახლად დადებულ თოვლზე ჯოხით დაწერა: „1893 წელი“.

ქვეყნიერება მშვენიერი მეჩვენებოდა ზამთარშიც, როდესაც თოვლის საბურველი და ყინულის ლოლუები ჩვენს დიდსა და განმარტოებულ ეზოში ვენახიან ხეებს, ხეხილსა და შენობებს იდუმალებით აღსავსე გარეგნობას აძლევდა. ცხოვრებაში დიდი პოეზია შეჭმონდა ზამთრის დღესასწაულებს. შობას აუცილებლად ღვეზლებით უნდა შევხვედროდით: ეს იყო ნამგალა მთვარის მსგავსი ზაჭაბური, რომელსაც ყველს გარდა მაგრად მოხარშული, ბოლში გამოყვანილი, ორად გაჭრილი კვერცხები ჰჭმონდა ჩატანებული, ასე რომ მისი ზედაპირი ალაგალაგ ამობურცული იყო. კალანდას აგუნათი და ჩიჩილაკებით ვეგებებოდით. ეს ჩიჩილაკები ახალი წლის წინა დღით ირთობოდა სურთი, წითელი კუნელით, ვაშლით და კონფეტებით და თითქოს წმინდა ბასილის თეთრ წვერს წარმოადგენდა. თავისებური დღესასწაული იყო ლამპრობა, ორი თებერვა-

ლი: ამ დღეს ბავშვები სამზარეულო სახლის სხვენიდან ერთ ძელს ჩამოვიღებდით, წვრილად დაეკრიდით, გრძელ ჯოხს მივამაგრებდით და ჩირაღდანს ვმართავდით. ამ მიზნით კვარსაც ვიყენებდით. ორი თებერვლის დამის ლამპრობას თითქოს ყრმა იესოს ტაძრად მიყვანა ანუ მიჩქმა უნდა გეხსენებინა, მისი შეხვედრა სანათებით აღჭურვილი ქალწულების მიერ. მაგრამ დღეს მგონია, რომ ის რაღაც უძველესი წარმართული დღესასწაულების ნაშთს წარმოადგენდა.

ბავშვებს ძალიან გვიყვარდა აგრეთვე აღდგომა, როდესაც გვეჩვენებოდა, რომ მხეც კი სიხარულით ზტოდა ცაზე. ეს თითქოს საყოველთაო შერიგების დღეობა იყო, წირვის გამოსვლის შემდეგ ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ პირზე და მხრებზე ამბორით. მეც მზად ვიყავი, ყველა ჩემი მოყვასისათუ მტრისთვის მათი შეცოდება მეპატიებინა. მაგრამ ეს სავალდებულო კოცნა არ მიყვარდა, ამიტომ განზე გავდგებოდი და სააღდგომო კვერცხის ქამას შევუღვებოდი, რათა კოცნა თავიდან ამეშორებინა.

ამ დღესასწაულებს სადღაც სხვა სამყაროში გადავყავდით, შორეულ წარსულში, რომელიც თითქოს იკარგებოდა ბურუსიან ბინდბუნდში. და ოჯახური ღვეგნდები, რომელნიც მოგვითხრობდნენ, რომ ჩვენი გვარის წინაპრები გურიის მკვიდრნი კი არ იყვნენ, არამედ რომელიღაც სხვა პროვინციიდან გადმოხვეწილიყვნენ, ხელს



გვიწყობდა, ფანტასტიკურ სამყაროში გადასულიყავით. მე მეჩვენებოდა, რომ ჩემი მამა-პაპები ისეთივე კვერთხებიანი და გრძელწვერებიანი პატრიარქები იყვნენ, როგორც მამაჩემის მიერ ნაჩუქარი ძველი აღთქმის წიგნში იყვნენ დაბატული. და თითქოს ნათლად ვხედავდი, როგორ ეშვებოდნენ აქარის მთებიდან გურიის დაბლობებში ეს ბიბლიური პატრიარქები კვერთხებით, აბლავლებული ხარებით, მწყემსების მხრებზე დასვენებული კრავებით და ბანჯგვლიანი ქოფაკებით.

ჩვენი ეზო დაშორებული იყო სოფლის მთავარ შარაგზას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი კერა სხვა, დიდი ხნის წინათ გაცივებული კერის ადგილას იყო გაჩაღებული. მახსოვს, ერთხელ ჩვენი მეზობელი მიწის ბარვის დროს სრულიად მოულოდნელად უხარმაზარ ჩაკირულ ქვევრს წააწყდა. ის დიდხანს მოუნდა მის ამოწმენდას და ამორეცხვას. მეორე ადგილას გუთანში შებმულ ხარს, რომელსაც წინ მე მივიძღოდი, ცალი ფეხი უფრო მკირე ზომის ქვევრში ჩაუვარდა. ჩემი უკან მოხედვა და მისი ზეზე წამოდგომა ერთი იყო: მისი რქა წინა ზედა კბილზე მომხვდა და ოდნავ ჩამოტეხა. დღემდე ვერ ამიხსნია, როგორ გადავრჩი, რომ ცხვირ-პირი არ ამაგლიჯა.

სოფლად ბუნების სტიქიონური ძალაც და რიტმიც განსაკუთრებით გაზაფხულზე იგრძნობა, როდესაც ნუშის, ტყემლის და ქლიავის თეთრად აყვავებას ატმის, ვაშლის და კომშის ვარდისფრად აყვავება მოსდევს, ხოლო ბოლოს ბროწეულის ხეები ინთება ალისფერი ყვავილებით; აორთქლებული მიწის სუნი იის სურნელებას უერთდებოდა, შემდეგ ზაფხულში და შემოდგომაზე კი ჰაერი ახლადმოცედილი ან ხმელი თივის, ნესვის, ატმის; მწიფე ყურძნის სურნელებით ივლინებოდა.

ჩვენი უხარმაზარი ეზო ყოველგვარი

ჩი ხეხილით და ვახანაი ხეებით, ბაღჩებით და ყვავილნარით, ეტყობოდა საქათმით, ხელს გვიწყობდა და ველთა და მცენარეთა სამეფო ასლო გაგვეცნო და შეგვევარებოდა. რა საინტერესო საცქერალი იყო, მაგალითად, კრუხი, რომელსაც ხანდახან იხვის კვერცხებს აჩეკინებენ, იმიტომ რომ ის წიწილებს დედალ იხეზე უკეთ იცავდა ქორის თავდასხმისაგან. როგორც კი პაწია ყვითელბუმბულიანი იხვის ქუქულები კვერცხების ნაქუქებიდან თავს გამოაყოფდნენ და ჩვენი ეზოს ტოპოგრაფიაში ოდნავ გაერკვეოდნენ, ისინი დაუყოვნებლივ რუსკენ წაბაჯბაჯდებოდნენ, რათა შიგ შეეცურათ თამამად; საბრალო კრუხი კი მათ ნაპირზე მისდევდა, თან შეშინებული და თან გაოცებული მათი ასეთი უსაქიელობით.

ჩვენი ვეებერთელა, თითქმის მობრდილი ხბოს ოდენა ძაღლი, რომელიც დღისით, ჩვეულებრივ, ჯაჭვით იყო დაბმული, ხოლო თუ აშვებული იყო, ეზოში არც ქვეითს და არც ცხენოსანს მამაკაცს არ შემოუშვებდა, ჭეშმარიტად რაინდულად ეპყრობოდა ქალებს და ბავშვებს და მათ არასოდეს არ დაპყეფდა; მხოლოდ ზიზილ-პიპილების დანახვას ვერავის ტანზე ვერ იტანდა. ერთს ჩვენს მეზობელ ქალს ძვირად დაუჯდებოდა თავისი ქრელი ქვედატანი, თუ მას ზემოდან თალხად ჩაცმული ბებიანეში არ გადაფარებოდა. გასაოცარი იყო, როგორ გრძნობდა ეს ჩვენი ძაღლი ოჯახის წევრის სიკვდილის მოახლოებას, როგორ გულის შემზარავ ყმუილს ასტეხდა ხოლმე. თვითონ კი, როცა დაბერდა, სტოიკურად მოკვდა ბღჩაში, მზისგულზე დაწოლილი, თავისი ამქვეყნიური ვალდებულების პირნათლად შესრულების შემდეგ.

მეორე ჩვენს ძაღლს ადამიანივით ქვეიანი თვალეები ჰქონდა და ისე არაფერი უყვარდა, როგორც ადამიანთა საზოგადოებაში ყოფნა. ერთხელ, რო-

დესაც აგარაკზე ვიყავით, ერთი დღის სავალზე ჩვენი სოფლიდან, ბახმაროზე, სადაც ჩვენი მურია წინა ზაფხულში იყო ნამყოფი, ის მოულოდნელად ავად გამხდარ დიდუდაჩემთან მისულნიყო და თავი დაედო მის ლოგინზე. მოხუცს შეეჩივლა, ავად ვარ და ჩემიანები ახლო არ მყვანანო. ჩვენი მურია მაშინვე გამჭარალიყო. ის ბახმაროზე ამოვიდა უკმელ-უსმელი, ტალახში ამოგანგლული და მამაჩემის ტანისამოსს კბილებით ჩაეჭიდა, თითქოს სადღაც ეწეოდა. ჩქარა უკან გაბრუნდა. მხოლოდ სოფელში ჩასვლის შემდეგ გავიგეთ მისი ბახმაროში მოსვლის აზრი.



სტუმრებს, ნათესაებს, კარდაჯარ მოსიარულე ხელოსნებს დიდი ხალისი შეჰქონდათ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენს ეზოში ერთი დიდი სამთვლიანი, მიწის იატაკიანი წაბლის ხის სახლი იდგა: ერთს თვალში ჩალა და თივა ინახებოდა, მეორე — საჯდომი ცხენის და ჯორის თავლას წარმოადგენდა. ამ სახლის ფართო შუა დარბაზში ხან მთარული მკედლები მართავდნენ მარტივ ქურას, ხან დურგლები ბინავდებოდნენ, ხან საფეიქრო დგამი იმართებოდა საუცხოო დარაიას მოსაქსოვად. მე განსაკუთრებით მიყვარდა დურგლების ცქერა, შალაშინის შრიალი და ფიქვის ხის ბურბუშელას სურნელება.

მახსოვს, ერთხელ ჩვენსას ახალგაზრდა, ევროპულად ჩაცმული ხელოსანი მოვიდა და დიდი ოდის უფრო განმარტოებულ ოთახში დაბინავდა: მას მამაჩემის და სოფლის ეკლესიის წიგნები უნდა შეეკინძა და ყდაში ჩაესვა. ოთახიდან ოთახში დავბობდი და მისი ოთახის კარიც შევალე. ხელოსანი სახლში არ აღმოჩნდა, მხოლოდ ტახტზე, საამკინძაო ხელსაწყოსა, წიგნებსა და

კარტონებს შორის საშინლად დაღობი-ქული, გაშეშებული ადამიანი თავს მოგკარი თვალი. შიშისგან ატირებული უკან გამოვიქეცი. აღმოჩნდა, რომ სრულიად უბრალო ნიღაბს შევეშინებინე. ამ ბავშვობის დროინდელმა შთაბეჭდილებამ ჩემზე ისეთი ძლიერი ზეგავლენა იქონია, რომ შემდეგ საგსებით ვერასოდეს ვერ გავთავისუფლდი ამ უსაფუძვლო შიშისგან და ნიღაბიანი ადამიანი ჩემში დღესაც უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

ბავშვებს განსაკუთრებით რაჰველი მესტიერეების მოსმენა გვიყვარდა. ისინი კარიკარ დადიოდნენ თავიანთი პრიმიტიული მუსიკალური ინსტრუმენტით, რომელიც გუდის, სტირისა და ვერცხლის ძეწკვებით შემკული ქარახსისაგან შედგებოდა. საკმაო იყო ამ ქარახსაში ორიოდე წვრილი ვერცხლის ფული ჩაგვეგდო და ჩვენი სახელი გვეთქვა, რომ მათ ჩვენი შექება დაელიდნენით დაუყოვნებლივ. კიდევ უფრო მოგვწონდა ხალხური ბალადები, რომელთაც ისინი ამღერებდნენ.

სოფლის ცხოვრებაში დიდი ხალისი შეჰქონდა აგრეთვე ბურთაობას, რომელიც რამდენჯერმე იმართებოდა აღდგომის და ამალეების დღესასწაულებს შუა და დიდს ვნებათა ღელვას იწვევდა მოპირდაპირე ბანაკების წარმომადგენლებსა, ზემოსოფლელებსა და ქვემოსოფლელებს შორის. ეწერის დიდი მინდორი, სადაც ჩემს ბავშვობაში ლელის თამაში იმართებოდა, ამჟამად მკიდროდ დასაბლებულია და ჩაის ბურჭებითაა დაფარული. ლელო ბავშვებისთვისაც საყვარელი გასართობი იყო; მახსოვს, ბევრჯერ დაჩეჩქვილი და ტანისამოს ჩამოღლეტილი დავბრუნებულვარ თამაშობის შემდეგ. იმდენად დაქანცული, რომ შიშვილის მიუხედავად თავი აღარ მქონია, ვაზშმისთვის დამეცადა.

გურიის ერთ ცენტრალურ სოფელ-

ში, ნაგომარზე, ბაზრობა იმართებოდა ივლისის მეორე ნახევარში. იქ სოფელელებს ყოველგვარი შინაური ნაწარმი გამოჰქონდათ: ქოთნები, ქვევრები, ქვის კეცები, კოთხოები, შალის და აბრეშუმის ქსოვილები. ქალაქიდან ჩამოსული ვაჭრები კი, უმეტეს წილად ქუთათელი ებრაელები, ფაბრიკული საქონლით ვაჭრობდნენ. ჩვენი მშობლები აქ ჩვენთვის სხვადასხვა სათამაშოს ყიდულობდნენ. ჩვენში ეს ფაბრიკული სათამაშოები მაინცდამაინც დიდ მოკრძალებას არ იწვევდა: მათ ჩქარა ვამტვრევდით, რათა მათი შინაგანი მექანიზმი დაგვენახა. როცა ვრწმუნდებოდით, რომ ის საკმაოდ მარტივი იყო, ისევე ჩვენი საკუთარი ხელით გაკეთებულ სათამაშოებს ვუბრუნდებოდით — პატარა წისქვილებს, ხელთოფელებს, მშვილდისრებს, სასირე ბადეებსა და რაგვეებს.

ქვეყნიერება კეთილი და ბოროტი გენიებით დასახლებულად მეჩვენებოდა. კეთილი სულის განხორციელებად მიმაჩნდა, მაგალითად, ჩვენი მეზობელი ქალი, ჩემი დედობილი, რომელიც თავის თერთმეტ თუ თორმეტ შვილში არ მარჩევდა, იმიტომ რომ ერთხელ, დედაჩემის ავადმყოფობის დროს, ძუძუ მოეწოვებია ჩემთვის; ხოლო ბოროტი სული გამოჰკრთოდა ზოგიერთი ავთვალანთი კაცის თუ ქალის გამსჭვალავ გამოხედვაში.

და განა თვით ბუნება სიკეთის და ბოროტების გამუდმებულ ბრძოლას არ წარმოადგენდა? განა ერთი იყო ძლევა მოსილი განაფხულის პირველი დღეები, როდესაც დილის ცვარი ათასფრად აციმციმდებოდა მწვანე მოღზე, და ის პირქუში შემოდგომის დამე, როდესაც შავი ზღვიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა ძირიან-ფესვიანად მოგლიჯა ჩვენი უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის ჩრდილქვეშ ხშირად ვსადილობდით, ხოლო ჩვენს საყვარელ ცაცხვის ხეს ეკლესიის ეზოში ტოტები

დაუღეწა?

ალქაჯები, კინკები და სხვა მაგნე სულელები შემოფოთებას იწყებდნენ ჩვენს შორის. ბავშვები საღამორბით გვეურბოდით საიდუმლოდ დაჩრდილულ მდინარეების ნაპირებს, სასაფლაოებს, ეკალბარდიან ტევრებს. საღამოობით, როდესაც მზე ჩადიოდა, მისი სხივები ცოტა ხნით კიდევ დედამიწას ეალერსებოდა, რათა ყვითლად გაენათებინა მაღალი ხეების კენწეროები. ჩვენ გვეგონა, რომ ამ დროს საფლავეებიდან მიცვალეზული ამოდიოვდნენ, რათა მკვდრის მზეზე ორიოდ წუთით მაინც გაეთხოთ თავიანთი გაციებული ჩონჩხები. ღამით წისქვილის ხმაური და ღომის საცხველი ჩამურის ძახილი უფრო გარკვევით გაისმოდა. თბილი ზაფხულის ღამეებში მათ ემატებოდათ კრიკინების და ბაყაყების კონცერტი და რალაც გაურკვეველი ფუსფუსი და ოხვრა. და როდესაც მე და ჩემი მომდევნო ძმა, თვით ან სიმინდის ტაროებით დატვირთულ ურემზე პირაღმა დაწოლილნი, სათიბიდან ან ყანიდან შინ ვბრუნდებოდით, ჩვენი სული თითქოს ამ საიდუმლოებით აღსავსე დედამიწას და ვარსკვლავებით მოქედო ცის გუმბათს უერთდებოდა.

გარდა შელოცვისა და პირჯვრის გამოსახვისა, კიდევ სხვა უებარი საშუალებაც არსებობდა ბოროტი სულების დასათრგუნავად. პირველ ენკენისთვეს კუდიანების დღესასწაული დგებოდა. ღამით ისინი მთავარ როკაბთან მოფრინავდნენ საჩუქრებით. მათ შორის საუკეთესოდ ბავშვის გული ითვლებოდა. ამიტომ თმას წმინდა სანთლით გვიწებავდნენ, რათა დაცული ეყოფილიყავით ყოველი ხიფათისაგან. მგონია, იმავე მიზანს ემსახურებოდა ცეცხლით განწმენდა ვენების ოთხშაბათს, ჭიაკოკონა და სხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე პირადად ძალიან ადრე გავთავისუფლდი კინკების არსებობის რწმენისაგან და გულში მეცინებოდა,

როდესაც ერთი გამსაკუთრებით დაფეთებული ამხანაგი მარწმუნებდა, ჩემი საკუთარი თვლით დავინახე, რომ მინდორში დიდი ცეცხლი ენთო და, შიგ ქინკები ხტოდნენო.

რამდენი სიმღერა, რამდენი ზღაპარი და ლეგენდა მომისმენია სოფლის გოგო-ბიჭებისაგან მარანში, სადაც უზარმაზარი საწნეხლებიდან სურნელოვანი მაქარი ქვევრებისაგან მიჩუხჩუხებდა, ან შემოდგომის მთვარით განათებულ ეზოში, სადაც სიმინდი ირჩეოდა და ნედლი ტაროები იწვოდა, ბოლოს სამზარეულო სახლში, შუა ცეცხლის პირას, სადაც დიდ კარდალში ფელამუში დულდებოდა და თხილის ან ვაშლის ჯანჯუხები ივლებოდა.

ეს იყო სამყარო, აღსავეს იდუმალებით, სიხარულით და მომზიბლავი მშვენიერებით.



შვიდი წლის ვიყავი, როდესაც სოფლის სკოლაში შემეყვანეს. ქართული წერა-კითხვა უკვე ვიცოდი და ნაგემები მქონდა „მელიას და მწყერჩიტას“ პოეზია. ჩემთვის უბედნიერესი წუთები დგებოდა, როდესაც თბილისიდან ანასტასია-თუმანიშვილის ძურნალს „ჯეჯილს“ მივიღებდი, შიგ ვაე-ფშაველას და თედო რაზიკა-შვილის მოთხრობებს ან შიო მღვიმელის ლექსებს წავიკითხავდი, სურათებს დავათვალიერებდი და რებუსებს ამოვხსნიდი. გულის ფანქალით ველოდი აგრეთვე მამაჩემის დაბრუნებას ოზურგეთიდან, საიდანაც მას ჩემთვის ხშირად კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული სურათებიანი საყმაწვილო წიგნები მოჰქონდა.

ჩემი მახსოვრობიდან არასოდეს აღარ წახოცილა ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობამ „სიკვდილით დასასჯელის

უქანასკნელმა დღემ“ მოახდინა. მახსოვს, ზაფხულის ცხელ დღეებში ჩვენი ეზოს მივარდნილ კლთხეში განვმარტოვდი, ჩრდილოვანი ხის ძირში დავჯექი და მთელი მოთხრობა ისე წავიკითხე, რომ არ ავმდგარვარ. ეს იყო ჰუმანიზმის პირველი გაკვეთილი, მოცემული ორი კაცთმოყვარე მწერლის — ვიქტორ ჰიუგოსა და მისი ქართველი მოთარგმნელის თედო სახოკიას მიერ. თერთმეტ-თორმეტი წლის ბავშვისთვის ეს გაკვეთილი განსაკუთრებით ეფექტური იყო: მან შეიძულა სიკვდილით დასჯა და ყოველივე ძალმომრეობა.

ჩვენი სამაზრო ქალაქი პირველად შვიდი-რვა წლის ასაკში ვნახე. რადგან იქიდან დროდადრო სხვადასხვა საქონელი მოჰქონდათ — ქსოვილები, ქურქული, ფეხსაცმელი, წიგნები, ტკბილეულობა, მე ის წარმოვიდგინე როგორც ერთი მონუმენტალური გუმბათი, სადაც ყოველივე სავაჭრო საგნები უხვად ეწყო. ეს ალბათ იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენი ეკლესიის გუმბათი უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე: მეჩვენებოდა, რომ იქიდან ღმერთის თვალი მიცქეროდა. ვინაიდან საქონლის წარმოებაზე არაერთგვაროვანი წარმოდგენა არ მქონდა, ძალიან მაკვირვებდა, რომ ეს ქალაქის გუმბათი არ იცლებოდა. როდესაც პირველად ოზურგეთში ჩავედი, დავინახე, რომ ის არსებითად არ განსხვავდებოდა ჩვენი სოფლისაგან, მხოლოდ უფრო დიდი და მკიდროდ დასახლებული იყო და მეტი დუქანი და მაღაზია ჰქონდა. ქალაქელი ბავშვები ნაკლებ სიმპათიური მეჩვენენ. ეტლობანას თამაში უყვარდათ, მაგრამ არც მე, და არც ჩემს ძმას მეეტლის როლს არ გვითმობდნენ: ჩვენ იძულებული ვიყავით ცხენების როლით დავკმაყოფილებულიყავით, და ისიც საკმაოდ გაუხედნელი ცხენების, ამიტომ მათრახი ხშირად გვხვდებოდა ფერდებში.

სოფლის სკოლაში ქართულ და რუსულ ენებს იაკობ გოგებაშვილის და უშინსკის საუცხოო სახელმძღვანელოებით გვასწავლიდნენ. მე ჯერ კიდევ არ მენახა ქართლი, მაგრამ როდესაც „ღედა ენაში“ რაფიელ ერისთავის ლექსებს ვკითხულობდი, ნათლად ვხედავდი ქართლის სოფელს პაპანაჭება სიციხეში და ცივი ქრისტეშობისთვის დღეებში, და ის უფრო მშვენიერი მეჩვენებოდა, ვიდრე შემდეგ აღმოჩნდა სინამდვილეში. კიდევ უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხური პოეზიის ნიმუშები. მე დღესაც ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე ენაზე შეიძლება არსებობდეს წიგნი, რომელიც უფრო მეტად უწყობდეს ხელს პატარა ადამიანის პატრიოტული შეგნების განვითარებას, ვიდრე გოგებაშვილის „ღედა ენა“ და „ბუნების კარი“.

რაც შეეხება ჩვენი სოფლის სკოლის მასწავლებლებს, მე მათ დღესაც იდეალურ პედაგოგებად ვთვლი. ბევრი რამ დამაფიქვლა, რასაკვირველია, მათ მიერ მოცემული გაკვეთილებიდან, არითმეტიკიდანაც, რომელსაც მაინც-დამაინც ვერ ვეწყობოდი, და გეოგრაფიიდან და ისტორიიდანაც, რომლებიც ძალიან მიყვარდა. მაგრამ ადამიანობის პირველი გაკვეთილები, რომლებიც მათ მომცეს, არასოდეს არ დამავიწყდება.

სკოლას ერთი მხრით ბალი ეკრა, საიდანაც კარგად მოჩანდა გურიის მთიანი ნაწილი ნიგოთის ქედამდე; სამხრეთით ჰორიზონტს ხშირი ტყით დაფარული აჭარა-გურიის მთა საზღვრავდა. გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოწაფეებს ამ ბაღში გვამუშავებდნენ: გვასწავლიდნენ ხეხილის დამყნას, ყვავილების და ფუტკრის მოვლას, მევენახეობას, დურგლობას. ზოგიერთი ჩემი ამხანაგი კარგი მომღერალი იყო, მათი ნადური, ხელხავი და ხასანბეგურა ახლაც მიდგას ყურში.

დასვენების დროს ხშირად ორ დღისად ვიყოფოდი, რათა ფირალიბა ან რმიანობა გვეთამაშა. ბევრჯერ მხოლოდ-ნელად თავს წაეწყდომივართ მდინარე დურღანაის ხრამში ჩასაფრებულ მტრის რაზმს და მას ჩვენთვის ცხვირიდან სისხლი უდენია; ბევრჯერ ფერდობზე დავგორებულვართ ჩვენი წარმოდგენით აშენებული ციხის აღების დროს; მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელებისაგან შეგონებული გვექონდა, რომ ამხანაგის ღალატი და დასმენა ყველაზე დიდი დანაშაული იყო.

ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი სოფლის მასწავლებლის გამგის გიგო შარაშიძის მონუმენტური ფიგურა, მისი თმის და წვერის თეთრი აბრეშუმი. მისი შავგვრემანი სახე და ოდნავ ირონიული ტუჩების მოძრაობა, რა შრომისმოყვარე, მომკითხველი და სამართლიანი იყო, რა აკადემიური გარეგნობა ჰქონდა და ის მართლაც ნამდვილი აკადემიკოსი იყო, თუ ამ ცნებას მისი პირვანდელი მნიშვნელობით გავიგებთ: იგი იყო ბაღში გამართული სკოლის ხელმძღვანელი, პრაქტიკული ზნეობის და ყოფაქცევის მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი.

ახალგაზრდობაში ცხოვრების სხვა ოსტატებიც შემხვედრია: როგორც თავადანხანაურობის და ინტელიგენციის, ისე გლეხკაცობის წრეში. მათ ჩამაგონებს რწმენა ადამიანობისადმი, რომელიც საბოლოოდ მაინც შემრჩა, მიუხედავად შემდგომი ცხოვრების მიერ მოცემული ფხიზელი და მკაცრი გაკვეთილებისა. ჩვენი ოჯახის ერთი მეგობარი სოკრატს ჰგავდა თავისი მშეთური სახით, ოდნავ დაჰყვებელი ცხვირით, უზრუნველობით და ცხოვრების წესით; მისი ცოლიც ქსანტიპეასავით უჩიოდა მის დაუდგრომლობას, და ის მართლაც, ალბათ, ცუდი ქმარი იყო. მაგრამ მას თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა შემოვლილი, კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას და ხალხის ზნე-ჩვეულებას.

და არაფერი შეედრებოდა მის საუბარს, რომელიც ბუნებრივ ქუქას და გონება-მახვილობას მოწმობდა. პაპაჩემი დედის მხრით ყოველ წელიწადს მიმინოს გეშავდა და მას ათიოდე ვარიას მაინც შეაკმევედა, სანამ შემოდგომაზე ნადირობის სეზონი დაიწყებოდა და ათიოდე მწყერს დაიჭერდა. პაპაჩემის ძმა მამის მხრით ანაფორიანი ღონეუანი ყოფილიყო ახალგაზრდობაში. სიბერეში ის თავის შევილებს გამოეყო და თავის ცოლთან ერთად ეკლესიის მახლობლად დასახლდა. თავლა უშუალოდ ზედ ეკრა მის დასაძინებელ ოთახს. თავისი საყვარელი ცხენი ამ თავლაში ება. როგორც ეტყობოდა, მას მღელვარე ახალგაზრდობის მოგონებანი მოსვენებას არ აძლევდნენ და ძილი უფროთხებოდა თურმე, — თუ თავისი ცხენის ფრუტუნი და ხრამუნი არ ესმოდა. პატარა ბავშვებს დიდი მორიდება გვქონდა მისი. მახსოვრებაში დღემდე აღბეჭდილი მაქვს მისი მკაცრი, ვაჟკაციური სახე, ამაყი და პირქუში გამოხედვა, გამხდარი, ძარღვიანი ფეხურა, მისი გიშრის კრიალოსანი, და რატომღაც ყოველივე ეს სალამოს ბინდბუნდსა, მწუხრის ზარსა და ჩვენი მწვანე ქვის ეკლესიის კედლებთან არს დაკავშირებული.

ჩვენს ოჯახს რამდენიმე მეგობარი ჰყავდა მეზობელ გლეხებში, და მამაჩემი მათ ხშირად მიმართავდა რჩევისათვის. ერთი მათგანი სოფლის „მართალი პირი“ იყო და მისი განჩენი, სოფლის სასამართლოში გამოტანილი, უაპელაციოდ სრულდებოდა. მე ძალიან მიყვარდა საუბარი ჩვენს კოჭლ მოხუც მეზობელთან, რომელიც ბატონყმობის ამბებს, ჩვეულებრივ, ამოთხვრით დაასრულებდა, რა სამართლიანია რუსის ხელმწიფე, რომ ბატონყმობა და ტყვეების გაყიდვა მოსპოო. როდესაც პაპაჩემი და მისი უფროსი ძმა გაყრილიყვნენ, ის ამ უკანასკნელის წილში მოხედრილიყო. ჩემი ბა-

ტონი ჩემზე ბევრად ხნოერი არ იყო, მაგრამ ძალიან შემინებოდა მისი სიმკაცრის გამო. თორმეტი-თხუთმეტი წლის ჰქონდა ვიქნებოდა, როდესაც ერთხელ, დილით, დობიროში გამგზავნა მალლარი ყურძნის მოსაკრეფად; იმავე დროს, თვალყური უნდა მედევნებინა ხარისთვის, რომელიც იქვე შორი-ახლოს ბალახს სძოვდაო. ნაშუადღევს მოვიდა და დაინახა, რომ ხარი აღარსად ჩანდაო, მაგრამ გამლახა გიდელის თოკით და მიბრძანა, ხარი მომეძებნაო. რადგან ის ახლომახლო ვერსად აღმოვაჩინე, შინით შინ ველარ დავბრუნდი, მეზობელი სოფლისაკენ გავიქეცი და დამე შარაგზის შირას გაეათიე ბუჩქებშიო. მეორე დილით დავინახე, რომ ვილაც უცნობ გლეხს ურმით უზარმაზარი ქვევრი მიჰქონდა ქუთაისისკენო. თავის ქვევრში ჩამაძვრინა და ორისამი დღის შემდეგ ქუთაისში აღმოვიჩინდიო. იქ შინამოსამსახურედ დავდექი ერთი გაქართველებული სომხის ვაჟის ოჯახში, ოთახები უნდა დამეგავა და კოკით წყალი მეზიდაო. კარგად მეპყრობოდნენ, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ ერთხელ, როდესაც კოკით წყაროდან შინ ვბრუნდებოდი, მოედანზე თვალი მოვკარი ჩემს ყოფილ ბატონს, რომელიც ცხენს მოათხოვარიკებდაო. გაქცევა დაეპირე, მაგრამ კოკას ვერ შეველე, დამეწია, კოკა დამიმტვრია, წელზე თოკი მომაბა და მესამე დღეს ჩვენს სოფელში ჩამომიყვანაო.

ამ ჩემს მეგობარს ყველაფერი მაინც არც ახალ დროში მოსწონდა: გლეხებისათვის ზედმეტად სთვლიდა სკოლას, ხოლო ტყვეების გაჩენა დიდ უბედურებად მიიჩნდა. ჩვენი ოჯახის დიდი ერთგული იყო და საკალანდო ღორი უმისოდ ვერ დაიკვლებოდა. ერთხელ ყელში დანაგარჯობილი ღორი გაექცა. ამ ამბავმა ისე შეაწუხა, როგორც სარდალს, ალბათ, ალყაშემორტყმული მტრის გაქცევა შეაწუხებს. „ეჰ, ძალიან

დავბერებულვარ“, თქვა მან და თავი ჩაქინდრა.

სიკვამლეში მას რაღაც ავადმყოფობა გასჩენოდა, მგონია ძვლის ტუბერკულოზი, და ვიღაც უმეცარ ექიმმაშს მისთვის ბარძაყში გახურებული შანთი გაეყარა. ძალიან უჭირდა ყანაში მუშაობა, არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც სიკვდილი ასე მონატრებოდეს, როგორც მას. ავადმყოფობამ, სილარიბემ ძალიან დაღალა და სიკვდილს ისე ელოდა, როგორც ადამიანი, ჩვეულებრივ, ძილს ელის დამქანცველი მუშაობის შემდეგ, და მარტოღაც, მან ერთ გაზაფხულის დღეს, მუშაობის დროს, თონზე დაყდნობილმა დაიძინა საუკუნოდ.

ჩემთვის ყოველთვის უცხო იყო ყოველივე წოდებრივი განკერძოების გრძნობა, ხოლო ერთმა ინცინდენტმა განსაკუთრებით შემაძულა ყალბი არისტოკრატიული ქედმაღლობა. ერთხელ სკოლიდან შინ ებრუნდებოდი. კანცელარიის წინ დაეინახე ეტლი, რომელშიც ერთი ევროპულად ჩაცმული მამაკაცი იჯდა. მას მიუახლოვდა შუახნის გლეხი, ყაბალახი მოიხადა. მოწიწებით თავი დაუკრა და მიმართა: „ბატონო, მითხრეს, თითქოს შინამოსამსახურის დასაქირავებლად მობრძანებულიყავით, მე მყავს ქალიშვილი, მგონია გამოგადგებათო“. უცნობი არ განძრეულა, თითქოს არაფერი გაეგონოს. გლეხს სახეზე გაკვირვება და შეწუხება აღებეჭდა. მან უკან დაიწია. უცნობი, რომელმაც ასე სრულყოფილად შეასრულა ეგვიპტური კერპის როლი, აღმოჩნდა ჩონხატურელი თავადიშვილი, შემდეგ სახელმწიფოს საბჭოს წევრი.

ბავშვობაში მე არც სოფლად, არც ქალაქში არ დამინახავს, რომ ქართველკაცს ხელი გაეწოდოს მოწყალეების სათხოვნელად. სამაგიეროდ, გურიისი ხშირად მოდიოდნენ რაღაც გაურკვეველი ეროვნების მათხოვრები, რომელ-

ნიც პირჯვარს იწერდნენ და თავიანთ თავს, ჩვეულებრივ, ბერძნებს უწოდებდნენ. ამიტომ მე ბერძნული მათხოვარი ერთი და იგივე მეგონა. მე მიყვარდა მათთან საუბარი, მათი სადაურობისა და თავგადასავალის გამოკითხვა. ერთმა დამტკრეული ქართულით მითხრა, ართინელი ვარო. მე გავიფიქრე, ალბათ გამაჰმადიანებული ქართველი არის-მეთქი, და გადავწყვიტე მისი გათვითცნობიერება, მისი დაბრუნება სამშობლოს წიაღში. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“ ლივანის და შავშეთ-ერუშეთის აღწერა წავუკითხე. საშინლად გაუხარდა, როდესაც ნაცნობი ადგილების სახელები გაიგონა; შემდეგ ქართული ანბანის სწავლა დაეაწყებინე. ნიქიერი აღმოჩნდა და სულ ცოტა ხანში ისწავლა ქართული წერა-კითხვა. რამდენიმე წლის შემდეგ ის ხელახლა მოსულიყო და მე ვეკითხე. ძალიან შეწუხებულიყო, როდესაც ეთქვათ, ქალაქში წავიდა სწავლის გასაგრძელებლადო.

მასსოვრობაში განსაკუთრებით ჩამრჩა კიდევ ერთი მათხოვარი ან, უკეთ ეთქვათ, მანწანწალა. ერთხელ, როდესაც შინ მხოლოდ ქალები და ბავშვები ეყავით, კარზე მოგვადგა გაურკვეველი. ეროვნების კაცი, მაღალი, მსუქანი, სახე გაეჩედილებული, და თავხედურად განაცხადა, ღვთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი ვარ და ვალდებული ხართ, გამიმასპინძლდეთ და ღამე გამოთევინოთო. ქალები საშინლად დაფრთხნენ და მეზობლების მოსაყვანად გამგზავნეს. როდესაც უკან დავბრუნდი მთელი რაზმის თანხლებით, დავინახე, რომ ეს ახირებული ანგელოზი ხის ჩრდილში იჯდა და ხარბად შეექცეოდა ლობიოს და იზაბელას ღვინოს. მას არაფრად ესიაშოვნა ჩემი მხედრობის დანახვა, მაგრამ მაინც ჩვენი ეზო არ დასტოვა, სანამ თავისი ქოთანნი და ღოჭი არ დასცალა.

ბავშვობაში ძალიან ბევრი მესმოდა

სახელგანთქმული გურული ფირალების შესახებ. ერთ-ორჯერ ისინი ჩვენს სოფელსაც ეწვივნენ. სისონა დარჩიას, მესხულას, დათუნაიშვილის, მიქელიაშვილის სახელები რაღაც რომანტიკული შარავანდელით იყო შემკული: სახალხო პოეტები მათ ლექსებს უძღვნიდნენ, ამ ლექსებს, გადამწერლები ავრცელებდნენ, ქალები ჩონგურზე დაპლინინებდნენ. ყოველი გასათხოვარი ქალიშვილის იდეალში ფირალის სახე შედიოდა შემადგენელ ნაწილად, ყველა ვაჟაყაც გულს უძგერებდა მათი გმირობის ამბები. უთანასწორო ორთაბრძოლაში, რომელსაც გურული ფირალები პოლიციის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, გლეხაკობის თანაგრძნობა ამ თავგანწირული პროტესტანტების მხარეზე იყო. ის არ უფრთხოდა თვით საშინელ ეგზეკუციებს და მათ თავშესაფარსა და საკმელ-სასამელს აძლევდა. თავიანთ მხრით გურული ფირალები მხოლოდ თავდაცვის მდგომარეობაში ჩადიოდნენ მკვლელობას და ღარიბებს თითქმის არასოდეს არ ძარცვავდნენ.

• • •

სქესის საიდუმლოების გრძნობა სოფელ ბავშვში, ჩვეულებრივ, უფრო ადრე იღვიძებს, ვიდრე ქალაქელში, ვინაიდან ის უფრო ახლო დგას ცხოველთა და მცენარეთა სამეფოებთან, რომელნიც მუდმივი განაყოფიერების პროცესში იმყოფებიან. სოფელ ბავშვებს შორის ხშირია აგრეთვე რაინდული მეგობრობის გრძნობა.

ხშირად შემოქმედისთვის მადლობა შემიწირავს, რომ ისეთს ყოველმხრივად მშვენიერ ქვეყანაში გამაჩინა, როგორც დაუკარგებელი მეჩვენებოდა. გურია დედამიწის ცენტრად მიმაჩნდა, გურულები კაცობრიობის ყველაზე უფრო კეთილშობილ წარმომადგენლებად. ბედის მადლიერი ვიყავი აგრეთვე, რომ მან ვეჟად გამაჩინა და არა ქალად.

სოფლის სკოლაში გოგონები და

ბიჭები ერთად ვსწავლობდით, ხოლო ისინი რიცხვით ჩვენზე ნაკლები იყვნენ და წინა მერხზე ისხდნენ განსაკუთრებით. ცხრაათი წლისა ექნებოდი, როდესაც წარმოვიდგინე, უიმედოდ შეყვარებული ვარ-მეთქი და ჩემს მეგობარს ვუთხარი აღსარება. აღმოჩნდა, რომ ისიც იმავე ოქროსთმიან გოგონაზე ყოფილიყო შეყვარებული, რომელიც ჩვენზე სოფლის სკოლაში სწავლობდა, მხოლოდ ორი განყოფილებით ჩვენზე უკან იყო. მაგრამ ჩვენი მეგობრობის გრძნობამ გაუძლო ამ განსაცდელს, მხოლოდ ჩვენმა მეშურნეობამ რაინდული შეჯიბრების ხასიათი მიიღო. მე შემოდგომაზე ჩემი პატარა ამხანაგების ნაღი მოვიწვიე და სიმინდი მოვატეხინე ჩემი რომანტიკული ტრფილის ყანაში. მუშაობის დროს ცალი თვალი ოდისკენ მიქირა. საშინლად გულმოკლული დავრჩი, რომ მან იმ დღეს რატომღაც თავი ცხრაკლიტულში დამწყვედულ მზისუნახავად წარმოვიდგინა, და ერთხელაც არათუ ყანაში არ ჩამოვიდა, აივანზეც არ გამოჩნდა. ჩემმა მეგობარმა უფრო პოეტურ გზას მიმართა: მან რომანსი დაწერა, კონვერტში ჩასდო და ბახვისწყალში ჩააგდო იმ იმედით, რომ ის პირდაპირი დანიშნულებით მივიდოდა დილით პირისდაბანის დროს.

ამ ასაკში ქალი რაღაც საიდუმლოებით აღსავსე არსებად მეჩვენებოდა, უსახლეროდ მომხიბლავი და სახიფათოდ ერთსა და იმავე დროს. მაგრამ რა მოუვიდოდა მის სატრფიალო წერილს, სანამ ბახმაროდან ბახვში ჩავიდოდა. ე. ი. დაახლოებით 30 კილომეტრს გაივლიდა?

ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო, როდესაც სკოლის ბაღში ან ეკლესიის ეზოში შორიდან ჩემი ნანდაურის კოხტად შეკრეჭილ თავს, ყავისფერ ან ლურჯ კაბას და შავ წინსაფარს მოკვრავდი თვალს. მასთან პირისპირ შეხვედრას და დალაპარაკებას გაეუბრბოდი,

თუმცა სხვა გოგონებთან უბრალო ამხანაგური ურთიერთობა მქონდა. ვოცნებობდი, როდესაც დავვაკაცდებოდი, რაიმე არაჩვეულებრივ გმირობას ჩავიდნენ მისი გულის მოსანადირებლად-მეთქი. ამ გრძნობასთან დაკავშირებით ბევრი ბედნიერი სიზმარი მინახავს ძილში თუ ცხადში. ჰანიბალის ფიცს ვსდებდი, რომ ჩემს სამშობლოს რუსეთის მეფის ბატონობისგან გავათავისუფლებდი. მიიმედ შეჯავშნული, რახტიან და ცეცხლის მქმინავ ცხენზე ამხედრებულ-ლი, მტრის რაზმებში ვიჭრებოდი და პირდაპირ მათი მთავარსარდლის კარვამდე ვალწევდი, რათა ის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გამომეწვია. ანდა მთელ მოწინააღმდეგე არმიას ვიწრო ხეობაში ვუსწრებდი, გასავალ გზას ვუკეტავდი, ფერდობებიდან ვუტევიდი და ისე უღმობელად ვვლტედი, რომ ერთი მოწმეც კი არ რჩებოდა, რათა პეტერბურგის მთავრობისთვის საშინელი კატასტროფის ამბავი მიეტანა. უცნობ მატრიკებს ვპოულობდი შორეულ ოკეანეებში. რაც შეეხება ჩრდილოეთის პოლუსს, მაშინ არ მეგონა, თუ მისი აღმოჩენა ოდესმე საქირო და შესაძლებელი გახდებოდა. ისე კი სიზმარში ხშირად ვაფფრენილვარ, მხოლოდ არა თვითმფრინავით, არამედ საკუთარი ფრთებით. და ყველა ამ გმირული წარმოდგენის ჩამგონებელი, სამშობლოს სიყვარულის გარდა, ჩემი პატარა ბახვისწყლისპირელი ფერია იყო.

როდესაც თხუთმეტი წლის შემდეგ მას ხელახლა შევხვდი, ის უკვე დაჭლებული იყო, მე კი ვერავითარ საგრობას ვერ დავაკვიხნიდი, თუ ორიოდ სავაზეთო წერილს არ ჩავთვლიდი. — ეს წერილები უფრო ახალგაზრდულ ყოყლოჩინობას მოწმობდა, ვიდრე ნამდვილ გონებაშახვილობას. ის უდავოდ მომხიბლავი იყო. მაგრამ მის სახეს სრულიად აღარ შერჩენოდა იერუსალიმის ტაძრის კიბეზე ამავალი ქალწული მარიამის უმანკო გამრმეტყველება. ეტ-

ყობოდა, მრავალი ორთაბრძოლა მქონდა გადახდილი სამიჯნურო ასპირეზზე. ძალაუნებურად გავიფიქრე, მინდასაპყრობად არც ჰანიბალის და არც სერკელე მეფის სტრატეგიული გენია არ უნდა იყოს საქირო-მეთქი; ეს იყო ერთი იმ აღმოჩენათაგანი, რომელიც ახალგაზრდობის პოეტურ ბურუსს ფანტაზს და ცხოვრებას ნაკლებ მიშზიდველს ხდის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მას მეტი კეთილშობილება, უანგარობა და თვით უბიწობაც შეენარჩუნებინა, ვიდრე ზოგიერთ ახლადმოვლენილ რომელ მატრონას, რომელიც სათნოებით აღსავსე გჩვენებია იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ არავის მიაქვს იერიში.

* * *

შუა ზაფხულში, ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში, ჩვენი ოჯახი აბზარგებოდა და ბახმაროზე მიდიოდა სააგარაკოდ. ეს მგზავრობა მთელი დღე გრძელდებოდა, ალიონიდან სალამოს ბინდამდე. რამდენიმე საჯდომი და საბარგო ცხენის დაჭირავება გვჭირდებოდა, ვინაიდან ქვეითად სიარული მეტად დამლაღავი იყო და თან მთელი საოჯახო ბარგი უნდა წაგველო—ლოგინი, ქურჭელი, ნაწილობრივ საკვებიც. მაგრამ ყოველი უხერხულობა უხვად ნახლავრდებოდა იმ სიამოვნებით, რასაც ჯერ გზის ველური სილამაზე, ხოლო შემდეგ თვით ბახმაროზე ყოფნა გვანიჭებდა.

ალაგ-ალაგ ბახმაროს გზა ღრმა ნალვარევს წარმოადგენდა, იმდენად ვიწროს, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი საპალნიანი ცხენისთვის გვერდის შექცევა თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩალვადრები ერთმანეთს აფრთხილებდნენ ყვირილით. ალაგ-ალაგ ეს გზა ტყით დაფარულ ღრმა უფსკრულს მისდევდა, საიდანაც მთის მდინარის ღრიალი ისმოდა, ალაგ-ალაგ ის ციცაბო, თითქმის ვერტიკალურად დაშვებულ სიბ კლდეებში

იყო გაჭრილი. ტყე ისეთს შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ის სხვა გეოლოგიური ეპოქიდან იყო დარჩენილი, როდესაც ჩვენი დედამიწის ზურგზე უფრო მსხვილი ტანის ცხოველები და მცენარეები ცხოვრობდნენ.

მგზავრს თავდაპირველად თხმელის, შემდეგ წიფლის, ბოლოს ნაძვის და ფიჭვის ხშირი ტყე უნდა გაეელო. უზარმაზარ, მღვმარედ მდგომარე ხეებს სიბერისგან ხავსი მოსდებოდა და ბუწუწის წვერები ჩამოჰკიდებოდა. ზოგი მათგანი წაქცეულიყო და წლების განმავლობაში ღებოდა. ზოგს კიდევ თავისი ღონიერი ფესვებით კლდე გაუხეთქა ან უზარმაზარ ლოდს შემოხვეოდა. კაცი გაოცებული ვკითხებოდა თავის თავს: საიდან ღებულობს ის მასაზრდობელ წვენსაო. ქვის ლოდები ჯაღალესილნი იყვნენ, თითქოს ზღვის ტალღების მიერ გალოკვილნი იმ შორეულ ეპოქაში, როდესაც შავი ზღვა კასპიის ზღვასთან უნდა ყოფილიყო შეერთებული და კავკასიის მთის მწვერვალები ეუნძულებს წარმოადგენდნენ. ტყის ნიადაგი დაფარული იყო შქერით ანუ დეკით, გვიმრით, შენაყოფიანი წყავით და მოცივით.

დაახლოებით ორი კილომეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ეს უღრანი ხელუხლებელი ტყე თავდებოდა და ჯერ შქერიანი და არყიანი დაბალი ტყე, ხოლო შემდეგ ალპური საძოვრების ზონა იწყებოდა. აქ ბალახი ალაგ-ალაგ ისეთი მალალი იყო, რომ შიგ მოზრდილი ბავშვი დაიშალებოდა. მწვანე მთლი ალპური ყვავილებით იყო აკაშკაშებული: თეთრყვავილა შქერით, ყვითელი ბაიათი, ცისფერი ხსიათათი (კესანეთი), ვარდისფერი ეგირით (ვარსკვლავათი). ხშირად გზას თოვლიანი ნაპრალებიდან მომდინარე, აქაფებული ნაკადულები სჭრიდა; ალაგ-ალაგ მხიარული ფერდობები ჩანდა ზედ შეფენილი მძლარი შინაური პირუტყვით, რომელიც ზანტად თავს იბრუნებდა და გულგრილად

გვიცქეროდა. მოშორებით უფრო ძალიან მწვერვალები ამართულიყვნენ, ზოგი განდევნილი ბერივეთს დაჩქარებული, ზოგი — ცხენის ფაფარის მსგავსი, ზოგი — ღრმა ხრამებით დანაოქებული; ხოლო ზემოდან მათ მოვერცხილი უნაგირის მსგავსი საყორნი დაჰყურებდა.

ზოგიერთი ბექობიდან თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მოჩანდა; როდესაც წყნარი ღრუბლიანი დღე იდგა, გვერნებოდათ, ზემოდან დავცქერი თეთრ ზღვას, რომლის ტალღები შეჩერებულან რაღაც უხილავი ძალის ბრძანებით. მოწმენდილ დღეში ნათლად ჩანდა შავი ზღვა, აქოჩრებული გურია, რიონის მოღალაპავ ზოლი, ფოთის ნავსადგური და კავკასიონის მთავარი ქედი იალბუშითა და სვანეთის მწვერვალებით.

ამ ალპური საძოვრების ზონიდან მგზავრი ნელ-ნელა ქვევით ეშვებოდა. კიდევ რამდენიმე მთის ზურგის გადალახვა იყო საჭირო, და ბახვისწყლის ხეობაში ნაძვის და ფიჭვის ტყით გარემორტყმული ბახმარო ჩნდებოდა თავისი ბორცვებითა და ფერდობებით და თავისი მხატვრულად მიმოფანტული სააგარაკო სახლებით. რადგან წელიწადში ცხრა თვის განმავლობაში აქ არავინ ცხოვრობდა და მოაგარაკეთა მოძრაობა მხოლოდ ზაფხულში იწყებოდა, ბახმაროს ბუნება ყოველ ზაფხულში ქალწულებრივად ხელუხლებელი ჩანდა. პერი კვარის და ფიჭვის ფისის სუნით იყო გაღენთილი, წყაროს წყალი არაჩვეულებრივად ცივი და გამჭვირვალე იყო, რძე, კარაქი, მაწონი თითქოს ყვავილების წვენი შეეზავებინათ. პერს ძარღვებში თითქოს მეტი საწვავი მასალა შეჰქონდა; სიცოცხლე უფრო ბედნიერი ჩანდა, შემთხვევით თავმოყრილი მოაგარაკეთა საზოგადოება — უფრო პარმონიული.

წყნარ ღამეებში, როცა ციდან დედამიწაზე ფოსფორისებური სინათლე

იღვრებოდა, მთის ქედები და მწვერვალები ისე მოჩანდნენ, თითქოს მათ ღრმა ძილით დასძინებოდათ გრანდიოზული გეოლოგიური რევოლუციების შემდეგ. შორიდან მდინარის ხმაური მოისმოდა და ადამიანს სამყაროს უსასრულობის შეგრძნება ეუფლებოდა.

ხანდახან აგარაკზე მეგრელი მეჯოგე უზა კვარაცხელია გვესტუმრებოდა. მას ბინა და საზაფხულო საძოვრები აჭარაგურიის მთებში ჰქონდა, ოთხი-ხუთი კილომეტრის მანძილზე ბახმაროდან. მისი ფართო ფარეხი ფიჭვის ძელებით იყო შემოზღუდული და მის ჯოგს შემზარავი ქოფაკები დარაჯობდნენ. ამიტომ, როცა მასთან გვემგზავრებოდით, წინდაწინ შეიკრის გვეგზავნიდით: ის ხეზე უნდა ამშვრალიყო და ყვირილით ეცნობებინა ჩვენი მისვლა. ახოვანი, ბრგე უზა წინ გვეგებებოდა აუჩქარებელი ნაბიჯით და დარბაისლური ხელის მოძრაობით ყაერის საბურავიან, მიწის იატაკიან ბინაში გვებატოვებოდა. რა გემრიელი იყო მის მიერ მორთმეული ელარჯი, ანუ ღომში მოხარშული ჩვილი სულგუნი, რა სასიამოვნო სუნი უდიოდა მის რძით და ყველით სავსე კასრებსა და კოთბოებს! როგორც ეტყობოდა, უზა კვარაცხელია ბუნებრივი ნიჟით დაჯილდოებული თვითგანსწავლილი ზოოტექნიკოსი იყო. მის მიერ შექმნილი საქონლის ჯიში ცნობილი იყო გურიასა და სამეგრელოში. ძალიან კარგ სანახავს წარმოადგენდნენ მისი ლაღად მოფუნდრუკე მოზერები და ციკნები, რომელთაც ჯერ კიდევ რქები არ ამოსვლოდათ, მაგრამ ერთმანეთს ეჯახებოდნენ წარმოდგენილი რქებით. უზა კვარაცხელიას მხატვრული ნიჭი ჰქონდა: ის ბავშვებს საუცხოო საჩუქრებს გვიძღვნიდა — სულგუნიდან გაკეთებულ ირმებს, დათვებს, დაწულ ჯაქვებს.

ბახმაროს სააგარაკო სეზონი ხანმოკლე იყო: მოდიოდა ფერისცვალების დღესასწაული. ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ბუნებას თითქოს მართლაც ფერი ეცვ-

ლებოდა. მზე მხურვალუნას ჰკარგავდა, მთის მდინარეში, როგორც ჩვენი უფროსები ამბობდნენ, თითქოს ქვეყნის ყინული ვარდებოდა. ფერდობზე ჩამოწოლილ ნისლში ადამიანები და საგნები ფანტასტიკურ სილუეტებს ემსგავსებოდნენ. და ჩვენ ხელახლა ავიყრებოდით, რათა ბარში დავბრუნებულიყავით. ბარში ბავშვებს ახალი სიამოვნება გველოდა დამწიფებული ხილისა და აერიაშებული სკოლის სახით.



თორმეტ წლამდე ბახვის ორკლასიან სასწავლებელში ანუ, როგორც ახლა იტყვიან, ხუთწლედში ვსაწვლობდი. სხვა საგნებს შორის საღმრთო სჯულსაც გვესწავლიდნენ. ამ საგნით მაინც დამაინც გატაცებული არ ვიყავი, მაგრამ თავისებურ პოეზიას ეპოულობდი ძველი და ახალი აღთქმის მოთხრობებში. გულუბრყვილოდ მორწმუნე ვიყავი, იმ ბუნებრივი რელიგიის აღმსარებელი, რომელიც თითქმის ყოველ ადამიანს აქვს თანდაყოლილი, და ისტორიულად შემუშავებულ დოგმებზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ მოკრძალებათე შეუცნობელი ძალების წინაშე.

ქრისტიანობა თავდაპირველად წარმოიშვა მხიარული საეკლესიო დღეობებისა, ჩვენი სოფლის ქართულ სტილზე აშენებული დიდი ეკლესიისა, საზეიმო მღვდელმსახურებით და საგალობლით აგუგუნებული თაღებისა, ბოლოს, კაცთმოყვარე მორალის სახით. მამაღმერთი დაახლოებით ისეთ საშოსელოფრიალებულ და გრძელწვერიან მოხუცად მყავდა წარმოდგენილი, როგორც ის ჩვენი ეკლესიის კანკელზე თუ საკურთხეველის კონქში იყო დახატული. ღრმად მწამდა, რომ ის სამართლიანი და გულკეთილი იყო და საიქიოში ყოველივე ამქვეყნიურ უსამართლობას გამოასწორებდა, ბოროტ ადამიანებს დას-

ჯიდა, ხოლო მართალ უხვად დააჯილდოებდა.

სამოთხე ძალიან კონკრეტულად მჭონდა წარმოდგენილი, როგორც ადგილი ნათელისა, როგორც ადგილი მწვანელოვანი, სადაც არ არის არცა საღმობა, არცა მწუხარება და სულტქმა, როგორც ამას მღვდელი ამბობდა მიცვალებულის ანდრძის აგების დროს. დარწმუნებული ვიყავი, რომ საიქიოში ხელახლა ძვირფას მიცვალებულთ შეხვდებოდით. ეს დიდი ნუგეში იყო, განსაკუთრებით ჩემი უმცროსი ძმისა და დედაჩემის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ.

როგორც მახსოვს, უშინსკის „დეტსკი მირში“ რამდენიმე მშვენივრად დაწერილი სტატია იყო მოთავსებული მეცნიერების განვითარებისა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან, მაგალითად, პითაგორსა, კოპერნიკსა, კოლუმბსა, მაგელანსა, გალილეისა და ნიუტონზე. იაკობ გოგებაშვილსაც თავის „ბუნების კარში“ საბუნებისმეტყველო ცნობები ჰქონდა შეტანილი. დიდად დამაინტერესა აგრეთვე მამაჩემის მიერ ნაყიდმა გეოგრაფიის რუსულმა სახელმძღვანელომ, რომელსაც ელემენტარული კოსმოგრაფიული ცნობები ჰქონდა დართული. პირველად ამ წიგნების ზეგავლენით ვიგრძენი ბუნდოვანად, რომ ბიბლიურ და ქრისტიანულ აზროვნებაში ყოველივე წესრიგზე არ იყო.

ბავშვებისთვის წიგნზე არანაკლები ავტორიტეტი უფროს ამხანაგებს აქვთ. აღდგომის დღესასწაულზე ქალაქიდან ჩამოსულმა მოწაფემ, რომელსაც დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვეპყრობოდი, სასაცილოდ აიგდო ჩემი რწმენა გულკეთილი მამალმერთისა და უბიწო ღვთისმშობლისა; წითელ პარასკევს ის ფარულად პასკის-ნაჭრით გამიმასპინძლდა; მე შევეამნე, რომ ეს ნაჭერი სრულიადაც ისეთი გემრიელი არ იყო, როგორც წინათ მეჩვენებოდა სააღდგომო სუფრასზე, ვნების კვირის

მარხულობის და ზიარების შემდეგ. ჩემმა მეგობარმა მითხრა, გამოკვეთილი მატერიალისტი ვარ, დარწმუნებული ვარ, არც ღმერთის არსებობა მწამს და არც ეშმაკის, იმქვეყნიური სამოთხე ხუცების მოგონილია ხალხის გასაბრძოლებლადო.

დაახლოებით იმავე ხანებში ჩვენს ოჯახს ერთი ხანშესული ქართველი კომერსანტი ეწვია. სუფთა ევროპულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, დარბაისლური გარეგნობა და მიხრა-მოხრა და გაქალაქავებული, გრძელი, ბოლოში ოდნავ გაყოფილი წვერი ჰქონდა. ბევრი ემოგზაურა და მრავალი უცხო ქვეყანა ენახა. ჩვენი ოჯახის უფროს წევრებსა და მას შორის ნასადილევს მღელვარე დიალოგი გაიმართა. არავის ყურადღება არ მიუქცევია, რომ მათს საუბარს გულდასმით ვუსმენდი. ჩვენმა სტუმარმა ქრისტიანობას შეუტია არა ათეისტის, არამედ ხატთმებრძოლის თვალსაზრისით. ღმერთი მწამს, მაგრამ სასაცილოდ მიმანია ვიდაც ბრიყვი ხელოსნების მიერ დახატული ხატების თაყვანისცემაო. ჩემი თვალთ მინახავს, რამდენ უხამსობას სჩადიან ხელოსნები ხატზე მუშაობის დროს, როგორ შეიძლება მათი უწმინდური ხელებით შექმნილი სურათები წმინდა იყოსო. მე კი ისე არაფერი მომწონდა, როგორც ზოგიერთი ხატი. მაგალითად, ძალიან მომწონდა ახალგაზრდა, ლეთისმშობელი, რომელიც ეკლესიის კანკელზე ძალიან ცოცხლად იყო გამოხატული და თითქოს პირდაპირ თვალეში მიცქეროდა სადაც უნდა ემდგარიყავი; ძალიან მიყვარდა აგრეთვე უწვერულვამო გაბრიელ მთავარანგელოზის ცქერა: მას მთავარდიაკვნის სამოსი ეცვა და ხელში საცეცხლური ეჭირა, მაგრამ უფრო ლამაზ ქალიშვილს ჰგავდა, ვიდრე ჩვენს გაბურძნულ მთავარდიაკონს.

თუ ჩემზე უფრო გამოცდილი და განვითარებული ადამიანები ასე ფიქრობენ, მე გონებათაუწიფებელი ბაღლი

ვეოფილვარ, ვამბობდი ჩემს გულში. მაშ ყოველივე ამ ქვეყანაზე თავდება, ადამიანებისთვის საიქიო ცხოვრება არ არსებობს, როგორც ის არ შეიძლება არსებობდეს მაიმუნებისა, ცხენებისა და თავკომბალებისათვის. სიკვდილი სამუდამოდ გვაშორებს საყვარელ ადამიანებს და მათ შემთხვევით და მოკლე ხნით შევხვედრავართ დედამიწაზე. ეს სამუდამო განშორების იდეა ჩემთვის განსაკუთრებით აუტანელი იყო.

სული აფორიაქებული მქონდა, ღამით არ მეძინებოდა და მშფოთვარე სიზმრებს ვხედავდი, დღისით ძილდებილობაში ვიმყოფებოდი. გაშტერებული დავდიოდი: მეგონა, თეხქვეშ მყარი ნიჟარა გამომეცალა, მზეს ბინდი გადაეფარა-მეთქი.

ძალიან გამეხარდა, რომ ამ დღეებში ერთი ნაცნობი, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გვესტუმრა მახლობელი სოფლიდან. წინათ მასთან საუბარი მიყვარდა: თავს ვაბეზრებდი კითხვებით, რა განსხვავებაა ესპანელებსა და პორტუგალიელებსა, სერბიელებსა და ჩერნოგორიელებს შორის-მეთქი; ახლაც მინდოდა ღმერთის და წმინდანების ამბავი მეკითხა, მაგრამ მთელი სამუდამო ერთად ვისხედით და მაინც კრინტი ვერ დავძარი. ის გაოცებული იყო ჩემი დუმილით. „ძალიან გაამაყებულაო“, უთხრა მამაჩემს, როდესაც ვახშამზე დავვიძახეს. „მარტომარტო ვარ, ჩემი ტანჯვა არავის გაეგება-მეთქი“, ვფიქრობდი მე, სასოწარკვეთილი.

აღარ მახსოვს, იმ დროს იყო, თუ, შეიძლება, უფრო ადრე, ერთი პირქუში სიზმარი ვნახე. დამესიზმრა, თითქოს ურემზე ვიჯექი ზელფესშერული. ურემს ხარისთავიანი მამაკაცი მიუძლოდა, მას სადღაც მიყვავდი დასაკლავად. შემდეგ, როდესაც ძველი ბერძენების მითოლოგიას გავეცანი, ჩემი ურემის წინამძღოლის მსგავსი არსება აღმოვაჩინე: ეს იყო მინოტავრი.



ბავშვობაში სიკვდილი ბევრად უფრო შემზარავად მეჩვენებოდა, ვიდრე დღეს მეჩვენება. ჩემი უმცროსი ძმა ორისამი წლისა იქნებოდა, როცა ყელჭირვება დაემართა: ზამთრის უკანასკნელი თუ გაზაფხულის პირველი დღეები იდგა და ციოდა. მომჯობინდა, წამოდგა და ოთახში დაიწყო სირბილი. ფანჯარასთან მივიდა და სკამზე შედგა, რათა თითოთ ხაზები გამოეყვანა ორთქლით დანისლულ მინაზე. ავადმყოფობამ ხელახლა შეუბრუნა და ლოგინში ჩააწვინა. ახლად მოლოგინებული დედაჩემი მეზობელ ოთახში იწვა, მასა და ჩემს ავადმყოფ პატარა ძმას მხოლოდ ხის კედელი ჰყოფდა. დილით დედაჩემის ოთახში ვიყავი, როცა მასთან მამაჩემი შემოვიდა. დედამ მაშინვე ავადმყოფი ბავშვის ამბავი იკითხა. ის ღამით უკვე გარდაცვლილიყო. მაგრამ მამაჩემმა უთხრა, არა უშავს, უკეთ არისო. „მაშ კედელში მისი სუნთქვა რატომ არ მესმისო“, ჰკითხა დედაჩემმა. მამაჩემს მწუხარებისაგან საზე დაემანჯა და ცრემლები წამოსცვივდა ღაპალებით. მე გარეთ გავვარდი. ცვალებადი დარი იდგა, ხან მზე გამოაშუქებდა, ხან მას ღრუბლები გადაეფარებოდა. ოდის სახურავზე თოვლი დნებოდა და, რადგან კედელთან ვიდექი, თავზე ცივი წვეთები მეცემოდა. ეზოში ნაგაზი ყმუოდა. „ნეტავი ყოველივე ეს სიზმარი იქნებოდეს-მეთქი“, ვფიქრობდი. მაგრამ ეს ცხადი იყო...

ამის შემდეგ დედაჩემს დიდხანს აღარ უცოცხლოა. ორი შვილის ნაადრევმა დაკარგვამ დაავადმყოფა და გულის დამბლით გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა. მოკრძალებული ხასიათის ქალი იყო. სხვის შეწუხებას ერიდებოდა, და, როდესაც ტირილით გულის მოჯერება მოუწოდებოდა, უკანა ეზოში განმარტოვდებოდა, ღელის პი-

რად, ღომის ჩამურის გვერდით; და მისი უხმო ქვითინი უერთდებოდა ჩამურის ძახილს, რომელიც ხმამალა მოტირალი ქალის ხმას მაგონებდა.

ერთხელ ახლად დაქვრივებულ მამაჩემთან ჩვენი სკოლის გამგე და მისი მეუღლე მოვიდნენ. მამაჩემმა შეჩვილა, ვერც დღისით და ვერც ღამით მოსვენება ვერ მიპოვნიაო. მათ ურჩიეს, ყაზბეგის მოთხრობები იკითხე, გულს გადააყოლებო. სტუმრებს თან გავყევი და მამაჩემს ყაზბეგის ოთხტომეული მოუტანე. მაგრამ მის კითხვას მაინცაღამაინც გული ვერ დაუღო. მხოლოდ ხშირად, როდესაც ღამით ლოგინში ვიწექი და დიდხანს ვერ ვიძინებდი, ვხედავდი, რომ მამაჩემი კუთხეში იდგა თაფლის სანთლით ხელში და თავის შავტყავიან წიგნებს კითხულობდა. ერთ-ერთობდა, სახარებასა და დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში მეტს ნუგეშს პოულობდა, ვიდრე ყაზბეგის „მოძღვარსა“ და „მამის მკვლელში“.

მამაჩემი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ის ერთ თავის ნაცნობთან ერთად ახლად გამოსული ბრაუნინგის სისტემის რევოლვერს, ათვალთვრებდა თურმე. მათ არ სცოდნოდათ, რომ ამ სისტემის იარაღში ერთი ტყვია ავტომატურად ვაზნების მკიდელდან ლულაში გადადის, რევოლვერი გავარდნოდან და მამაჩემი მუცლის აკეთან დაჭრილიყო. მე ეს ამბავი დებეშით მაცნობეს, მაშინ უკვე ქუთაისში ვსწავლობდი. მეორე დღით უკვე უბედურების ადგილას ვიყავი. სანამ ავადმყოფის ოთახში შევიდოდი, მახლობლებმა გამამხნევეს, ნურაფრის გეშინია, ჭრილობა მსუბუქია და ადრე მოშუშდებაო. მაგრამ ოთახში შესვლისთანავე გამოაცხა მამაჩემის შემკრთალმა, აღმაცერმა გამოხედვამ. მაშინვე გავიფიქრე, აღარ გადარჩება-მეთქი. თავი ვერ შევიკავე და ტირილი დავიწყე. მამაჩემმა საყვედური მითხრა, არ გრცხვენია, უმცროს შვილებს შენი იმედით

ვტოვებო. ცუდი იმედი იყო, მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, სრულიად მოუხმადებელი ცხოვრების მკაცრი პირობებთან საბრძოლველად.

როდესაც მამაჩემის სიკვდილის შემდეგ სოფელში ჩავდიოდი, ჩვეულებრივ, მის ყოფილ ოთახში ვწევბოდი და საძინებლად, მისსავე საწოლში. ხანგრძლივი წლების განმავლობაში ყოველივე შეიცვალა ამ ოთახში; უცვლელად ვგრძნობდი მხოლოდ თავისებურ სურნელებას, რომელიც საზამთრო ვაშლების, თაფლის სანთლის და ადამიანის დამახასიათებელი სუნისგან შედგებოდა. ეს გარემოება მით უფრო გასაოცრად მეჩვენებოდა, რომ წიგნების კარადაში აღარავეინ აწყობდა ვაშლებს, რომელთა შენახვა იქ მამაჩემს უყვარდა, აღარავეინ ლოცულობდა თაფლის სანთლის შუქზე, და თვით ამ ოთახის ბინადარიც დიდი ხნის მიცვალებული იყო.

დიდდამაჩემმა ღრმა მოხუცებულობის ასაკს მიაღწია. თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ბავშვი ყოფილიყო, როცა გაეთხოვებინათ. „ჩემს დასანიშნავად რომ წვერიანი მამაკაცები მოვიდნენ, შემეშინდა, უკანა კარში გავიპარე და ეზოში ხეზე შევეცოცდიო, ძლივს მიპოვეს და ძირს ჩამომიყვანესო“. ინსტინქტურად თუ გრძნობდა, რომ ბედნიერი ოჯახური ცხოვრება არ ექნებოდა: მამამისი ჯერ კიდევ მის გათხოვებამდე მოეკლათ თოფით; თოფისვე მსხვერპლნი გახდნენ მისი ქმარი, უფროსი ვაჟი, სიძე და ძმისწული.

დიდდამაჩემი იყო ჩემი პირველი ზნეობრივი აღმზრდელი. მან მომცა მორალის პირველი პრაქტიკული გაკვეთილები, არა მარტო იმისა, რომელიც ათი მცნებიდან გამომდინარეობს და მკვლელობას, ქურდობას, ყალბი ჩვენების მიცემას, სხვისი სახლის, ცოლის და კარაულის დახარბებას გვიკრძალავს. მისგან ხშირად მიმიღია აგრეთვე ზომიერების, თავდამბლობის, სულგრძელობის გაკვეთილებიც, თუმცა, უნდა გა-



მოვტყდე, ყოველთვის ვერ გამომიყენებია ისინი. ერთხელ შინ უპერანგოდ დაბრუნდა, გაეხადა და გაქირვებული მეოზბლის დედაკაცისთვის მიეცა. არ ვიცი, გაგონილი ჰქონდა თუ არა სულხან-საბა ორბელიანის არაკი მაგისტროსსა და შიშველ მკვდარზე, ხოლო კაცთმოყვარე მაგისტროსივით კი იქცეოდა. ეს მით უფრო გასაკვირველი იყო, რომ შამაჩემის სიკვდილის შემდეგ თვითონ ღარიბად ცხოვრობდა და, ყოველ შემთხვევაში, ვერ დაიკეცხნიდა გარდერობის სიმდიდრეს. სიკვდილამდე მხნეობა არ დაუკარგავს და მის მიერ დამუშავებული ბოსტანი, მის მიერ მომზადებული საკმელი, მისი ხელსაქმე განთქმული იყო მთელ კუთხეში.

როცა შემატყობინეს, რომ დიდუღაჩემი ლოგინად ჩავარდა და მისი დღეები დათვლილი იყო, მის სანახავად გავეშურე თბილისიდან. პირქუში შემოდგომის დღე იდგა, ნოემბრის ცივი ქარი მძიმე ღრუბლებს აღმოსავლეთისკენ მიერეკებოდა. ჩვენს ეზოში შესვლისთანავე თვალში მეცა საფლავის ორი დიდი ლოდი. გაკვირვებულმა ვიკითხე, აქ ვინ დაგისაფლავებიათ-მეთქი. შინაურებმა მიპასუხეს, აქ არავინ არ ასაფლავია, მხოლოდ ჩვენი ეკლესია დაშალეს, ძველი სასაფლაო გააუქმეს და გვითხრეს, ვისაც გსურთ, თქვენი მიცვალებულების ლოდები წაიღეთო.

დიდუღაჩემს რამდენიმე მღვდელმა აუგო წესი. მათი მღვდელთმსახურება დრამატულ დიალოგს ჰგავდა. ამ დიალოგმა, სადაც პლატონიზმის იდეები ქრისტიანობის ენაზეა გადატანილი, ჩემზე უადრესი შთაბეჭდილება მოახდინა. და მე გავიგე, რატომ ურიგდებოდა ასე ადვილად სიკვდილს ბებიაჩემი, რომელსაც სააქაო საგოდებლად გადაეჭცა, საიჭიოში კი მისი რწმენა აყვავებულ ბაღნარს უმზადებდა.

ქუთაისის რეალური სასწავლებელი, სადაც სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ შევედი, უფრო მტრულად შემხვდა, ვიდრე მეგობრულად. აღმოჩნდა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული და გამოცდებიც კარგად ჩავაბარე. რეალური სასწავლებლის დიდ ეზოს იმ დროს მთელი ის ფართობი ეჭირა, რომელიც ამჟამად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ეზოს უჭირავს; მას ქუჩის მხრიდან დიდი რკინის ქიშკარი ჰქონდა. საგამოცდო ოთახიდან გამოსვლისთანავე ამ ქიშკარის საფეხურზე შევედქი და ქანაობა დავიწყე. მაშინვე ჩემს გვერდით გაჩნდა უფროსი კლასის მოწაფე, რომელმაც ბრძანების კილოთი მომთხოვა, ძირს ჩამოვსულიყავი. იმდროინდელი ფირალების კლასიკური ქვეყნიდან — გურიიდან — ვიყავი, უკვე წაიკითხული მქონდა ეგნატე ნინოშვილის „სიმონა“ და ხალხური ლექსები არსენასა, მეხუზლასა, დათუნაიშვილსა და სხვებზე, და ჩემი ღირსების დამცირებლად მივიჩინე, მეგრელი მოწაფის ბრძანებას დავემორჩილებოდი. ის ცოტათი განზე გადავა და გაბრაზებულად დამიწყო თვალიერება. მე უზრუნველად განვაგრძე ქანაობა. უცებ მან ქორივით გვერდზე ჩამომიქროლა, მიწაზე დამანარცხა და ცემა დამიწყო. ამ მარცხმა ჩემი ავტორიტეტი დიდად შეარყია ჩემს ახალ ქუთაისელ ამხანაგებში, რომლებზედაც თავდაპირველად უფრო ხელსაყრელი შთაბეჭდილება მოვახდინე სოფლიდან ჩამოტანილი მესტრებითა და მხრებზე გადაკიდებული ყაბალახითა.

მეორე ეპიზოდმა, რომელიც იმავე წლის ზამთარში შემემთხვა, უფრო ღრმა კრილობა დასტოვა ჩემს სულზე და გააძლიერა ჩემი უნდობლობა ადამიანებისადმი: ზამთრისთვის მე შემიკერეს მუქი ლურჯი შატერის პალტო, როგო-

რიც საერთოდ მიღებული იყო რეალურ სასწავლებელში. მანამდე მე პალტო არ მცნია: სოფელში ზაფხულში ტილოს ან ჩითის ბლუზით, ზამთარში ფლანელის ბლუზით დავდიოდი. ამიტომ შესაძლებელია ჩემი ფორმის ტანისამოსით მე, ცოტა არ იყოს, სოფლელი კომბალას შთაბეჭდილებას ვახდენდი, ხოლო ბალთიანი ფართო სარტყელი და კაკარდიანი ქუდი ისე მიხდებოდა, როგორც გაუხედნელ მოზვერს საბარო ურმის უღელი.

ერთხელ, დეკემბრის თვეში, ნაშუადღევს, როდესაც ორი კვირით შობის არდადეგებისათვის დაგვიბოძა, აღმოვაჩინე, რომ ჩემი პალტო თავის აღგვილას არ ეკიდა სკოლის ტალანში, სადაც მას ჩვეულებრივ ეკიდებდი ჩემი ამხანაგების პალტოების გვერდით. იმუღბული გავხდი, სოფელში მაუდის ბლუზის ამარა გავმგაზვრებულყავი. სასწავლებელში დაბრუნებისთანავე შევუდექი ჩემი პალტოს ძებნას. დიდი დახმარება გამიწია ერთმა ჩემმა თანასოფელელმა მოწაფემ. ის ორი-სამი კლასით ჩემზე წინ იყო და მე ბევრად მჯობნიდა დაკვირვების ნიჭით და მოხერხებით. მან შეამჩნია, რომ ერთი მოწაფე, ერთგვარი ჯორცხენა, რომელიც რუსულს ქართული აქცენტით ლაპარაკობდა, ხოლო ქართულს რუსულით, პალტოს არ იხდიდა არც გაკვეთილზე, არც დასვენების დროს, ვითომდა შეუძლოდ ვარ და გაცივების მეშინიაო. ჩემმა მეგობარმა დიდი დასვენების დროს მას თამამად კალთები გადაუწია და მკითხა, ეს შენი პალტო ხომ არ არისო. აღმოჩნდა, რომ ამ პალტოსაც ნაცრისფერი სარჩული ჰქონდა, ისევე როგორც ჩემ მიერ დაკარგულს, მაგრამ ეს საკმაო არ იყო ქურდობის გამოსამყლავნებლად, იმიტომ რომ ნაცრისფერი სარჩული შეიძლებოდა ბევრს სხვასაც ჰქონოდა, მაგრამ ქურდმა თვითონვე გასცა თავისი თავი: მაშინვე შემომიბტია, ავი ეს პალტო თვითონ შენ

მომყიდევო. ამ უტიფრობამ მას ვერაფერი უშველა. ჩვენ მას დაუფოვნებელიც გავხადეთ პალტო. მე შევგონებინე ინციდენტი ამით ამრიგურა-მეთქი. მეორე დღეს ჩვენი სასწავლებლის დირექტორმა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერც პესტალოტის და ვერც უშინსკის მოწაფედ ვერ ჩაითვლებოდა, თავის კაბინეტში გამიწვია. ვერც კი მოვასწარი მასთან შესვლა, რომ მან ფეხების ბაკუნი და ყვირილი დამიწყოს: როგორ, შენ პალტოს ჰყიდი და მერე ამხანაგს აბრალე, თითქოს მოგპარაო?! ჩემს გაოცებას, ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. პასუხის გაცემა ვერ შევძელი, მხოლოდ რალაც წავილულულე გაურკვევლად. ტყუილის მოქმელს-ყველაფრის ჩადენა შეუძლიაო, მითხრა დირექტორმა დიდად კმაყოფილმა თავისი ფსიქოლოგიური განკვერტის ნიჭით და გამისტუმრა.

ჩქარა ამის შემდეგ ქუთაისში მამა ჩემი ჩამოვიდა. ის შეხვედროდა ჩვენი „კლასის დამრიგებელს“, რუსული ენის სასწავლებელს, რომელსაც მისთვის ეამბო, რომ მე დირექტორის მიერ დატუქსული ვიყავი უღირსი საქციელისათვის. მამაჩემმა ცალკე გამიხმო და მკითხა, ნუთუ მართალია, რომ პალტო გაგიყიდა და შემდეგ ამხანაგისათვის ცილი დაგიწამებიაო. მე არაფერი მიპასუხია, მხოლოდ უსიტყვოდ შევხედე უღრმესი საყვედურის გამომეტყველებით. ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, რა ძნელია ადამიანის სულში ჩახედვა, თუნდაც ეს გულუბრყვილო, მარტივი ბავშვის სული იყოს, და რა რთული მეცნიერებაა პედაგოგია.

ქუთაისის რეალური სასწავლებელი ტიპიური სახაზინო სკოლა იყო. ის მიზნად უფრო ადამიანის დაგეშვას ისახავდა, ვიდრე ინტერესის გაღვივებას ბუნებისა და მეცნიერებისადმი. სასწავლებლები უმეტესწილად რუსები იყვნენ, მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არც საქართველოს კულტურ-

რაზე, არც ქართველი ბავშვის ფსიქოლოგიაზე. ქუთაისის მახლობლად რამდენიმე საუცხოო ქართული ისტორიული ძეგლი იყო; მე არ მახსოვს, რომ ჩვენს აღმზრდელებს ან გელათის, ან გეგუთის და მოწამეთის, ან თუნდ იქვე უქიმერიინის გორაზე მდებარე ბაგრატიის ტაძრის დასათვალიერებლად წავეყვანეთ.

სოფლიდან ჩამოსულ ბავშვებზე ჩვენი მასწავლებლები ახირებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ თავიანთი კალთამოჭრილი და გრძელკუდიანი ფრაკებით ან ბრჭყვიალა დიღებიანი სერთუკებით; მათ საპარადო დღეებში გვერდით ჩამოკიდებული დაშნები კიდევ უფრო სასაცილოს ხდიდნენ. ისინი ჩვენ ნახევრად ბარბაროსებად გგოვლიდნენ, თითქმის ველურებად, რომელთა გასაწროებად საუკეთესო საშუალებას ალგებრის ფორმულები, რუსული ბილინები და დერჟავინის ოდები წარმოადგენდნენ. სპორტი არ შედიოდა იმდროინდელი საშუალო სასწავლებლის პროგრამაში და ჩვენს ფიზიკურ განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. მშვიდობით ჭიდაობაზე, ლელოს გატანაზე, სირბილსა და ცხენის პენებაში გაჯიბრებაზე, უდარდლო ზეტილო გახაფხულის და შემოდგომის მზიან დღეებში! სამაგიეროდ, გვასწავლიდნენ სამხედრო წყობას, ევროპულ ცეკვას და რუსულ სიმღერებს. ყველა ამ საგანში ყოვლად უნიჭო აღმოვჩნდი და ერთხელაც ვერც უნტეროფიცრის ბრჭყვიალა სარტყელი დავიმსახურე და ვერც საცეკვაო საღამოზე მოვხვდი, ასეთი საღამოები ყოველწლიურად წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში იმართებოდა 14 იანვარს.

მასწავლებელთა შორის რამდენიმე კარგი პედაგოგიც ერია. ასეთი იყო, მაგალითად, რუსული ენის მასწავლებელი ნიკო მაკვაჯარიანი. მას მოწაფეები როგორც ქართველები, ისე რუსები დიდი მორიდებით და სიყვარულით ეპყრობოდნენ და მისი სახელწოდების დღეს

ის ეზოდან ხელში აყვანილი შემოჭყავდათ სკოლის შენობაში. მაგრამ არ მახსოვს, რომ მას ჩვენთან უფლები ქართულად დაელაპარაკოს. ნიკო მაკვაჯარიანი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა გაკვეთილების გამოკითხვით და მოითხოვდა ტოლსტოის, ტურგენევის, გონჩაროვის, დოსტოევსკის რომანები და მოთხრობებიც და ბელინსკის კრიტიკული წერილებიც გვეკითხა. რაც შეეხება პეშკინს, ლერმონტოვს და გოგოლს, მათი ნაწერები სავალდებულო პროგრამაში შედიოდა ლომონოსოვის, კარაშინის, დერჟავინის, კრილოვის გვერდით. რუსი კლასიკოსების წყალობით, რომელთა შორის ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გოგოლმა თავისი „რევიზორით“, „შინელითა“ და „მეკვდარი სულებით“, დოსტოევსკიმ და ტურგენევმა თავიანთი რომანებით, ხოლო ცოტა უფრო გვიან ჩეხოვმა და გორკიმ თავიანთი ნოველებით და მოთხრობებით, ჩემს წინაშე სრულიად უცნობი სამყარო გაიხსნა: ვხედავდი, რომ ის მეტისმეტად განსხვავდებოდა ჩემი სამშობლოსაგან, როგორც მას ჩემი პატარა გამოცდილებით ვიცნობდი.

რეალურ სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ევროპული ენების, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას. მაგრამ სწორედ ამ საგნებში, უმეტეს ნაწილად, ყოვლად უვარგისი პედაგოგები გვეყავდა. გერმანულ ენას რამდენიმე წლის განმავლობაში გვასწავლიდა ერთი. ახალგაზრდა გერმანელი, ფილოსოფიის დოქტორი, უჭკუო, როგორც პინგვინი.

ბოტანიკას, ზოოლოგიასა და მინერალოგიაშიც ისეთი მასწავლებელი გვეყავდა, რომელსაც ამისთვის არავითარი მონაცემი არ ჰქონდა, თუ ასეთად არ ჩავთვლიდით მის გრძელ ჩაღისფერ, სუფთად მოვლილ წვერს. მთელი კურსის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ

იპოვა დრო, რომ მოწაფეები წყალწითელაზე წაეყვანა მინერალოგიური ნიმუშების და გეოლოგიური ნამარხების შესაკრებად. რაც შეეხება ფიზიკურ კაბინეტსა და ქიმიურ ლაბორატორიას, ისინი ისე ღარიბად იყვნენ მოწყობილი, რომ მხოლოდ უმარტივესი ცდების ჩატარება შეგვეძლო. ამ ცდებიდან მიღებულ ცოდნას კი ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი იმისთვის იყენებდა, რომ ქიმიური იერიში ეწარმოებინა გაკვეთილის დროს, ან ხანძარი გაჩინა სასწავლებლის შენობაში.

სასწავლებელს პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ იქ არც ერთი ქართული წიგნი არ მოიპოვებოდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენა ოფიციალურად აკრძალული ყოფილიყო, ის უფრო აბუჩად იყო ავადებული. ქართულისთვის კვირაში ერთი ნახევარსათიანი გაკვეთილი გეჭონდა დანიშნული, ის არავისთვის სავალდებულო არ იყო, ამიტომ ზოგიერთი ქართველი მოწაფეც კი არ ესწრებოდა მას. ქართული ენის მასწავლებელი დიდად პატივსაცემი მოხუცი იყო, მაგრამ მისი აზროვნება ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველებასა“ და „წყობილსიტყვაობაზე“ შეჩერებულიყო. საშუალო სასწავლებლისთვის ქართულ ენაზე არავითარი სახელმძღვანელო არ არსებობდა; რეალური სასწავლებელი ისე გაგათავებთ, რომ ვერ გავეშორდით „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ტაემს, დავით გურამიშვილის ერთ დიდაქტიურ ლექსს („სწავლა მოსწავლეთა“) და რაფიელ ერისთავის „ქოროლს“. მოწაფეების დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მე-19 საუკუნის დიდ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე.

ერთხელ, დირექტორის გაკვეთილზე მერხის ყუთის თავი აეწიე, რათა რაღაც წიგნი თუ საწერ-კალამი ამომეღო. დირექტორი ჩემსკენ გამოქანდა მუჭარით. მე სახტად დავჩიი. მას თურმე ჰგონებოდა, რომ მის გაკვეთილზე ქარ-

თულ წიგნებს ვკითხულობდი ფარულად. მას ქართული ენის მასწავლებლისთვის დაევალებინა. საბედნიეროდ ჩავგონება მოეცა ჩემთვის. მასწავლებელმა ასე თუ ისე პირნათლად შეასრულა ეს დავალება, რომლისთვისაც ის ყველაზე ნაკლებად გამოდგებოდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ რუსი მასწავლებლები, რამდენიმე გულდაჯერებული შოვინისტის გამოკლებით, მტრულად ყოფილიყვნენ განწყობილი ქართველი ახალგაზრდობისადმი; მაგრამ მათ ძალიან უკვირდათ, როდესაც ხედავდნენ, რომ ჩვენ სასკოლო მეცნიერებას ხანდახან უფრო ადვილად ვითვისებდით, ვიდრე რუსი მოწაფეები, და მათ ხშირად რუსულ ენის ცოდნაშიც ეჯობნიდით. კიდევ უფრო აკვირვებდათ მეგრელი და გურული გლეხები, რომელთაც თავიანთი შეილები შემოპყავდათ საშუალო სასწავლებელში. მათ უძნელდებოდათ ჩვენი მოდრეკა, ჩვენი მოთვინიერება, იმ საერთო ყალიბში მოთავსება, რომელიც იმპერიის მთავრობის მიერ იყო ჩამოსხმული, იმ დამოუკიდებლობის სულის აღმოფხვრა, რომელიც ქართველ ერში ხანგრძლივმა ისტორიულმა ბრძოლებმა განამტკიცა.

ერთხელ ერთმა ჩვენმა ამხანაგმა დამით ქუჩაში ვიღაც პოლიციელს სცემა. გალახულმა დირექტორთან იჩილა. დირექტორმა სასწავლებლიდან გამორიცხა დამნაშავეცა და მისი ორი-სამი თანამოლაშქრეც თუ თანამოაზრეც. ამის შემდეგ მათ თვით დირექტორს სცემეს.

სასწავლებლის რეჟიმი რამდენიმედ მაინც ყოველთვის იცვლებოდა დირექციის შეცვლის მიხედვით. გარდა სამხედრო ფრონტის სიყვარულისა, რაც ერთს ჩვენს დირექტორს, როგორც ეტყობა, იმდენად ბუნებით თანდაყოლილი არ ჰქონდა, როგორც ზემოდან ნაკარნახევი, მას ძველი ბერძნულ-რომაული კულტურის პატივისცემა ახასიათებდა. თავისი გაკვეთილების დროს ის ალტაცებით ლაპარაკობდა ათენის დე-

მოკრატასა და პერიკლესე. ან კიდევ ძველი კოლხეთის ურთიერთობაზე კლასიკურ მსოფლიოსთან. გასაოცარი იყო, როგორ აერთებდა ის თავის ბუნებაში ჰუმანისტურ ინტერესებს ვიწრო ყაზარმულ სულთან.

მისი მომდევნო დირექტორი გაკვეთილებზე თავს ისე გრძობდა, თითქოს უნივერსიტეტის აუდიტორიაში ყოფილიყო. შემოვიდოდა, მკვერამეტყველურ ლექციას წაიკითხავდა ფიზიკიდან ან ქიმიიდან და გავიდა. მგონია, ის უფრო თავის მომავალ აკადემიურ სარბიელზე ზრუნავდა, ვიდრე თავის მოწაფეებზე. ის ჩვენთან დიდხანს არ დარჩენილა: სადღაც უნივერსიტეტში დანიშნეს დოცენტად თუ პროფესორად.

ერთმა ჩვენმა ინსპექტორმა, რომანოვსკიმ, საქართველოს ისტორიაზე დაწერა საკმაოდ ვრცელი წიგნი, სადაც განსაკუთრებით დაწვრილებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი განიხილა. მას არ სძულდა ქართველობა, მაგრამ ოფიციალური მდგომარეობის გამო იძულებული იყო ჩვენთვის ქართული წიგნების კითხვა და ქართულ თეატრში სიარული აეკრძალა. პატრიოტულად განწყობილი ქართველი მოწაფეებისათვის კი ეს დიდი სასჯელი იყო, ვინაიდან ქუთაისში იმ დროს თითქმის სხვა არავითარი გონებრივი გასართობი არ არსებობდა, ლაღო მესხიშვილის დასი კი საუცხოოდ შერჩეულ პიესებს დგამდა. მისი წარმოდგენები ჩვენთვის ქართული ენის და მხატვრული აღზრდის საუკეთესო სკოლა იყო. ამიტომ ყოველი ღონისძიებით ვცდილობდით თეატრში შევბარულიყავით.

ქუთაისის თეატრთან დაკავშირებული ერთი მწვავე მოგონება ჩემი ბავშვობის დროიდან. ერთხელ, ზამთრის პირში, ქუთაისში, სოფლიდან მამაჩემი მოვიდა, ნატის პატარა საფულე მიყიდა და ცოტაოდენი ვერცხლის ფული დამიტოვა. ამ ფულს ძალიან ვუფრთხილდებოდი, თეატრის ბილეთის შესაქენად

მინდოდა. მაგრამ მისი არსებობა გულუბრყვილოდ გავუნდევრებულხარ. უფროს ამხანაგს, რომელიც უჩუქრებია ვალესი თავადიშვილების გვარს ატარებდა. მეორე თუ მესამე დღეს, როდესაც გაკვეთილების შემდეგ ერთად სკოლიდან შინ ვბრუნდებოდით, მან მთხოვა ჩემი საფულე შეჩვენებინა. მაშინვე ჯიბეში იყრა და გაიქცა. სირაქლემას ფეხები ჰქონდა და ვერ დავეწიე. უბედურება ის იყო, რომ რომელღაც საინტერესო წარმოდგენის დღე ახლოვდებოდა, მე კი ექვსი-შვიდი შაურიც არ მქონდა, რომ ბალკონის ან ქანდარის ბილეთი მეყიდა.

გადავწყვიტე, ახლად შექმნილი ალგებრის სახელმძღვანელო გამეყიდა და დაუყოვნებლივ თეთრი ხიდისკენ გავსწიე წიგნების შემყიდველ ანტიკვართან. მან წიგნი გადაფურცლა და მკითხა, რამდენი მოგცევო. შვიდ შაურად დავუფასე. ვაჭარს, როგორც ეტყობოდა, გაუკვირდა, რომ თითქმის უხმარ წიგნში მისი ნომინალური ფასის მეოთხედსაც არ ეთხოვდი და ურცხვად მკითხა, მოპარული ხომ არ გაქვსო. თავში სისხლი ამივარდა, სული შემეხუთა, მინდოდა ყელში ვცემოდი, დამერტყა. იმოდენა ვაჟაკს აბა რას დაეაკლებდი! შეიძლება უფრო იმ ზრმა შემაჩერა, რომ, თუ თავს არ შევიკავებდი, თეატრში წასვლის შესაძლებლობას დავკარგავდი. არაფერი მიპასუხია, მხოლოდ უსიტყვოდ შევხედე. ამ ჩემს განმგმირავ, საყვედურით აღსავსე შეხედვას თითქოს ამ წუთშიც ვხედავ. მანაც დახლიდან უსიტყვოდ ფული ამოიღო და გადმომცა. ამრიგად, თეატრში წასვლა მოვახერხე, მაგრამ ალგებრის სახელმძღვანელოს უქონლობამ ხელი შემეშალა და ძალიან ჩამოვრჩი მაფემბტიკურ საგნებში.

მეორე მწვავე მოგონება სასამართლოსთანაა დაკავშირებული. იმ დროს იმერეთში ერთი ყაჩაღი დაიპირეს, გვაჩად, მგონია, ლორთქიფანიძე იყო.

ერთხელ, კვირა დღეს, სკოლის ამხანაგებმა მითხრეს, დღეს სატუსალოს ეზოში ამ ყაჩაღს ჩამოახრჩობენ და მისი დასჯის აქტს გუბერნატორი, პოლიცემისტერი და ბრალმდებელი დაესწრებიანო. მე უკვე წაკითხული მქონდა ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. ან რისიმე წაკითხვა რად მინდოდა? ხშირად სოფელში მინახავს, როგორ აბღავლდებოდნენ ხარები და ძროხები, როდესაც მინდორში დაკლული შინაური პირუტყვის სისხლს დაინახავდნენ. და მე არა მარტო გონებით, არამედ მთელი სხეულით შევიგრძენი სიკვდილით დასჯის საშინელება. მთელი დღე გოგნებული დავდიოდი, უქმელ-უსმელ დავრჩი.



ქუთაისში იმ დროს დროგამოშვებით გამოჩენილი რუსი მსახიობებიც ჩამოდიოდნენ საგასტროლოდ: დალსკი, ძმები ადელგეიმები და სხვ. მაგრამ ქართველ მოწაფეებს მათ ყველას ჩვენი ლაღო მესხიშვილი გვეჩრია. ჩვენ გვზიბლავდა მისი ბუნებრივი და კეთილშობილი პლასტიკა, მისი მკვერმეტყველი მიმიკა, ხოლო განსაკუთრებით მისი უანგარო წვა ხელოვნებისთვის. ზოგიერთი მოწაფე მის ხმასაც კი ბაძავდა; მას ხმა დაზიანებოდა, როდესაც ერთხელ თავი მართლაც კინაღამ ჩამოეხრჩო ფრანც მოორის როლის შესრულების დროს. ვიცოდით, რომ ოჯახში ხშირად ძალიან უჭირდა, მაგრამ ქუჩაში ამაყად თავაწეული დადიოდა, თითქოს ვერცხლის შარავანდელს ატარებდა კლასიკური საპრისით გამოკვეთილი შუბლის ზემოთ. წელიწადში ერთხელ თეატრში მისი ბენეფისი იმართებოდა. ეს ჩვენი დღესასწაული იყო: ჩვენ ერთმანეთში ცოტაოდენ ფულს ვაგროვებდით, რათა მისთვის მცირედი საჩუქარი მიგვერთ-

მია, რაიმე წიგნი, ალბომი, ან ვერცხლის ლანგარი. ზოგიერთი განსაკუთრებით ალტაცებული ახალგაზრდა მზად იყო იმ საღამოს მის ეტლს შეებრდა ცხენის მაგივრად.

ალექსანდრე დიუმას „ედმონდ კინში“ ლაღო მესხიშვილი თითქოს თავის თავს ან თავის ორეულს თამაშობდა, რადგან თვითონ ის არტისტი-ბოჰემა იყო კინივით. შილერის „ავაზაკებში“ ერთსა და იმავე წარმოდგენაში ორივე ძმის — კარლ და ფრანც მოორების როლებს ასრულებდა, უკანასკნელს — უფრო სრულყოფილად, ვიდრე პირველს. უნაკულოდ გვეჩვენებოდა აგრეთვე გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“. ახლა მგონია, რომ ნაკლები სიძლიერით ასახიერებდა ჰამლეტს, ხოლო ოტელოს შესრულებაში მას ვალერიან გუენია და ალექსანდრე იმედაშვილი სჯობდნენ.

ჰაუბტმანის „აეადემოფ ხალხში“ ლაღო მესხიშვილი ნევრასტენიკის როლს ასრულებდა. მას მეორე მოქმედებაში ხანგრძლივი, თითქმის ზუთწუთიანი პაუზა მქონდა. ის მარტოდ მარტო იყო სცენაზე და ამაოდ ცდილობდა ასანთით ჩიბუხი აენთო. ზელი უთრთოდა, ასანთი უჭრებოდა. მთელი დარბაზი ისე დამორჩილებული ჰყავდა, რომ მისი სუნთქვა ისმოდა, დარბაზისა კი — არა.

მესხიშვილმა აღზარდა რამდენიმე ქართველი მსახიობი, რომელთა შორის ყველაზე გამოჩენილი ალექსანდრე იმედაშვილი და ნინო ჩხეიძე იყვნენ. ის რამდენიმედ იმდროინდელი ქართველი მოწაფეების აღმზრდელადაც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხელოვანი და როგორც მოქალაქე. ჩვენ ხშირად მოწმენი ვიყავით, როგორ ფრთხებოდნენ ჩვენი მასწავლებლები, როდესაც თბილისიდან კავკასიის ოლქის მზრუნველი ან მისი თანაშემწე გვეწვოდა. ერთს მასწავლებელს გიმნაზიაში მზრუნველის წინ გულიც კი წაუვიდა. აღმზრდელის ავტორიტეტს მოწაფის თვალში კი

ისე არაეითარი ნაკლი არ ანადგურებეს, როგორც სიმხდალის გამოჩენა. ამავე დროს ჩვენ ვხედავდით, როგორ თამამად ამბობდა სცენიდან ლადო მესხი-შვილი რომაელი ტრიბუნის კაი გრაქხის და იბსენის ექიმ შტოქმანის მღელვარე სიტყვებს, რომელიც რევოლუციურ ზეგავლენას ახდენდნენ ძველი რეჟიმის დროს, როგორ ქედმოუხრელად, ღირსეულად ხვდებოდა ის მთავრობის და პოლიციის წარმომადგენლებს. ბოლოს, როგორი ნამდვილი დემოკრატი ტრიბუნებით გამოვიდა ის 1905 წელს ქუთაისის ამბოხებულ ქუჩაში.

თბილისიდან ხანდახან იქაური ქართველი დასის მსახიობები გვესტუმრებოდნენ ხოლმე საგასტროლოდ. კოტე ყიფიანი მონუმენტური მეფე ლირი იყო, კოტე მესხი — საუცხოო ნერონი და ნაპოლეონი. როგორც ფრანგული სკოლის მსახიობს, მას პათეტიკური ტონი და კარგად შემუშავებული დიქცია ჰქონდა. ვალერიან გუნია თავისი ახოვანი ტანით, დარბაისლური სიტყვაბასუხით და ვაკეკაციური სახის იერთ ნამდვილი რომაელი პატრიციელი იყო, თითქოს იმისთვის გაჩენილი, რომ პეტრონიუსის როლი შეესრულებინა. მაგრამ თუ ის სცენაზე საუცხოოდ ასახიერებდა დარდიმანდი ეპიკურეელის როლს, ცხოვრებაში უანგარო პატრიოტი იყო. მისმა „საქართველოს კალენდარმა“, მისმა „და-ძმამ“ გავლენა იქონია ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაზე. ვასო აბაშიძემ ზეპირად იშვიათად იცოდა თავისი როლი, მაგრამ მისი იმპროვიზაციები ტექსტზე უფრო გონებამახვილი იყო. ვასო აბაშიძე თითქოს ხალხურ ნიღაბთა თეატრს დარჩენოდა სადღაც ვენეციაში, რათა ორისამი საუკუნის შემდეგ თბილისში ხელახლა დაბადებულიყო. მის ცოლს — მაკო საფაროვის ასულს — სცენიური გარდახორციელების დიდი ნიჭი ჰქონდა. თითქმის ნახევარმა საუკუნემ გან-

ვლო მას შემდეგ, რაც ის ჰამლეტის დედის, გერტრუდას, როლში შექნა ხეცა; მაგრამ ახლაც ვგრძნობ ვნებრიან მღელვარე ცის ავხორციობის გამოსხივონობას, რაც მისი ღია გულმკერდიდან მომდინარეობდა. მეორე წარმოდგენაში კი მან ჩემი გაოცება და აღტაცება გამოიწვია პარიზელი ბიჭის როლის შესრულებით. ჩვენ, ქუთაისის ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ჩვენი თეატრის ახალგაზრდა პრემიერი ქალი — ნინო ჩხეიძის ასული გვიყვარდა. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ მასზე უკეთ შეიძლებოდა ოფელიას, დეზდემონას, ივდითის, ნორას როლის შესრულება. მას რამდენიმე დიდი უპირატესობა ჰქონდა: მხატვრული ინტუიცია, მშვენიერი გარეგნობა და სულის სიღრმემდე ჩამწვდომი მელოდიური ხმა. ამბობენ, უფრო სუსტი იყო ლედი მაკბეტის როლში: დემონიური ვნებების ასახვა ნაკლებ შეეფერებოდა მის ნახუნებას.

უფრო გვიან, როდესაც უკვე ლიფციების უნივერსიტეტში ვსწავლობდი, გამოჩენილი ავსტრიელი ტრაგიკოსის იოზეფ კინციის გასტროლს დავესწარი. ის ფრანც მოორის როლს ასრულებდა. ჩემს გვერდით მჯდომარე უცხოელ სტუდენტებს ვუთხარი, ქუთაისში გვყავს მსახიობი, რომლის ფრანც მოორი ბევრად უფრო მომწონს-მეთქი. მათ გაოცებული თვალებით შემომხედეს: რა არის ქუთაისი და ვინ უნდა იყოს ვიღაც უცნობი ქართველი მსახიობი, რომ ვენის ბურგთეატრის პრემიერს შეეძაროსო.

მესხიშვილი ყოველთვის დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა ახალგაზრდა მსახიობებს. ამისდამოუხედავად, მისი დასის ერთმა ნაწილმა ერთი ნიჭიერი, მაგრამ ინტრიგანი მსახიობის მეთაურობით, მას საუჯაროდ ვასამართლება მოუწყო ქუთაისის თეატრის დარბაზში, ორი ბრალდება მახსოვს მის წინააღმდეგ წაყენებული: ერთხელ წარმოდგენის დროს სცენარიუსს სილა

გაარტყაო; მეორეჯერ მთელი დასი სამხეცის ცხოველებს შეგვადარაო.

მესხიშვილმა თავი საუცხოოდ გაიმართლა და მთელი მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოების ტაშისცემა გამოიწვია. ერთხელ ჰამლეტის როლს ვასრულებდი და მახვილით ფარდის უკან დამალული პოლონიუსი მოვკალიო. როდესაც შემდეგ ფარდა გადავწიე, რათა მისი გეამი აენსცენაზე გამომეთრია, აღმოჩნდა, რომ მიცვალებული გაცოცხლებულიყო და სადღაც არხეინად წასულიყო. თავი ვეღარ შევიკავე, კულისებში გავვარდი და სცენარიუსს გავარტყიო. მეორეჯერ, მთელი დასი თბილისში მყავდა საგასტროლოდ, წარმოდგენებს ხალხი ნაკლებად დავსწრო და ხარალი ვნახეთო. როდესაც დაღონებულნი სადგურში ვისხედით, რათა ქუთაისში დავბრუნებულიყავით, მოვიდა მსახური და დიდი ლანგარით ჩაი, მურაბა, კარაქი და ნამცხვარი მოგვართვაო. დიდად გაოცებულმა მსახიობებს ვკითხე, რომელმა დაუკვეთეთ მეთქი. აღმოჩნდა, რომ არავის არ ჰქონდა დაკვეთილი. მსახურმა თქვა, ბატონებო, კნიაზებმა გამოგიგზავნეს, აი დარბაზის კუთხეში რომ ქეიფობენო. საუბრე უკან დავაბრუნებინე, სამხეცის ცხოველები ზომ არ ვართ, რომ მოუთხოვენლად საკვებს გვაწვდით-მეთქი.

ამის შემდეგ მესხიშვილმა შეცდომა ჩაიდინა. მართებულად თუ უმართებულად მან წარმოიდგინა; რომ სამშობლოში ის ვერ დააფასეს და რუსეთში წავიდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ის თბილისში დაბრუნდა. მე მას რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი: ოპერის თეატრის გისოსთან იდგა, ნაცნობებით გარემოცული. მეჩვენა, რომ ყოველი ქართველის დანახვა ახარებდა და, თუმცა არ მიცნობდა, მიახლოვებისთანავე გულთბილად ხელი ჩამომართვა ძველი მეგობარივით. ძალიან მოტეხილი იყო, ვერცხლისფერი თმა განაცრებდა, სახე დაპატარავებოდა. გვერ-

დით ცოლი ედგა, ახალგაზრდა რუსის ქალი, რომლის კანის ფერზე დაქვერათმა კიდევ უფრო საგრძობელს უნდოდა დიდი ქართველი მსახიობის ნაადრევ დაბერებას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

ქუთაისის რეალურ სასწავლებელში არსებობდა საყმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფები სულიერად მღვიძარე ქართველი მოწაფეებისა, დაკავშირებულნი ურთიერთ სიმბათით, გონებრივი ინტერესებით და მეგობრობით. მათ არ აკმაყოფილებდა სასწავლებლის ოფიციალური პროგრამა, გადატვირთული საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნებით, მათ სურდათ უფრო ნათელი წარმოდგენა შეეძინათ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაზე. ამ მიზნით უფროსი კლასების მოწაფეებმა თვითგანვითარების წრეები დაეარსეთ და ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა დაიწყეთ ქართულ ენაზე.

ჯერ კიდევ პირველ თუ მეორე კლასში ვიმყოფებოდი, როდესაც ამხანაგების საუბრიდან გავიგე, რომ რუსეთში რაღაც ყოვლის უარყოფელი მიმართულება არსებობდა ნიჰილიზმის სახელწოდებით. თავდაპირველად ჩვენ რუსულ ნიჰილიზმზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, როგორც ერთგვარი უნივერსალური ამბოხების რელიგიაზე. ერთმა ყოფილმა სემინარიელმა, რომელსაც ქუთაისში ნახევრად ირონიულად ნიჰილისტს უწოდებდნენ, სრულიადაც ხელი ვერ შეგვიწყო, ამ ცნებაში გავრკვეულიყავით. ეს იყო წელშეხსნილი, მზის ჯოხით შეიარაღებული ჯმუხი მამაკაცი, ახლად მოვლენილი ქართველი დიოგენი, უცნაური გაერთიანება ზნეობრივი სიმტკიცისა და ფიზიკური უსუფთაობისა, ბაკუნინის სექტის ბუნ-

ტარისა და ლევ ტოლსტოის სექტის ვე-
გეტერიანელისა.

უფრო გვიან ტურგენევის რომანის
„მამების და შვილების“ გმირის ბაზა-
როვის გაცნობამ და პისარევის და დობ-
როლუბოვის კრიტიკული წერილების
წაკითხვამ მეტი სინათლე შეიტანა ჩვენს
წარმოდგენაში რუსულ ნიჰილიზმსა და
რადიკალურ-დემოკრატიულ აზროვნე-
ბაზე. ბოლოს ჩვენი პოლიტიკური იდე-
ოლოგიის გამორკვევაზე განსაკუთრე-
ბული გავლენა მოახდინა ქართულმა
ქურნალ-გაზეთობამ, რომელმაც განახ-
ლება განიცადა მეცხრამეტე და მეოცე
საუკუნის მიჯნაზე. „კვალი“, „ივერია“,
„მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ გა-
ცხველებულ იდეურ ბრძოლას აწარ-
მოებდნენ ურთიერთშორის. ვერ ვიტყ-
ვი, რომ ჩვენ გულმოდგინედ ვადევ-
ნებდით თვალყურს ქართულ პრესა-
ში ატეხილ პოლემიკას. ამ მხრივ ჩვენ
ქუთაისელი გიმნაზიელები, ხოლო გან-
საკუთრებით ქუთაისელი სემინარიე-
ლები გვეკობნიდნენ. მაგრამ მთელი
ქართველი მოწინავე საზოგადოება კა-
მათობდა იმ ლიტერატურული და
სოციალური საკითხების გარშემო, რო-
მელნიც ძველი და ახალი თაობის
წარმომადგენლებმა დასვეს, და ჩვენც
პაერთან ერთად ვისუნთქავდით ახალ
იდეებს.

არც იმის თქმა შემძლია, ჩვენ უყოყ-
მანოდ მივიღეთ მესამე დასის სარწმუნ-
ოების სიმბოლო-მეტეჟი. ჩვენს წინა-
აღმდეგობას განსაკუთრებით ზოგიერთი
მესამე დასელის გადაქარება იწვევდა,
ზოგიერთი გულმოდგინე „მსოფლიო
მოქალაქის“ გალაშქრება სამშობლოს
იდეის წინააღმდეგ. ჩვენ გვეუბნებო-
დნენ, მომავალ სრულყოფილ საზოგა-
დოებაში ყოველი ეროვნული 'ზღუდე
მოიშლება, ყველანი ერთ საერთაშორის-
ო ენაზე ილაპარაკებენო. რასაკვირვე-
ლია, ასეთი არ იყო მესამე დასის მე-
თაურების აზრი: ასეთ დასვენას მათი
გულფიცხი მიმდევრები აკეთებდნენ.

განსაკუთრებით პროტესტი ჩვენს შო-
რის ირაკლი წერეთელმა (ყვერთელელმა)
გამოიწვია, როდესაც მან 1890 წელს
„კვალის“ შინაურ მიმოხილვაში განა-
ცხადა, ჩვენ არც გაცვეთილი პატრიო-
ტიზმი გვაკმაყოფილებს და არც სამ-
შობლოსა და ქართულ ენაზე ყვირილი,
ჩვენი იდეალი საკაცობრიო იდეალია;
აწმყო გველივით გვეზიზდება, წარსუ-
ლი ჭირივით გვეჯავრება, ჩვენ ბრწყინ-
ვალე მომავლისკენ ვიცქირებითო.

როდესაც რეალურ სასწავლებელში
ხელნაწერი ქურნალი დავაარსეთ, მას
„თანამედროვე“ ვუწოდეთ ცნობილი
რუსული რევოლუციურ-დემოკრატიუ-
ლი ქურნალის წაბადვით. თავდაპირვე-
ლად ჩვენი პროტესტანტული სული არ
სცილდებოდა ჩვენი სასწავლებლის გა-
ლაგანს, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, პე-
დაგოგიურ შემადგენლობას და სასწავ-
ლო პროგრამას შევეუტეთ. მაგრამ ჩვე-
ნი ქურნალის პირველ ნომერს ფრიდ-
რიხ შილერის სურათი ამკობდა, ეს
თითქოს იმას მოწმობდა, რომ ჩვენ მზად
ვიყავით კარლ მორიცივით და ვილჰელმ
ტელივით იარაღით გამოვსულიყავით
მტარვალების წინააღმდეგ.

ჩვენმა ლიტერატურულმა დებიუტმა
მტრული იერიშები გამოიწვია ქუთაი-
სის ახალგაზრდობის პრესაში: გიმნა-
ზიის ხელნაწერი ქურნალის „სხივის“
რეცენზენტმა, პავლე საყვარელიძემ,
ჩვენს სტატიებს ძნელად მოსანელებე-
ლი აბდაუბდა უწოდა, ხოლო სამეურ-
ნეო სკოლის მოწაფემ, „სატეგარამა“,
მარქსიზმის პოზიციებიდან შემოგვიტია
და კლასობრივი თვალსაზრისის უგუ-
ლებელყოფა გვისაყვედურა. სხვათა-
შორის, ამ „სატეგართან“ პირადი საუბ-
რის დროს გავიგონე პირველად პლე-
ხანოვის გვარი და შევიტყვე, რომ საზ-
ღვარგარეთ, ყენევაში მთელი გამომ-
ცემლობა არსებობდა არალეგალური
წიგნების და ქურნალ-გაზეთების გამო-
საცემად. ცოტათი უფრო გვიან, აღარ
მახსოვს ვისგან, წასაკითხად მივიღე

გახეთი „ისკრას“ და ეურნალი „ზარიას“ ნომრები და ფერდინანდ ლასალის სიტყვები.

ნაწილობრივ ამ, ცოტა არ იყოს, გაზმურებული კამათის, ხოლო ნაწილობრივ ვიღაც დამბეზღებელი მოწაფის წყალობით ჩვენი სკოლის ადმინისტრაციამ გაიგო, რომ ჩვენ მის ნებადაურთველად ეურნალს ვცემდით, და ერთი ნომერიც ჩაიგდო ხელში. ინსპექტორის ნიკო მაჭავარიანისთვის გადაეცა შინაარსის გასაცნობად. თანაშრომლები, ცოტა არ იყოს, შევშფოთდით და ერთ ახალგაზრდა ნაცნობ იურისტს ვკითხეთ, რა სასჯელი გველოდა, თუ ჩვენი ფსევდონიმები და ინიციალები გამოამჟღავნებოდა. მან საქმეს დრამატული მიმართულება მისცა და გვითხრა, არალეგალური ლიტერატურის შედგენისა და გავრცელებისათვის რამდენიმე წლის ციხეა დაწესებული, შეიძლება კატორგაც მოგისაჯონო. ცხადია, მას ჩვენი დაშინება უნდოდა. ჩვენ შემფოთებასთან ერთად ერთგვარი სიამაყეც ვიგრძენით, რომ ჩვენს გამოსვლას შეიძლებოდა ასეთი საშინელი შედეგი მოჰყოლოდა. მაგრამ ადმინისტრაციამ უფრო სწორად შეაფასა ჩვენი უწყინარი ლიტერატურული ვარჯიშობა და კონფისკაციაქმნილი ეურნალი დაგვიბრუნა. ამრიგად, გადავრჩით რუსი დეკაბრისტებისა და ნაროდოვოლცების ბედს, რომელიც, ჩვენი წარმოდგენით, ორისამი გონებაჩლუნგი მასწავლებლის დაცინვისთვის გველოდა.

თვითგანვითარების წრეებში თავდაპირველად ლეგალურ წიგნებს ვკითხულობდით სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის დარგიდან. არალეგალურ ლიტერატურაზე უფრო გვიან გადავედით, როდესაც გლეხთა მოძრაობამ დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართო გაქანება მიიღო, ხოლო თბილისისა და ბათუმში მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები დაიწყო.

ორ წრეს მე ვხელმძღვანელობდი. იმ

დროს კერძო გაკვეთილებსაც ვაძლევდი, რათა ცხოვრების საღისარი გამეჩინა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. ჩემთვის ადვილი არ იყო დამღლევი სავალდებულო მუშაობის შემდეგ ზამთრის ბნელ ღამეებში ტალახიანი ქუჩები გამეველო, რათა ქალაქის გარეუბნის ცივ ოთახში, ლამპის შუქზე ამხანაგებთან ერთად ორი-სამი თავი წამეკითხა პოლიტიკური ეკონომიის კურსიდან ან საფრანგეთის რევოლუციების ისტორიიდან და შემდეგ მათთან ერთად შუალემდე წაიკითხულის გამო შემსჯელა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს არ იყო მარტოოდენ უანგარო წვა მეცნიერებისათვის. რასაკვირველია, მე ვგრძნობდი იმ კმაყოფილებას, რომელსაც გონებრივი მუშაობა ჩვეულებრივ ნაყოფანი ცხოვრებით გაუცვეთელ ადამიანს ანიჭებს. მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ მართალია პროსპერ მერიმე, რომელიც სადღაც ამბობს, მამაკაცი თავის მოქმედებაში შეგნებულად და შეუგნებლად ყოველთვის იმით ხელმძღვანელობს, რომ ქალს მოაწონოს თავიო. ამას ზედ ერთვის პატივმოყვარეობის გრძნობა, განსაკუთრებით ძლიერი სიჭაბუკის ასაკში. ჩვენს წრეებთან უშუალოდ ან მეშვეობით ჩვენი ასაკის ქალიშვილები იყვნენ დაკავშირებული წმინდა ნინოს სასწავლებლიდან. ჩვენ ურთიერთობა გვქონდა აგრეთვე ვაჟთა გიმნაზიის და სამეურნეო სკოლის მოწაფეებთან; და მართებულად თუ უმართებულოდ მე ეფიქრობდი, რომ მათს საზოგადოებაში სახელის მოსახვეჭად სენ-სიმონის და ფურიეს უტოპიური სოციალური პროექტების ან დავით რიკარდოს და კარლ მარქსის ღირებულებების თეორიის ცოდნა ისეთივე უტყუარ საშუალებას წარმოადგენდა, როგორსაც საშუალო საუკუნეების რაინდისთვის ასპარეზობა და ბრძოლის ველზე მშვილდისრის ხმარება იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ჩემი მეგობრების გონების და გულის დაპყრობის საქმეში, ვერც ჰუმანიტარული

მეცნიერების დარგში საგრძნობელ წარმატებას ვერ მივაღწიე, მხოლოდ უზომოდ დავილაღე და შემდეგ ხანგრძლივი დასვენება დამპირდა, რათა ჩემი ფიზიკური და სულიერი ძალები აღმედგინა.

როდესაც 1903 წელს რეალური სასწავლებლის ექვსი კლასის დასრულების შემდეგ სოფელში დავბრუნდი, ნათლად დავინახე, რა ღრმა ცვლილება მომხდარიყო სულ მცირე ხნის განმავლობაში გურიის გლეხკაცობის სულიერ განწყობილებაში. მესამე დასის პროპაგანდისტები მთელს გურიას მოსდებოდნენ: გამოსულიყო მთესვარი თესვად და თესლი დავარდნილიყო ქვეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა, რომელიმე ოცდაათსა.

შეზობელი სოფლიდან ერთი გლეხი მესტუმრა; ალტაცებით მელაპარაკა ღამის მიტინგზე, რომელსაც ის დასწრებოდა. ჩვენს მჭადაგებელს ანგელოზივით წკრიალა ხმა ჰქონდა, ღამის სიბნელეში ვერც კი გავარჩიე, რა სქესისა იყო; მიტინგის შემდეგ მიუვახლოვდი, მოკრძალებით მის ნაზ ზელებს შევეხე და ვკითხე, ქალი ხარ თუ ვაჟიო. პასუხი არ გამცაო.

მეც დავესწარი ორ ფარულ კრებას: ერთს — დღისით ბახმაროზე, ნაძენარით გარემოცულ ველზე, სადაც ორატორმა, ყოფილმა სემინარიელმა, ჩემზე უფროული შთაბეჭდილება მოახდინა; მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ერთ ახალგაზრდა მასწავლებელში, რომელმაც ღონიერად ფეხი ჰკრა დამპალ, თითქმის სრულიად გამოფიტულ ჯირკვს და წამოიძახა, ასე უნდა დანგრეს ძველი ქვეყანაო.

მეორე მიტინგი ღამით შედგა ჩვენი მახლობელი სოფლის განაპირას. საუცხოო სამიტინგო ორატორი გამოვიდა. ყოველი მისი სიტყვა გასაგები იყო გლეხებისგან შემდგარი აუდიტორიისა-

თვის. უბრალო კონკრეტული საგნებიდან დაიწყო კაპიკიანი ასანთის უფროდანი, სარეცხი საპნიდან, კაპიკიანი კაპიკიანიდან. გამოარკვია, როგორ გაიფლდებოდა ეს მასობრივი მოსახმარი საქონელი თვითმპყრობელობის დამხობისთანავე, როდესაც ბაჟი და არაპირდაპირი გადასახადი მოისპობოდა. შემდეგ განსაკუთრებულად მჭევრმეტყველად და შთაგონებულად მიწის საკითხზე ილაპარაკა. საქმის ვითარება ისე დასახა, თითქოს არათუ გლეხკაცობა, თვით თავადაზნაურობაც კი კმაყოფილი დარჩებოდა, თუ მემამულეს ზედმეტი მიწა ჩამოეჭრებოდა. ბოლოს ზოგად ზაზებში იმ ბედნიერი ცხოვრების სურათი დახატა, რომელიც კაცობრიობას მომავალ სოციალისტურ წესწყობილებაში მოელოდა, საკმაოდ შორეულში, მისი სიტყვებით. გლეხები მას დიდი სასოებით შესეკვეროდნენ ღამის უღელში შებმული ხარების ანთებული თვალებით.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენილვარ გურიისში. თავის თავს საკმაოდ მომზადებულად ვთვლიდი უმალეს სასწავლებელში შესასვლელად. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ის მირჩევდა, პოლიტექნიკუმში შევსულიყავი, რათა ინჟინერი გავმხდარიყავი. მე ეს პროფესია არ მომწონდა. მათემატიკურ საგნებში სუსტი ვიყავი, ჩემთვის ცხადი იყო, რომ გამიჭირდებოდა პოლიტექნიკუმში მისაღები გამოცდების დაქერა. თავი და თავი კი ის იყო, რომ ვოცნებობდი პუბლიცისტი და საზოგადოებრივი მოღვაწე გავმხდარიყავი. მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო და ზელს არავინ მიშლიდა, მომავალი სარბიელი ჩემი მიდრეკილების მიხედვით ამერჩია. მე გადაწყვიტე; გერმანიაში წავსულიყავი უმალესი განათლების მისაღებად. ახლა მოცებს, როგორ ადვილად მიჭილე ეს გადაწყვეტილება. ფული მე არ მქონდა: დიდი გაჭირვებით რაღაც ოთხასიოდე მანეთს მოვუყარე თავი; ამ თანხით უნდა შემეძინა ტანისამოსი და და-

მეფარა საგზაო ხარჯები, სწავლის ფული შემეტანა უნივერსიტეტში. დამრჩებოდა თუ არა კიდევ იმდენი, რომ ერთი წელიწადი მაინც მეცხოვრა უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში, რომლის ენასაც კი ძალიან სუსტად ვიცნობდი? ამაზე არ ვფიქრობდი.

როდესაც მე და ჩემმა მეგობარმა, რომელთანაც ერთად მივემგზავრებოდი უცხოეთში, ევროპული ტანისამოსი ჩავიცვით, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უკვე დაწინაურებული ქვეყნის მოქალაქეები ვიყავით და, ცოტა არ იყოს, სიბრაღულით დაეუწყეთ ცქერა ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, რომელნიც უკვე პროვინციელებად გვეჩვენებოდნენ თავიანთი ბლუზებით და წინაფრიალი ქუდებით.

ჩემი მეზობელი კოჭლი გლეხი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მან ჩვენი ეზოს კიშკრამდე გამაცილა. იქ დაღლილობა

იგრძნო და ქვაზე ჩამოჯდა. სველიანი თვალებით შემომხედა და მიმხრა, მენულარ მიცდი, უნდა დავფრთხილო, ფულუქანსზე არ დაგაგვიანდესო; შენს უკან დაბრუნებამდე, ალბათ, ვეღარ ვიცოცხლებ, და თუ ჩემი ჯარჯვალე ცარიელი დაგხედეს, ჩემი საფლავი ინახულე და აწირვინეო.

მიედიოდი და ჩვენი სოფელი თითქოს დაცარიელებული მეჩვენებოდა. და ის მართლაც ძალიან შეცვლილი იყო. ჩემი ხნიერი მეგობრებიდან ზოგიერთი უკვე გარდაცვლილიყო, ახალგაზრდობას კი ქალაქებისათვის მიეშურა სამუშაოს ძებნაში. ეზოებსა და ყანებში იშვიათად გაისმოდა სიმღერა და კოხტად ტანთჩაცმული და თავწაკრული ქალების კისკისი. ჰაერი თითქოს შეხუთული იყო ქარიშხლის მოლოდინში.

(დასასრული იქნება)

ბიორგი ჯიბლაძე

ქართული საბჭოთა პროზა*

(1946—1954 წლები)



თანამედროვე ქართული პროზის იდეურ-მხატვრული ანალიზი ბუნებრივად გულისხმობს ბელეტრისტულ თხზულებათა განხილვას დღევანდელი ცხოვრების ასპექტში; მაგრამ თვით ანალიზი სრულიად არ საჭიროებს ყველა პროზაული ნაწარმოების გარჩევას, არც ქრონოლოგიურ დალაგებას, რაც აუცილებელია ბიბლიოგრაფიისათვის, მაგრამ სავალდებულო არ არის კრიტიკული ექსკურსის შესადგენად. მასალის თავმოყრა თუ რეცენზირება, ეს უფრო «კრიტიკული ლაბორატორიის» საქმეა, ვიდრე კრიტიკული ანალიზისა; ამიტომ, წინასწარ ვაცხადებთ, რომ ყველა თანამედროვე პროზაიკოსის სახელი, აგრეთვე 1946 წლის შემდეგ დღემდე გამოსული ყველა ბელეტრისტული თხზულება ჩვენს მიერ მოხსენიებული არ იქნება, ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ განზრახული გვაქვს საკითხი გავაშუქოთ საბჭოთა რომანისტიკის პრობლემათა დაყენების თვალსაზრისით და სრულიად აუთაროთ გვერდი მიმოხილვას; მეორეც იმიტომ, რომ გვანტერესებს არა ცალკეულ ნაწარმოებთა გარჩევა თუ მწერალთა დახასიათება, არამედ პასუხის გაცემა კითხვაზე: რას წარმოადგენს 1946 — 1954 წლების ქართული მხატვრული პროზა, რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი ამ რვა წლის მანძილზე ჩვენს ბელეტრისტიკაში, რა ახალი შეინიშნება, რა მიღწევები გვაქვს, რა ნაკლი და რა გვესაჭიროება იმისათვის, რათა ქართული მხატვრული პროზა, სოციალის-

ტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული, ნამდვილად გვაძლევდეს ჩვენი დროის ამსახველ ქეშმარიტ მხატვრულ ქმნილებებს.

პერიოდი, რომელსაც ვეხებით, პირველყოვლისა იმით გამოირჩევა, რომ ხასიათდება ომისშემდგომი დაძაბული შემოქმედებითი შრომით, გიგანტური აღდგენითი სამუშაოებითა და იდეოლოგიურ ფრონტზე მნიშვნელოვანი ახალი მოვლენებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, რასაც შედეგად მოჰყვა ბრძოლის გაძლიერება იდეურ-მხატვრული ოსტატობისათვის, ფორმალიზმის, ნატურალიზმის რეციდივებისა და უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ შედეგებმა მრავალმხრივ განსაზღვრეს საბჭოთა ხელოვნების, მისი თვითეული დარგის, კერძოდ კი ბელეტრისტიკის წარმატებები.

საბჭოთა ხელოვნების მრავალი მტკიცეული საკითხი გადაწყვიტა XIX პარტიულმა ყრილობამ.

ამის შედეგად ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენებს ეხედავთ და უფრო მეტად ვგრძნობთ, თუ რაოდენ საჭიროა საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის გოგოლები და შჩედრინები, რომლებიც პირველყოვლისა პროზაში უნდა მოვიდნენ; უფრო მეტად ვგრძნობთ, თუ რამდენად საჭიროა არა ხალტურული, უგემოვნო გამოფიტული ან კაზიონური, არამედ მაღალმხატვრული, ლამაზი,

* საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის მასალებიდან.

სიციცხლით სავსე, ახლის მოქმელი ნაწარმოებები, რომლებიც აღგვაფრთხილებენ და თაობათა ხსოვნაშიც სამუდამოდ დარჩებიან, როგორც ქეშმარიტად დიდი ხელოვნების უკნობი ყვე-
ვილები.

როცა თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის რვა წლის ისტორიას ანალიზს ვუკეთებთ, პირველყოვლისა აღვნიშნავთ ორ გარემოებას: 1) ახალგაზრდა ბელეტრისტების თითქმის მასობრივ გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე, რითაც ეს პერიოდი მკვეთრად განსხვავდება სხვა პერიოდებისაგან, და 2) პროზაიკოსების ასევე მასობრივ გადასვლას ისტორიულიდან თანამედროვე თემატიკაზე. ამავე დროს ჩვენ გაცხადებულ ვრჩებით სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა სიმრავლითა და სიუხვით, დიდტანიანი წიგნებითა და ფოლიანტებით. ვეცნობით რა ქართველ ბელეტრისტთა მოთხრობებსა თუ რომანებს, ნოველებსა თუ პროზაულ მინიატურებს, ნარკვევების ჩათვლით, ვხედავთ, რომ თემატიკურად საკმაოდ შორს წავსულვართ; არ დარჩენილა თითქმის არც ერთი თემა, რომელსაც ჩვენი მხატვრული პროზა არ შეხებოდეს, მაგრამ თითქმის არა გვაქვს, თითო-ორილას გამოკლებით, ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც თანამედროვეობა ტიპიურ ხასიათებსა და ტიპიურ გარემოებაში იყოს მოცემული. რეალიზმის ეს ენგელსისებური კლასიკური განმარტება და მოთხოვნა დღევანდელ პროზაულ თხზულებებს რომ მივუყენოთ, ამ ვეებერთელა ლიტერატურული პროდუქციიდან, რამდენიმეს გარდა, ძალიან ბევრი ხელიდან ისე გამოგვეცლება, როგორც ფიფქი ადრეული ზამთრის პირველი თოვლისა. რაც შეეხება რაოდენობას, ამ მხრივ ფრიად სასურველი სურათი გვაქვს.

რვა წლის მანძილზე ქართულ მხატვრულ პროზას მცირე რაოდენობით როდი შეემატა ახალი რომანები და

მოთხრობები, ნოველები და ესკიზები, ნარკვევები და მინიატურები. მასალა უაღრესად ვრცელია, მრავალწინი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, ასახავს სინამდვილის მრავალ მნიშვნელოვან მოვლენას. მაგრამ, როცა ფხიზელი კრიტიკული თვლით განვიხილავთ ჩამოთვლილ პროზაულ თხზულებებს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ბევრი მათგანი ქეშმარიტი მხატვრული პროზის მიღმა დგას და ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებს. ვიმეორებთ, თანამედროვე მწერალთა შორის ბევრია ნიჭიერი პროზაიკოსი, სინამდვილის მხატვრული ათვისების უნარს რომ ამკლავებს, მაგრამ, ჩვენ და სამწუხაროდ, ცოტაა ისეთი. მისი ტალანტის შესაფერისი მხატვრული ნაწარმოები რომ ჰქონდეს დაწერილი.

სინამდვილის შედარებით სუსტი ცოდნა, წარმოსახვაში ზერელობა, დაუფიქრებლობა, აჩქარება, სახეებისა და პასაჟების ბოლომდე დახვეწის სურვილის უქონლობა, ზოგჯერ კი გასაოცარი ლაფსუსები პირდაპირ პარადოქსებამდე რომ მიდის, — აი, რა აიძულებს მკითხველს დასაწყისშივე შესწყვიტოს ზოგიერთი ნაწარმოების წაკითხვა. გეგონება თითქოს ავტორები ერთმანეთს სქელტანიანი წიგნების წერაში ეჯიბრებოდნენ, ოსტატობაში კი არა, და ანგარიშს არ უწევდნენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ყოველ მწერალს ევალება, თუ ჩვენ ნამდვილ ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ. ხომ ცნობილია, რომ ქეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების ღირსება არც მარტოდენ ცხოვრების ცოდნით და არც მარტოდენ ოსტატობით განიზომება: ერთიაც და მეორეც ისევე აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად, როგორც შესატყვისი შინაარსისა და ფორმის გამოჩახვა.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ჩვენი ბელეტრისტების თხზულებებს უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე,

იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა ჩვენი ცნობილი ტრილოგიების გადაქცევა ტეტრალოგიებად და ამდენად შეიძლებოდა მისთვის ერთგვარი „ტეტრალოგიური პერიოდი“ გვეწოდებინა. ალექსანდრე ჭუთათელის „პირისპირი“ ამავე დროს ქართულ ენაზე პირველი ტეტრალოგია იყო. შემდეგ მას მოჰყვა აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“, რომლის მეოთხე წიგნიც ახლა იბეჭდება. ეს უკვე მეორე ტეტრალოგიაა. სულ ეხლახან შევიტყვეთ, რომ გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ ტრილოგიიდან ტეტრალოგიად იქცა. ეტყობა ტრილოგიაში ვედარ ჩაეტევიან და ტეტრალოგიას უმიზნებენ სხვა მწერლებიც, მათ შორის ლადო ავალიანი, რომლის „ახალი ჰორიზონტის“ ორი წიგნი უკვე გამოვიდა, მესამე რიგში დგას, მეოთხეზე რომ ჯერჯერობით არაფერი ვთქვათ. ეს მეოთხე ტეტრალოგია იქნება. ასევე ეტყობა ტეტრალოგიას შესცქერის სოლომონ თავაძეც, რომლის ტრილოგია „მისის განთიადი“ მკითხველმა უკვე იხილა ორი წიგნის სახით. ყველა ნიშნის მიხედვით ტრილოგიებსა და ტეტრალოგიებს ამზადებენ ალექსანდრე ქვიშვილი, რომლის ახალ რომანს „დიდი ტალღა“ პირველი წიგნი აწერია, მეორე და მესამე ეჭვი არ არის ბუნებრივად გაჩნდება, რაკი გამოცდილებით ვიცით, რომ ჩვენს პროზაიკოსებს ორ წიგნზე შეჩერება არ უყვართ, მესამე წიგნს ამჯობინებენ, მეოთხეს კი სანიმუშოდ მიიჩნევენ. ასევე პირველი წიგნებია რევან ჯაფარიძის „ხევის პატარალი“ და „ჯარისკაცის ქვრივი“, აკაკი ბელიაშვილის „რუსთავეცი“. მე აღარაფერს ვიტყვი, თუ რა იქნება უახლოეს მომავალში, მაგრამ ტეტრალოგიები რომ შემოგვემატება, ეს აშკარაა. და ვშიშობთ, ვაი თუ დანარჩენმა პროზაიკოსებმაც ტრილოგია-ტეტრალოგიებს გამოუცხადონ სიყვა-

რული. მეგრე და როგორ შევადარებთ ეს მდგომარეობა? მოვიწინოთ თუ დავძრაზოთ? მივესალმოთ თუ შეხედოთ? მგონი აჯობებდა თვითმუშაობის კერძო-რეტული განხილვა და არა ზოგადი პასუხის გაცემა, რაც შეეხება საკითხის წმინდა თეორიულ, თუნდაც წმინდა ისტორიულ მხარეს, აქ კი შეგვიძლია დაბეჯითებით აღვნიშნოთ, რომ კლასიკოსთაგან, მაგალითად, ტოლსტოის, რომლის პროზაული შემეცნიერება დაახლოებით 80 ტომს შეიცავს, ერთი ტრილოგია და ერთი ტეტრალოგია ჰქონდა, ხოლო სოციალისტური ლიტერატურის დიდ ფუძემდებელს მაქსიმ გორკის — მხოლოდ ერთი ტრილოგია. ტოლსტოის, მართალია, ოთხი წიგნი ორნაწილიანი ეპილოგით დასჭირდა იმისათვის, რათა დაეწერა ისეთი ეპოპეა, როგორც არის „ომი და შვიდობა“, მაგრამ სხვა რომანებს იგი ერთ ან ორ წიგნში ამთავრებდა. დასავლეთ ევროპაშიც ერკმან-შატრიანს „გლუხკაცის ისტორიის“ დასაწერად არც ტრილოგია და არც ტეტრალოგია არ დასჭირვებიათ. ალექსანდრე დიუმას „გრაფი მონტე კრისტოც“ არსებითად ორი წიგნისაგან შედგება, თუმცა მას ოთხი წიგნი აწერია და ფორმალურად ტეტრალოგიას განეკუთვნება. ბალზაკსაც არ უყვარდა ტრილოგია-ტეტრალოგიები. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ნაწარმოების მოცულობა არავითარ შემთხვევაში არ წყვეტს მწერლის წარმატების საკითხს. მთავარია ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე, რასაც მოწმობს თუნდაც შემდეგი მაგალითი. ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი, რომელიც ალტაცებული იყო ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირით“, სულ პატარა „ტამანს“ მაინც ცალკე გამოყოფდა და მიიჩნევდა ისეთ ეპოქალურ ნაწარმოებად, რომლიდანაც თვითონ გამოვიდა, როგორც რომანისტი. ისიც ცნობილია, რომ რადიშჩევი, რომელიც რუსული ლიტერატურის ისტორიაში უკვდავია,

მარტო ერთი პროზაული ნაწარმოებით — „მოგზაურობით“ გახდა პირველხარისხოვანი მწერალი. საფრანგეთში ბალზაკის შედარებით დიდტანიანი რომანების გვერდით არანაკლები პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ მერიმეს პატარ-პატარა მოთხრობები და ნოველები, რომლებსაც არაჩვეულებრივად მძაფრი სიუჟეტები აქვთ. ჩვენს სინამდვილეშიც, კერძოდ, ჭარბული ლიტერატურის ისტორიაში ერთადერთი ნაწარმოებით — ოთხფორმიანი მოთხრობით უკვდავყო თავისი სახელი დანიელ ჟონკაქემ. ვიმეორებთ, რომანისტი წარმატებას წყვეტენ არა ტრილოგიები და ტეტრალოგიები, არამედ თვითული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ცოტა გამოვფხიზლდეთ, უფრო ფართოდ გადავხედოთ ჩვენს მიერ შექმნილ მხატვრულ პროდუქციას და გამოვიტანოთ მიუდგომელი დასკვნები აუცილებელისა და მიუტყვებელის მიმართ.

ჩვენ უკვე წავსულვართ ძალიან შორს რაოდენობრივად და ჩამოვრჩენილვართ ოსტატობის მხრივ. ბევრი გვიფიქრია დიდტანიან წიგნებზე, მაგრამ ძალიან ცოტა ტიპებსა და ხასიათებზე. ჩვენ გავვისწრია სტილიზაციის მხრივ, მოურიდებლად ვამბობთ, კლასიკოსებისათვისაც კი, მაგრამ საოცრად ჩამოვრჩენილვართ ადამიანის სულის, მისი შინაგანი „მეს“ ჩვენებაში. ჩვენ გადავიდგამს ვეებერთელა ნაბიჯი წინ, მაგრამ მეორეს გადასადგმელად ცალი ფეხი ისევ უკან დაგვრჩენია და აღარ დაგვიძრავს. ეს იმ დროს, როცა ისტორიულად ცნობილია, რომ ყოველთვის უმჯობესი იყო ცოტა და კარგი. მგონი არაფერი დაშავებულა იმით, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ამ რვა წლის მანძილზე სერიოზულად იმუშავა თავისი ძველი რომანის დასახვეწად და გასამდიდრებლად. შეიძ-

ლებოდა „იმერეთის ცისკარის“ ახლა განხილვა, როგორც სრულიად ახალი ნაწარმოებისა, იმდენად ბევრი და კარგი შემატა ავტორმა თავის ნაწარმოებს. ძალიან კარგად მოიქცა ავტორი, როდესაც ასევე დაბეჯითებით იმუშავა მოთხრობაზე „მწვანე ღილი“, რომელიც სამამულო ომის თემას შეეხება და ოსტატურ მხატვრულ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება. რაღა ღირს თუნდაც მარტოოდენ ერთი სახე ყოფილ მასწავლებელ ვარდენ ჯიშკარიანისა, რომელსაც ზედმეტ სახელად „ჩვენისა“ ეძახიან და რომელსაც „ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ ისიც ოდესმე ვინმეს მოკლავდა“. მაგრამ ამ უწყინარ, ძილისმოყვარულ ადამიანს ფრონტმა და განსაცდელმა სამშობლოს გამირული დაცვა შესწავლა, სწორედ იმ ფრონტმა, რომლის ცოცხალი სურათები ავტორს მშვენიერადაა აქვს აღწერილი, ბუნებრივად, დამაჯერებლად, სადად და ადამიანურად, თავიდან ბოლომდე რეალისტურად. ასევე აღწერდა ფრონტის სურათებს თავის მშვენიერ მოთხრობებში გიორგი ნატროშვილი და ჩვენ მხოლოდ სინანული უნდა გამოვთქვათ, რომ მან შესწყვიტა ამ თემაზე წერა, მაშინ როცა მისგან სასიხარულო გაგრძელებებს მოველოდით. რაც შეეხება „მწვანე ღილს“, ეს არის ნაწარმოები, რომელიც საგნებს კი არ აღწერს, ადამიანების სულის სიღრმეში იჭრება და აქვე უნდა ითქვას, თუ ადამიანი არა ჩანს, იქ არც მხატვრულ პროზაზე შეიძლება ლაპარაკი. რაღა ღირს ლადო ვაშლომიძის ან კიდევ მის შეყვარებულ სვეტლანა ვერშინინას მკაფიოდ გამოკვეთილი ცოცხალი სახეები? აქ ყველაფერი მხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით „უსახელო მალაობის“ მეოთხე თავში, რომელშიაც მოთხრობილია სასიკვდილო აგონიის წუთებშიაც კი ვაშლომიძე თუ რა გამირული თავდადებით ებრძვის გერმანელებს.

დემნა შენგელაიას სახით ქართულ საბჭოთა პროზას ნამდვილად ჰყავს ნიჭიერი რომანისტი, რომელიც ხელოვანის თვალთ ხედავს სამყაროსა და მის მოვლენებს. მაგრამ რა დაემართა ამ შესანიშნავ მწერალს ახალს მოთხრობაში „წითელი ყაყაჩო“? კითხულობთ და რწმუნდებით, რომ „წითელი ყაყაჩო“, დაწყებული სახელწოდებით და დამთავრებული მთავარი მოქმედი გმირის ბეჯან დავლასის თბილისში დაბრუნებით, ძალიან სუსტი ძაფითაა შეკერილი, ნაძალადეგია. რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს „წითელი ყაყაჩო“? მხოლოდ იმიტომ, რომ ორ ადგილას იხსენიება ეს სიტყვა ქალის კაბასთან დაკავშირებით. რაც შეეხება თვით სიუჟეტს, ფაბულას, ამბავს, მიუხედავად იმისა, რომ აღებულია სამამულო ომის მასალა, ასე უკონფლიქტო სიუჟეტი ძნელად თუ შეგვხვედრია საერთოდ ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის. მოთხრობის თუ რომანის მთელი შინაარსი ის არის, რომ ბეჯან დავლამ თავის მეზობელ, უფრო სწორად, თავის შეყვარებულ მაიკოს ძმა არჩილ დარაშელიძესთან ერთად სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე მიდის. არჩილი მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვლება, ხოლო ბეჯანი, მძიმედ დაჭრილი, რამდენიმე თვის განმავლობაში ფრონტისპირა ჰოსპიტალში წევს. შემდეგ კვლავ ფრონტზე მიდის. ერთ მშვენიერ დღეს მეტრძოლებს მოუვათ ცნობა, რომ ომი დამთავრდა. ამის შემდეგ, პირდაპირ კინოსცენარისტის სისწრაფით, გვერდნახევრის მანძილზე, ავტორი „ახერხებს“ გვიჩვენოს ომის დამთავრებასთან დაკავშირებით თავისი ნაწარმოების მთავარი გმირის განცდა, დემობილიზაცია, სამშობლოში დაბრუნება მატარებლით, თბილისში ჩამოსვლა, ოჯახში მისვლა. ერთი სიტყვით, გვერდნახევარზე ომიც მთავრდება, დემობილიზაციაც, ხდება, ვეებერთელა გზის გავლაც ბერლინიდან თბილი-

სამდე. ისე, რომ ავტორს ერთხელაც არ უცდია თუნდაც გაკვირით ეჩვენებინა რა სურათი ნახა მისმა გმირმა ომით გადაბუგულ ველზე უკან წამოსვლისას ბერლინიდან მოსკოვამდე, ან კიდევ მოსკოვიდან ორჯონიკიძემდე, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ეს არათუ გვერდნახევარზე, ორი-სამი სტრიქონითაც გამოვხატოთ, როგორც ეს უკვე ახლახან მოვახდინეთ, მაგრამ ჩვენ ხომ პროზას არ ვწერდით, საკითხს მხოლოდ კრიტიკულად განვიხილავდით.

გაოცებას იწვევს ის გარემოებაც, რომ „წითელ ყაყაჩოში“ დიალოგებიც ზოგან გაუმართავი და შეუფერტილია, კერძოდ, ისტორიკოს სოლომონ დარაშელიძისა.

რომანში უთუოდ არის კარგი ადგილები, რომლებშიაც შენგელაიას ბელეტრისტული ნიჭი ცოცხლად ვლინდება. ეს არის შესანიშნავად აღწერილი მთავარი მოქმედი გმირის ბეჯან დავლასის შეხვედრა დედასთან ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, ღამე ჰოსპიტალში, როცა მაშენკა თავისი ცხოვრების ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს ბეჯანს უყვება; კარგია ზოგიერთი სცენაც ფრონტზე და ჰოსპიტალში, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები სუსტია, არაფერს მატებს ჩვენს პროზას, სამწუხაროდ, დემნა შენგელაიას სახელსაც. კარგი იქნებოდა ავტორს საფუძვლიანად რომ გადაემუშავებია თავისი რომანი, გამოეცა ახალი რედაქციით, რითაც ჩვენს პროზას შეეძინებოდა უფრო სრულყოფილი ნაწარმოები.

ქართული მხატვრული ლიტერატურის ის პერიოდი, რომელსაც ჩვენ პირობითად „ეტერალოგიური პერიოდი“ ვუწოდებთ, იმათაც არის აღსანიშნავი, რომ მსკოვანმა მწერალმა ლეო ქიაჩელმა დაწერა მშვენიერი ნაწარმოებები, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავეს თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში. მისი მოთხრობები

ფართოდ არის ცნობილი. მათ შესახებ ბევრი დაიწერა და ჩვენც გვიკირს რაიმე ახალი ვთქვათ, გარდა იმისა, რაც უკვე ითქვა. ეტყობა, დიდი ეპიკური ტილოების — „ტარიელ გოლუსა“, „სასხლისა“ და „გვადი ბიგვას“ ავტორი კვლავ დაუღალავად მუშაობდა, რასაც მოწმობს შემოსხენებულთა გარდა სრულიად ახალი მოთხრობების გამოქვეყნება. ერთი ნაწარმოები, რომელსაც „დათუნა“ ეწოდება, საბავშვო ლიტერატურას განეკუთვნება და დაწერილია მისი ავტორისათვის ჩვეული მანერით — ეპიკური თხრობით. უეჭველია, ლეო ქიაჩელის სახით გვყავს ქართული მხატვრული პროზის პირველხარისხიანი ოსტატი, ჰუმანიტი ხელოვანი, რომელსაც ერთნაირი ძალით ეხერხება უნაკლო დიალოგებთან ერთად სიუჟეტის დაძაბული განვითარება. ისიც ძალიან საგულისხმოა, რომ „ტარიელ გოლუსადან“ ნაცნობი ბელეტრისტული თვისებები ქიაჩელმა ბოლომდე შეინარჩუნა, გაამდიდრა რა ახალს მოთხრობებსა და რომანებში. შესანიშნავი მკოდნე ადამიანური ხასიათებისა, ღრმა ფსიქოლოგი, ეპიკური თხრობის ოსტატი — კვლავ ასეთი სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე ლეო ქიაჩელი.

და მის გვერდით, თანამედროვე პროზაიკოსთა შორის, ჩვენ ვიხსენიებთ შალვა დადიანს, სახელოვან მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ყოველთვის ეკავა თვალსაჩინო ადგილი ქართულ ბელეტრისტიკაში. მისი დიდი რომანი „გიორგი რუსი“, ნაკლის მიუხედავად, ოსტატობის მხრივ ქართული საბჭოთა პროზის მშვენიერს წარმოადგენს: ამ ნაწარმოების მნიშვნელობა მარტო იმითაც შეიძლება დაეინახოს, რომ იგი ქართულ საბჭოთა პროზაში პირველი ისტორიული რომანია. დადიანის ისეთი თხზულებანი, როგორცაა „ურდუმში“ და „მენჯირობი“, რომლებშიც ავტორი კვლავ გვიჩვენებს თავის ოსტატობას, უთუოდ

ბევრს მატებენ ქართულ მხატვრულ პროზას. მაგრამ ავტორმა ეს ნაწარმოებები დღემდე არ დაამთავრა. თუ უახლოეს ხანში ჩვენ მათ ვიხილავთ სრული სახით, შეგვეძლება დაწერილებითი ანალიზი მოვასწინოთ. აღნიშნული მოთხრობები და ესკიზები უკვე იყო გამოცემული, მაგრამ დადიანის უფრო მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოები ცალკე არ გამოსულა.

ამავე პერიოდში დაუღალავად მუშაობდა აგრეთვე დავით სულიაშვილი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც კარგი მოთხრობების ავტორს. განსაკუთრებით ცნობილია მისი „მეორე დღე“, „თევდორე“, „ჩიკორი“, „ნალვერდალი“ და სხვა. უკანასკნელი წლების მანძილზე სულიაშვილი უმთავრესად მუშაობდა თავის მოგონებებზე წარსულიდან, მოგვითხრობდა ლენინისა და სტალინის მეგობრობას, მრავალ საგულისხმო ფაქტს, რომლებიც მხოლოდ მის განკარგულებაშია. ეს მოგონებები მეტად საინტერესო იყო ჩვენი მკითხველისათვის. სულიაშვილი ამჟამად წერს მოგონებებს მიშო დავითაშვილზე — სტალინის უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლზე. სამწუხაროდ, დავით სულიაშვილის ახალი თხზულებანი ჯერ გამოქვეყნებული არ არის და ამიტომ ჩვენ მორალური უფლება წართმეული გვაქვს ამ მიმართულებით რაიმე კონკრეტული შენიშვნა გავაკეთოთ.

ძალიან დიდი ნაყოფიერებით მუშაობდა უკანასკნელი წლების მანძილზე თანამედროვე მხატვრული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი აკაკი ბელიაშვილი. მისი კარგი რომანი „თავგადასაყვანი ბესიკ გაბაშვილისა“, აგრეთვე „ოქროს ჩარდახი“, მისი პატარ-პატარა მშვენიერი მოთხრობები, აღსავსენი ცხოვრების სინამდვილითა და იუმორის გრძნობით, ნამდვილად წარმოადგენენ თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის მნიშ-

ენლოვან შენაძენს. ახლახან, 1953 წლის პროზის ალმანახში დაიბეჭდა ბელიაშვილის ახალი რომანი „რუსთა-ვი“, მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის თემაზე. ეს ნაწარმოები ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ჩავთვალოთ ბელიაშვილის დიდ მიღწევად. ბელიაშვილს ახასიათებს კოლორიტული ტიპების გამოკვეთა, მიმზიდველი თხრობა, საინტერესო სიუჟეტის გამოქმენა და მისი პერიპეტეიული განვითარება. ეჭვი არ არის, ისტორიულ რომანებზე მუშაობამ ბელიაშვილს ოსტატობის მხრივ ბევრი რამ შესძინა და თუ ამ ოსტატობას ამჟამად მთლიანად მოახმარს თანამედროვე ცხოვრების ასახვისათვის გამიზნულ რომანებსა და მოთხრობებს, მივალთ ისეთ სასურველ შედეგთან, რომელიც სწაღია თვით ბელიაშვილს, მაგრამ არა ნაკლებ აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, კერძოდ კი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ლიტერატურაში დიდი ხმაური გამოიწვია რევაზ ჯაფარიძის პირველმავე რომანმა „ხევის პატარალი“. მაგრამ ამ ხმაურმა ისევე სწრაფად გადაიარა, როგორც დაიწყო. რატომ მოხდა ეს, რაშია საქმე? რევაზ ჯაფარიძის სახით ჩვენ ხომ მართლაც გვყავს ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ბელეტრისტი, რომელსაც კარგად ეხერხება მოგვეთხროს საინტერესო სიუჟეტები, ენაც მიმზიდველი აქვს! მისი პირველი დიდი ნაწარმოებიც გახმაურების ობიექტი შეიქნა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა, ფიქვით წიგნიც კი ჩვეულებრივ რომანთა რიგში ჩაღდა. თუ მიზეზების ძებნას დავიწყებთ, მივადგებით იმ ერთ-ერთ უღარესად საჭირბოროტო საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს არა მარტო ოსტატობასთან, არამედ მწერლის საზოგადოებრივ მდგომარეობასთანაც. ეს არის, უბრალო ენით რომ ვთქვათ, მეტისმეტი აჩქარება მხატვრული ნაწარმოების წერისა თუ დამთავრებისათვის,

როცა ავტორი კონვეიერული სისტემით ნარკვევს ნარკვევზე, ნუგეღსულოვლაზე, მოთხრობას მთავრობის მხატვრობის რომანზე მიყოლებით წერს და აქვეყნებს, ანგარიშს არ უწევს რა იმ გარემოებას, რომ მხატვრული შემოქმედება ნიჭისა, სინამდვილის ცოდნისა და ოსტატობის გარდა უთუოდ, ხანგრძლივი შრომის შედეგიცაა. ამის მაგალითები უხვად მოგვცა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ. გენიოსებიც კი უჩვეულო შრომით აღწევდნენ წარმატებას; ისინი არასოდეს არ გასულან ფონს მარტოდენ ნიჭის წყალობით. აიღეთ გრიბოედოვი, რომელმაც ერთადერთი ნაწარმოები „Горе от ума“ დაამთავრა და 32-ჯერ გადაწერა. ცნობილია ისიც, რომ გენიოსმა ტოლსტოიმ დაახლოებით რვაჯერ გადაწერა ისეთი გვებერთელა ეპოპეა, როგორიცაა „ომი და მშვიდობა“. ტოლსტოი ამ მხრივ განსაცვიფრებელი ხელოვანი იყო. ისეთ პატარა მოთხრობასაც კი, როგორიც „ჰაჯი მურატი“, ტოლსტოიმ ათი წელიწადი მოანდომა, ნურც ის დაგვიწყდებათ. თუ რამდენი წელი აგროვებდა იგი მასალებს შამილის ყოფილ ნაიბზე. ტოლსტოი არ დამაყოფილდა მის განკარგულებაში არსებული ოფიციალური დოკუმენტებით. მიწერ-მოწერა გააბა ყველა იმდროინდელ თავადთან თუ თავადის ქალებთან, რომლებსაც ერთხელ მაინც ყავდათ ნახული ჰაჯი მურატი; უდიდესმა ხელოვანმა წერილები მისწერა აგრეთვე გენერლებსა და ოფიცრებს, რომლებსაც უბრძოლიათ შამილის წინააღმდეგ ან მონაწილეობა მიუღიათ ჰაჯი მურატის დევნაში. ტოლსტოის აინტერესებდა თავისი ნაწარმოების მთავარი გმირის არა მარტო სულიერი თვისებები, არამედ უბრალო გარეგნული ნიშნებიც კი. ერთ-ერთ წერილში იგი მოითხოვდა ეპასუხნათ მისთვის — ჰაჯი მურატი ჩვეულებრივი სიარულის დროს ძალიან კოკობდა თუ ოდნავ შესამჩნევად. როდესაც ამ საკითხზე

გენიალურმა მწერალმა განსხვავებული ჩვენებები მიიღო, იმდენი სიფრთხილე გამოიჩინა, რამდენიც ცნობილ არაქმი ცალთვალა მეფის მხატვარმა. ტოლსტოიმ შამილის ნაიბის კოკლოზას რომანში ერთხელ მიაქცია ყურადღება, ისიც იმ დროს, როდესაც ჰაჯი მურატი ცხენიდან ჩამოხატუნა და ბილიკი კოკლოზით აარბენინა. ტოლსტოი ალბათ ფიქრობდა: როგორი შესამჩნევია არ უნდა ყოფილიყო ჰაჯი მურატის კოკლოზა, ძლიერი თუ სუსტი, ცხენიდან ჩამოხატარი კაცი, თუნდაც კოკლი არ ყოფილიყო, მაღლობს მაინც კოკლოზით აირბენდა. და ტოლსტოის გენიამ გასჭრა, ზაზი გაუსვა რა ჰაჯი მურატის კოკლოზას ისეთ სიტუაციაში, როცა მნიშვნელობა აღარ ეძლეოდა საკითხს, თუ ჰაჯი მურატი რამდენად კოკლოზდა. აი, გენიოსი რომანისტის დაკვირვებული, აუჩქარებელი, დინჯი მუშაობა რომანის თვითეული პასაჟის, თვითეული დეტალის დახვეწაზე! თუ ეს მოეთხოვება გენიოსებს, ხოლო თვით გენიოსებიც ვალდებულად სთვლიან თავიანთ თავს ასეთი არაჩვეულებრივი დაკვირვებით მიუდგნენ ყოველ წერილმანსა და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსს, გასაგებია რა მოეთხოვება ახალგაზრდა დამწყებ მწერალს, რომლის აჩქარებული, მაღალი შეფასებისაგან თავშეკავება არასოდეს საზიანო არ არის, ან კიდევ რა მოეთხოვება პროფესიონალ მწერალს, რომლის ნიჭი და შესაძლებლობანი საბოლოოდ გამორკვეულია. მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს აჩქარება ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია და ამიტომაც რომ ჩვენ, წამიერი აღტაცების შემდეგ, ერთბაშად გვიხდება უკან დახვევა, ზოგ შემთხვევაში საყოთარი სიტყვების უკან წაღებაც. ასე ემართება ავტორს, ასე ემართება კრიტიკოსს, რომელიც აჩქარდება ხოლმე ნაწარმოების შეფასებაში. ორივე რომანი „ხვეის პატარძალი“ და „ჯარისკაცის ქვრივი“ უფრო

მოფიქრებით კვლავ რომ გადაემუშავებინა ავტორს, უმჯობესი უქმნებოდა ლიტერატურის ინტერესებს სხვაგვარადა და ნაიდან რევან ჯაფარიძეს შეუძლია გაცილებით უკეთესი თხზულებანი მოგვეცეს და არ დაკმაყოფილდეს მარტოოდენ თხრობით. მისი ორივე რომანი კი თხრობით გამოირჩევა, და არა ჩვენებით, მაშინ როცა პროზაში, ბელეტრისტიკაში ჩვენება პირველი ნიშანია ქვემარტი თხრობისა. აიღეთ „ჯარისკაცის ქვრივი“. ერთ-ერთ პასაჟში მთელი ამბავი მთავარი გმირის შალვა მინდელისა, რომელიც ავტორს მხატვრულად უნდა ეჩვენებინა, ექსტრაორდინალური სისწრაფით აქვს გაკეთებული. ასეთი იოლი გზით ადამიანის სულიერი თვისებების გახსნა შეუძლებელია. ჯაფარიძეს ჯერ კიდევ არა აქვს ხასიათები ბოლომდე გახსნილი და დამთავრებული. თუ ის ამ შენიშვნას მომავალში მაინც გაითვალისწინებს, ამასთან, მეტ ყურადღებას მიაქცევს ტიპებისა და ხასიათების დახვეწა-გამოკეთას, შინაგანი სულიერი ქვეყნის უფრო ღრმად ჩვენებას, ცხადია, მაშინ შესძლებს ჩვენი ლიტერატურა გაამდიდროს უფრო დიდი მხატვრული ნაწარმოებებით.

ეს აჩქარება ეტყობა ნიჭიერი ახალგაზრდა ბელეტრისტების თენგიზ გოგოლაძისა და როსტომ ბეჟანიშვილის რომანებსაც. ერთიცა და მეორეც კარგი მომავლის მქონე პროზაიკოსები არიან. თენგიზ გოგოლაძეს ეხერხება ცხოვრების მოვლენათა შეგრძნება და მისთვის მხატვრული განსხეულების მიცემა. თავისუფლად წერს, არ ამკადუნებს იძულებას, შორსა დგას ეგრეთწოდებული „დაჯეჯგილი პროზისაგან“, როდესაც სტრიქონი სტრიქონს ლოგიკური თანმიმდევრობით არ მისდევს, ხოლო თვით სტრიქონი უხეში, ტლანქი, გაუმართავია. გოგოლაძე წერს გამართულად, სადად, მისი პროზაული სტრიქონები ბუნებრივად მომდინარეობენ,

თუმცა ჯერ კიდევ ყველგან ემჩნევა გამოუცდელი ახალგაზრდა ოსტატის ხელი. ამიტომ აქედანვე გვინდა გაფრთხილება მივსცეთ „ოქროყანას“ ავტორს, რომ მისი მშვენიერი თემა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისა, საკოლმეურნეო ცხოვრების წარმატების ჩვენება, რაც ესოდენ რეალური, ყველასათვის დამაჯერებელი ფაქტია, ავტორისაგან მეტ დაძაბულ შემოქმედებითს შრომასა და დაკვირვებას მოითხოვს. ჰკითხულობთ გოგოლადის რომანს „ოქროყანას“ და ხედავთ, რომ ცხოვრების ბევრ დამაჯერებელ მოვლენას მის ხელში დაუჯერებელი სახე მიუღია. მაგალითად, ვნუკოველების მიერ საჩუქრების ერთპიროვნული გაგზავნა ოქროყანელებისათვის. ან კიდევ ფულის ერთპიროვნული შეგროვება კოლმეურნეობის დასახმარებლად, ეს არც დამაჯერებელია, ისევე როგორც მკითხველი ნდობით ვერ მოეციდება ავტორის განცხადებას, თითქოს ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჯორბენაძე, თავის ამხანაგებს ეუბნებოდეს: ახალი მანქანა, რომელიც მივიღეთ, ოქროყანელებს არ აჩვენოთ, წარმატებას არ მიაღწიონო. ეს ბუნებაში არ ხდება და მხოლოდ გადაჭარბებული ფანტაზიის შედეგია. ასევე დაუჯერებელია ვნუკოველები ოქროყანელებს წერდნენ „ფულისა და ხე-ტყის მიშველებას კულტურის სახლისათვის“. დახმარებას კოლმეურნეობებს შორის თავისი ფორმები აქვს და სწორედ მისი ჩვენება იყო საჭირო.

აჩქარებისა და სინამდვილის შეუსწავლელობის მიზეზია, როდესაც ავტორი რომანის მთავარი მოქმედი გმირების — იაკობისა და მარადოს — ოდესღაც შეყვარებულების, ახლა კი დაქვრივებულების ძველ სასიყვარულო ისტორიას აღადგენს. დაეიჯეროთ, რომ ეს აღამიანები, რომლებსაც გასათხოვარი და ცოლსათხოვი შეიღები ჰყავთ, მათ დაეკითხებოდნენ თავიანთი გათხო-

ვებისა და ცოლის თხოვის შესახებ? ავტორს ჰქონდა შესანიშნავი მანქანა ემძაფრებია ეს წინააღმდეგობა, რომ გაყოლოდა მცდარ არჩევანს და სიუჟეტზე განვიითარებინა უფრო მძაფრ ფორმებში. აქ დასმულია ისეთი საკითხი, რომელიც ძველი მწერლობისათვის ტრაგედიების საგანი იყო და ჩვენ ვიტყვოდით, უსაშინელესი ტრაგედიებისაც; ჩვენი ავტორი კი ამ უაღრესად რთულ სიტუაციას მეტად იოლ, ზერელე გადაწყვეტას აძლევს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იაკობი მართლაც მიდის სახლში და მარადოს დაეალებას შემდეგნაირად ასრულებს — თავის გასათხოვარ ქალიშვილს ნანის ეუბნება:

„— შეილო, მე დღესაც იმ გრძნობით მიყვარს იგი (ე. ი. მარადო — გ. ჯ.)... ის ჩემთვის ძვირფასი აღამიანია და მინდა, რომ რაღაც ათეული წელი, სანამ ჯერ კიდევ არ მოვხუცებულევა, ერთად ვავატაროთ. აი, რა უნდა შეთქვა შენთვის... შენ რას მეტყვი, ხომ გიყვარს მარადო?“

ამის შემდეგ ავტორი გვეუბნება ნანი „გაშრაო“, მაგრამ თურმე ნანი გაშრა არა იმიტომ, რომ ეუცნაურა თვით მამის უცნაური მოქცევა, მამისა, რომელიც შვილის გათხოვებაზე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ამისათვის სადა სცალია, შვილს აიძულებს მამის ხელმეორედ დაქორწინებაზე იზრუნოს, და ამგვარად, მეთერთმეტეკლასელმა გოგონამ, ნანიმ, სანახევროდ პლატონ სამანიშვილის ტანჯვა უნდა გაიზიაროს; ვიმეორებთ, ნანი „გაშრა“ თურმე იმიტომ, რომ მას მარადოს ეყვიშვილი უყვარს, თუ მამამისი იაკობი მარადოს შეირთავს, ცხადია, მამინ ნანი ცოლად ვეღარ წაყვება მარადოს ვაჟს — ვახტანგს. აი, როგორ განვითარებას აძლევს ავტორი ამბავს, რომელიც მძაფრი კონფლიქტებისა და სულიერი გრადაციების შესანიშნავ მასალად შეიძლებოდა გამოყენებულიყო.

ახლა აიღეთ თვით ნანისა და ვახ-

ტანგის სიყვარული როგორაა ნაჩვენები. ნანი მეთერთმეტეკლასელი მოსწავლეა, ვახტანგი — მისი მასწავლებელი. მერე და როგორ გგონიათ, რა დამოკიდებულება არსებობს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის? ისინი კოცნიან ერთმანეთს, ეხვევიან, ერთად ცეკვავენ...

ეს ნაკლი, ზოგიერთი მომენტის დაუზუსტებლობა, არადამაჯერებლობა „ოქროყანას“ ახასიათებს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხთა მეგობრობას ავტორი შედარებით კარგად აშუქებს. ეკვი არ გვეპარება, რომ მისი სახით ახლო ხანში ჩვენ ნიქიერ, დასრულებულ პროზაიკოსს მივიღებთ.

უკანასკნელ წლებში დაუღალავად მუშაობდა ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი რაქდენ გვეტაძე. რაქდენ გვეტაძის სახით ჩვენ დავკარგეთ ქართული მხატვრული სიტყვის უანგარო მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე და გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც ღირსეული ადგილი ეკავა თანამედროვე ბელეტრისტთა შორის. რომანებმა „თეო“ და „უკიაკოკონა“, მოთხრობებმა „ლაშაური საღამოები“, „სკირგაილო“ და არაჩვეულებრივი ადამიანური სითბოთი დაწერილმა „მართალმა ნოველებმა“ რაქდენ გვეტაძეს ჰემშარიტად დაუმკვიდრეს რეალისტი მწერლის საპატიო სახელი. მისი სტილი ყოველთვის იყო ლაპიდარული, სურათები მართალი და დამაჯერებელი, თვითეული სახე გამოკვეთილი და ბოლომდე დასრულებული, თხრობა ყოველთვის ბუნებრივი, ხოლო სიტყვების განვითარება — ადამიანურად გულწრფელი და ადამიანურადვე მართალი. გვეტაძის ერთ-ერთი უკანასკნელი ყველაზე დიდი ნაწარმოები იყო „ცხოვრება იწყება თავიდან“, რაც მისთვის გედის სიმღერად იქცა. ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი ბააკა მინდელი, რომელიც არაჩვეულებრივად

სპეტაკი, მართალი, პატიოსანი, მუცლუბის უანგაროდ მოსიყვარულე ადამიანია, თავისში თითქოს აერთიანებს თვით მწერლის მრავალ ადამიანურ თვისებას. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში უმწიკვლო მუშაობა, სამამულო ომის დროს ფრონტზე გმირული თავდადება, შემდეგ კი რუსთავში სამუშაოდ წასვლა — ყველგან ბააკა წარმოგვიდგება სპეტაკ საბჭოთა ადამიანად. ომის დროს თბილისში მტრის თვითმფრინავების თავდასხმისას, ბრმა შემთხვევის გამო, ჯერ შვილის — ცაბუს გარდაცვალება, ხოლო ამ ნიადაგზე უერთგულესი მეუღლის — ევდოს დაკარგვა, ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობა — ყოველივე ეს მრავალტრაგიკულ ხაზს ავლებს ბააკას არსებაში. მაგრამ ვერ ცვლის მის უდიდეს სიყვარულს სამშობლოსადმი, მშობლიურ გრძნობას ბავშვებისადმი. და აი, იგი სხვის ბავშვს გაზრდის; და როცა წართმევით ემუქრებიან, ბააკა მთელი არსებით იცავს აღმზრდელი მამის უფლებას. ეს მოთხრობა ქართული პროზის უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძენია, მიუხედავად იმისა, რომ პრესაში გამოთქმული იყო ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა.

თანამედროვეობის თემაზე ბოლო წლებში ბევრი მოთხრობა დაიწერა და ჩვენ გვინდა განსაკუთრებით შევაჩეროთ ყურადღება მიხეილ მრეველიშვილის პროზაულ თხზულებებზე. მრეველიშვილის სახით რომ გვყავს მშვენიერი პროზაიკოსი, დაკვირებული და ცხოვრების მცოდნე მწერალი — ეს უდავოა. მისი მოთხრობების კრებული გასულ წელს გამოვიდა და მკითხველმა მოწონებით მიიღო, ვინაიდან თვითეულ მოთხრობაში ჩანს ნიჭიერი მწერალი, რომელსაც შეუძლია ისეთი მხატვრული სურათები გვიჩვენოს და ისე შესძრას ჩვენი გული, როგორც ეს ჰემშარიტ ხელოვანს შეუძლია. მაგრამ ამ მოთხრობათა შორის განსაკუთრებით გამო-

ირჩევა „ხარატანთ კერა“, როგორც ამ რვა წლის მანძილზე ქართული მხატვრული პროზის მნიშვნელოვანი შენაძენი. სიუჟეტის გამძაფრება, ღრმა შინაგანი ფსიქოლოგიური დღევა, ტიპების ოსტატური გამოკვეთის უნარი, დამაინტერესებელი თხრობა — ყოველივე ეს ხელსაყრელად განასხვავებენ „ხარატანთ კერას“ სხვა მოთხრობათაგან. დააკვირდით ამ ნაწარმოების თუნდაც მარტო ერთ მხარეს — კოლორიტულ ხასიათებსა და ტიპებს: გიორგი ხარატელი და მისი მეუღლე ნატო, ნუციია და აკმია, ზურია და აიტუზა, აღარაფერს ვამბობთ დანარჩენ გმირებსზე. ერთ მოთხრობაში ამდენი მკაფიოდ გამოკვეთილი ტიპი უთუოდ მრეველ-შვილის დიდი გამარჯვებაა. ყველა ეს ტიპი სინამდვილიდან, რეალობიდანაა აღებული, მათ აქვთ არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი შესახებლობაც და ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვუსაყვედუროთ ავტორს ზოგიერთ მოთხრობაში სუსტი ფაბულის გამოყენება. თუ ამ ნაკლს ავტორი გამოასწორებს, მიჯნის სახით ჩვენ უთუოდ გვეყოლება პირველხარისხოვანი ბელეტრისტი.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ჩვენი პროზაული თხზულების სახელი გასცდა მშობლიურ სახლს და მსოფლიო ლიტერატურის წიგნის ბაზარს მოველინა. ქიაჩელის ბრწყინვალე რომანმა „გვადი ბიგვამ“ მრავალი უცხო სახელმწიფო მოიარა; იაკინთე ლისა-შვილის უთუოდ კარგი რომანი „კეცხოველი“ უკვე თარგმნილი და გამოცემულია საზღვარგარეთ; ჭეიშვილის „ლელო“ რამდენიმე ენაზე დაიბეჭდა. სულ ახლახან გამოვიდა მისივე ახალი რომანი „დიდი ტალა“, რომელიც ოსტატობის თვალსაზრისით დაბლა როდი დგას „ლელოზე“. თუ ჭეიშვილი კიდევ უფრო იმუშავებს და „ლელოსებურად“ გააგრძელებს თავისი ახალი რომანის დახვეწას, ჩვენ ამ ფაქტს უთუოდ მივესალმებით.

„დიდ ტალასთან“ დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ, რომ 1953 წელს გამოქვეყნდა ქართულ ლიტერატურაში ნახი, რომელშიაც მრავალი საყურადღებო მხატვრული ნაწარმოებია მოთავსებული. ეს წიგნი წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა მიღწევები და რა ნაკლი ჰქონდა ქართულ პროზას ერთი წლის მანძილზე. აღმანახში მოთავსებულ მოთხრობათა შორის მართალია არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ერთბაშად მიეცეოის მკითხველის ყურადღება, მაგრამ ყველა ისინი, ზუთივე ნაწარმოები, მნიშვნელოვანია. ეს უხება ოთარ ჩხეიძის რომანს „ჯებირი“, რომელშიაც ავტორი თანამედროვეობის მეტად აქტუალურ საკითხებს აღძრავს, გვიხატავს უკანასკნელ მოვლენებსაც პარტიულ ცხოვრებაში, ერთი სიტყვით, ეს ნაწარმოები მისი ავტორის დიდი გამარჯვებაა და ქართული პროზის უთუოდ წარმატების მაჩვენებელი. ჩხეიძეს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ნიჭიერ პროზაიკოსს, დახვეწილი გემოვნების მქონე მწერალს; ყველა ეს თვისება „ჯებირიში“ ერთბაშად შესამჩნევია.

ამას წინათ გამოვიდა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების კრებული და ჩვენ გვინდა მოწონებით აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნით ავტორმა, რომელიც უმთავრესად ცნობილი იყო, როგორც კარგი პოეტი და ასევე კარგი დრამატურგი, უკვე მტკიცედ დაიკავა ადგილი თანამედროვე პროზაიკოსთა შორის. მისი სახით ჩვენ გვყავს მოწინავე მწერალი, ცხოვრების მცოდნე, ნიჭიერი ოსტატი, რომლის მოთხრობებიც გამოირჩევიან მშვენიერი ქართული ენით, დახვეწილობითა და ბუნებრივობით. თვითუთლი მოთხრობა დამთავრებულია, თავიდან ბოლომდე გააზრებული, თავისუფალია ზედმეტობისა და უღიმღამო სურათებისაგან. თუ ამ პატარა პატარა მოთხრობების შემდეგ, რომლებშიაც ალბათ ავტორი კალამს ცდი-

და, შატბერაშვილი უფრო დიდ ტილოებს მოჰკიდებს ხელს, მის წარმატებაში ეჭვი არ შეგვეპარება.

ეს ამოცანა ეტყობა უკვე შეუსრულებია ივანე ურჯუშელაშვილს. მან ამასწინათ გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი ნაწარმოები „თანატოლების“ სახელწოდებით. ახალგაზრდა ავტორის მარტო წასახალისებლად არ ვამბობთ, რომ ამ რომანში გამოჩნდა ურჯუშელაშვილის პროზაული ნიჭის ერთი მხარე, რომელსაც ჩვენ ახლავე გვიჩვენა ყურადღება მივაქციოთ. ეს არის ფართო სოციალური ფონის წარმოსახვა, სინამდვილესთან ფართო მასშტაბით მისვლა, რაც ჩვენს სიხარულს იწვევს, თანაც გვიძულებს ავტორი გავაფრთხილოთ, რომ ეს რთული რამ არის, დიდ დაკვირვებასა და ცოდნას მოითხოვს, ზომიერებასაც. ყოველ შემთხვევაში, ეს რომანი ამ მხრივაც ბევრ საიმედოს იძლევა და ვფიქრობთ ავტორი კიდევ უფრო დაძაბავს თავის შემოქმედებითს ძალებს.

ჩვენი პროზაიკოსების დიდი ნაწილი რომ დაუღალავად მუშაობს, ეს უკვე ვნახეთ და ვფიქრობთ ეს საკმაოდ ცნობილია, მაგრამ თანამედროვე პროზაიკოსთაგან თავისი ნაყოფიერებით სოლომონ თავაძე მაინც გამოირჩევა. ამ მხრივ, სულ მცირეოდენის გამოკლებით, მგონი მას ბევრი ვერ შეედრება. ეს საკითხი ალბათ ისეთ რომანისტსაც კი აფიქრებს, როგორც კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც ლიტერატურული ნაყოფიერებით უკან მოიტოვა ძველთან ერთად ახალი მწერლებიც. მაგრამ გამსახურდიას რომანები და ნოველები, ავნიცა და კარგნიც, მაღალი ლიტერატურული გემოვნებისა და ოსტატობით მანგანით არიან დახვეწილი, თუმცა ზოგჯერ უხეშ ნატურალიზმსაც იერთებენ. სულ სხვაა სოლომონ თავაძე. მას რომ რომანების წერისა და გამოქვეყნების ტემპი შეენელებინა მხატვრული ოსტატობის ხარჯზე, ბევ-

რად უფრო სასურველ სურათს შევლებდით. უკანასკნელი რვა წლის მანძილზე თავაძემ გამოაქვეყნა ორი ნაწარმოები რომანი „მაისის განთიადი“ და „ქართული ფოლადი“. პირველი შეეხება სამამულელო ომის თემას, ხოლო „ქართული ფოლადი“ რომანია ახალი სოციალისტური ქალაქის — რუსთავის თემაზე, რომანი, რომელშიაც ავტორი ცდილობს ძველი ქალაქის მიდამოებში ფენიქსივით აღორძინებული მეტალურგია ასახოს საბჭოთა ადამიანების პეროიკული შრომის ფონზე. თავაძის რომანების ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ შეიცავენ მძაფრ, დახლართულ სიუჟეტებს, მშვიდად და წყნარად ვითარდებიან, სერიოზული კონფლიქტების გარეშე, მხატვრული თვალსაზრისით კი საშუალო თხზულებათა სიმაღლეს ვერ ცოდებიან. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ანელებს მკითხველის ყურადღებას თავაძის რომანებისადმი.

ასევე დიდი ნაყოფიერებით გამოირჩევა პარმენ ლორია. უკანასკნელი წლების მანძილზე მან გამოაქვეყნა ორი დიდი რომანი „განთიადი ხევში“ და „ნაირა“. ვისაც ეს რომანები წაუკითხავს, დაგვეთანხმება, რომ ავტორი უთუოდ ამკლავნებს თხრობის ნიჭს, მას ეხერხება ამბავის მოყოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენება არც მას შეუძლია. არ შეუძლია თავისი გმირების ფსიქოლოგიური სიღრმით წარმოსახვა, ჩქარობს, ზერეულდ ხატავს, ამბავს გვიყვება და არ გვიჩვენებს. კარგი იქნება თუ პარმენ ლორია მომავალ მუშაობაში მაინც მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას და თავის დიდტანიან რომანებს ოსტატობასაც მიუმატებს. უნდა გვახსოვდეს, რომ კარგი იმპროვიზატორიც კი ხელოვნებაში ადგილს ვერ იკავებს. ეს ისეთი გაფრთხილებაა, რომელსაც არა მარტო ლორიამ, არამედ, მიხი რანგის ყველა მწერალმა სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს.

მთელი რიგი ადგილები ლორიას რომანებში სულ ზერელე დიალოგებზეა აგებული, თუმცა, ამავე დროს, ჩვენ არ უარყვით იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც მის რომანებს უთუოდ აქვთ მკითხველი საზოგადოებისათვის აქარის მშრომელთა წარსულის გაცნობისა და მათი ყოფაცხოვრების შესწავლის საქმეში. ორივე რომანი „ნაირა“ და „განთიადი ზევში“ გვიხატავს საქართველოს ამ ერთ-ერთი მშვენიერი მხარის მშრომელი ხალხის გმირულ ბრძოლას მხაგრელების წინააღმდეგ. გვაცნობს აუარელი მშრომელი ქალების მიძიმე მდგომარეობას წარსულში, მასების რევოლუციურ ბრძოლებს და ამ მხრივ ავტორის დაუღალავ მუშაობას უთუოდ უნდა მივესალმოთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლორიამ ეს თემა მტკიცედ შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში, რითაც სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა.

ქართულ ბელეტრისტიკაში ასევე ახალი თემა — ზღვა შემოიტანა ანდროლომიძემ. მისი მოთხრობების კრებული, რომელიც შარშან გამოსცა საბჭოთა მწერალმა, 42 პატარა ნაწარმოებს შეიცავს. უმეტესობა ზღვის თემას ეხება და უთუოდ საგულისხმოა. ლომიძე გამართულად წერს, თუმცა უმჯობესი იქნება სტილის ზედმეტ გამარტივებას თავი დაანებოს, გაიმდიდროს ლექსიკა, რითაც მის მოთხრობებს მეტი მხატვრული დიაპაზონი მიეცემა.

როცა თვალს ვავლებთ ჩვენს მწერლობას უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, მკაფიოდ ვხედავთ ზოგიერთ ნაკლს, ხელს რომ გვიშლიდა წინსვლასა და განვითარებაში. დიდხანს ქართულს ლიტერატურაშიც ბოგინობდა პიროვნების კულტი, იმის შედეგად, რომ მივიწყებული იყო ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგება. ქართული მხატვრული პროზაც ვერ ასცდა ამ საერბო სენს. თითქმის არც ერთი პროზაიკოსი ამ მხრივ ვალში

არ დარჩენილა. პოეტებთან და კრიტიკოსებთან ერთად პროზაიკოსებმაც უნდა დიდებას ასხამდნენ იმ ხანის უარგარე წარს, რომელმაც ქართველი ინტელიგენციის მრავალი მნიშვნელოვანი კადრი უღანაშულოდ, ბარბაროსულად მწყობრიდან გამოიყვანა და, მათ შორის, ჩვენდა სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ქართული ლიტერატურის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, პირველხარისხოვანი რომანისტები. ამ ფაქტს იმიტომ ვიხსენიებთ, რომ პიროვნების კულტმა, რაც საქართველოში განსაკუთრებით ფეხმოკიდებული იყო, ხელი შეუშალა ჩვენს პროზას უფრო მეტი წარმატებები მოეპოვებინა, მიაჩვია იგი ზერელობასა და პანეგირიზმს, მხატვრული ისტატობის ნაცვლად, ჩაკეტა ვიწრო ნაქუქში და საშუალება არ მისცა ისე თავისუფლად გამოსულიყო შემოქმედების ფართო გზაზე, როგორც უკანასკნელი ათწლეულების მშვენიერი რუსული ბელეტრისტიკა, რომელმაც მსოფლიოში დიდი ხანია პირველი ადგილი დაიკავა.

ხანდახან თითქოს უცნაური რამ ხდება ჩვენს ლიტერატურაში. მოვიშორებთ ერთ ნაკლს, მაგრამ სულ მალე ისევ თავს იჩენს ან სრულიად ახალი სახით მოგვევლინება. ერთ დროს ჩვენს პროზაში საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული პორნოგრაფია; მივიწყებული იყო კლასიკური მითითებანი იმის შესახებ, რომ არცერთ ქვეშარით ხელოვანს პორნოგრაფია არ უყვარს. შემთხვევით არ ლაპარაკობდა დენი დიდრო, რომლის მხატვრული პროზა მარქსს განსაკუთრებით მოსწონდა და სანიმუშოდ მიაჩნდა, რომ მხატვრებმა თავიანთ ატელიეში გაფრთხილება უნდა მოათავსონ პორნოგრაფიის წინააღმდეგო. ჩვენს კრიტიკას დიდი ბრძოლა მოუხდა უხეში ნატურალიზმის, ფორმალისმისა და პორნოგრაფიის წინააღმდეგ. ამის შედეგად პორნოგრაფიის იპოსტასი დამსხვრეულ იქნა. ყოველ შემთხვე-

ვაში, ცნობილმა და გამოჩენილმა მწერლებმა იგი უკუაგდეს. მაგრამ ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს ეს სენი შეეპარება ხოლმე. ამიტომ პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა ლიტერატურაში არ უნდა შეწყდეს.

როგორც პროფესიონალი, ისე ახალგაზრდა მწერლების დაოსტატებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ყოველწლიურად პროზის ალმანახების გამოცემას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ იბეჭდებოდეს ის პროდუქცია, რომელიც ნამდვილად იქნება ბელეტრისტიკის მიღწევა. თუ ასეთი ნაწარმოები რომელიმე წელს არ აღმოჩნდება, დაე ალმანახმაც ბარომეტრის სისწორით გვიჩვენოს, თუ რაოდენ ნაკიანი იყო ესა თუ ის წელი ქართულ მხატვრულ პროზაში. ხსენებული ალმანახების გამოცემას მნიშვნელობა ექნება არა მარტო ისტორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რამდენადაც იგი ერთგვარი ბიძგის მიმცემი აღმოჩნდება ქართული პროზის განვითარებაში. თვითეულ ალმანახში დაბეჭდილი ნაწარმოების ავტორი ერთგვარ სიამაყეს უნდა განიცდიდეს, რომ მისმა თხზულებამ ესოდენი მოწონება დაიმსახურა. ყოველ შემთხვევაში, პროზაიკოსთა ისეთი საკმაოდ მრავალიცხოვანი კადრის პირობებში, როგორიც ჩვენ ამჟამად გვყავს, თვითეული წელი იდეურად და მხატვრულად გამართულ, მაღალი შეფასების მქონე ორ-სამ ნაწარმოებს აუცილებლად უნდა იძლეოდეს. ეს ღონისძიება ერთნაირი ძალით დაინტერესებს როგორც პროფესიონალ რომანისტს, ისე ახალგაზრდა დამწყებ პროზაიკოსს, რიგით მწერლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მგონი ეს დაინტერესებდა ჩვენი პროზის ისეთ გამოჩენილ წარმომადგენელსაც, როგორც სერგო კლდიაშვილია, მშვენიერი მოთხრობებისა და ნოველების ავტორი. და ასეთი ნიჭიერი, მაღალი გემოვნების მქონე, ცხოვრების მცოდნე მწერალი,

რომელსაც დიდი ოსტატობით შეუძლია მხატვრული პროზის სახეებში არაჩვეულებრივი მიმზიდველობით გვიჩვენოს თანამედროვეობის ცოცხალი სურათები, — ბოლო ხანებში ვერ ვასცდა წერილ-წერილ მოთხრობათა კრიალოსანს.

როგორც ვხედავთ, რვა წლის მანძილზე ჩვენს პროზაში მრავალ საგულისხმო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ამ მოვლენათა შორის უნდა მოვიხსენიოთ კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის ტეტრალოგიად გადაქცევა. ეტყობა „დავით აღმაშენებლის“ ავტორისათვის ტრილოგიის ვრცელი არეც კი ვიწრო აღმოჩნდა, რამაც მისი ბელეტრისტული სტიქია ტეტრალოგისაკენ მიმართა.

გამსახურდია დამაჯერებლობით ახერხებს მოვლენის დასრულებულ აღწერას, მისი სურათები თუ მოვლენები მკაფიო და ნათელია. ისიც საგულისხმოა, რომ ავტორს ენა მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებია, ანაქრონიზმები დატოვებული აქვს მხოლოდ დიალოგებში, ისიც შემსუბუქებულად; სინტაქსი უფრო გამარტივებულია, ლექსიკაც დახვეწილი. გარდა ამისა, შედარებით გაწმორებულია დიდი ხარვეზი, რომელიც პირველ ორ წიგნს თან ახლდა. მხედველობაში გვაქვს რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ჩვენება XI საუკუნეში, დავით აღმაშენებლის დროს და, მეორე მხრივ, ხალხის მასების წარმომადგენელთა იგნორირება. მესამე წიგნში ავტორს უცდია გამოეყვანა ხალხის წარმომადგენლები ნადიაკენარ ხახუტაიას, სიტყვია ქორას, ასისტავ ლათერაის, რუს მკედელ ნიკალას, ყივჩაღ შორტაის, მექათმე თეონას სახით. განსაკუთრებით მიმზიდველია რუსი კუზმა, რომელიც გვარამ ერისთავს, ყივჩაყების უფროსთან წარგზავნილს, მრავალ სასიზარულო ცნობას აწვდის ყივჩაყებზე რუსების სახელოვან გამარჯვებათა შესახებ ვლადიმერ

მონომახის მეთაურობით. რომანში არის დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერილი ადგილები; შესანიშნავადაა გამოკვეთილი თვით დავით აღმაშენებლის სახე; რომანტიკული, ჰაეროვანია დედისიმედის. გიორგი ჭყონდიდელის სახე დიდ ოსტატურ სახეთა გალერეაში უნდა მოთავსდეს. მშვენიერია ავგუსტა, ელენე, გვანცა. ავტორმა ლიბარიტ და რატი ორბელიანების სახით ნამდვილად გვაგოგონებინა გაუმძღარ, ხარბ ფეოდალთა ვერაგობა, მშობლიური ქვეყნის წინააღმდეგ ეგოისტური მიზნებით გავეება რომ ამოძრავდება ლიბარტის შთამომავალთ, ხოლო არღსათანი კოლორიტული სახეა იმ ქართველი მეფეებისა, რომლებიც სინდისსა და მორალს, საშობლოსა და ხალხის ინტერესებს ადვილად ცვლიდნენ პირად ანგარებაში. შესანიშნავ მებრძოლებსა და რაინდებს ვხედავთ დავით აღმაშენებლის, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მეფის, მახარას გვერდით გამოყვანილნიანა ბაკურიანის, გვარამ ერისთავისა და ჯოჯიკის სახით. ორიგინალურია გვანცა ორბელიანი. საერთოდ „დავით აღმაშენებლის“ მასამე წიგნი სიუჟეტურადაც უფრო მთლიანი, გამართული და დასრულებულია. ალბათ ორი წიგნის დაწერა სჭირდებოდა გამსახურდიას იმისათვის, რათა მესამე წიგნი უფრო დასრულებული ყოფილიყო. რომანში მხატვრული პროზის შთაგონებული ოსტატის კალმითაა დახატული ალყაშემორტყმული რატი, ბრძოლები თურქ-სელჯუკელთა წინააღმდეგ, ყველა ბჭობა ჭყონდიდელთან, აღსართანის გატაცება, შავბაზილიკთან დავითისა და დედისიმედის დიალოგი, რატის სიკვდილი, გვარამ ერისთავის მისია შარალანისძესთან. განსაკუთრებით კარგადაა აღწერილი ყვიჩაყთა ცხოვრება, თუმცა სრულიად ზედმეტი იყო ყვიჩაყების სულელური კოსმოგონიური თეორიის ასე დაწერილებითი ჭადმოცემა. სამაგიეროდ, მშვენივრადაა აღწერილი რუსი

მთაგრების სახეები, განსაკუთრებით ვლადიმერ მონომახისა და სვეატოპოლკისა, თუმცა გაუგებარდგა ვლადიმერ მონომახი რატომ უნდა იწოდებოდეს ბერძნული დაბოლოებით დიდ მთავარ ვლადიმერ მონომახოსად. როგორც მშვენიერი გაზაფხულის დილით თანჯარაში შემოჭრილი ნათელი სხივები გვანიშნებენ ხოლმე განთიადსა და მზის ამოსვლას, ისე აქ, რუსებთან ურთიერთობაში, პირველად ჩანს გამონაკრთომი იმ მარადიული მეგობრობისა, რომელიც რუს და ქართველ ხალხს შორის განმტკიცდა მომდევნო საუკუნეებში. ეს რომანის უღათ პლუსად უნდა ჩაითვალოს.

ახლა გვინდა გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა, რომლებიც შესაძლოა ავტორმა გაითვალისწინოს მესამე წიგნის მეორე გამოცემისას ან ტეტრალოგიის დასასრულს მაინც.

როგორც აღვნიშნეთ, მართალია, მესამე წიგნი ენობრივად უფრო დამუშავებული და დახვეწილია, მაგრამ ზოგიერთი ძველი ნაკლი, რუდიმენტის სახით, კვლავ შემორჩენილია. ერთ დროს ჩვენ გამსახურდიას სავესებით სამართლიანად ვუსაყვედურებდით, რომ სინტაქსს ხელოვნურად ააბლაბუდებს, ზოგიერთ სიტყვას კი უმართებულოდ ხმარობს-თქო. ამ მხრივ ბევრი რამ ავტორს გაუსწორებია, თუმცა ნაწილი კვლავ დაუტოვებია. მაგალითად, ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ძველი მემეტაინეების მიერ დადგენილი სავესებით კანონიერი ტერმინები დღეს აღარ უნდა შევეცვალოთ, თუ ამკარა შეცდომასთან არა გვაქვს საქმე. ავილოთ სიტყვა ბოტინატი. ყველასათვის ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორს ნიკიფორეს ბოტინატი ეწოდება ჩვენს ლიტერატურაში, მის ფულსაც ბოტინატი ჰქვია. გამსახურდია ხმარობდა ბოტანიტეს, ქართული გამოთქმისათვის ძნელად სახმარ სიტყვას. მესამე წიგნში (გვ. 17) კი ავტორი უკვე წერს: „დიდალი

დრაძკანი, ტერპერი და ბოტინატი (ხაზი ჩემია — გ. ჯ.) დაუბრუნა ჰუბანდინდელმა მეფის სახელითო“. გამსახურდიას გაუსწორებია ბოტინატი ბოტინატად და საესებით სწორად მოქცეულა. მაგრამ მეორე ადგილას ისევ დაუბრუნებია, ალბათ უნებლიეთ (გვ. 244, წერია ბოტინატი). ასევე არ არის გასწორებული სიტყვა ყიფჩალი. ქართულ ქრონიკებში, როგორც ცნობილია, იხმარება ყიფჩაყი, გამსახურდია კი როგორც პირველსა და მეორე, ასე მესამე წიგნში იხმარებს ყიფჩალს, ანგარიშს არ უწევს რა იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა უკვე შესულია ხალხში საესებით კანონიერად. გამსახურდია ფიქრობს, რომ ვინაიდან ყიფჩაყში ორი ყარია, ამდენად ყურს ეხამუშება და ემძიმება; ამიტომ მოითხოვს ყიფჩაყის მაგიერ ყიფჩალი იქნას ხმარებული, ანგარიშს არ უწევს რა იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა გავრცელებულია საუკუნეების მანძილზე, დღეს ყველგან ყიფჩაყად იხმარება, მით უმეტეს, რომ გიორგი ლეონიძის უმშვენიერეს ლირიკულ ლექსში, რომელიც ზეპირად იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, ყიფჩაყია ხმარებული, ყიფჩაყის სიყვარულზეა ლაპარაკი. ეს სიტყვა საბოლოოდ დამკვიდრებულია ქართულ ლიტერატურაში და მისი შეცვლა აღარ შეიძლება. არ იყო საჭირო აგრეთვე „ნადირობის ლოგოთეტის“ ხმარება (გვ. 244). წინათ გამსახურდია ხმარობდა „სეკრეტების ლოგოთეტს“, რაც მხოლოდ გაუმართლებელი ფორმა იყო, ახლა კი „ნადირობის ლოგოთეტს“ ხმარობს, მაშინ როცა „Logothetes“ ბერძნული სიტყვაა, შუასაუკუნეების ბიზანტიაში იხმარებოდა სხვადასხვა თანამდებობათა აღსანიშნავად და არა გვგონია მისი აღმნიშვნელი ქართულში არ მოგვეპოვებოდეს. სხვა სიტყვების შესახებ აღარაფერს ვიტყვით, მაგრამ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ სინტაქსის საკითხს. ჩვენ ვუსაყვედურებდით გამსახურდიას, რომ არ შეიძ-

ლება თანამედროვე ქართული მეტყველების სინტაქსური წყობა ხელოვნურად გავართულოთ ან დავარდინოთ ის კი ზოგიერთ შემთხვევებში სინტაქსურად არღვევდა ქართული მეტყველების სინტაქსური წყობის საფუძვლებს, ვიდრე ამას ძველ მემკვიდრეთა თხზულებებში ვხვდებით. მესამე წიგნში მდგომარეობა საკმაოდ გამოსწორებულია, მაგრამ მაინც დარჩენილია ზოგიერთი აღრევა. სულ ორ მაგალითს მოვიტანთ: ნაცვლად იმისა, რომ თქვას: „ენაბრგვილ მექათამე დედაკაცს თეონას რატომღაც დაუმეგობრდაო“, გამსახურდია წერს: „ენაბრგვილ მექათამე დედაკაცს დაუმეგობრდა, თეონას, რატომღაც“. აბა რა საჭიროა ასე დაეხლართოთ სრულიად უბრალო წინადადება? ნაცვლად იმისა, რომ დაწეროს: „ამ ფიქრებში გართულს შარვაშისძის ქალს კურდღლის ტყავის ფაჩურების ტკაპუნი შემოესმაო“, გამსახურდია წერს: „ამ ფიქრებში გართულს კურდღლის ტყავის ფაჩურების ტკაპუნი შემოესმა შარვაშისძის ქალს“.

ანალოგიური შემთხვევები, სამწუხაროდ, კიდევ გვხვდება მესამე წიგნში. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ განსაკუთრებით ოსტატურადაა აღწერილი ფარცხისის ციხეში მომწყვდეული პროზელიტების, კერძოდ, რატისა და მისი მეაბჯრეების, მალალ გიორგისა და მუსტაფა ბენ-ისმაილის ცხოვრება. ასევე კარგად არის ნაჩვენები ხალხის მამაცობა და გმირობა, გლეხის გაბრიელ ხორგაისა და მისი შვილების მიერ მუსტაფა ბენ-ისმაილის თანმხლებლებიანად დაპატიმრების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობა. ამ პატარა ეპიზოდში ჩანს, თუ რა თავდადებით იცავდა ქართველი ხალხი თავის სამშობლოს გაერყრებისა, ჯაშუშებისა და ველური თავდასხმელებისაგან. მაგრამ სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია ავტორის მეტისმეტი გატაცება ნადირობის საცენების აღწერით. რა თქმა უნდა, ძველ დროს ნადირობა მართლა წარმოადგენდა

არისტოკრატის გართობის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას, როგორც ამას გვიდასტურებს უნიკალური „ისტორიანი და აზმანი შარავანდღდთანი“. შემთხვევითი არაა, რომ რუსთაველსაც აღწერილი აქვს ნადირობა. საერთოდ, ძველ ლიტერატურაში ძნელია მოიხაზოს მხატვრული ძეგლი, რომელიც ნადირობას არ აღწერდეს. მაგრამ, მართლაც რა ბრძენია რუსთაველი, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“, ამ ვეებერთელა ნაწარმოებში, სულ ორჯერ აგვიწერს ნადირობას, ერთს პოემის დასაწყისში, როცა როსტევან მეფის მხლებლები გადაეყრებიან ტარიელს, და მეორეს, როდესაც ავთანდილი მიდის ნურადინ ფრილონთან და გზაზე შეეყრება სანადიროდ გასულ მის ამაღას. გამსახურდიასთან კი თითქმის წიგნის ერთი მესამედი ნადირობას, ნადირობის აღწერას, სანადირო ხელსაწყოების ჩამოთვლას, მიმინოებისა და ბაზიერების დახასიათებას უკავია. გარდა ამისა, ნადირობს ყველა: მეფე და ეპისკოპოსი, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, დიდი და პატარა, ერთი სიტყვით, ერი და ბერი, ამასთან, სანადიროდ მიდიან თრიალეთიდან შორში. გარდა ამისა, დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ ნადირობენ თურქები და რა წესები აქვთ სელჯუკიანებს. გაკვირვებაში ჩავარდნილი ადამიანებიც კი ნადირობაზე ფიქრობენ, განსაცდელისაგან თავდაუხსნელნიც სანადიროდ მიდიან. ეს „ნადირომანია“, მეტი რომ არ ვთქვათ, ზოგჯერ მოსაწყენია.

გამსახურდიას ძალიან ეხერხება გამძაფრებელი სცენების აღწერა, იგი ცდილობს, ბევრგან აღწევს კიდევ სიტყვის ძალას. მაგალითად, მშვიერი მგლების ზროვასთან ყვიჩაყეთს გამგზავრებული ქართველების ბრძოლა აღწერილია ბრწყინვალე ოსტატობით, ძლიერადაა აღწერილი ნადირობის სცენებიც, მაგრამ, მოგვხსენებათ, მეტისმეტი სინათლე საერთოდ აღარ ანათებს. უმჯო-

ბესი იყო ამ ადგილების ნაცვლად ევტორს ერთხელ მაინც ეჩვენებინა დავით აღმაშენებელი, როგორც მგლების აღმზრდელი, მწერს: „მგლებს პეტირება მეფის მიერ. საამისოდ ისტორიულ ქრონიკებში საკმაო მასალაა მოცემული. ეტყობა, ავტორი გრძნობს, რომ კრიტიკოსები მესამე წიგნის ნაცვლად მიიჩნევენ და ვითის ჩვენებას ქვეყნის აღმშენებლობის გარეშე და ამიტომ ბოლოსიტყვაობის დასასრულს შენიშნავს, რომ მეფის რელიგიურ სკეპტიციზმთან ერთად მეოთხე წიგნში მოცემული იქნება აღმშენებლობის პერიოდი, რომელიც დაემყარება არქიტექტორების, კალატოზების, ქვისმთელთა და სხვათა ღვაწლს. ამ ორი მომენტის ერთ წიგნში ჩვენება გამართლებულიც არ უნდა იყოს, ამიტომ ჯობდა ისინი ცალ-ცალკე ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა აქედანვე ვშიშობთ, ამ შენიშვნამ ტეტრალიოგის საზღვრები არ დაარღვიოს და მეხუთე წიგნის დაწერა არ მოსთხოვს ავტორს.

მესამე წიგნის უდაო ღირსებად მიგვჩნია შესანიშნავი პატრიოტული ადგილები, რომლებიც ბევრ შემთხვევაში თანამედროვეობას ეხმაურებიან. წიგნის ამ ადგილებს მკითხველი აუღელვებლად ვერ აუვლის გვერდს.

ერთი ფაქტიური შენიშვნაც: ორ-სამ ადგილას ავტორი მარჯამ დედოფალს— ავგუსტას ალაპარაკებს, რომ ანა კომნენამ, რომელიც ბერძნული ფილოსოფიის, კერძოდ კი პლატონის მოძღვრების სერიოზული მცოდნე იყო, შეაყვარა მას ბერძენი ფილოსოფოსის ცნობილი თხზულება „ლხინი“ (გამსახურდია ხმა-რობს „ნადიმს“, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში დიდიხანია დამკვიდრდა, პლატონის ამ თხზულებას ეწოდოს „ლხინი“), რომელშიაც თითქოს სულთა გარდავლენისა და ხელმეორედ ამ მოსვლის ამბავია მოთხრობილი. ეს რომ იყოს მხოლოდ ერთ ადგილზე, ჩვენ არავითარ შენიშვნას არ გაუაყეთებდით, უნებლიე

შეცდომად ჩავთვლიდით, მაგრამ ვინაიდან ავტორი სამ ადგილას იხსენიებს პლატონის „ლხინს“ და როგორც ძირითად თხზულებას სულის შესახებ პლატონის მოძღვრების დასახასიათებლად, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ შენიშვნის გაკეთება და აი რატომ: ავგუსტა „ლხინს“ იმიტომ ასახელებს, რომ მას ჰგონია პლატონი ამ წიგნში თითქოს ავითარებდეს მოსაზრებას სახენაცვალი ჩვენი სულის სხვა ადამიანის, სხვა არსების სახით პლანეტისადმი კვლავ დაბრუნების შესახებ. ავგუსტას ნიანია ბაკურიანი მიაჩნია თავისი პირველი შეყვარებულის—არტავაზ ტოლობერის ნიღაბად დედამიწაზე. მე აქ არ შევუდგები დასახასიათებლად სულის შესახებ პლატონის ცნობილი თეორიისა, რომელიც მთლიანად წარმოადგენს სოკრატეს მოძღვრების განვითარებას, მაგრამ აღვნიშნავ იმ თხზულებებს, რომლებშიაც მოცემულია პლატონის მოძღვრება სულის შესახებ, კერძოდ, მოთხრობილია მეომარ ირინაზის მიერ სულთა ქვეყნის ხილვა, სულების კლასიფიკაცია, მათი უკვდავება, გარდასვლა, განწმენდა და სხვა და სხვა. ყვალაფერი ეს პლატონს მოცემული აქვს ისეთ თხზულებებში, როგორიცაა „ფედრა“, „ფედონი“, „სახელმწიფო“ და „მენონი“. რაც შეეხება „ლხინს“, იგი უმთავრესად განეკუთვნება პლატონის იმ თხზულებათა რიცხვს, სადაც ბერძენი ფილოსოფოსი იძლევა თავის ცნობილ მოძღვრებას მშვენიერისა და მშვენიერების შესახებ, ისევე როგორც „პიპიას დიდსა“ და „პიპიას მცირეში“. „ლხინს“ ცენტრალური პრობლემა—მშვენიერების პრობლემაა და სული იქ მოხსენიებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პარალელია გავლებული მშვენიერსა და სულს შორის. ამდენად, „ლხინი“ არ შეიძლება ანა კომენსას დაეასახელებინოთ, როგორც სულის შესახებ პლატონის მოძღვრების უმთავრესი თხზულება.

ზემოთქმულიდან, მგონი, ნათლად უნდა ჩანდეს, რომ „დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნი, ჩვენი მიერ აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, ქართული მხატვრული პროზის უთუოდ დიდმნიშვნელოვანი შენაძენია.

უკანასკნელ ხანებში გამსახურდიამ აგრეთვე გამოაქვეყნა ახალი რომანი „ვაზის ყვავილობა“, რომელიც „მთვარის მოტაცების“ შემდეგ მისი პირველი მობრუნებაა ისტორიული ტრილოგიიდან თუ ტეტრალოგიიდან თანამედროვეობის თემისაკენ. ამიტომ, რა ნაკლიც არ უნდა აღმოვუჩინოთ მის ახლახან გამოქვეყნებულ რომანს, ამ ფაქტს მაინც უნდა მივესალმოთ, როგორც სასურველ გარდატეხას მწერლის შემოქმედებაში. ეს შემობრუნება თუ გარდატეხა მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ავტორს სოფლის ყოფა-ცხოვრება აუღია თავისი ბელეტრისტული პალიტრის საგანად.

რუსულმა ლიტერატურამ, მოყოლებული რადიშჩევიდან ტურგენევის „მგზავრის წერილებამდე“ და ტურგენევიდან მე-19 საუკუნის ყველა გამოჩენილ კლასიკოსამდე, კვლევები გამოიყვანა გულს რთალ, პატიოსან, სპეტაკ, შრომისმოყვარე ადამიანებად. ქართული ლიტერატურაც გაჰყვა რადიშჩევის, გერცენის, ტურგენევის, გოგოლის, გონჩაროვის, ტოლსტოის გზას, გვიჩვენა რა ქართველი გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობასთან ერთად მისი სულიერი სისპეტაკე და მორალური სიმადლე. ქართულმა ლიტერატურამ ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობასაც, რომ გლეხის დაბეჩალებულ ყოფას გამოხატავდა აგრეთვე შერქმეული ზედმეტი სახელი, რომლითაც მას ნათლავდა თავადი თუ აზნაური, მღვდელი თუ მოხელე, ვაჭარი თუ ბობოლა. ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია, რად დასჭირდა კონსტანტინე გამსახურდიას თავის უადრესად საინტერესო რომანში ზედმეტი სახელებით მოენათლა თითქმის

ყველა მოქმედი პირი გლახთა წრიდან. ამიტომ ვერ დავიჯერებთ ავტორის განცხადებას, თითქოს ამ მეტსახელებს არქმევდნენ ხშირად საალერსოდ და სალალობოდაც, ვინაიდან არც ერთი ეს ზედმეტი სახელი არა ჰგავს საალერსოდ შერქმეულს. მაგალითად, ქალაქელ შოფერს „კანკრე“ ჰქვია, მენტე-შაშვილს—„ქაქა“, თენიეშვილს—„ხრუკია“, მარტიაშვილს — „ლაღბაწა“, გიორგი ხელაშვილს—„გაგრია“, გიგოიანთ ბიძს — „კევერა“, კოლმეურნეობის მონაგარიშეს — „რიკვალე“, მელორეს — „პოპოლა“, მეწისქვილეს—„ნიორთავა“ (ავტორი შენიშნავს, რომ იგი შაირებს წერდა, ამიტომ უწოდესო ნიორთავა), მწონავს — „ჩიჩქანი“, ბუხალტერს — „კოტალე“, მეველეს — „კუბელა“, მერუეს — „ბულაწა“, ხოლო მენახირეს — „ფუთლუხი“. ასე დაუსრულებლად გრძელდება ეს ზედმეტი სახელები, რაც ჩვენ მიგვაჩნია გაუმართლებლად. ავტორმა ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს „ვაზის ყვავილობის“ ცალკე წიგნად გამოცემის დროს.

რაც შეეხება თვით რომანს, იგი დაწერილია გამს. ადისათვის ჩვეული ოსტატობით ბევრ საინტერესო და საგულისხმომომენტს შეიცავს, მთლიანად წიგნი უთუოდ მისალმების ღირსია, თუმცა ჯერ კიდევ საქიროებს ავტორის სერიოზულ მუშაობას ნაწარმოების საბოლოოდ დახვეწისა და გამართვისათვის. ამიტომ ჩვენ გვინდა გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა.

„ვაზის ყვავილობა“ რომ ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს, ეს ძალიან კარგია, მაგრამ რომანში არის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც დაუჯერებელის შთაბეჭდილებას ახდენენ. თუ ერთი მხრივ მკითხველი ენდობა ავტორს, როცა იგი ნუნუსა და გოდერძის დაბეზლებინებს უჯირაულებს, ნიკო ვანაძეს კი, რომელმაც მლიქვნელობის მიზნით ორ კილომეტრზე მეფეს ნობები გაუმალა დარბაზობის დროს,

მამული მიჰყიდ-მოჰყიდა, პარიზს გავსახლდა, „მულენ რუჟში“ დღეღამად ქეიფობდა, პარიზელ ბმეჭარე მისამგროს მიათხოვა და, ბოლოს, ქალიშვილი შედეა ცოლად შერთო მახინჯ კაბიტალისტს ლუსიენ შარკუტიეს; თუ ასევე დამაჯერებელია კორინთელის კარგად გამოკვეთილი სახე, ასაკით ძველი, მაგრამ ხასიათით ახალი ინტელიგენტისა, რომელიც სოციალისტური სოფლის მშრომელებს უანგარო დახმარებას უწევს, სოფლის მეურნეობის საკითხებს ასწავლის ახალგაზრდა კოლმეურნეებს, მამაცურად უდგას გვერდით რაიკომის მდივანს ციხისთავს, როგორც უპარტიო კომუნისტი; თუ ასევე დამაჯერებელი სახეა მეწისქვილე სოლომონი, ნიორთავად წოდებული, და ასევე დამაჯერებელია სიყვარული კომკავშირელ გოდერძისა და ნუნუს შორის, მეორე მხრივ, მკითხველი აშკარად უნდობლად მოეკიდება და ფანტატიურად მიიჩნევს ინგლისელი მეცნიერის ვიზიტს წისქვილში, რაიკომის ინსტრუქტორისა და თვით მეწისქვილე სოლომონ ნიორთავას მიერ ინგლისელი მეცნიერის ჭედამხედველობას. ეს მეცნიერი არა მარტო სოლომონ მეწისქვილესთან ერთად დადის კახეთში ირანულ თუ ეგვიპტურ მახრჩობელა გველებზე სანადიროდ, არამედ, ბოლოს ნიორთავა აბრია უჯირაულსაც კი ჩაითრევს ამ „კომერციულ“ საქმიანობაში, და მთელი გვერდებია მიძღვნილი, თუ რა სიხარბით ჭამს ეს მეცნიერი გველის ხორცს. ასევე კარგად არ არის მოტივირებული შედეა ვანაძის გამოქცევა შარკუტიესაგან 1936 წელს, ვახტანგ კორინთელის პარიზში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს.

არის სხვა დაუჯერებელი ადგილებიც, მაგრამ მთლიანად რომანი წაინტერესოა, როგორც ამაში გვარწმუნებს „ვაზის ყვავილობის“ პირველი ნაწილის ახალი რედაქცია, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. გამსახურდია ამ რო-

მანში ჭუჭრუტანიდან როდი უყურებს სინამდვილეს, ვიწროდ, შეზღუდულად, როგორც ეს ზოგიერთ მწერალს სჩვევია. მისი პალიტრა ამ რომანშიაც ფართო ეპიკურ ტილოებს ეტანება. გლეხობის ჩვენებასთან ერთად სხვა სოციალურ ფენებსაც ფართოდ გვიხატავს. მართალია, ცოტა ანაქრონისტული ტიპია დეიდა ვარა, მაგრამ ის მაინც კარგი სამუხეუმო ექსპონატია, ისევე როგორც თვით მედეა ახალ სინამდვილეში. მკითხველს უთუოდ დაინტერესებს ავტორის მსჯელობანი ევროპის, აზიის, ამერიკის შესახებ, იმასაც აგრძნობინებს, რომ ცხარე კრიტიკის შემდეგ გამსახურდია ბევრ რამეში უფრო ახლოს მოსულა დღევანდლობასთან. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველო არ იყო უცხოელი მეცნიერებისა თუ მოქალაქეების ზოგიერთი პარადოქსალური დებულებების აქცენტირება.

რამდენადაც ვაკვირდებით ამ რომანს, ვატყობთ, გამსახურდიას აქაც ტრილოგიის განზრახვა აქვს, თუ ტეტრალოგიას არ დაუმისნა. მეორე ნაწილის გეგმა, რომელიც ჩვენ ავტორმა გავაცნო, გაცილებით უფრო მეტი მასალის დამტვევია, ვიდრე პირველი ნაწილი. ამიტომ, მეორე ნაწილი თუ მთლიანად განხორციელდა, მაშინ ავტორი ტრილოგიაშიც ვეღარ ჩაეტყვა, ვინაიდან პირველი ნაწილი არსებითად იქ თავდება, სადაც გამოჩნერებული გოდერძი და ნუნუ პირველად დაეწაფებინ ერთად ცხოვრებას, შემდეგ რომანმა უნდა გვიჩვენოს სამამულოში, ფრონტზე მყოფი მთავარი მოქმედი გმირები, ზურგში მეტად მძაფრი კოლიზიები, გმირების შინ დაბრუნება, ცხოვრების კვლავ მშვიდობიანი განვითარება. ვშეშობთ, ვაითუ ესოდენ დიდი მასალა ტრილოგიის მოცულობაში ვერ დაეტიოს.

ახლა რამდენიმე შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ „ვახის ყვავილობის“ მოსალოდნელი მეორე ნაწილის მიმართ.

დაუჯერებელი გვეჩვენება არაშენდაგველეთის ზეგანზე წყლის დიდი მარაგის აღმოჩენა ციხისთავი-კორინთელის მიერ და იქ ელსადგურის აგება, შემდეგ კი წყლის გადმოყვანა ბერმუხაში. არ შეიძლება პარტორგანიზაციის მდივანმა ცისკარიშვილმა სამსახურიდან გადააყენოს ცხერის სარქალი ამრია, ვინაიდან ეს კოლმეურნეობის გამგეობის საქმეა. ზედმეტია, თანაც დაუჯერებელი ნიჟინერ რუსიშვილის მიერ (რატომღაც ამ ინიჟინერსაც ზედმეტი სახელი „თავკობალა“ ჰქვია) პროფესორ კორინთელის მეუღლის მედიკოს გატაცება. ასევე, ყურით მოთრეულ ამბავსა გავს გოდერძის მიერ ხანჯლით დათვის მოკვლა, როცა ეს უკანასკნელი კოლმეურნეობის ფარებს თავს დაესხმება.

ჩვენის აზრით, გოდერძი და ნუნუ ახალი ადამიანების განსახიერებას წარმოადგენენ და ავტორს უნდა მოვუწონოთ სერიოზული ცდა ასე სრულყოფილად გამოეხატა ამ ორი მამაცი საბჭოთა ადამიანის სახე. ოღონდ გადაჭარბებული გვეჩვენება რაიონის კონკრეტული დასახელების შემდეგ ყოფილი კულაკების სიხარული ორჯონიკიძესთან ფაშისტების მოახლოების გამო. თუ ერთი ან ორი გარეწარი იმ განსაცდელის ეამს მართლაც სიხარულს მიეცა, ჩვენ უფლება არა გვაქვს საბჭოთა ხალხის უმაგალითო მამაცობის დღეებში ასე მუქად გამოვეყოთ ყოფილი კულაკების დანაშაულებრივი საქმიანობა. დაუჯერებელია ნუნუს ბავშვის მოპარვა უჯირაულებისა და ნუნუს დედინაცვლის მიერ, ცოცხალი ბავშვის ქაობში გადაგდება მისი დახრჩობის მიზნით. მართალია, ეს ამჟღავნებს სიუჟეტს, მაგრამ მისი გაძლიერება არ შეიძლება დაუჯერებლობის ხარჯზე. ავტორი სწორად იქცევა, როდესაც საბჭოთა მართლმსაჯულების ხელს მიაწვდენს უჯირაულებსა და სხვა დამნაშავეებს. მკითხველის უთუო მოწონებას დაიმსა-

ხურებს ომში დაკარგული გოდერძი ელანიძის დაბრუნება სოფელში, მის მიერ ნუნუს ცოლად შერთვა (მასთან ხომ ბავშვი ჰყავდა მამაში გაუფორმებლად). ავტორი ფიქრობს განახორციელოს კიდევ ერთი ასეთი ვარიანტი: ომში განცილებილი უბედურების შედეგად გოდერძიმ მეტყველება დაკარგა. იგი დაბრუნდა. მედიცინამ ვერ შეძლო მისთვის მეტყველების უნარის დაბრუნება. მაგრამ როცა ნუნუს მიიყვანს გოდერძის თავისი საკუთარი ვენახის ნაკვეთზე, სიხარულსაგან ენას ამოიღვამს. გამსახურდია ფიქრობს, ასე დამთავროს რომანი, მაგრამ ჩვენ მას ვურჩევთ, ისევ მედიცინას დააბრუნებინოს მეტყველების უნარი გოდერძისათვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება საკითხის ნიკო ლომოური-სებურ გადაწყვეტასთან (გავიხსენოთ პატარა, მაგრამ მშვენიერი მოთხრობა „ქაჯანა“).

ფიქრობთ, „ეზის ყვავილობას“ სჭირდება გამოცდილი რედაქტორის ხელი, ავტორთან ერთად სერიოზული მუშაობა მისი საბოლოოდ დახვეწისა და დამთავრებისათვის. ჩვენ კი ეპვი არ გვეპარება, რომ რომანი „ეზის ყვავილობა“, თუ ავტორი კრიტიკის რჩევას გაითვალისწინებს, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში.

თანამედროვეობის მრავალი თემა ჯერ კიდევ ხელშეუხებელია და მოელის ჩვენი პროზაიკოსების შთაგონებულ ყალმს. ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე დასმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მიმდინარე წლის თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, მრავალ საგულისხმო თემას აძლევს მხატვრული სიტყვის ოსტატებს, პირველ რიგში პროზაიკოსებს. ბევრი ქართველი ახალ-

გაზრდა, რიგითი მუშაკი თუ სპეციალისტი, ექიმი თუ აგრონომი, მხატვრული ნიჭის თუ ინჟინერი, სტრუქტურისტი თუ კომბაინერი გაემგზავრა საქართველოდან ყაზირი და ნასვენნი მიწების ასათვისებლად. ეს ერთი ვეებერთელა ფრონტია მშვიდობის წლებში, ისევე როგორც ომის დროს ღრმა ზურგში მრავალ პატრიოტულ საქმეს აკეთებდა საბჭოთა ადამიანის ხელი, შესანიშნავად რომ ასახა ნიჭიერმა რუსმა პროზაიკოსმა აეაევმა ბრწყინვალე რომანში „მოსკოვიდან დაშორებით“. რა მოხარული ვიქნებოდით, ჩვენც რომ გვეხილა ქართული მწერლის ახალი რომანი „თბილისიდან დაშორებით“, რომელიც მხატვრული ძალით გვიჩვენებდა პატრიოტულ საქმეებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკველთა განსამტკიცებლად. ეს იქნებოდა პატრიოტული პასუხიც საბჭოთა მთვრობისა და კომუნისტური პარტიის მოწოდებაზე.

ჩვენმა პროზამ უნდა ასახოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ცხოვრება, ახალგაზრდა ადამიანი საერთოდ; მხატვრულ საბეჭებში გაშალოს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა, მაგალითად, არმია, კომკავშირი, საბჭოთა ოჯახი, დედა, ბავშვი. ეს თემები მოითხოვენ შთაგონებულ ოსტატებს, რომლებმაც ხელოვნების მიმზიდველი ენით უნდა გახსნან ახალი სოციალისტური ყოფის შესანიშნავი სურათები. მწერლობამ, განსაკუთრებით მხატვრულმა პროზამ, უნდა ასახოს ჩვენი დროის გმირები, გამოპყვეთოს ტიპები, რომლებიც სოციალისტური სინამდვილის გამომხატველნი იქნებიან, სწორედ იმ პრინციპების მიხედვით, რომელთა შესახებაც ასე დაწვრილებით ილაპარაკა ამხანაგმა გ. მ. მაღლენკოვმა თავის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში პარტიის მე-19 ყრილობაზე. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რასაც მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ დღემდე

თვით ცხოვრებამ უფრო ძლიერი ტიპები შექმნა, ვიდრე მწერლობამ, წინამდებარე გასული საუკუნისა, რომელმაც სინამდვილის შედარებით სუსტი არსებებისაგან ხელოვნებაში ძლიერი ტიპები გამოიყვანა. მე-19 საუკუნის ყველა ზედმეტი ადამიანი, ყველა ახალგაზრდა, რომლებიც პოეზიასა თუ პროზაში მოგვევლინა ონეგინის, პეჩორინის, ჩაილდ ჰაროლდის, რენეს, კარენინის და სხვების სახით, სინამდვილეში იმ ძალას როდი წარმოადგენდა, რაც მან ხელოვნებაში მოიპოვა. შემთხვევითი არ იყო, რომ იმ დროს ლიტერატურა ტიპებს ამაღლებდა, დიდ ძალას ანიჭებდა. ტყუილად კი არ მოსთქვამდა, თუმცა სხვა აზრით, ნეკრასოვის მღელვარე ჩანგი, მისი „მწუხარებისა და შურისძიების მუსა“:

«Нужны нам великие могилы,
Если нет величия в живых».

ჩვენს დროში ეს ფორმულა სულ შეიცვალა. ცხოვრების სიდიადემ, ადამიანებისა და ტიპების სიდიადემ იმდენად გაუსწრო ხელოვნებას, რომ მიუხედავად საბჭოთა ლიტერატურის მსოფლიო-ისტორიული წარმატებებისა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მწერალი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის წარმომადგენელია, გვჭირდება შემოქმედებითი ძალების უდიდესი დაძაბვა რეალური ცხოვრების სიდიადისათვის მხატვრული ფორმების მისაღებად. ასეთია თანაფარდობა საბჭოთა ეპოქის სიდიადესა და საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებითს დიაბაზონს შორის. ერთი სიტყვით, სინამდვილის გმირმა გაუსწრო ხელოვნების გმირს. მერესივე და კომედი, მთელი პლეადა

ახალგაზრდა გვარდიელებისა უფრო ცხოვრების ძლიერი გმირები არიან, ვიდრე ლიტერატურისა და ჩვენს მწერლებს, ისევე და ისევე გამოვდივართ ღებულებით, რომ სინამდვილის გმირმა გაუსწრო ხელოვნების გმირს. ვამბობთ ამას და კვლავ ახალ ამოცანას ვაწყდებით: ხომ არ შეიძლება ეს საერთოდ ხელოვნების ჩამორჩენად მივიჩნიოთ? ხომ არ არის იგი მოურჩენელი იარა? არა, არ შეიძლება საკითხის ამგვარად დაყენება. ცხოვრება ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ თუ ხელოვნებამ ისეთივე ტემპი ვერ აიღო, ეს სავსებით გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან სულიერი ცხოვრების სფეროში გარდატეხა ყოველთვის უფრო ნელა ხდება. გარდა ამისა, ყოველ გასწრებულს ვერაწეული საერთოდ ჩამორჩენილი როდია. ლაპარაკია დროისა და მისი მონაკვეთების ფაქტორზე. და ჩვენ ოდნავაც ეჭვი არ გვეპარება, რომ ქართული მხატვრული პროზა უახლოეს ხანში შეძლებს დაეწიოს ცხოვრებას, მისცეს მას უკეთესი მხატვრული ასახვა, რაც ქვემარაიტად დიდი ხელოვნების სიმალლეზე აიყვანს ჩვენი ბელეტრისტების რომანებსა და მოთხრობებს, რომლებშიაც მთელი სილამაზით იქნება ნაჩვენები ხალხის მარადიული ღტოლვა, ფიქრები და მისწრაფებები; ეს იქნება უმშვენიერესი მხატვრული პროზა, ამაღლებული და შთაგონებული, დიდი ოსტატობით გაცისკროვნებული, პროზა, რომელიც უკან მოიტოვებს ძველს, რათა მთელი მოწინავე კაცობრიობის საბედნიეროდ საბჭოთა ადამიანის გმირულ შემართებათა ჰეროიკას ნამდვილად უმღეროს უკვდავი ქებათა-ქება.

ტიპიურობის საკითხი ღიბერატურაში

წერილი პირველი



1.

ტიპიურობის ცნების დაზუსტების მიზანს შეადგენს საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის ერთგვარი თეორიული საფუძვლის შექმნა. სოციალისტური რეალიზმის დასაბუთება და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა შეუძლებელია იმ ამოცანის პრაქტიკული რეალიზაციის გარეშე, რომელიც დასმულია ახანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომ. პარტიის XIX ყრილობაზე. ტიპიურობის საკითხი ძირითადი პრობლემაა საერთოდ რეალისტურ მწერლობასა და ხელოვნებაში, მაგრამ ამ პრობლემის ახალ ასპექტში გაშუქება უწინარეს ყოვლისა მოითხოვს გაირკვეს ტიპიურობისა და გადაჭარბებული სურათთმომართების საკითხიც. ჩვენი წერილის მიზანაც ამაში მდგომარეობს.

ტიპიურობის ცნება არ იფარგლება მარტოოდენ ლიტერატურით. ტიპიური არსებობს ბუნებაში, კულტურის სხვადასხვა სფეროში, ხელოვნებაში და ა. შ. ტიპიური გულისხმობს ისეთი ნიშნების კომპლექსს, რომელიც არა ერთხელ მეორდება, მაგრამ ყველაფერი ხშირად განმეორებული ჯერ კიდევ როდია ტიპიური. ეს უკანასკნელი მოიცავს საგნებისა და მოვლენების არსებით მხარეს და აერთიანებს კერძოსა და საერთოს, ინდივიდუალურს და ზოგადს. ტიპად კი უმთავრესად იგულისხმება მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირობი, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ნიშნებთან ერთად (სიმხდალე, ვაჟაკობა, სიძუნწე, მიამიტობა, სიმსუქნე, იქვია-

ნობა, სიგამხდრე და ა. შ.) შეიცავს სპეციფიკურ თვისებებს გარკვეული საზოგადოებრივი ფენისას, კლასისას თუ წოდებისას. ამრიგად, ლიტერატურისმცოდნეობაში გავრცელებული ტერმინები — „ტიპი“ და „ტიპიურობა“ — გამოიყენება მეტწილად მხატვრული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის (ან პერსონაჟების) ინდივიდუალური დახასიათებისა და მისი საზოგადოებრივი ფიზიონომიის დასადგენად.

ლიტერატურის ისტორია დიდი ხანია სწავლობს და იკვლევს ტიპისა და ტიპიურობის საკითხს. ამ ცნებების კლასიკური განმარტება ეკუთვნის ფრ. ენგელსს, რომელიც 1888 წლის აპრილში ინგლისელ სოციალისტ მწერალ ქალს მარგარეტ პარკნესს სხვათაშორის სწერდა: „ჩემი თვალსაზრისით რეალიზმი დეტალიზმის სისწორის გარდა გულისხმობს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორ გადმოცემას. თქვენი ხასიათები საკმაოდ ტიპიურია იმ ფარგალში, რომელიც გადმოგვეცით, მაგრამ იგივე არ ითქმის იმ გარემოებებზე, რომლითაც ისინი გარემოცულნი არიან და რომელიც მათ ამოქმედებს“ (იხ. ეურნ. „მნათობი“, 1932, № 6, გვ 260). ამრიგად, ფრ. ენგელსის აზრით, რეალიზმი, როგორც მეთოდი, შეუძლებელია სრულყოფილი აღმოჩნდეს, თუ მოქმედი პირის გამოსახვისას ხასიათის ტიპიური ნიშნებთან ერთად გამოხატული არ იქნა ამ პერსონაჟის ტიპიური გარემოცვა. მაშასადამე, ენგელსის მიხედვით, ტიპიურობის პრობლემა მწერლობაში უშაულოდ რეალიზმთან არის დაკავშირებული.

ფ. ენგელსის შეხედულებიდან სრულიად ნათლად გამომდინარეობს ის აზრიც, რომ ტიპი ერთგვარი კვინტესენციაა დროისა და ეპოქის ამა თუ იმ ეტაპზე მოქმედი ინდივიდუალური სახეებისა (ხასიათებისა) და რომ ტიპში მოცემულია ხასიათის საზოგადოებრივი ფიზიონომიაც, ე. ი. მისი საქმიანობის, მისწრაფებების, ვნებებისა და პროფესიული ინტერესების სოციალური ბუნება. ხასიათსა და ტიპში მეტწილად ქარბობს უარყოფითი ან დადებითი ნიშნები, ხოლო ამ თვისებების შემთავსებლად გამოდის უწინარეს ყოვლისა თვითონ ავტორი, შემდეგ კი — ის საზოგადოება, რომლის იდეების წარმომადგენლადაც ავტორი გვევლინება.

ფ. ენგელსის ცნობილი განმარტების საფუძველზე აიხსნა რეალიზმის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც: ამეზამდ ერთმანეთისაგან არის გამიჯნული აღზრდილი ანუ უთანმიმდევრო რეალიზმი და კლასიკური ანუ თანმიმდევრული რეალიზმი წინასოციალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

რეალიზმის ძირითად ფილოსოფიურ და მსოფლმხედველობითს საფუძველს შეადგენს მატერიალისტური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ლიტერატურაში ეს მოვლენა გულისხმობს სინამდვილის ობიექტურად არსებობის აღიარებას, ხოლო შემდეგ მხატვრული საშუალებებით მის ასახვასა და შემეცნებას. აღნიშნული პროცესი იწყება მოვლენებისა და საგნების გარეგანი წვრილმანების ფიქსაციით (ფრ. ენგელსის გამოთქმით — „დეტალიზმი“) და მიზნად ისახავს ასლსა (ეტაპსსა) და საგანს (მოდელს) შორის არსებული დისტანციის წაშლას შესაძლებელ ფარგლებში: რეალიზმი იძლევა გარკვეულ შთაბეჭდილებასა და წარმოდგენას ასახულ სინამდვილეზე, მაგრამ მისი აღქვატური განმეორება არაა.

შემეცნებაში წარმომადგენელი ასლის სრული დამთხვევა რეალურ მოვლეთან მარქსისტულ-ლენინურ გნოციოლოგიის მიერ საერთოდ გამოორცილებია. განსაკუთრებით ეს ითქმის ფიქსირებული მხატვრული ასლის შესახებ, რადგან მხატვრული შემეცნებისათვის სრულიად მიუღებელია სინამდვილისადმი ვასალური დამოკიდებულება, პირიქით — მას ახასიათებს აქტიური მისვლა საგანთან და არა ამ უკანასკნელის გარეგანი განმეორება. ხელოვნებას თავის ენაზე გადააქვს ობიექტური სინამდვილე, გვიჩვენებს ამ სინამდვილის შინაგან კანონზომიერებასა და ცალკეულ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირს. ამიტომაც ლიტერატურა და ხელოვნება არასოდეს არაა მკვდრული აქტი საგნის გარეგანი ასახვისა (ამის ყველაზე უხეში ნიმუში არის ფოტოგრაფია, რომელიც თითქოს აღწევს ნივთის გამოსახვაში ერთგვარი ილუზიას, მაგრამ სრულიად უმწეოა მისი შინაარსის, ე. ი. არსებობის გადმოცემისას). რეალიზმი ყოველთვის სცილდება საგნის იმიტაციის ფარგლებს თვითონ საგნის უფრო სრულყოფილი ჩვენების მიზნით. მოვლენის არსებითი და პირველი შეხედვით შეუმჩნეველი მხარეების გამოხატვა კუშმარტი რეალიზმის საუკეთესო თვისებაა. ამიტომაც რეალისტური ლიტერატურა და ხელოვნება უაღრესად მნიშვნელოვანი შემეცნებითი კატეგორია, რასაც ასე დაეინებით უარყოფდა იდეალისტური ესთეტიკა კანტისა და ჰეგელის სახით. რეალისტური ხელოვნება ობიექტური სინამდვილის ასახვისას ხშირად რომ არ ჩამორჩება მეცნიერებას ზოგიერთ სპეციალურ დარგშიაც კი (ასეთი რამ ჰეგელისათვის, მაგალითად, წარმოუდგენელი რამ იყო: იხ. მისი „ესთეტიკა“, წიგნი პირველი. სტოლპნერის თარგმანი, 1938 წ.) — ამის ჩინებულ საბუთს წარმოადგენს ფრ. ენგელსის შემდეგი სიტყვები: „ბალზაის

რომანებიდან ეკონომიური დეტალების მხრივაც კი უფრო მეტი გავიგე (მაგალითად, გადაჯგუფება რეალური და პირადი საკუთრებისა რევოლუციის შემდეგ), ვიდრე იმ პერიოდის ყველა პროფესიონალ ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების ყველა წიგნებიდან“ („მნათობი“, 1932, № 5, 6, გვ. 261).

რეალიზმი სინამდვილის შემეცნების ძირითადი მეთოდია მწერლობასა და ხელოვნებაში.



ანტიკურ პროზაში რეალიზმის ერთ-ერთი პირველი ნიშნის (გარეგანი დეტალიზმი) დაცვის ნიმუშებს ვხვდებით ჯერ კიდევ თეოფრასტესთან („ხასიათები“), რომელსე პეტრონიუსთან („სატირიკონი“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ პერსონაჟი, როგორც ხასიათი, უკვე ფიქსირებულია თეოფრასტესთან (იქვიანის, ტუნწის, კორიკანას და მსგავსი „ხასიათების“ სახით). მაგრამ თეოფრასტეს კრებულში ხასიათი მხოლოდ აღწერილია როგორც სტატიკური ფრაგმენტი, სრულიად მოკლებული დინამიკასა და განვითარებას. უფრო გვიან, უკვე ევროპულ ლიტერატურაში, ამგვარი „ხასიათების“ გაღრმავს ამდიდრებს ჯერ ფრანგი ლაბრუიერი (თეოფრასტეს გავლენითაა დაწერილი მისი განთქმული „ხასიათები“), ხოლო შემდეგ — მწერლებს მთელი პლეადა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუი სებასტიან მერსიე თავისი „პარიზის სურათებით“). ყველა ამგვარ, ცალკეულ, თხზულებებში გმირი გამოსახულია როგორც პორტრეტული ერთეული (გარეგნობის, ჩაცმულობის, მიმიკისა და მიმოხრის აღწერის გზით) და მოქცეულია მისთვის წინასწარ განკუთვნილ საყოფაქცევო ნორ-

მის ფარგლებში. მაგრამ ეს ხასიათი თავისი მოქმედებით არაა დაკავშირებული სხვა ხასიათებთან, მისი მოქმედების კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა რთულ გზას, რის გამოც მოკლებულია სრულყოფილი რეალისტური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ დინამიკობასა და სიცხოველეს. აღსანიშნავია, რომ „ხასიათების“ ასეთი სტატიკური გამოსახვა ახასიათებს ე. წ. აღწერითს (დესკრიციულ) პროზასაც — მოგზაურობებისა და შემაურების ენარს და სხვ. მხოლოდ ა. გერცენის გენიალური „ნამყო და ფიქრები“ წარმოადგენს გამონაკლისს: ამ შედეგში ავტორის ნათესავეების, ნაცნობ-მეგობრების და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების „ხასიათები“ ფართო ისტორიულ ფონზე და ურთიერთისაღმი შეჯახებასა და დაპირისპირებაშია ასახული.

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თანმიმდევრული რეალიზმის, კერძოდ ბურჟუაზიული კრიტიკული რეალიზმის (XIX ს.), ძირითადი ნიშნები მთლიანად არ იყო მოცემული თვით რენესანსის ეპოქის რეალიზმშიც (ბოკაჩიო, რაბლე, შექსპირი, სერვანტესი და ა. შ.) და ნაწილობრივ „განათლების ხანის“ დიდ რეალისტებთან (დეფო, სვიფტი, პრევეო...) რეალიზმი, როგორც თანმიმდევრული ლიტერატურული მიმდინარეობა, საბოლოოდ გაფორმდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (უცხოეთში — სტენდალის, ბალზაკის, შერიმეს, ფლობერის, დიკენსის, თეკერის და სხვ. სახით). მაგრამ ეს ფაქტი იმას როდი ნიშნავს, რომ უდიდესი რეალისტური ნაწარმოებნი (მართალია, თავის ზოგიერთ ნაწილში თითქოსდა ანტირეალისტური ელემენტებითაც) მანამდე არ შექმნილან. პირიქით: ლიტერატურაში უდიდესი მხატვრული ძალის რეალისტური სახეები შექმნეს სწორედ აღმართული და გვიანი აღორძინების ხანის გიგანტებმა (რუსთაველ-

მა, რაბლემ, შექსპირმა, სერვანტესმა...), აგრეთვე განათლების ეპოქის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა.

რეალიზმისათვის დამახასიათებელია ისტორიზმი: ნაწარმოების თვითეული გმირი, თვითეული ეპიზოდი თუ ქმედითი აქტი მატარებელია კონკრეტული ისტორიული ნიშნებისა, ისინი ამა თუ იმ დროისა და სოციალური ცხოვრების შინაარსით არიან ავსილნი. ამ მხრივ რეალიზმი რადიკალურად განსხვავდება, მაგალითად, კლასიციზმისაგან, რომლის მსოფლმხედველობითს საფუძველს რაციონალიზმი წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი კლასიციზტური ტრაგედიების ისტორიულ პერსონაჟებსაც კი ავტორისა და მისი ეპოქის მთავარი იდეების რუპორებად აქცევდა, რის გამოც გმირი გამოთიშული იყო კონკრეტულ-ისტორიულ გარემოცვისაგან, ან გვევლინებოდა განყენებულ ხასიათებად „ისტორიულობის“ სუსტი და პირობითი ნიშნებით. პოემისა და ტრაგედიების ეპიკურ კლასიციზმის ამ ტრადიციისათვის არც „განათლების ეპოქას“ უღალატია. მაგვოლტერის ისტორიული დრამებისა და პოეტური ეპოსის გმირები (იულიოს კეისარი, თიმიოქოს მეფე, ბრუტოსი, ენა დარკი, ჰენრიხ IV...) პირობითად თუ ჩაითვლებიან ისტორიულ მოდელებად, არსებითად ისინი ანტიისტორიული სახეებია და ემსახურებიან განათლების ეპოქის (XVIII ს.) იდეურ მიზნებს, გამოთიშული არიან მათთვის შესაფერ ისტორიულ წიალსა და ტიპურ გარემოს. განათლების ხანა უმთავრესად პროზაში დაუახლოვდა რეალიზმს: ჯერ საზოგადოებრივი სატირისა და კოლონიური ოპტიმიზმის ამსახველ ეპიკურ (სეიფტის „გულივერის მოგზაურობა“, დეფოს „რობინზონ კრუზო“), შემდეგ კი — ფსიქოლოგიური ანალიზისა (რიჩარდსონისა და რუსოს პროზა, აბატ პრევოს „მანონ ლესკო“, სტერნის „სანტიმენტალური

მოგზაურობა“ და „ტრისტრამ შენდი“) და სოციალურ და საყოფაცხოვრებო რომანებში (ფილდინგი). შენიღბული სახით გვევლინება რეალიზმი ჩვენ ლესაყის რომანებში („კოჭლი ეშმაკი“, „ელიზაბეტი“) და მონტესკიეს „სპარსულ წერილებში“. პირველი — ესპანური სიუჟეტის საფარველ ქვეშ, ხოლო მეორე — აზიური ეგზოტიკის საბურველით არსებითად ლუდოვიკო XIV ეპოქის რეალისტ მამხილებლებად გვევლინებიან.

XVIII საუკუნის მიწურულს რეალიზმი თავის პარტიზანულ გამარჯვებას ზეიმობს გეოტეს „ფაუსტისა“ და, განსაკუთრებით, დიდროს „რამოს მმისწულის“ სახით, რუსულ ლიტერატურაში კი — რადიშჩევის ცნობილი „მოგზაურობით“.

XIX საუკუნეში რეალიზმს ერთბაშად არ გაუმარჯვია. არსებითად განსხვავდება იგი, მაგალითად, რომანტიზმისაგან, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო შეიცავს რეალიზმის ელემენტებს, ვიდრე კლასიციზმი. რომანტიზმს საერთოდ ახასიათებს გმირის მოქცევა არატიპურ ფსიქოლოგიურ გარემოში, ავტორის მიერ წინასწარ გამზადებული ეთიკური თუ ფიზიკური ნორმების ჩარჩოებში და შემდეგ კი — უკიდურესი გაზვიადება (პიპერტროფია) ამ ჩარჩოებისა (გმირი ულამაზესია ან უმახინჯესი, უკეთილშობილესია ან უბოროტესი და ა. შ.). რადიკალური მსხვერველი ასეთი ჩარჩოებისა ხდება ხოლმე მეტაფიზიკური საწყისების ზეგველენით (მაგ. კეთილის ზეიმი ბოროტზე). რეალიზმთან ყოველივე ამას, რასაკვირველია, სუსტი კავშირი აქვს.

ანტირეალისტურია განსაკუთრებით რომანტიკული ლირიკა თავისი მიდრეკილებით ყოველივე ირაციონალურისა და მისტიკურისადმი (მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ე. წ. რეაქციული რომანტიზმი ნოვალისისა, შატობრიანისა, კოლრიჯისა და სხვათა შემოქმე-



საქართველოს
წიგნწერეთა კავშირი

დების სახით). მხოლოდ ზოგიერთ რომანტიკოსთანაა ძლიერი რეალისტური ნაკადი (მაგ., ჰიუგოს „განციკხულნი“, პ. ჰინეს სატირული ლირიკა და მისთ.), ხოლო ვალტერ სკოტის ისტორიული პროზის საუკეთესო თვისებებმა ევროპული რეალიზმის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს (აქი ბალზაკი მას თავის მასწავლებლად თვლიდა).

ნატურალიზმი ნიშნავდა რეალიზმის ერთ-ერთი ნიშნის — დეტალიზმის — აღჭურვას განუსაზღვრელი უფლებით. არსებითად ეს იყო ცალმხრივი განვითარება რეალისტური მეთოდის ერთი მხარისა, რასაც მოჰყვა წერილობრივი ფეტიშიზაცია, სინამდვილის დაშლა ცალკეულ ელემენტებად, ტიპისა და სახის გათქვეფა საგნებსა და მოვლენებში, ნაფლეთებად ქცევა და დაქუცმაცება სინამდვილის მთლიანი სურათისა.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მოვლენებისა და საგნების ცენტრში მთლიანი ადამიანის გამოსახვა უმთავრესად რეალიზმის ერთ-ერთი თავისებურებაა. რეალიზმი პერსონაჟს გვიხატავს ყველა განზომილებაში, ამიტომ იგი (პერსონაჟი) დაშლილი სახით არაა მოცემული (როგორც ნატურალიზმში), არც სტიტიკურია და სამუდამოდ ჩასმული რომელიმე განყენებულ ეტიკურ თუ ფსიქოფიზიკურ ჩარჩოებში (რომანტიზმი) და არც წამიერი შთაბეჭდილების გზით ასახული ცალკეული ნიშნების კომპლექსს წარმოადგენს (იმპრესიონიზმი).

რეალისტური ნაწარმოებისათვის უცნობია სინამდვილის პასიური ჰერეტიკა. ამიტომაც მასში ყოველთვის მკაფიოდაა ხაზგასმული ავტორის დამოკიდებულება თავისივე ხასიათებისა და ტიპებისადმი, საერთოდ — სინამდვილისადმი. ასეა გოგოლისა და ტოლსტოის, გონჩაროვისა და შჩედრინის, სტენდალისა და ბალზაკის, დიკენსისა და თეკერის, ფლობერისა და შარლოტა ბრონტეს, ილიასა და აკაკის შემოქმედებაში... ავტორის სიმპათიისა და ანტიპათიის გარეშე შეუძლებელია შექმნილიყო ნოზდრიოვისა და პლიუშკინის, ობლომოვისა და პლატონ კარატაევის, ლიუსიენ სორელისა და ფაბრიცი დელ დონგოს, გობსეკისა და ვოტრენის, პეკსინიფისა და რებეკა შარპის, ლუარსაბ თათქარიძისა და ოთარაანთ ქვრივის სახეები. ღრმა რეალიზმი წარმოუდგენელია ავტორის იდეური პოზიციისა და თავისი გმირის „ბედობლით“ დაინტერესების გარეშე. გულგრილი სკეპტიკოსის ნეიტრალურ და გულწრფელ ვნებიანობას მოკლებული აღწერა ფაქტებისა არსებითად ეწინააღმდეგება რეალიზმის ბუნებას. რუსული ფორმალისტური თეორია კი სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებდა ამ საკითხის შესახებ. მაგ., ბ. ტომაშევესკი წერდა: „პერსონაჟი, რომელიც განსაკუთრებული სიმახვილითა და ნათლად დახასიათებული, იწოდება გმირად. გმირი ის პირია, რომელსაც განსაკუთრებული დამაბულობითა და ყურადღებით ადევნებს თვალს მკითხველი. გმირი იწვევს მკითხველის თანაგრძნობას, სიხარულსა და მწუხარებას... გმირისადმი ემოციური დამოკიდებულება მხატვრული აგების ფაქტია და მხოლოდ პრიმიტიულ ფორმებში ემთხვევა უპიკელოდ მორალისა და სა-

ზოგადობრივი წესიერების ტრადიციულ კოდებს. ეს მომენტი ხშირად გამორჩეობდათ ხოლმე მხედველობიდან XIX საუკუნის 60-ანი წლების პუბლიცისტ-კრიტიკოსებს, რომლებიც გმირებს აფასებდნენ მათი ხასიათისა და იდეოლოგიის საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით, სთიშავდნენ რა მათ მხატვრულ ნაწარმოებიდან... საკუთარი იდეოლოგიის არშინზე მხატვრული ნაწარმოების ამ გადატანას შეუძლია წარმოშოს საესებით გადაულაზავი კედელი მკითხველსა და ნაწარმოებს შორის, თუკი მკითხველი დაიწყებს ნაწარმოების ემოციონალური სისტემის შემოწმებას თავისი პირადი საყოფაცხოვრებო თუ პოლიტიკურ ემოციებით" (იხ. „ლიტერატურის თეორია, პოეტიკა“. მე-5 გამოც. მოსკოვი-ლენინგრადი, 1930, გვ. 154).

რასაკვირველია, 60-ანი წლების რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის არც ერთ სერიოზულ წარმომადგენელს არ მოსვლია ფიქრად ისეთი გაგება ხელოვნებისა და ლიტერატურისა, კერძოდ ლიტერატურული გმირის პრობლემისა, როგორსაც მათ მიაწერს ტომაშევსკი. როცა ლაპარაკია მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულებაზე გმირისადმი, იგულისხმება იდეური მომენტი პერსონაჟის საზოგადოებრივი ფიზიონომიის გამოსახვის სფეროში. ამ გარემოებას ვერც ერთი ქემპარიტი შემოქმედი ვერ გაეშვევა, ხოლო მკითხველის ორიენტაცია ამ მომენტისადმი გულისხმობს ნაწარმოების მიმართ მის აქტიურ დამოკიდებულებას. ამგვარი აქტიური დამოკიდებულების გარეშე ნამდვილი კონტაქტი შემოქმედისა და აუდიტორიას შორის არც არსებობს.

თვითეული სერიოზული მწერალი თავისი ეპოქის მოწინავე იდეების სიმალლიდან აფასებს მოვლენებს და მისი გმირებიც საზოგადოების ძირითადი იდეური ტენდეციების მატარებელნი

არიან. ფ. ენგელსი სწერდა ფ. ლანკლს „ზიკინგენის“ გამო: „თქვენი „ზიკინგენი“ მთლიანად სწორ გზაზე იდგას, მთავარი მოქმედი პირნი შართლაც-და წარმოდგენენ გარკვეულ კლასებსა და მიმართულებებს და, მამასადამე, განასახიერებენ თავისი დროის გარკვეულ იდეებს. თავიანთი ქცევის მოტივებს ისინი იღებენ არა წვრილმან ინდივიდუალურ მისწრაფებებში, არამედ იმ ისტორიულ დინებაში, რომელიც მათ ამოქმედებს“ (იხ. „მარქსი და ენგელსი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 130). იქვე ფ. ენგელსი უფრო აზუსტებს თავის ფორმულას. მინა კაუტსკის იგი სწერს: „თვითეული პირი — ტიპია, მაგრამ ამასთანავე გარკვეული პიროვნებაც... ასეც უნდა იყოს“ (იქვე, 130).

მამასადამე, ფ. ენგელსს რეალისტური ნაწარმოების გმირი ესმის როგორც კონკრეტულ-ისტორიული მოდელი, როგორც იდეურ-მხატვრული ამსახველი თავისი დროისა. ტიპის მოქმედების მოტივებს ფესვები აქვს გარკვეულ ისტორიულ გარემოცვაში, რომელსაც იგი ეკუთვნის და რომლის ასპექტში უნდა იქნეს განხილული მისი თვითეული ნაბიჯის შესაბამისობა ისტორიულ გარემოცვასთან („დინებასთან“). ყოველივე ეს სრულიად არ გამორიცხავს ინდივიდუალიზაციის მომენტს: „თვითეული პირი — ტიპია, მაგრამ ამასთანავე გარკვეული პიროვნებაც“, ე. ი. რეალისტურ ნაწარმოებში პერსონაჟი ხასიათიყაა, იგი განსახიერებაა ამა თუ იმ ნებისა, ინდივიდუალური თვისებებისა, გრძნობებისა და ა. შ.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მარქსიზმის კლასიკოსები მომხრენი იყვნენ მყვირალა ტენდენციურობისა ლიტერატურაში. მათი აზრით, მწერალი არ უნდა ამიშვლებდეს თავის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მრწამსს შესაბამისი მხატვ-

რული გარსის გარეშე და ნაწარმოების იდეა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს პერსონაჟების მოქმედებიდან, ფიქრებიდან, შინაგანი კონფლიქტების სისტემიდან. ფ. ენგელსი საგანგებოდ წერს ამ საკითხის გამოც. იგი არაა მომხრე ლასალის გატაცებისა რიტორიულობითა და მარტოოდენ ტიპური მოტივებით: „...შემდეგი ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ ეს მოტივები ცოცხლად, აქტიურად, ასე ვთქვათ თავის თავად, იქნას წინა პლანზე წამოწეული თვითონ მოქმედების სვლით, და რომ, პირიქით, საბუთების შემცველი სიტყვები... ზედმეტ ბარგად იქცნენ“ („მარქსი და ენგელსი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 35). მინა კაუტსკისადმი გაგზავნილ წერილში ფ. ენგელსი კვლავ იმეორებს ამ აზრს: „მე ვფიქრობ, რომ ტენდენცია თვითონ უნდა გამომდინარეობდეს მოქმედებისაგან, ამაზე საგანგებო მითითების გარეშე, და რომ მწერალი ვალდებული არაა მზამზარეული სახით მიაწოდოს მკითხველს მთავალი ისტორიული გადაჭრა მის მიერ ასახული ისტორიული კონფლიქტებისა“ (იქვე, გვ. 130).

მიუხედავად ამისა, ფ. ენგელსის ეს სიტყვები არ გულისხმობენ მწერლის პოლიტიკური მრწამსისა და თვითონ ნაწარმოების საერთო ტენდენციურობის უგულვებელყოფას. პირიქით, ფ. ენგელსს დიდი ხელოვნება არასოდეს არ წარმოედგინა ამგვარი ტენდენციის გარეშე. იგი მხოლოდ იცავდა რეალიზმს სქემატისმისა, ზერელე ემპირიზმისა და მის დროს გავრცელებულ ბურჟუაზიულ სუბიექტივიზმისაგან ხელოვნებასა და მწერლობაში. მაგრამ იდეური სიმძაფრე მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლებისა მას ყოველთვის მიაჩნდა სანიშნოდ და მისაბაძად. იმავე მინა კაუტსკის ფ. ენგელსი სწერდა: „მე არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგი არა ვარ ტენდენციური პოეზიი-

სა, როგორც ასეთის. ტრაგედიის მამა ესქილე და კომედიის მამა არისტოფანე ორივენი იყვნენ მკაფიოდ გამოხვეტილი ტენდენციური პოეტები. ასევე ზუსტად დანტეა და სერვანტესიც, ხოლო მთავარი ღირსება შილერის „ვერაგობა და სიყვარული“-სა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პირველი გერმანული პოლიტიკურ-ტენდენციური დრამაა, თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც შესანიშნავ რომანებს სწერენ, სულ ყველანი ტენდენციური არიან“ (დასახ. კრებული, გვ. 130).

იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა ყალბ პოლიტიკურ იდეასა თუ ტენდენციას შექმნას დიდი რეალისტური ნაწარმოები? პასუხი ასეთი უნდა იყოს: მას შეუძლია ხელი შეუშალოს რეალიზმს, როგორც მხატვრულ მეთოდს. სრულყოფილი ესთეტიკური ეფექტი მოსდევს მეტწილად რეალისტური მეთოდისა და პროგრესიული იდეის ურთიერთ დამთხვევას. ამიტომ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის გენიალური ქმნილებები ყოველთვის ზოგადკაცობრიული, ღრმა და ჰუმანიური იდეებითაა გამსჭვალული. მაგრამ კლასიკურ მწერლობაში (რუსეთსა და დასავლეთში) ცნობილია მნიშვნელოვანი ძეგლებიც ყალბი და რეაქციული იდეებით, რომლებიც ხელს უშლიან თვითონ ნაწარმოების მხატვრულ სისტემას, ასუსტებენ მისი ესთეტიკური და, მით უმეტეს, იდეური ზეგავლენის ძალას. ამგვარი ნაწარმოები განხილული უნდა იქნეს ან ისტორიულ ასპექტში, ავტორის მსოფლმხედველობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, ან კიდევ — როგორც რეალიზმის ნებისითი თუ უნებლიეთი დისკრედიტაცია (მაგ., დოსტოევსკის შემოქმედება).

თი რატომღა ტიპიურობის პრობლემა პოლიტიკური პრობლემა.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგიც:

ლიტერატურაში ყალბი იდეა მარტო როდი „უშლის ხელს“ ავტორს (ე. ი. მის რეალისტურ მეთოდს), არამედ, და მეტწილად, რეალიზმისადმი ერთგულეზაც თავის მხრივ „ხელს უშლის“ ყალბ იდეას და „თავისი გააქვს“, უგულუბელყოფს მას (ენგელსი: „რეალიზმი... ავტორის შეხედულებათა მიუხედავად თავს გამოიჩენს ხოლმე!“). თუ რომელიმე ყალბი დოქტრინა ნაწარმოებში გვევლინება სინამდვილის პოტენციალურ დამახინჯებად, მაშინ რეალისტური მეთოდი მას „ახლოსაც არ იკარებს“ ხოლმე და ზოგ შემთხვევაში ავტორის იდეის წინააღმდეგაც გამოდის. ე. ენგელსი წერს: „ის გარემოება, რომ ბალზაკი იძულებული გახდა წასულიყო თავისივე კლასობრივი სიმპათიების და შემცდარი პოლიტიკური რწმენის წინააღმდეგ, რომ ის ხედავდა თავის საყვარელი არისტოკრატების განადგურების აუცილებლობას და ხატავდა მათ ისეთ ადამიანებად, რომელნიც უკეთესის ხედვის ღირსნიც არ იყვნენ, და რომ ის ხედავდა მომავლის ნამდვილ ადამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შესაძლო იყო მათი პოვნა, ეს გარემოება მე მიმაჩნია რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად“ (ყურნ. „მნათობი“, 1932, № 5-6, გვ. 261).

*
*
*

ტიპიურობის ცნების ენგელსისეული განმარტება ამომწურავად გვიხასიათებს რეალიზმის მეთოდს წინასწარ სოციალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. სოციალისტურ რეალიზმში კი აღნიშნული ცნების განმარტება მოითხოვს შევსებასა და დამატებას, რადგან საბჭოთა მწერლობა მარტოოდენ კი არ გვიხატავს ტიპს და მის ტიპიურ

გარემოს, არამედ გვიჩვენებს მათი მომავალი განვითარების ტენდენციებსაც.

XIX საუკუნემდე რეალიზმი დადებით ხასიათს ხშირად გამოხატავდა უჩვეულო და ფანტასტიურ სიტუაციებში. მეფისტოფელთან დამეგობრებული ფაუსტი ვალპურგის ღამის მაყურებელია; გოლიათი პანტაგრუელი გიგანტურ ცხენზე ზის; ჰამლეტი მამის აჩრდილს ესაუბრება და ა. შ. აღრიზდელი რეალიზმი არაჩვეულებრივი სიღრმითა და ჰიპერბოლურ ფორმებში ასახავდა თავისი ეპოქის ძირითად იდეურ მისწრაფებებს. ჰარბი ფერებით, მაგრამ, ღრმად რეალისტური გაგებით არის, მაგალითად, ნაჩვენები ესპანელი იდალგოს უნიადაგო ოცნების კრახი „დონ კიხოტში“, დეკლამირებული ინგლისელი არისტოკრატის სევდა სრული ნირვანის მოპოვების შეუძლებლობაზე „ჰამლეტში“ და ა. შ. ასეთი უკიდურესი გაზვიადება და ჰიპერბოლიზმი ეხმარებოდა რენესანსისა და განათლების ეპოქის ტიტანებს შეუდარებელი სისრულით გამოეხატათ როგორც ისტორიულ სარბიელიდან მიმავალი კლასების სულისკვეთება, ისევე ამომავალი კლასის ოპტიმისტური პათოსი, კრიტიკული და მძივბელი აზრის საბოლოო ზეიმი (მაგ., ფაუსტი ახალგაზრდა ბიურგერობის ღრმად დადებითი სახეა).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ პროზაში გოგოლი ქმნის ძუნწი პლიუშკინის შემადრწუნებელ და ჰიპერბოლურ სახეს.

მაშასადამე, მხატვრულ ნაწარმოებში გმირის (ხასიათისა თუ ტიპის) ჰარბი ფერებით გამოხატვა სრულიად არ ეწინააღმდეგება რეალიზმის ბუნებას, თუ ჩვენ მხატვრული სახის გაზვიადებაში არ ვიგულისხმებთ იაფფასიან გროტესკს ან რომანტიკული სტილის წაბაძვით გმირის რომელიმე ფსიქო-

ლოგიური, ზნეობრივი თუ ფიზიკური ნიშნის ცალმხრივ ხაზგასმას.

გაზვიადება არ იწვევს მხატვრული სახის დაშლას, იგი არ ანგრევს ტიპის ინდივიდუალურ პორტრეტს, ხასიათს არ აქცევს ფიქციად და უაზრობად. ამასთანავე, რეალისტური გაზვიადება არ გულისხმობს ტიპის გამოთიშვას კონკრეტულ-ისტორიულ გარემოცვიდან. ოტელოს ამოქმედებს უსაზღვრო, თითქოს არაადამიანურად ძლიერი იქვი, მაგრამ იგი არც ერთი წუთით არ კარგავს კონკრეტული სახის შესაბამის ნიშნებს: მკითხველს თუ მკითხველს იმავე დროს მხედველობიდან არ ეპარება სოციალური ფონი და ისტორიული გარემო ვენეციელი მავრის ვნებათღელვითა. უფრო ვიწრო მასშტაბით იგივე ითქმის ბალზაქის გობსეკზე, გორაკის ეგორ ბულიჩოვზე და სხვ.

რასაკვირველია, გვიანდელმა (კრიტიკულმა) რეალიზმმა გადაჭარბების სფეროდან განდევნა ადრინდელი რეალიზმის ისეთი ელემენტები, როგორც იყო, მაგ., გმირის რწმენა აჩრდილებისა და დემონებისადმი და სხვა. XIX საუკუნის რეალიზმისათვის პრინციპულად მიუღებელია აგრეთვე ყოველგვარი ანაქრონიზმი დროის და ხასიათების სფეროში (ჰამლეტი, რასაკვირველია, სრულადაც არ იყო XII საუკუნის დანიელი უფლისწული და გოეთეს ფაუსტიც ძალზე დამორბეულია ისტორიულ მოდელს. ასევე რუსთაველის ტარიელი და ავთანდილი მარტოოდენ მხატვრული პირობითობის ფარგლებში რჩებიან არაბ მუსლიმანებად). გვიანდელი რეალიზმი აგრეთვე მკაცრად იცავს ადგილის ლოკალიზაციას, რასაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა XIX საუკუნემდე („ამბლეტში“ დასახლებული ელსინორა არც არსებობდა XII საუკუნეში. სვიფტი თვითონ იგონებს ქვეყნებს და დეფოც ხშირად მიმართავს ამ ზერსს...). მიუხედავად ამისა, ე. წ. „ლორწინებისა“ და „განათ-

ლების“ ეპოქაში რეალიზმის უდალესმა წარმომადგენლებმა შექმნეს დაუვიწყარი სახეები, რომლებიც თავიანთი დროის ფართო განზოგადების მნიშვნელობას შეიცავენ.

კრიტიკულ რეალიზმში სინამდვილის ასახვის ყველა საშუალება რეალისტურია, ე. ი. ზუსტია. სამაგიეროდ, კრიტიკულ რეალიზმის ისტორიულად აკლდამონუმენტალური სახეების შექმნას უნარი. იგი უმწეო აღმოჩნდა ფართო მასშტაბის დადებითი ტიპის შექმნის სფეროშიაც, რადგან ევროპული კრიტიკული რეალიზმი ტიპს მეტწილად გამოსახავდა საყოფაცხოვრებო და პროფესიულ პლანში, სადაც მას მთავარ გმირად ბურჟუა ეგულებოდა. ამით აიხსნება უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი დასავლეთის კრიტიკული რეალიზმის ისტორიული შეზღუდულობისა: მართალია, კრიტიკული რეალიზმი, როგორც ისტორიული მეთოდი, სავსებით ჩამოყალიბებული სისტემაა და ყველა თავის ნაწილში ლოგიკურად დამთავრებული, მაგრამ თვითონ ობიექტი მასალას არ აწვდიდა მეთოდს დადებითი ესთეტიკური იდეალის საჩვენებლად. ასეთი იდეალის პოვნა ფეოდალურ წოდებასთან ბრძოლაში გამარჯვებულ და უკვე რეაქციონერად ქცეულ ბურჟუა მედუნეებსა და მევახშეებს შორის, რასაკვირველია, მას არც შეეძლო. ამიტომ წარმართა თანმიმდევრული რეალიზმის გზა სინამდვილის კრიტიკული ასახვის მართულებით (სტენდალი, ბალზაქი, მერიმე, თეკერეი, ფლობერი...). ამ გზას ადგენენ კრიტიკული რეალიზმის უკანასკნელი მოპიკანებიც დასავლეთ-

სა და ამერიკაში (შოუ, გოლსუორსი, ა. ფრანსი, რ. როლანი, ძმები მანები, ჯ. ლონდონი, თ. დრაიზერი...), თანაც, დასავლეთის კრიტიკული რეალიზმი მოკლებული იყო სინამდვილის რევოლუციურ პერსპექტივაში ასახვის უნარს. ასეთი გააჩნდა მხოლოდ რუსულ კლასიკურ რეალიზმს (დამახასიათებელია, რომ ლენინმა ტოლსტოის შემოქმედებას „რუსეთის რევოლუციის საჩუქე“ უწოდა), და ამაშია მისი მსოფლიო მნიშვნელობაც.

სხვაგვარად დგას ხასიათისა და ტიპის ქარბი ფერებით გამოხატვის საკითხი სოციალისტურ რეალიზმში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების ერთადერთ მხატვრულ მეთოდს, მაშინ ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ ტიპის გახვიადებულად ჩვენება ამ მეთოდის აუცილებელ ელემენტად უნდა იქცეს. ფართო მასშტაბის სახეების შექმნის ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ეს უკანასკნელია მოწოდებული.

საერთოდ ტიპიურობა გამოხატავს სინამდვილეს ორ ასპექტში: ერთი მხრივ, იგი გვიჩვენებს ყველაფერი ჩამორჩენილის, დახვესებულისა და ისტორიულ სარბიელიდან მიმავლის კვდომის პროცესს (ამიტომაც „ჩვენ გვესაქიროებოდა გოგოლები და შჩედრინები“), ხოლო, მეორე მხრივ, და ძირითადად, გამახვილებული და ქარბი ფერებით გვიხატავს დადებით საბჭოთა ადამიანს, გრანდიოზული სოციალისტური ქვეყნის შემოქმედს, რომელსაც ისტორიამ წილად არგუნა მსოფლიოში პირველად ჩამოყალიბებინა საზოგადოება, განთა-

ვისუფლებული ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან. საბჭოთა კულტურას მრავალი ნიმუში მდებარეობს **საბჭოთა კულტურის გახვიადებლისათვის**: სამეურნეო და კულტურული მოღვაწეობის სფეროში საბჭოთა საზოგადოებას ისეთი დიდი მიღწევები გააჩნია, რომ მწერლობას შეუძლია ადვილად შეარჩიოს მასალა ყოველგვარი განზოგადებისათვის. და ბოლოს: ლენინისა და სტალინის უკვდავი საქმეები განა ტიპიური ნიმუშები არაა ყველაფერი დიადისა და გოლიათურის გამოხატვის თვალსაზრისით? საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა აგრეთვე აღსავსეა გაუგონარი ღვაწლით, თავდადებათა და შრომის წარმატებებით. ამიტომაც სოციალისტურ მწერლობას არ შეუძლია არ გააფართოვოს საყოფაცხოვრებო პროზის, ლირიკის ან პოეტური ეპოსის, ჩვეულებრივი, ტრადიციული, ფარგლები. ასეთი ფარგლების დაძლევის შესანიშნავი ნიმუშები მოგვცეს მ. გორკიმ და ვ. მაიაკოვსკიმ (პოემებში).

საბჭოთა მწერლობა ამჟამად ახალი აღმავლობის გზით მიდის. მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის მკოდნეობის ამოცანაა—გაუადვილოს მწერლობას თავისი კლასიკის ახალს ფაზაში შესვლა.

როგორი კონკრეტული წინამძღვრებია მოცემული ამ ამოცანის გადასაწყვეტად?

სოციალისტური საბჭოთა მწერლობის მიზანია მთელი საზოგადოების აღზრდა კომუნისტური შეგნების საფუძველზე. გონებრივი მოღვაწეობის სფეროში ადამიანის სულიერი ფორმირება ყველაზე უკეთ მხატვრულ სიტყვას შეუძლია („მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია!“ — გვასწავლის ი. სტალინი). საბჭოთა მწერლობაც მთლიანად ემსახურება სინამდვილის რევოლუციურად გარდაქმნის საქმეს, ხალხის ფართო მასების სულიერად

გამდიდრებას. ლიტერატურის ასეთი როლი ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს იწინასწარმეტყველა. ცნობილ სტატიამ „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ იგი წერდა: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირკებულ „გმირქალის“, არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ „ხედაფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“ (თხზულებანი, ტ. 10, გვ. 40).

საბჭოთა მწერლობა გვიჩვენებს არა მარტო იმას, რაც არის, არამედ იმასაც, რაც იქნება მომავალში. იმიტომ სოციალისტური რეალიზმი ორგანულად შეიცავს რომანტიზმსაც, როგორც ელემენტს. ჯერ კიდევ საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ა. ედანოვი ამბობდა, რომ მწერლისათვის აუცილებელია „... ცხოვრების ცოდნა იმისათვის, რომ მართლად აისახოს იგი მხატვრულ ნაწარმოებში, აისახოს არა სწოლასტიურად, არა მკვდრულად, არა უბრალოდ, როგორც „ობიექტური რეალობა“, არამედ... მის რევოლუცი-

ურ განვითარებაში“... „ჩვენ ვლავრაკობთ, რომ სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის ძირითად მეთოდს, ეს კი გულისხმობს, რომ რევოლუციური რომანტიზმი უნდა შედიოდეს ლიტერატურულ შემოქმედებაში, როგორც შემადგენელი ნაწილი, რადგან ჩვენი პარტიის მთელი ცხოვრება, მუშათა კლასის მთელი ცხოვრება და მისი ბრძოლა მდგომარეობს ყველაზე მკაცრი, ყველაზე ფხიზელი პრაქტიკული მუშაობისა და უდიდესი პეროიკისა და გრანდიოზული პერსპექტივების შეხამებაში... საბჭოთა მწერლობამ უნდა შესძლოს ჩვენი გმირების ჩვენება, უნდა შესძლოს ჩვენს ხეაღინდელ დღეში ჩახედვა. ეს არ იქნება უტოპია, რადგან ჩვენი ხეაღინდელი დღე უკვე დღეს მზადდება გეგმაზომილი შეგნებული მუშაობით“.

ეს აზრი ნათელს ხდის ტიპიურობის ცნებაში გადაჭარბების ელემენტის შეტანის ხასიათს და ათავისუფლებენ სოციალისტურ რეალიზმს, როგორც მხატვრულ მეთოდს, იმგვარი შეზღუდულობისაგან, როგორც კრიტიკულ რეალიზმს ახასიათებდა წარსულში.

ტიპიურობის ცნების ახალი დასაბუთება საბჭოთა მწერლობას მონუმენტალური სახეების შექმნისაკენ მოუწოდებს.

2.

ხასიათის, ტიპისა და ტიპური გარემოს ასახვის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ავტორის ენობრივ პოზიციას, მის სტილს. რეალისტური ნაწარმოები სიტყვიერი გამომსახველობის მხრივაც საკუთარი

პრინციპებით შენდება. მხატვრული გამოთქმის საშუალებათა ძიების სფეროში სოციალისტური რეალიზმი სიტყვას ანიჭებს ობიექტური სინამდვილის ამსახველის ფუნქციას, აღიარებს მას „აზრის უშუალო რეალობად“.

ამ საკითხზე ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

ი. სტალინის შრომამ „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ახალი ეპოქა შექმნა ლიტერატურის-მცოდნეობის დარგშიც. პოეტიკის საკითხები ამჟამად ბელადის საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე მუშავდება. ერთ-ერთ ასეთ საკითხად უნდა მივიჩნიოთ ენისა და სტილის ურთიერთობა. ი. სტალინის შრომაში იშვიათი სიზუსტითა და თანმიმდევრობითაა დასაბუთებული ენის — აზრის გადაცემის იარაღისა და კაცობრიობის აზროვნების ძლევამოსილების ამ ერთ-ერთი მანქანების — უდიდესი მნიშვნელობა.

კარგად ცნობილია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ლინგვისტური თეორიები ენას არ ანიჭებენ ადამიანის ფსიქიკური და გონებრივი ცხოვრების ზუსტად ამსახველი იარაღის მნიშვნელობას. ბურჟუაზიულ ლინგვისტიკაში სკეპტიციზმი და რელატივიზმია გამეფებული. ამგვარი ფილოსოფიური თვალსაზრისის მიმდევართა შეხედულებით, ენა არ შეიძლება ჩაითვალოს აზრის გამოხატვის სრულყოფილ საშუალებად. ადამიანებს ურთიერთის ნაცლებად ესმით; თვით ენის უაღრესად ორგანიზებული სისტემა — სტილისტიკა — ხშირად უმწეოა შესაფერი ფორმა მოუნახოს აზრსა და ემოციას; მეტყველება არსებითად მერყევე, კაპრიზულ და უაღრესად სუბიექტურ გამოთქმათა შენახავს წარმოდგენს, — ასეთია მთავარი დასკვნები ბურჟუაზიული ლინგვისტიკის ყველაზე ტიპური წარმომადგენლებისა დასავლეთში. დავასახელებთ რამდენიმეს.

ენათმეცნიერული იდეალიზმის ერთ-ერთმა მებაირახტრემ კ. ფოსლერმა ენობრივ შემოქმედებაში უპირატესობა ესთეტიკურ მომენტს („ენობრივი გემოვნება“) მიანიჭა და ენათმეცნიერების საგნად დასაბა ინდივიდუალური

აქტი მეტყველებისა. გრამატიკასთან შედარებით სტილისტიკის პრიმატის აღიარების მიუხედავად ფოსლერმა მაინც დაასკვნა: „არა მარტო მტრული დამოკიდებულების დროს, არამედ საუკეთესო მეგობრულ ვითარებაშიაც ადამიანებს ერთმანეთის არ ესმითო“.

არანაკლები სკეპტიციზმითაა აღბეჭდილი ფრანგული „სოციოლოგიური“ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ე. ვანდრიესის დასკვნებიც: „არაფრით არ შეიძლება დავამტყიცოთ, რომ სირიუსის ბინადართა თვალში დედამიწის კულტურული მცხოვრების აზროვნება — გადაგვარება არაა...“ (იხ. მისი „ენა“, მოსკოვი, 1937, გვ. 32). ვანდრიესი ცალკეულ ენათა არც ერთს ეტაპზე არ ხედავს პრინციპულად რაიმე ახალს: „მორფოლოგიური განვითარების ცალკეული მხარეები ჰგვანან უთვალავჯერ დარჩეულ კოლეიდოსკოპს. ჩვენ ყოველთვის ვღებულობთ მისი ელემენტების ახალ შეხამებებს, მაგრამ ახალს არაფერს, გარდა ამ შეხამებათა ყველაფერი დამოკიდებულია ხელისაგან, რომელიც კოლეიდოსკოპს არჩევს“ (იქვე, 316).

უიმედობის ასეთ ატმოსფეროში თავისთავად ნათელია საერთაშორისო მნიშვნელობა იმ მარქსისტული თვალსაზრისისა, რომელიც ასე გენიალურად განავითარა სტალინმა თავის კლასიკურ შრომაში ენის შესახებ.

ი. სტალინის ფილოსოფიურ-ლინგვისტური შეხედულებანი ნერგავენ კაცობრიობის აზროვნების ძლევამოსილების რწმენას, სახავენ დიად პერსპექტივებს ენობრივი შემოქმედების სფეროში. სტალინმა დაასაბუთა ენისა და მისი გრამატიკული წყობის განსაკუთრებული როლი კაცობრიობის აზროვნების მიღწევების სფეროში. ყოველგვარ სკეპტიციზმს ამიერიდან უპირისპირდება დასაბუთებული ოპტიმიზმი ენათმეცნიერებაში: „გრამატიკა ადამიანის აზროვნების ხანგრძ-

ლივი, აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მატყვენელია“. „ენა... პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება. ამიტომ ენა გაცილებით უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე რომელიმე ბაზისი და რომელიმე ზედნაშენი“.

ვეშმარიტად სახალხო მწერლობის ამოცანას ყოველთვის შეადგენდა საერთო ნაციონალური ენის კრისტალიზაცია. სამწერლო ენა ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი სიტყვიერი მასალისა და ამ მასალის გრამატიკული გაფორმების ძირითადი ნორმების ორგანიზებული სისტემაა. მაგრამ ლიტერატურული ენა დაწერილ (ფიქსირებულ) ძეგლებში გამოხატულ მეტყველებას გულისხმობს და ამ მხრივაც განსხვავდება ზეპირი მეტყველებისაგან. ინდივიდებს შორის აღმოცენებული თვითიული სიტყვიერი აქტი (საუბარი, რეპლიკა, აფექტების აღმნიშვნელი სიტყვიერი სიგნალები და სხვ.) ატარებს აზრის გადაცემის დანიშნულებას და მისი საჭიროება კონკრეტული გარემოებითაა გამოწვეული. ამ კონკრეტული სიტუაციის გაჭრობის უმალ ქრება თვითონ მისი სიტყვიერი კორელატიც — შეკითხვა, დამოწმება, დიალოგი, საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა, შეძახილი და ა. შ. ლიტერატურული ძეგლის ენა კი ერთხელ და სამუდამოდ რეალიზებული მეტყველებაა გარკვეული ნაწარმოების სახით (მოთხრობა, რომანი, ლექსი...), მისი თვალთ ან ზეპირი წაკითხვა ყოველ მომენტში შესაძლებელია სხვადასხვა ინდივიდის ან მთელი კოლექტივის მიერ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას. ნაწარმოების ფართო მასებზე ზემოქმედების ერთ-ერთ პირობას სწორედ ეს გარემოებაც ჰქმნის.

ყოველივე ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ცოცხალ მეტყველებაში

ენის დანიშნულება აზრის გადაცემის ფარგლებს არ სცილდება, სალიტერატურო ენა კი აზრის გაფორმების საშუალებაა, იგი ესთეტიკური კატეგორიაა.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივად ისმის საკითხი მწერლის უდიდესი პასუხისმგებლობისა საერთო ნაციონალური ენის წინაშე. არსებითად ეს არის საკითხი ენის, როგორც ცოცხალი მეტყველებისა და სტილის, როგორც ფიქსირებული ესთეტიკური კატეგორიის, ურთიერთობისა.

მწერალი, თუ იგი რაიმე ამოცანას ისახავს ენობრივი შემოქმედების სფეროში, ინერციულად ვერ მიენდობა სასაუბრო ენის სტიქიას. პირიქით, მხატვრული ნაწარმოების ენა მაშინ იქცევა სრულყოფილ და დახვეწილ მეტყველებად (ე. ი. სტილის მოვლენად), როდესაც მისი ავტორი ენისადმი აქტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, უყვით: როცა ნაწარმოების ენა შედეგია საერთო სახალხო ენის წიაღში საუკეთესო და ღირებული ელემენტების მკაცრი შერჩევისა. „ენა კი არ ფლობს მწერალს, არამედ მწერალი ფლობს ენას“. საკუთარ სტილურ ფიზიონომიას მოკლებული მწერალი ნაციონალური ენის განვითარებას ხელს არ უწყობს, მას ახალი არაფერი შეაქვს ამ ენის საგანძურში.

არც ერთი ის მწერალი არ ჰქმნის ახალს რამეს, რომელიც უზურპირებულია სასაუბრო ენის მიერ. სტილი გულისხმობს გამოთქმის სამსახურში ენის დაყენებას. მხატვრული გამოთქმის საჭიროებას კი აზროვნების სიმდიდრე და სიღრმე ჰბადებს: რამდენად ფართოა მწერლის მხატვრული ცნობიერების მასშტაბი, იმდენად ფართო და ელასტიურია მისი სტილი: თვითიული გამოთქმა პლასტიკურ სიც-

ხადედ აქცევს საგანს, ცნებასა თუ ემოციას.

წორედ ამის გამოა, რომ სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად გამოთქმის სიცხადე წარმოადგენს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს ინსტიტუტური უბრალოების დაკანონებას: სტილური ერთგვარობა და მხატვრული მეტყველების ნიველირება არანაკლები დანაშაულია, ვიდრე ნაძიები „ორიგინალობა“. ჭეშმარიტად მონუმენტური სტილის თვისებას შეადგენს ისადავე, როგორც შედეგი ენაზე ხანგრძლივი, მაგრამ უჩინარი და გარეგნულად შეუმჩნეველი გონებრივი მუშაობისა.

ენის ხალხურობა სრულიად არ გამოიციხავს მწერლის ინდივიდუალურ სახეს — რუსთაველი და საბა ორბელიანი, ილია და აკაკი ამ მოსაზრებას ჩინებულად ადასტურებენ. თვითველი ჭეშმარიტი შემოქმედის სტილური ხელრთვის თავისებურება თვითონ ხალხური ენის ბუნებიდან გამომდინარეობს.

ნამდვილი ორიგინალობა წინააღმდეგია, ერთი მხრივ, ბანალობისა და, მეორე მხრივ, ენაზე ყოველგვარი უნაყოფო ექსპერიმენტისა. მწერლის მხატვრული ტაქტი უარყოფს სიტყვიერ ნატურალიზმს (პროვინციალიზმებისა და დიალექტიზმების ჭარბად ხმარებას ოხრობასა და გმირების საუბარში), მაგრამ იგი არც სიტყვიერ, ესთეტიკურ ითმენს, პირველი გვევლინება „რეალიზმის“ იარაღი და საერთო არაფერი აქვს რეალიზმთან, მეორე კი ენისადმი სალონური დამოკიდებულების შედეგია.

ნაწარმოების ლექსიკური მასალის საკითხი ცალკეული სიტყვების შერჩევას არ გულისხმობს. სრულიად უნაყოფოდ გვეჩვენება კამათი იმის შესახებ, თუ რომელი სიტყვაა უარსაყოფი და რომელი — მისაღები. უაღრესად არქაული სიტყვა შეიძლება ახალი მნიშვნე-

ნელობით იქნეს გამოყენებული კონტექსტის გარეშე სიტყვა არ არსებობს, ლექსიკონებშიაც კი თვითველი სიტყვას ხშირად რამდენიმე განმარტება აქვს მიწერილი.

ამრიგად, საკითხი ეხება არა ცალკე სიტყვას, არამედ ნაწარმოების მთელ სიტყვიერ ქსოვილს. თემა და თემის ქრონოლოგიური ჩარჩოები (ეპოქა) შესაფერ სიტყვიერ გაფორმებას მოითხოვს. ეს კარგად ჩანს თუნდაც შემდეგს მაგალითზე: თამარის ეპოქაზე დაწერილ ნაწარმოებში სამხედრო ტიტულატურის აღნიშვნისას დაუშვებელია ვიხმართ „პოლკოვნიკი“ ან „მარშალი“, ასევე სასაცილოდ მოგვეჩვენებოდა „ამირსპასალარი“ თანამედროვე სამხედრო პირის აღმნიშვნელ სიტყვად, — ამ ელემენტარული ჭეშმარიტების დავიწყება საბამუშო ლექსიკური ანაქრონიზმი იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ზომიერების ფარგლების გადალახვას სტილი ვერ ითმენს.

როცა ილია ჭავჭავაძემ „განდეგილის“ უკანასკნელი ტაების („მ უნ შეხვეწილი ნადირი ღმუის“) პირველ სიტყვად არქაული ფორმა გამოიყენა ახლის („ოქ“) ნაცვლად, იგი სრულიად მართებულად მოიქცა: მწირის სენაკში მომხდარ ამბავს, ასევის ატმოსფეროსა და ლეგენდის ხასიათს ხმარებიდან გასული ეს სიტყვა შეეფერებოდა. მაგრამ „განდეგილში“ ასეთი ფორმები თავს არ აბეზრებენ მკითხველს, ისინი კოლორიტის გადმოცემ ცალკეულ წერტილებად მოჩანან ახალი ქართულით ამერყველებულ ფონზე.

როგორც არქაული სიტყვების, ისე პროვინციალიზმებისა და დიალექტიზმების ჭარბად გამოყენება მხატვრულ მიზანს ვერ აღწევს: პირველი გამოწვეულია ყალბი განზრახვით — თითქოს მწიგნობრული სტილიზაციით შესაძლებელია შორეული ეპოქების კოლორიტის აღდგენა (არც ერთ ეპოქაში ხალ-

ში მწიგნობრული ენით არ ლაპარაკობდა), მეორე კი—ყოფის უბადრუკი და ნატურალისტური ილუზიის მიზანს თუ აღწევს (კუთხური კილოკავი ან ეპარგონი არასოდეს არ ყოფილა საერთო ნაციონალური ენა ხალხისა).

ხალხურთან სალიტერატურო ენის დამოკიდებულების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდიომების (ენაში დაცული და სხვა ენაზე უთარგმნელი, თავისებური გამოთქმების) გამოყენების ამა თუ იმ მეთოდს. ნაწარმოების სტილს იდიომა ანიჭებს ნაციონალურ ელფერს. ახალ ქართულში იდიომების შესანიშნავი გამოყენების მაგალითები გვხვდება ი. ჰავცვაძის პროზაში და ივ. მაჩაბლის თარგმანებში. პირველი მას მიმართავს თავისი სტილის შესაბამისად — ილიას ფრაზაში იდიომა შერწყმულია საერთო სიტყვიერ ქსოვილთან, იგი სტილური შეწოვის (აბსორბციის) კანონს ექვემდებარება. ივ. მაჩაბელი კი ენის თავისებურ გამოთქმებს უფრო მწიგნობრული სინტაქსის ზეგავლენას უმორჩილებს.

საერთოდ სტილი ვერ ითმენს იდიომას, როგორც შემთხვევითს სამკაულს, ან თხრობის ფონზე თვალსაჩინოდ გამოყოფილ ელემენტს. ინკრუსტაციის ოსტატებმა იციან, რომ ჩუქურთმა, ან სამკაული ზემოდან კი არ უნდა დაეკეროს ნივთს, არამედ ღრმად უნდა იყოს ამოტვიფრული მასში.

მეორე საკითხის გამოც.

სტილური ესთეტიზმის ერთ-ერთი პირველ ნიშანს გადაჭარბებული სინატიფე და „უხეში“ სიტყვებისადმი სიტუაციური შეადგენს. ეს გარემოება იწვევს სიტყვიერი მხატვრობისადმი გადაჭარბებულ მიდრეკილებას. სალონური ლიტერატურა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა განზრახ შერჩეულ „ლაშაზ“ სიტყვებს, მეტწილად ისეთებს, რომელთაც „ფერების ლივლივის“ გადმოცემა შეეძ-

ლათ. ე. წ. ორნამენტული პროზა უმთავრესად ემყარება მოჭიკჩხვ და შედარების ხერხს: წინა უკლანესი მწიგნობრული არა გამოთქმის სიხუსტე და ლაკონიზმი, არამედ მეტაფორული მეტყველება და ზედმეტი სიტყვაობა. ყოველივე ეს ჰბადებს ცალკეული სტილური ელემენტების გაზვიადებას შინაარსის ხარჯზე, ყალბი აზროვნება იმოსება „მომზიბლაფი“ სამოსელით, საგნისა თუ მოვლენის ჩვენებას სცვლის მანერული მსჯელობა თვითონ საგანზე, მხატვრობას უდავება დეკლამაცია.

თუ შედარებას მივმართავთ, ასეთი მწერლების სტილი, უკეთეს შემთხვევაში, მიაგავს იმ კოლორისტების ნამუშევრებს სახეითს ხელოვნებაში, რომელთა მხატვრული აზროვნების ფორმას მარტოოდენ ფერები წარმოადგენს.

აღნიშნულ სტილს ყველა ქვეყნის ლიტერატურაში ვხვდებით, ფრანგი რეაქციონერი რომანტიკოსის შატობრიანის მაგალითზე კ. მარქსმა მომკვიდინებელი განაჩენი გამოუტანა მას. აი ეს განაჩენი:

„თუ ამ ადამიანმა სახელი მოიხვეჭა საფრანგეთში, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ყოველმხრივი განსახიერებაა ფრანგული *venit*-სი (პატივმოყვარეობისა) და თანაც ამ პატივმოყვარეობისა არა მე-18 საუკუნის მსუბუქი ფრივოლური სამოსელით, არამედ რომანტიკულად მოკაზმული და ახლადგამომცხვარი ენობრივი მიმოხვრებით. ყალბი სიღრმე, ბიზანტიური გაზვიადებანი, გრძობებით კოკეტობა, ფერების ლივლივი, *word painting* (სიტყვიერი მხატვრობა) — ყველაფერი ეს თეატრალურია, *sublime* (ამაღლებული), ერთი სიტყვით, ისეთი ცრუ აჯაფსანდალია, რომლის მსგავსი ამ ქვეყნად ჯერ არ ყოფილა, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ“ (წერილი ფრ. ენგელსისადმი, 1873 წ. 30 ნოემბრის თარიღით).

კ. მარქსის შესანიშნავი სიტყვები მიგვითითებს სტილის სფეროში თქმის რეალიზმის აუცილებლობაზე. რწინარეს ყოვლისა, იგი ეხება ფრაზის სიცხადეს და ლაბილარობას, რომელიც ქართული ენის ორგანული ბუნების თვალსაზრისით განსაკუთრებით აუცილებელია. თვით ქართული ზმნა მოწმობს თვითველი ცნების მოკვეთილად გადმოცემის საჭიროებას. ჩვენი ზმნის სიმდიდრეზე წერდნენ არა მარტო დიდი ილია და აკაკი, არამედ ბევრი უცხოელიც. მაგალითად, ზემოდასახელებული ე. ვანდრიესი იძულებულია აღიაროს, რომ ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთს საშუალებებს, რომლებიც ინდოევროპულ ენებს არ მოეპოვებათ („ენა“, გვ. 104—105). ბრაჷ მართალი, თითქოს მოკლე ფრაზა აზრის გამოსახსნელად ხელს; სულხან-საბა ორბელიანის ელიფსური წინადადებანი საკმაოდ ღრმა აზრსა და სიბრძნეს იტყვენ. წერტილის თავის დროზე დასმის ხელოვნება სტილის უპირველესი ნიშანია და უეჭველად მართალი იყო ა. ფადეევი, რომელიც მიმდინარე წლის 18 იანვარს მოსკოველი მწერლების ღია პარტიულ კრებაზე ამბობდა: „ჩვენ უფლება გვაქვს მწერლებს მოვთხოვთ სიყვარული სიტყვისადმი. საკუთარ ნაწარმოებებში ჩვენ ძალზე ენამრავალი ვართ და ჩვენი მოქმედი პირებიც წარმოუდგენელი

ლაყბობით გამოირჩევიან; ნაცვლად იმისა, რომ ერთი მიხედნოლი ფრაზა შეიქმნას, ისინი ორ გვერდზე ნაწყვეტნი წყნდებიან“ („ლიტ. გაზეთი“, 1951, № 8).

თხრობის დიალოგიურობას ახალს, სოციალისტურ ეპოქაში ცვლის ზოგჯერ რეპლიკამდე დაყვანილი ფრაზა მოქმედი პირისა: ეს რეპლიკა გვევლინება თვითონ მოქმედი გმირის ფიქრების კონდენსირებულ დასკვნად. ან რატომ უნდა ენდოს მკითხველი ყოველგვარ ზომიერებას მოკლებულ აღსარებებს? დოსტოვესკი სისტემატურად ლალატობდა რეალიზმს, როცა თავის ძუძუნეში გმირებს ვრცელ ტირადებს წარმოათქმევინებდა ხოლმე (მაგალითად, 20 წლის ივანე კარამაზოვი 60 წლის დოსტოვესკის რეაქციულ შეხედულებებს ავითარებს ვრცელი დიალოგების საშუალებით). ამგვარ მეთოდს საერთო არაფერი აქვს ნამდვილი რეალიზმის ლიტერატურასთან.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია გარკვეულ დასკვნებს გვაწვდის სტილის სფეროში: ძველდებოდა ყველაფერი „ნაძიები“, მოვარაყებული და ზომიერებას მოკლებული. დარჩა და დღესაც გვზიზავს დიდი კლასიკოსების სტილის მონუმენტური სისადავე და ლაკონიზმი.

ილია ჭავჭავაძე—რევოლუციური დემოკრატი*



ილია ჭავჭავაძე სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის ცენტრალური ფიგურა იყო. იგი ხელმძღვანელობდა იმ მწვევე პოლიტიკურ და ლიტერატურულ ბრძოლას ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც გაიშალა საქართველოში სამოციან წლებში.

ი. ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოყალიბდა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიტოვის უშუალო ზეგავლენით. „...გვ ოთხი წელიწადი, — წერდა ილია რუსეთში გატარებული წლების შესახებ, — ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა... იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰქუა ავარჯიშოს, ტვისა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფები აადგმევიანო“¹. ხოლო უფრო გვიან, 1889 წელს, იგი წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალონებს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მათ თავისი ავ-კარგინაობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლი-

ტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოაქვევა ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა. თვითეულს ჩვენგანს მის გამოზარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამოზარკვევის მიხედვით გამოურჩევი“¹.

არსებობს ცნობა, რომ ი. ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის დროს, მეთაურობდა რა მოწინავე ქართველ სტუდენტთა წრეს, პირადად იცნობდა დიდ რუს რევოლუციურ დემოკრატს — ნ. გ. ჩერნიშევსკის და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის წრეში, ამის შესახებ, როგორც ირკვევა თვით ი. ჭავჭავაძეს უთქვამს თავისი მახლობლებისათვის.

პუბლიცისტი რ. ხომლედი (რ. ფანცხავა), რომელიც კარგად იცნობდა ი. ჭავჭავაძეს, 1915 წელს წერდა: „რუსეთის მაშინდელი (ე. ი. 60-იანი წლების, — ა. ქ.) საუკეთესო ჟურნალიც „Современник“-ი და ამისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც სტუდენტი ილია დაახლოვებით იცნობდა და იმ წრეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, რომელსაც მეთაურობდა ჩერნიშევსკი, როგორც ეს ჩემთვის და ნიკო თად. ხიზანიშვილისათვის უთქვამს განსვენე-

* საკითხის განხილვის წესით.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1937 წ., გვ. 249.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 285.

ბულს, — იმას ქადაგებდა მუდამ ხმა-
მალა, რომ ყ მ ა მ ი წ ი ა ნ ა დ
უნდა განთავისუფლდეს ო.
ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა და
ამისთვის იბრძოდა უკანასკნელ სისხლის
წვეთამდე“¹.

ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს
ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური და ფილო-
სოფიური შეხედულებების ჩამოყალი-
ბების პროცესის გამოსარკვევად.

შემდეგშიც აღნიშნავდნენ, რომ ი. ჭავ-
ჭავაძეზე ღრმა იდეური ზეგავლენა
მოახდინეს ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ
და დობროლიუბოვმა. ქართველი ნა-
როდნიკების ორგანო „იმედი“ 1882 წ.
ი. ჭავჭავაძის შესახებ წერდა: იგი „იმ
ქართველი ყმაწვილების რიცხვში მოყ-
ვა, რომელნიც იზრდებოდნენ და იწ-
ვრთნებოდნენ ჰუმანიურ და სოცია-
ლისტურ ნაწერებით დობროლიუბო-
ვის და ჩერნიშევსკისა“.

თვით ი. ჭავჭავაძე 60-ანი წლების
შემდეგაც ამ პერიოდის მოღვაწეთა
საქმიანობას „მართლა-და დაუეწი-
ყარს“ უწოდებდა, ხოლო სამოციანი
წლების მოღვაწეთა ორგანოს „სოვრე-
მენისკ“ — „სახელოვანს“. „მათის მართ-
ლა-და დაუეწიყარის ღვაწლით, —
წერდა ილია 1881 წ. სამოციანი წლე-
ბის მოღვაწეთა შესახებ, — მაგ თამამ-
მა უარყოფელმა მიმართულებამ (არ-
სებულო წყობილების უარყოფელმა
მიმართულებამ, — ა. ქ.) ფეხი კარგად
განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრე-
ბის მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ
ახალი მიმართულების მესვეური იყო
სახელოვანი „Современник“².

1861 წელს მეოთხე კურსის სტუ-
დენტი ილია ჭავჭავაძე იმულებული
გახდა მიეტოვებინა უნივერსიტეტი
„მისგან დამოუცილებელი მიზეზის გა-

მო“, ე. ი., როგორც ჩანს, რეველუცი-
ური მოღვაწეობის გამო. საქართვე-
ლოში დაბრუნების შემდეგ იმულებუ-
და მგოსანი თავის ირგვლივ აერთი-
ანებს მოწინავე დემოკრატიულ ინტე-
ლიგენციას და შეურიგებელ ბრძოლას
აჩილებს ბატონყმობისა და ცარიზმის
წინააღმდეგ. ჯერ კიდევ პეტერბურგის
უნივერსიტეტში ყოფნის დროს იგი
გამოდის პატრიარქალურ-ფეოდალური
წყობილებისა და თვითმპყრობელობის
იმ იდეოლოგიების წინააღმდეგ, რომ-
ლებიც თავმოყრილი იყვნენ ქურხალ
„ცისკრის“ ირგვლივ. 1860 წ. ნოემ-
ბერში ის წერს შესანიშნავ სტატიას
„ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას
ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშ-
ლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც
კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს „ცის-
კრის“ კონსერვატიზმსა და ჩამორჩენი-
ლობას და ასაბუთებს ენისა და ლიტე-
რატურის დემოკრატიზაციის საჭიროე-
ბას. ჭავჭავაძის სტატიამ დიდი ალიაქო-
თი გამოიწვია რეაქციონერთა და არქა-
ისტთა ბანაკში. ისინი ამხედრდნენ
ახალგაზრდა მწერლის წინააღმდეგ, ბრა-
ლად დებდნენ ქართული ენის წარყვანას,
წინაპართა რწმენისა და ჩვევებისაგან
განდგომას და ა. შ. თავის კრიტიკულ
სტატიაში, რომელიც მიმართული იყო
ჭავჭავაძის წინააღმდეგ, მწერალი ქალი
ბ. ჯორჯაძე, იშველიებდა რა საღვთო
წიგნებს. ამბობდა: „რადგანაც ჩვენ
მოვმდინარეობთ მამაბაბათა ჩვეულება-
ზედ და უმაღლესს პოეზიას, გინა ფი-
ლოსოფიას ეპოულობთ უმეტესად
საღმრთო წიგნებში, ამისათვის შემო-
ვიტანეთ ჩვენის აზრის დასაწყისში ეს
რამდენიმე საღმრთო სიტყვა“.

თავის კრიტიკოსებს ი. ჭავჭავაძემ
უპასუხა სტატიით „პასუხი“ და ამ შე-
სანიშნავ სტატიას ეპიგრაამად წარუძმ-
ლვარა ბელინსკის შემდეგი სიტყვები
სტატიიდან „კრიტიკისა და ლიტერა-
ტურული შეხედულებების შესახებ

¹ რ. ხომელი, ი. ჭავჭავაძე როგორც ლარი-
კოსი — პუბლიკაციები „განთიადი“, № 12,
1915 წ., გვ. 21 — 22.

² ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ხუთ
ტომად, ტ. III, 1962 წ., გვ. 60.

„მოსკოვის ნაბლიუდატელში“: „ჩვენი ლიტერატურიდან სურთ რომ მოაწყოთ საბალო დარბაზი, და უკვე მანდილოსნებსაც იწვევენ იქ; ჩვენი ლიტერატორები უნდათ რომ აქციონ ზალაღი საზოგადოების მოდური ფრაკებითა და თეთრი ხელთათმანებით გამოიწვიონ დიდკაცებად, სურთ ენერგია შეცვალოს ზრდილობით, გრძნობა — თავაზიანობით, აზრი — მოდური ფრახით, შრო და ლაზათი — კოპწიაობით, კრიტიკა — ქათინაურებით“.

„ცისკრის“ რედაქციამ ერთი ვაის ყოფით, როგორც იქნა, მოათავსა ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტატია „პასუხი“ და თან საყვედურებით სავსე გრძელი და უამრავი შენიშვნები დაურთო: „ქვევამდე ბაძვეს ბელინსკის“, „იქნებ ბელინსკისაგან ისწავლეთ ასე წერა“; „თქვენი მაგალითი და ავტორიტეტი ბელინსკია“ და/ა. შ.

ხოლო ჭავჭავაძის ერთ-ერთი კრიტიკოსი იმავე „ცისკრის“ ფურცლებზე მის შესახებ წერდა: „მარცხენა ხელში იპყრა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომეზი“.

1863 წელს ი. ჭავჭავაძემ დააარსა ეურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ეურნალის ირგვლივ ილიამ თავი მოუყარა რევოლუციურ და მოწინავე ძალებს და ბრძოლა გააჩაღა ბატონყმობის, თვითმპყრობელობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ეურნალში იგი ბეჭდევდა ბელინსკის, დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, ვ. პიუგოს და სხვ. თხზულებათა თარგმანებს. ბ. გ. ბელინსკის ნაწარმოებებიდან დაბეჭდილია დიდი ნაწევრების სახით გენიალური კრიტიკოსის ცნობილი შრომის „კრიტიკის შესახებ“ მნიშვნელოვანი ნაწილი. ნ. ა. დობროლიუბოვის შრომებიდან ეურნალის პირველივე ნომერში დაბეჭდილია მისი შესანიშნავი სტატია „მამა ალექსანდრე გოვაცი და მისი ქადაგებანი“.

ეურნალი „საქართველოს მოამბე“ იყო პირველი რევოლუციურ-დემოკ-

რატიული ორგანო საქართველოში. ამ როგორ ახასიათებდა ამ *ქუთნაქს* // გემოწინილი პუბლიცისტი ბ. გ. ბელინსკი ჯერ კიდევ 1872 წელს: „რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავალი დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძრვილი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში...“

დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვინმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაებერა ჩვენი ახალგაზრდობისთვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავე სიტყვებით დაღვინდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეცრებას და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისთვის შრომას, თავის დადებას¹.

გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის მსოფლმხედველობისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს და უმთავრეს თვისებას, როგორც ცნობილია, შეადგენდა მათი რევოლუციური დემოკრატიზმი. ამ გამოჩენილ მოაზროვნეთა რევოლუციური დემოკრატიზმი იყო რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის უდიდესი მონა-

¹ ნ. ნიკოლაძე, ჩვენი ლიტერატურა, ეურნ. „კრებული“, 1872 წ., № 10, 11, 12, გვ. 152 — 154.

პოვარი, რომელიც მთელი მარქსამდელი აზროვნების უმაღლეს მიღწევას წარმოადგენდა.

ი. ჭავჭავაძემ ფორმალურად და გარეგნულად როდი განიცადა თავისი დიდი მასწავლებლების ზეგავლენა, იგი ღრმად განიმსჭვალა მათი რევოლუციური დემოკრატიული იდეებით და 60—70-ან წლებში ენერგიულად ქადაგებდა ამ იდეებს, იყენებდა და ავითარებდა მათ საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში.

რაში მკლავნდება ი. ჭავჭავაძის რევოლუციური დემოკრატიზმი 60-ან და 70-ან წლებში?

იგი მკლავნდება მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებში. კერძოდ, იგი ნათლად იჩენს თავს იმით, რომ ი. ჭავჭავაძე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ბატონყმობას და შეფის თვითმპყრობელობას. იცავს დამაგრული გლეხობის ინტერესებს და მკაცრად აკრიტიკებს პრივილეგიურულ წოდებებს; იარაღს, ე. ი. ხალხის რევოლუციურ გამოსვლას აღიარებს ცარიზმის დამხობის მთავარ საშუალებად და თავისუფლების დასაპყრობად; ღრმად სწამს დამონებული ხალხის განთავისუფლებას, თავისუფალი შრომის სამეფოს განხორციელებას, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობას; იცავს მატერიალიზმს, აკრიტიკებს იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს; იყენებს დიალექტიკის ცალკეულ ელემენტებს; ასაბუთებს რეალისტური ესთეტიკის პრინციპებს და მკაცრად აკრიტიკებს „თეორიას“ ხელოვნება ხელოვნებისათვის; ახდენს ლიტერატურული ენის დემოკრატიზაციას და მდგარ ბრძოლას უცხადებს, საეკლესიო-არქაულ ენას; ასაბუთებს დემოკრატიულ პატრიოტიზმს და ქადაგებს ხალხთა მეგობრობის იდეას, და ა. შ.

გავარჩიოთ მოკლედ ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები. დავიწყოთ ბატონ-

ყმობასთან დამოკიდებულებას საკითხით.

ე. ი. ლენინი აღნიშნავდა: რუსეთში ი. ჭავჭავაძის წლებში „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“¹.

ი. ჭავჭავაძე იყო მგზნებარე მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ. მან თავიდანვე ღრმად შეიგნო ბატონყმობის მთელი რეაქციული არსი და მას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. ბატონყმობის მთელი სიღამპლის მხილებას უძღვნა მან ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისშივე თავისი უმთავრესი ლექსები, პოემები და მოთხრობები, რომლებიც წარმოადგენენ ბატონყმობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის შესანიშნავ დოკუმენტებს.

ბატონყმურ სისტემას იგი აღარბედა ხავსმოკიდებულ გუბებს, რომლის ირგვლივ ცუდი ომნივარი იყო მოდებული და ჰაერში გახრწნილების სუნს აერცვლებდა. ამ ხავსმოკიდებულ გუბებში ადამიანებს დაეკარგათ კაცური სახე და სხვადასხვა ორფეხ მტაცებელ ცხოველებს და შხამიან ქვემპრომებს დამსგავსებოდნენ. „ამ გუბიდან, — წერდა ის ბატონყმური სისტემის შესახებ „კაცია-ადამიანის?!“ წინასიტყვაობად განზრახულ ერთ-ერთ ვარიანტში, — მომავლინიებული ომნივარი ბულსავით ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი ეკიდებოდა. მუხლი წინ წასადგომად მოცემული, ეხუთებოდა. ყველამ იცის, გუბე რა მავნებელია.

შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა, ნამეტნავად ორფეხნი, რომელთაც აქ ადამიანებს ეძახოდნენ. ამ ადამიანებში ნამდვილნი ადამიანის სახის მქონენი იყვნენ, მაგრამ ძალიან ცოტა“².

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, 1948 წ., გვ. 628.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. II, გვ. 566 1930 წ.

ამხილებდა რა თავისი ნიჭის მთელი სიძლიერით ბატონყმობის სიღამპლეს, ილია ცდილობდა გამოეღვიძებინა ხალხი, აემხედრებინა იგი დაუნდობელი ბრძოლისათვის ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. მოთხრობა „კაცია-ადამიანის?!“ დასაწყისშივე იგი აღნიშნავს, რომ მას „პირთან საქმე არა“ აქვს. „ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთო“. ხოლო მოთხრობის დასასრულს ავტორი მკითხველს ეუბნება: „...ამ მოთხრობას... მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს—რამოდენადაც შეძლება აქვს—შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე რა გათსწორო.“¹

დაუნდობლად ააშკარავებდა რა ბატონყმური სისტემის / რეაქციულობას, ი. ჭავჭავაძე მკაცრად აკრიტიკებდა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ იდეებს ბატონისა და ყმის, დამპყნობლისა და დამპყნობულის შერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ, როგორც ყალბსა და მავნე იდეებს. „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, — აღიარებს სიკვდილის წინ ყმა გლეხი მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“, — რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!...“²

ბატონყმობის წინააღმდეგ ამ თავისი შეურიგებელი ბრძოლისათვის, როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძეს გააფთრებთ ესწმოდნენ თავს მემამულე თავადაზნაურები, რომლებიც მის ფიზიკურ მოსაპობასაც კი ლამობდნენ. ცნობილია ქრისტეფორე მამაცაშვილის მოგონება, სადაც ის გადმოგვცემს, თუ როგორ განუზრახავს ერთ-ერთ თავადს ილიას მოკვლა თავადაზნაურთა კრებაზე იმის გამო, რომ ახალგაზრდა

პოეტს მოუთხოვნიდა გლეხთა განთავისუფლება მიწიანად, და რთვად ეცავედნენ მოსალოდნელი ვადასაძღვანელებს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელნი ბატონყმობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლს. „რამდენიმე ახალგაზრდა, და მათ შორის ანტონ ფურცელაძეც და წერილის ავტორიც, — წერდა მამაცაშვილი, — მუდმივ შორიხალოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი“.

ამ ფაქტს ადასტურებს ანტონ ფურცელაძეც: „...როცა ხდებოდა თავადაზნაურობის კრებაზედ ბატონყმობის გადავარდნის შესახებ მსჯელობა, — წერდა იგი ერთ ჯერ გამოუქვეყნებელ სტატიაში, — სადაც მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ნიჭითა და ენერგიით აღსავსე ილია გამოვიდა გლეხების ენერგიულ დამცველად, რითაც გამოიწვია შფოთი და მღელვარება თავადაზნაურობაში. ილიას ემუქრებოდნენ მოკვლასაც. ჩვენ ვიცოდით ესა, და რომ მართლა არა შეამთხვიონ რა ამ მალალი აზრებით გატაცებულს ახალგაზრდას, ჩვენ, მე და ქრისტეფორე მამაცაშვილი... დავედვით შორი ახლო იარაღით ხელში, რომ დაგვეცვა მისი სიციცხლე შმაგი ხელისაგან“³.

ეს ცნობა ანტონ ფურცელაძისა, რომელიც თვითონ იყო გამოჩენილი მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ძვირფასია, ის ძვირფასია იმიტომაც, რომ ა. ფურცელაძე, როგორც ცნობილია, არ იყო ი. ჭავჭავაძის ჯგუფში და მრავალ პრინციპულ საკითხში მასთან ცხარე პოლემიკას ეწეოდა.

რეაქციონერმა მემამულეებმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ ი. ჭავჭავაძის ბატონყმობის საწინააღმდეგო და დემოკრატიული შეხედულებები, მასში თავიანთ მტერს ხედავდნენ და ამი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 222 — 223, 1950 წ.

² იქვე, გვ. 40.

³ ანტონ ფურცელაძე, „ვის არის მოლატე“. „ვის არის ზიზღის ღირსი?“, თბ. საქათ. სახელ. ლიტ. მეზ. ხელნაწ. № 5916 — 6.

ტომ ძალიან მტრულად შეხვდნენ ილიას დაბრუნებას მებატონეთა და გლეხთა შორის ურთიერთობის შემსწავლელ საგანგებო მინდობილობათა მოხელედ, მოპრიკებელ შუამავლად. „ჩვენი მოსვლა ვერაფრად ექაშნიკათ (მემამულეებს, — ა. ქ.), — წერდა ილია თავის მეუღლეს. — აი, ესენი არიან ჩვენი დაძლუპველებიო, ყმების წამართმევებიო, ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან“.

ილია უშუალო მონაწილეობას იღებდა რეფორმის გატარებაში, თავისი თვალთ ხედავდა, თუ როგორ ძარცვავდნენ ყოველგვარი საშუალებებით მემამულეები „განთავისუფლებულ“ გლეხებს. მემამულეთა რეაქციულობისა და სიბილწის მხილებას რეფორმის გატარების პერიოდში ი. ჰავეჰაიძემ უძღვნა ნაწარმოები — „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, რომელიც მან 1865 წ. დაწერა. ამ ნაწარმოებში მწერალი ღრმა რეალისტური მანერით ცხადყოფს, თუ როგორ იყენებენ ჩატარებული რეფორმისაგან შეძრწუნებული თავადები და მემამულეები თავიანთ წოდებრივ პრივილეგიებსა და უპირატესობას, რომელთაც რეფორმა სრულიად არ შეხებია, როგორ ძარცვავენ ისინი ყოველგვარი საშუალებით გლეხებს. „აზნაურიშვილს... გლეხთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს. — გაიძახის აზნაურიშვილის ქვრივი დედაკაცი, თავადს კიდნ აზნაურთანაც. ჩვენც ვიცით კანონები... ამ დალოცვილმა ხელმწიფემ, ვსთქვათ, ყმები ჩამოგვართვა, კეთილშობილება ხომ არ ჩამოურთმევია?“¹.

ი. ჰავეჰაიძე დაუნდობლად ამხილებდა ცარიზმს, როგორც ხალხის უბოროტეს მტერსა და სოციალური და ეროვნული ჩაგვრის დასაყრდენს. ის

მეფეს უწოდებს „ბნელ დემონს“, რომელიც ცბიერებით შხაშვს ხალხს და საუკუნო უმეცრებასა. სიბნელეა და დუბჭირში ჰყავს იგი. ასეთი სიტყვებით მიმართავს მეგობარი მეფეს:

ბნელო დემონო! აღსავსე გესლით ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება და ბოროტების ძლიერ მარჯვენით პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება; მაკდურის ხელით მაკდური თასი ღვარძლითა სავსე შენ ამ ხალხს ასვი!

დესპოტურმა მეფემ ხალხი მონებად აქცია, დააჩლუნგა მისი გონება, მოაღუნა მისი ნებისყოფა, უმეცრება, ჩაგვრა, დაბეჩავება და მოტყუება — აი მეფის მიერ დაჩაგრული ხალხის ხეცდრი.

მას აქეთ წინ გზა დამონებისა და უკან კვალ უმეცრებისა ხალხს დაულოცე და დაუნდნე, ყოველი აზრი შენ მას მოუფან, და იმ იმედით ღღეს დააძინე, რომ დაძინებს იგი კიდევ ხვალ².

შესანიშნავ ლექსში „ჩემი თარიღარალი“, რომელიც ილიამ 1858 წ. დაწერა, იგი ამბობს, რომ მეფემ ხალხი მონებად აქცია, თავისი სხეული — კერპად, სული კი ეშმაკებს დაანება.

გამოჩენილი პოეტი და მოაზროვნე თავიდანვე კარგად ხედავდა, რომ ცარიზმი წარმოადგენს არა მარტო სოციალური ჩაგვრის დასაყრდენს, არამედ ეროვნული დამონების დასაყრდენსაც. იგი დაუნდობლად ამხილებდა ცარიზმის ცბიერ მეთოდებს, რომელთა მიზანი იყო ცალკეულ ეროვნებათა გათიშვა, მათ შორის მტრობისა და შუღლის დათესვა, ერთმანეთზე წასისიძინება, რათა ამით დაეუსტებინა მათი ძალა და, ამრიგად, ჩაგვრასა და მონობაში ჰყოლოდა ისინი.

ი. ჰავეჰაიძე ამტკიცებდა, რომ ქართველ ხალხს და მთელი რუსეთის ხალ-

¹ ი. ჰავეჰაიძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 11, გვ. 335, 1950 წ.

¹ ი. ჰავეჰაიძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, გვ. 309, 1951 წ.

² იქვე.

ხებს ცარიზმზე გამარჯვება, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება შეეძლოთ მხოლოდ მჭიდრო კავშირით, გაერთიანებით და ურთიერთდახმარებით. ის ამბობდა, რომ დარაზმული და გაერთიანებული ძალის წინაშე ცარიზმი ვერ გაძლებდა, რაც უნდა ვერაგი ყოფილიყო იგი. ამიტომ ის მოუწოდებდა ხალხებს ძალთა გაერთიანებისა და მჭიდრო მეგობრობისაკენ.

ი. ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი იდეოლოგი იყო. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ბელადი იყო. და ეს სრულიად გასაგებიც არის. ი. ჭავჭავაძეს, როგორც რევოლუციურ დემოკრატს, როგორც ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის მიმდევარს, არ შეეძლო არ ყოფილიყო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგული მომხრე. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მხურვალედ უჭერდნენ მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას პოლონეთში, იტალიაში და ა. შ. გერცენი, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი. სრულიადაც შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ი. ჭავჭავაძემ თავისი ეურნალის „საქართველოს მოაზრების“ პირველ ნომერში დაბეჭდა დობროლიუბოვის ცნობილი სტატია „მამა ალექსანდრე გოვაკი და მისი ქადაგებანი“, მიძღვნილი იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, რომელსაც მეთაურობდა გარიბალდი.

ცარიზმისადმი ღრმა სიძულვილით გამსჭვალული პოეტი — ხალხს მოუწოდებდა მისი დამხობისაკენ. ცარიზმის დამხობა მას მიაჩნდა დაჩაგრული ხალხის საქმის გამარჯვების, ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების აუცილებელ პი-

რობად. ცარიზმზე გამარჯვების მოპოვების გადამწყვეტ პირობად იგი თვლიდა ხალხის მასების რევოლუციურ მოქმედებას და მათი ძალების მჭიდროდ დარაზმვას.

ი. ჭავჭავაძე, როგორც რევოლუციური დემოკრატი, აღნიშნავდა, რომ ცარიზმის დამხობა და თავისუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციური გზით. „სიტყვამ „რევოლუცია“, — აფრთხილებს ილია მკითხველს „მგზავრის წერილებში“, — არ შეგაშინოს მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა აღუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“. თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ილიას აზრით, მხოლოდ იარაღით, ე. ი. რევოლუციით მოიპოვება. „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია“, — აცხადებს ილია თავის საუცხოო პოემაში „ქართლის დედა“. რევოლუციურ ბრძოლაში, სადაც სისხლია საჭირო, იქ საღობობი ცრემლი უკუგდებული უნდა იქნეს. იგი წერს: „სად სისხლი უნდა, იქ არ ვარგა საღობობი ცრემლი!“

1860 წელს დაწერილ „ქართველ სტუდენტების სიმღერაში“ ახალი თაობის სახელით პოეტი აცხადებს, რომ იგი (ახალი თაობა) ახლაც მზად არის ბრძოლისათვის, რომლისკენაც მას სამშობლო მოუხმობს:

მაგრამ ვხლაც საქმით, სიმზნით
სხვას არც ჩვენ დავევარდებით:
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ახლაც კი გამოვადგებით¹.

აღიარა რა რევოლუციური მოქმედება ცარიზმზე გამარჯვებისა და თავისუფლების მოპოვების აუცილებელ პირობად, ი. ჭავჭავაძე მოუწოდებს ძალთა დარაზმვისა და გადამწყვეტი ბრძო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, გვ. 64, 1951 წ.

ლისავენ. ერთობის და დარაზმულობის დროს მეფე საშიში აღარაა, როგორც უნდა ბობოქრობდეს, როგორც უნდა სწყუროდეს მას სისხლი.

რავინდ რომ ცარი ღვინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში მშობა ბრწყინავდეს¹.

პოეტი მოუწოდებდა, რომ გაბედულად წასულიყვნენ წინ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ან მოეკლათ და ან ბრძოლაში დაეცემულიყვნენ. ის დარწმუნებული იყო, რომ მძინვარე, მაგრამ ჭკუამოკლე მეფე „თვისის ბრმა წინასწარ ხედვით“ ამ ბრძოლაში დაეცემოდა:

„ე, მშანო, ვიყევთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ჩვენ ცარი ვერას დავცაყლებს
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით²“.

ილია თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას განუწყვეტლივ უკავშირდება „ძლიერთა“ წინააღმდეგ ბრძოლას და სუსტთა და დაჩაგრულთა დაცვას.

დიდს არ გავქველვინებთ
და მხარს მივსცემთ პატარას;
ძალას გულაგულ დავხვდებით
და თავიანს ვსცემთ სამართალსა.
წინ წასვლაში არ დავიხვეთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს;
ჩვენც ვიცი, რომ შევლა უნდა
უღონოსა და დავრდომილს³.

ამჟვარავებდა რა ცარიზმის შავბნელ პოლიტიკას, რომელიც შეუღლს, მტრო-

ბასა და სიძულვილს თქნდა რუსეთის ხალხთა შორის, კერძოდ კავკასიის ხალხთა შორის, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ქართველ ხალხსა და მთელი რუსეთის ხალხებს შეუძლიათ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას მიიღწიონ მხოლოდ მკვიდრო ერთობისა და ურთიერთდახმარების გზით. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა, ი. ჭავჭავაძე იყო ხალხთა მეგობრობის იდეის, როგორც მათი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ძირითადი პირობის, მხურვალე მქადაგებელი.

რევოლუციურ-დემოკრატიულ ბრძოლაში მთავარ ძალად ილია თვლიდა გლეხობას. სამოციან წლებში მან თავისი თავი პირდაპირ გამოაცხადა ჩაგრული გლეხობის ინტერესების დამცველად. „ცართან ძმობას არ ვკადრულობთ, — წერდა იგი ახალგაზრდა თაობის სახელით, — მაგრამ ვნატრობთ გლეხთანაო“¹. ხოლო მეორე ადგილას ამბობდა: „მდიდარსა და ბედნიერსა არ ვექცევით ცბიერულად; მწყუხარეს და დაჩაგრულსა უღელს გაუწევთ ერთგულად“².

ი. ჭავჭავაძემ, როგორც გლეხური დემოკრატიის იდეოლოგმა, დავიხატა არა მარტო ყმა გლეხის დაჩაგრული და დაბეჩავებული მდგომარეობა თავადთა და მემამულეთა უღელქვეშ, არამედ, ამასთან ერთად, გვიჩვენა ის, თუ როგორ იბადებოდა და ვითარდებოდა ყმა გლეხობაში პროტესტი და ბრძოლის წყურვილი მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ლექსში „გუთნის-დედა“ პოეტი გვიჩვენებს, რომ ყმა გლეხის ბედი პირუტყვის ზვედრზე უკეთესი არაა; ყმა გლეხი შეიგნებს თავის უსიხარულო და არაადამიანური მდგომარეობის მთელ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებულის, ტ. I გვ. 36, 1951 წ.

² იქვე, გვ. 37.

³ იქვე.

¹ იქვე, გვ. 292.

² იქვე, გვ. 294.

სიმძიმეს, განიმსკვალება მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილით და შეძახებს:

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიპართლოსთვის დამიხლუნდებო?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩიოს მარტო მოწინი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?¹

გამოხატავდა რა ყმა გლეხების პროტესტისა და ბრძოლის ზრდას, ი. ჭავჭავაძემ 1860 წელს დაწერა შესანიშნავი პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდები ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ამ პოემის გმირები კაკო და ზაქრო, სახალხო გმირის — არსენ ოძელაშვილის მგალობლით აღფრთოვანებულნი, ხელს ჰკიდებენ იარაღს და კვლავენ თავიანთ ბატონებს. შურს იძიებენ მათზე მათი საშინელი ძალდატანებისა და ყმა გლეხების აბუჩად აგდების გამო. თუმცა კაკო და ზაქრო მარტონი არიან, მაგრამ თავიანთ მოქმედებაში ისინი ხელმძღვანელობენ არა მარტო პირადი წყენით, არამედ დამონებული ყმებისადმი თანაგრძნობით. კაკოს და ზაქროს გულში იმდენად ძლიერ გაულვიძია დაჩაგრული ყმა გლეხისადმი თანაგრძნობას, რომ ეს გმირები „ბედისაგან დაჩაგრულისადმი“ სიყვარულსა და დახმარებაში ზედავენ ადამიანის უმალღეს დანიშნულებას.

რომ ბედში მყოფი შენ ძმად შეგაჩნდეს
ვგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!²

ამ თავისი შეხედულების თანახმად ზაქრო აცხადებს, რომ გლეხები აუცილებლად უნდა განთავისუფლდნენ ყმური დამოკიდებულებისაგან:

„გლუხაკის და ყმის ლტონი ბედი
ვერა, ვერ ვასძლებს ბატონის ხელში...“³

ი. ჭავჭავაძე მკვეთრად ამხილებდა გაბატონებულ კლასებსა და წოდებებს, თავადთა და დიდკაცობის ცხოვრებას, გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა ცხოვრებას ის აღარებდა კუბოს, რომელიც გარედან შელღობილია, შიგნით კი გაბრწყინლ გვამსა და ძვლებს შეიცავს. მათი ცხოვრება თუმცა გარეგნულად ბრწყინავს, შიგნით საესეა სიბინძურითა და გაბრწყინლებით, ფარისევლობით, პირმოთნობით, უფროსებისადმი გამოთაყვანებული მორჩილებით, მლიქვნელობით, ჩინების თაყვანისცემით. 1862 წელს ილია წერდა: „ის დიდკაცობა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ზავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გაბრწყინების მეტს ვერას დაინახავთ“¹.

ამ გარეგნულად ბრწყინვალე დიდკაცებს ის უპირისპირებს მშრომელ ხალხს, რომელიც „ოფლით შობს ლუქმასა, მზესთვის ვერ შეუხედნია, იმიტომ რომ თუ თავის საქმეს თვალი მორიდდა, შიშნულით სული ამოუვა“². მორალური თვალსაზრისით ილია დარიბი ხალხის ამ შიმე და აუტანელ ცხოვრებას უფრო მალა აყენებს დიდკაცთა გარეგნულად ბრწყინვალე ცხოვრებასთან შედარებით, რადგან ღარიბთა ცხოვრება შრომაზეა დამყარებული და უაღრესად პატიოსანია.

მაგრამ დიდი მგოსანი არ კმაყოფილდება მორალზე მსჯელობით, იმის დადასტურებით, რომ მშრომელი ხალხი მორალურად მალა დგას დიდკაცობასთან შედარებით. იგი კიდევ უფრო შორს მიდის და პირდაპირ აყენებს სჯიკობს

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 14.

² იქვე, გვ. 164.

³ იქვე, გვ. 168.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 396, 1927 წ.

² ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 397, 1927 წ.

იმის შესახებ, რომ დიდკაცობა უკანონოდ ყვლეფს მშრომელ ხალხს.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ თავადები, დიდკაცები, ვაჭრები და სხვა პრივილეგირებული წოდებანი მთელი ძალღონით იბრძვიან ექსპლოატაციისა და ხალხის ჩაგვრის მოსაპოვის წინააღმდეგ, რამდენადაც თვითონ ისინი ხალხის ბედკარულობითა და უბედურებით ცხოვრობენ და მათ მიერ ჩადენილი ბოროტება მათ ბატონობას უნარჩუნებს, ძალაუფლებას აძლევს.

პოემა „აჩრდილში“ პოეტი აღწერს დიდკაცების, ვაჭრებისა და ზუცელების სრულ გულგრილობას და გულცივობას ჩაგრული ხალხის ბედისადმი. დიდკაცის შესახებ იგი ამბობს:

ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შევლის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით პრჩება?!

ი. ჭავჭავაძე ცხადყოფს, რომ გაბატონებული კლასები, რომლებიც მშრომელი ხალხის (გლეხობის) საშინელი ექსპლოატაციით ცხოვრობენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრები არიან. იგი მკითხველს ჩააგონებს, რომ ჩაგრულმა ხალხმა თავისუფლება ტირანებისა და მჩაგრელების წინააღმდეგ მდგარი ბრძოლით უნდა მოიპოვოს.

ამ უმნიშვნელოვანესი რევოლუციურ-დემოკრატიული დებულების დასასაბუთებლად ილია ჭავჭავაძე მიმართავს თავისუფლების სოციალური შინაარსის გამოჩვენებას. იგი გამოდის ისტორიის გამოცდილებიდან და ცხადყოფს, რომ თავისუფლებას ყოველთვის მძაფრი ბრძოლის გზით მოიპოვებოდნენ. თავისუფლების დამცველთ თავისუფლებისაგან გზის გაკაფვა მუდამ უხდებოდათ და უხდებათ ბრძოლით და სისხლით. თავისუფლება, რომელსაც

ადამიანებისათვის მოაქვს მშვიდობა და სამართლიანობა, მუდამ დევნას განიცდის და ქვეყნად გასიხლიჩებულ სახით დაიარება.

პოეტი-მოაზროვნე ასეთი კითხვით მიმართავს თავისუფლებას:

რადღ ღერის დღესაც შენთვის სისხლსა
ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშინლად
ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად
პირისისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად შაღლითა
ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იყვლევს გზასა
მტებნული შენი!

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც ყოველთვის აღელვებდა კაცობრიობის პროგრესულ და დემოკრატიულ მოღვაწეებს, ი. ჭავჭავაძე ღრმა მოფიქრებულ პასუხს აძლევს თავისუფლების სოციალური შინაარსის გახსნით. იგი წერს:

თავისუფლებაჲ, შენ ხარ კაცთა
ნათესავედარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა
სათარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიძარტლე ამა
ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ
ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ
აკრძალული.²

მტარვალნი და დესპოტნი იმიტომაც ებრძვიან ოდითვე თავისუფლებას, რომ იგი „ჩაგრულის საფარია“ და „სიძარტლეა ამა ქვეყნისა“. იმიტომ უხდებათ თავისუფლებისათვის „მებრძოლებს „სისხლით გზის გაკვლევა“ თავისუფლებისკენ, რომ მტარვალნი და დესპოტნი იმთავითვე მკაცრად კრძალავენ თავისუფლების, როგორც „ჩაგრულთა საფარისა“ და „ამა ქვეყნის სიძარტ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებულო, ტ. I, გვ. 142, 1951 წ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებულო, ტ. I, გვ. 152, 1951 წ.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებულო, ტ. I, გვ. 151 — 152, 1951 წ.

ლის“, განხორციელებას. აი რატომ იქცა თავისუფლება მძაფრი ბრძოლების საგნად და რატომ დადის „ამა ქვეყნად პირსისხლიანი“. აი რატომ არის, რომ „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია.“

ი. ჭავჭავაძის ეს ფორმულები: „თავისუფლება ჩაგრულის საფარია“, „თავისუფლებას მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია“ — წარმოადგენს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებების საუცხოო გამოხატულებას. ილია, როგორც რევოლუციური დემოკრატი, იბრძოდა არა მარტო ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ ექსპლოატაციაზე დამყარებული ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგაც, მოითხოვდა დამონებული შრომის განთავისუფლებას და ექსპლოატაციის სისტემის მოსპობას.

დამონებული შრომის განთავისუფლებაში ხედავდა ილია თანამედროვეობის დიად და გარდუვალ ისტორიულ ამოცანას.

1872 წელს ი. ჭავჭავაძემ ხელახლა რედაქტირებულ თავის პოემა „ანრდილიში“ ასეთი სტრიქონები შეიტანა:

შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ ზაწვეს კისრად...
შრომა, აჲ ქვეყნად ტყვედა პყრობილი.
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რდევულა მისი ბოროლი
და დასამსხვრევად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტყროთი
ძღვეამოსილის ამ საუყენის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვიროთი
მაგ ახსნისათვის მედგრად იბრძვის.¹

ბურჟუაზიული დემოკრატებისაგან განსხვავებით შრომის განთავისუფლებას ილია ჭავჭავაძე უშუალოდ უპაუშირებდა თავისუფლების ბრძოლით მოპოვებას. მას თავისუფლება ესმოდა როგორც განთავისუფლებული შრომის სუფევის დამკვიდრება, რაც მოსპობდა

ადამიანის ექსპლოატაციას ადამიანის მიერ.

ილია მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ „შრომის შვილი“ ჩამოყალიბდა უსამართლობის მძიმე უღელი კისრად აწვეს, ამ უღელს დაამხობს და ბრძოლით მოიპოვებს შრომისა და თავისუფლების სამეფოს; ექსპლოატაცია და ჩაგვრზე დამყარებული ძველი ქვეყანა ველარ გაუძლებს განახლების გრიგალის ქროლას და დაეცემა:

ველარ განუძღებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძღებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბოროლი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ ალყავადების.²

შრომის სუფევის დამკვიდრებასთან ერთად უქმი სიტყვები აღარ იქნება „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და რეალურ შინაარსს მოიპოვებენ. შრომის განთავისუფლებასთან ერთად ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება და მთელი თავიანთი ძლიერებით და სილამაზით გაიფურჩქნებიან:

მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ველის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.³

60-ან და 70-ან წლებში ი. ჭავჭავაძე რომ ბურჟუაზიული წყობილები-სა და ბურჟუაზიული თავისუფლების მოწინააღმდეგე იყო, ამას აშკარად მოწმობს მისი განთქმული ლექსი „კომუნის დაცემის დღე“, რომელიც მან დაწერა პარიზის კომუნის დაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

პარიზის კომუნის დაცემაში გამოჩენილმა პოეტმა-მოაზროვნემ დანიხა „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი დიდი დროშის“ დაშლა, „დიდი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 140, 1951 წ.

² იქვე, გვ. 140.

³ იქვე, გვ. 141.

საქმის“ დამარცხება. პარიზის კომუნის დაცემა მან შეაფასა როგორც ისტორიის შეფერხება, როგორც განახლების ძალთა შეჩერება და მტარვალთა გამარჯვება.

ტივითძიმით და მამრალთ მხსნელი

ფილი დროშა დაიშალა...

კვლავ ქვეყნისა მწაგრავ ძალამ,

იგი დროშა დასცა დაბლა...

კვლავ ვწამა მოყვასთათვის

საოცარი იგი ერი,

კვლავ დაიღვა დიდ წამების

მან გვირგვინი მშენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა

წინდა სისხლი წამებულის,

კვლავ დამარცხდა დიდი საქმე

ყოვლად მხსნელი სიყვარულის...

კვლავ შეფერხდა ისტორია,

განახლების შესდგენ ძალნი,

და კვლავ დღესასწაულებზე

გამარჯვებულნი მტარვალნი.¹

1872 წ. თავის ცნობილ ლექს-პამფლეტში „პასუხის პასუხი“ ი. ჭავჭავაძე გმობს რეაქციონერებს და კონსერვატორებს, როგორც ხალხის ინტერესთა მოღალატეებს, და თავის თავს პირდაპირ აცხადებს ლარიბთა ფართო მასების გაერთიანების, ლარიბთა ერთობის დამცველად. ის წერს:

ვითამ რად გიკვიროთ,

რომ მაღლა ვყვიროთ

მილიონებზედ და სხვაზედ არა!

თქვენ ყოვლად ბრძანო!

თერთ ოყენო

ერთად თავმოყრილ წვეთთ შემდგარა;

მაშ რაღაღა გვემოთ,

ოდეს ჩვენ ვცდილობთ

ერთმანეთობით მილიონობას?

თქვე ნაკარშქექნო

და გულწამყენო,

აქაც ძირს უთხროთ ლარიბთ

ერთობას,

ვართ უღონონი,

უგზო-უკვლონი

მით, რომ თქვენ ჰყრიახართ უქმად

ჩვენშია,

ჩვენ მოყუნტულნი,

თქვენ გაბღინებულნი,

ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია?²

მიუხედავად ამ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისა, ილია ჭავჭავაძემ ვერ გაიგო მსოფლიო-ისტორიული როლი პროლეტარიატისა, როგორც კლასისა, რომელიც მოსპობს ექსპლოატორულ საზოგადოებას და ააგებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას. ი. ჭავჭავაძემ ვერ გაიგო მარქსიზმი, მან ვერ შეძლო სათანადოდ შეეფასებინა საქართველოში გაჩაღებული პროლეტარული მოძრაობის, როგორც რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პრინციპულად ახალი და უმაღლესი საფეხურის მნიშვნელობა, ის შეცდომით ფიქრობდა, რომ მარქსიზმი, განსაკუთრებით მარქსისტული მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის შესახებ, თითქოს მიუღებელი ყოფილიყო საქართველოსათვის, სადაც, მისი აზრით, კლასობრივი ბრძოლა უნდა ჩაქრეს და არა გაღვივდეს, რათა საქართველოს ეროვნული ერთიანობა არ შესუსტდეს მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

80-ან წლებიდან ი. ჭავჭავაძემ იწყო ეროვნული აღორძინების იდეების პროპაგანდა კლასთა და წოდებათა შერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ნიადაგზე. თავის ნაშრომში „ცხოვრება და კანონი“ (1877 — 1881 წლები) იგი აყენებდა კლასთა და წოდებათა შერიგების ლოზუნგს და ლიბერალურ თავადაზნაურობას მოუწოდებდა, რომ სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას.

1887 წ. მოთხრობაში „ოთარანთ ქვრივი“ მწერალმა მხატვრული ფორმით დაგვიხატა თავისი პოლიტიკური იდეალები. მისი აზრით, გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არსებული წინააღმდეგობიდან და გათიშული მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს არა კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება მათ შორის, არამედ, პირიქით, კლასობრივ-წოდებრივი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, გვ. 77, 1951 წ.

² იქვე, გვ. 95 — 96. ხაზგასმა ჩვენია.

ინტერესების შერიგება, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის „ნატეხილი ხიდის“ აღდგენა. ამასთან ერთად აქაც თავს იჩენს წინააღმდეგობა — ის გვიჩვენებს, რომ თავადაზნაურობა მოწყვეტილია ხალხისაგან, რომ გლეხობაშია ძალა და მორალური უპირატესობა. ი. ჭავჭავაძე კლასობრივ-წოდებრივ ინტერესთა შერიგებაში ხედავს ერის ერთიანობისა — და აღდგენის საფუძველს, არ ესმის, რომ კაპიტალიზმის პირობებში ეს შეუძლებელია.

მიუხედავად ამ ბურჟუაზიულ-ლიბერალური შეცდომებისა და იმ მერყეობისა ლიბერალიზმისაკენ, რომელმაც თავი იჩინა ილიას მოღვაწეობაში 80-ანი წლებიდან, მას არასოდეს არ უღალატია დემოკრატიზმისათვის, არასოდეს არ განშორებია მის ძირითად პრინციპებს; მთელი თავისი სიცოცხლის დასასრულამდე იგი დარჩა ცარიზმის შეურიგებელი მტერი, ექსპლოატაციისა, სოციალური და ეროვნული უთანასწორობის მტერი. ამას მკვერმეტყველურად მოწმობს მისი განთქმული სტატია „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც დაწერა გასული საუკუნის მიწურულს. ახასიათებს რა მეცხრამეტე საუკუნეში მიღწეულ წარმატებებს მეცნიერების, ტექნიკის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დარგში, მწერალი აღნიშნავს, რომ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილებების იდეალად გამოაცხადა ქონებრივი უთანასწორობის გაუქმება, ყოველგვარი კლასობრივი ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველი კლასობრივი სხვადასხვაობის მოსპობა. ამავე დროს, ის აღნიშნავდა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში წინააღმდეგობა მდიდარსა და ღარიბს შორის კიდევ უფრო მეტად გამწვავდა.

ამ წინააღმდეგობის მოსპობაში ხედავდა ი. ჭავჭავაძე მეოცე საუკუნის ისტორიულ დანიშნულებას. „დღეს, — წერდა იგი, — ღარიბსა და მდიდარს

შორის, ძლიერსა და უძლიერს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოცნაში ყოფილა, და აქ არის ყველაზე მეტი იმ ტყვეობისა, რომელსაც მხარხარა მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს“¹.

მას მტკიცედ სწამდა, რომ მეოცე საუკუნე განახორციელებდა იმ ისტორიულ მოთხოვნას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა, მაგრამ ილიამ ვერ მიაგნო იმ ძალას, რომელიც მოწოდებული იყო ამ ანდერძის განსახორციელებლად, თუმცა ეს ძალა — პროლეტარიატი — ამ პერიოდში უკვე მოქმედებდა ბრძოლის ასპარეზზე.

ი. ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული რევოლუციურ-დემოკრატიული პატრიოტიზმის დასაბუთება და ქადაგება საქართველოში. 1894 წელს იგი ასე განსაზღვრავდა თავის ნაწარმოებში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ სამოციანი წლების მოღვაწეთა ამაგსა და დამსახურებას პატრიოტიზმის აღდგენისა და ქადაგების საქმეში: „სამოციანი წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთმიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ზელთ ეყვრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ეამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდე-ღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციანი წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოპლენა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“².

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1952 წ. გვ. 6.

² ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. III, გვ. 225, 1951 წ.

ი. ჯავახიძეს, როგორც სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა ხელმძღვანელსა და იდეურ ბელადს, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის პატრიოტიზმის იდეის აღდგენისა და პროპაგანდის საქმეში. იგი თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და მისი ღრმა თეორეტიკოსი იყო. პატრიოტიზმით არის გამსჭვალული მთელი მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა და მრავალმხრივი შემოქმედება. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, მისი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ძლიერმა სურვილმა მთლიანად შეიპყრო მგოსანი სიყმაწვილის წლებიდანვე. „ავიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“, — წერდა იგი 1861 წელს. ახალგაზრდობიდანვე აღძრული ფიქრები სამშობლოს ბედობის შესახებ არასოდეს არ ტოვებდნენ მას, მუდამ წარმოშობდნენ მის გონებაში მწვავე აზრთა უწყვეტ ნაკადს.

მას აქვთ, რაი შენდამი ციან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შვება!

ი. ჯავახიძემ პატრიოტიზმის გრძობა ახალი დემოკრატიულ-რევოლუციური შინაარსით გაამდიდრა. ის თავიდანვე უარყოფდა საქართველოს წარსულის რეაქციულ-რომანტიკულ განდიდებას, იდეალიზაციას, მის გამოტირებას, მთელი სასოების მასზე დამყარებას და მას უპირისპირებდა კატეგორიულ მოთხოვნას, რომ „ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ და მოვეწოდოთ ბრძოლისაკენ უკეთესი მომავლისათვის.

1858 წელს მგოსანი წერდა:

მას ნულარ ესტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა; მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი... ჩვენ უნდა ვსდით ვხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი კმეათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...!

ი. ჯავახიძე ამტკიცებდა, რომ ეს უკეთესი მომავალი თავისთავად არ დადგება, ის ბრძოლით უნდა იქმნეს მოპოვებული. პატრიოტიზმის ცნებაში ის უშუალოდ გულისხმობდა თავდადებულ ბრძოლას თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. უამისოდ პატრიოტიზმი ვერ იქნება ის ჭეშმარიტი და ჭმედითი გრძობა, რომელიც ადამიანებს რაზმავს გმირული საქმეების ჩასადენად. იგი ლოცავდა სამშობლოს დასაცავად და მისი უკეთესი მომავლისათვის აღმართულ ხმაღს.

მართალი არის ხმალი ზღვევისა

როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.

ვისაც სამშობლოსათვის თავი გაუწირია, ის მარად იცოცხლებს ხალხის გულში. მასზე ხალხი სიმღერებს შეთხზავს, მას ხალხი ქება-დიდებათ მოიხსენიებს. მისი სახელი სამშობლოს ბედნიერებისათვის მოწოდებად იქცევა.

წმინდა იგი, ვისაც ეღირსა

მამულისათვის თავის დადება...!

ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,

ის თავის ხალხში აღარ მოკვდება-

მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,

შორს საუფუნეთ ვტყვის მის სახელს,

და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა

ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს

ხელს.!

დიდ პოეტსა და მოაზროვნეს სწამდა, რომ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი მდგომარეობს არა განურჩეველ და განუსჯელ სიყვარულში ყოველივე იმი-სადმი, რაც კი სამშობლოს ენება, არამედ მისი მოწინავე ტრადიციებისა და საუკეთესო მონაპოვართა სიყვარულში. მას არათუ კარგად ესმოდა, არამედ იგი მხურვალედ ქადაგებდა, რომ არ შეიძლება გულწრფელად გიყვარდეს შენი სამშობლო, თუ არ გძულს მისი ცუდი, დრომოკმული და რეაქციული მხარეები. ნამდვილი პატრიოტიზმი გულისხმობს შეურიგებელ ბრძოლას მის ნაკლთა და ბიწიერებათა წინააღმ-

1 ი. ჯავახიძე, ომხულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 30, 1951 წ.

დგ. ამიტომ ი. ჭავჭავაძე, როგორც ნამდვილი პატრიოტი, დაუნდობლად ამხელდა თავისი ქვეყნის ყოველივე დახვასებულ, ჩამორჩენილ, დამპალ და რეაქციულ მხარეს. თავისი სამშობლოს ნაკლთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ძალა განისაზღვრებოდა მისი უანგარო სიყვარულით სამშობლოსადმი. მისი უღმობელი კიცხვა და გმობა უარყოფითისა მიმართული იყო სამშობლოს უკეთესი მომავლის დამკვიდრებისათვის. ამაზე თვით ილია წერდა:

ჩემზედ ამბობენ: ის სიამეხ ქართველისა ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ვე ზომ ცხადი

სიძულელია!

ბრიყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე
სცნობს —

ამ სიძულელიში რაოდენივე სიყვარულია!¹

რევოლუციურ-დემოკრატიული პატრიოტიზმის პრინციპების დასაბუთებას ი. ჭავჭავაძე აწარმოებდა ამ ღრმა იდეის დაწვრილმანებისა და გადაგვარების დაუნდობელი კრიტიკის საფუძველზე. იგი აღნიშნავდა, რომ ცალკე კარჩაკეტილ პროვინციებად საქართველოს დაქუცმაცებამ, ფეოდალების გაუთავებელმა ურთიერთთავდასხმებმა და შინაომებმა გამოიწვიეს სამშობლოს ერთიანი ცნების დაწვრილმანება და გადაგვარება. სამშობლოდ ესმოდათ არა ყველა ქართველისათვის საერთო ქვეყანა და ქართველი ხალხის მასთან დაკავშირებული ინტერესები, არამედ განკერძოებული, იზოლირებული პროვინციები და თვით საკუთარი „უძრავი ქონებაც“ კი, მასთან დაკავშირებული ჩამორჩენილი, ვიწრო და წვრილმანი ინტერესები. ამ მნიშვნელოვან და ღრმა აზრს მწერალი არა ერთხელ უბრუნდებდა. სტატიაში „ზოგიერთი რამ“, რომელიც 1866 წელს დაწერა გაზეთ „დროების“ პირველი ნომრისათვის, მაგრამ რომელიც არ გაუშვა ცენზურამ და გამოქვეყნდა მხოლოდ ათი წლის შემ-

დგ. 1876 წელს, იგი ამბობდა: „უცხლა ეგ დიდებულ სიტყვა თვითულის ჩვენგანის გათავ-თავედ უცხლესს ჩონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძღურებას სულის დაუძღურებაც ზედ მოსდევს: განვთვითუდით, და რამდენადაც თვითულის ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძღურია და პატარა, იმოდენად თვითულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძღურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაუფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა?“¹

ი. ჭავჭავაძე, როგორც პატრიოტიზმის მხურვალე დამცველი და მოქადაგე, მის ღრმა დასაბუთებას გვაძლევს. ის ცხადყოფს, რომ პატრიოტიზმის გრძნობა ყველაზე უფრო ხალხური და ძლიერი გრძნობაა. პატრიოტიზმის გრძნობა, ილიას აზრით, როგორც მზის სხივები, ყველა დანარჩენ გრძნობას აქრობს, აფერმკრთალებს. თავის მხატვრულ ნაწარმოებებში სამშობლოს სიყვარულს იგი აღარებს დედის სიყვარულს შვილისადმი და იმ აზრისკენ იხრება, რომ სამშობლოს სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე დედის სიყვარული შვილისადმი: „დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს (მამულის) სიყვარულში; რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება“ („ქართველის დედა“).

დიდი პატრიოტი ი. ჭავჭავაძე ნაციონალიზმისა და ნაციონალური შეზღუდულობის დაუნდობელი მტერი იყო. ის მუდამ ხაზს უსვამდა, რომ ქვეშე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, გვ. 75, 1951 წ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 11, 1941 წ., გვ. 55.

რიტი პატრიოტიზმი გამორიცხავს ნაციონალიზმს და გულისხმობს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის მჭიდრო მეგობრობისა და თანამშრომლობის აუცილებლობას. ამ მეგობრობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სხვა ეროვნებათა ტრადიციებისა და კულტურის ღრმა პატივისცემა. ჰავეკაძე დაუცხრომლად ქადაგებდა სხვა ხალხების, განსაკუთრებით კი დიდი რუსი ხალხის, ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობას. „... ჩვენ იმ აზრისანი ვართ, — წერდა ილია, — რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს... ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის...“¹

ჩვენ ზევით ვთქვით, თუ როგორ დიდად აფასებდა ილია რუსული ლიტერატურის გავლენას საქართველოს მოწინავე მწერლებსა და მოაზროვნეებზე. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია ჰავეკაძე, ყველა ნაციონალისტისა და ნაციონალისტურად განწყობილი ადამიანებისაგან განსხვავებით, ისტორიულად გარდუვალ და პროგრესულ მოვლენად თვლიდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას.

1899 წელს სახელოვანმა მწერალმა რუსების ჯარის თბილისში პირველად შემოსვლის ასი წლისთავს უძღვნა სპეციალური სტატია „ასი წლის წინათ“, რომელშიც ღრმად და ყოველმხრივ

უკეთებს ანალიზს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიულ გარდუვალობასა და პროგრესულობას. იგი ამტკიცებს, რომ საქართველოს შეერთება რუსეთთან იყო ერთადერთი სწორი ისტორიული აქტი, რომელმაც იხსნა საქართველო სულთანის თურქეთის ან შაჰის სპარსეთის მხრივ საბოლოო განადგურებისაგან. ამ შეერთებამ საქართველოს მისცა იმ მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, რომლის მოპოვებასაც ის დიდხანს ცდილობდა. ის ცხადყოფს, რომ საქართველოს ყველაზე უფრო მოწინავე და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწენი დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან არაერთგზის ცდილობდნენ „ერთმორწმუნე“ რუსეთთან მჭიდროდ დაახლოებას და მისგან დახმარების მიღებას. რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიულ აქტს, რომელიც მოხდა XIX საუკუნის დასაწყისშივე ი. ჰავეკაძე უყურებდა როგორც ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი წინაპრების დიდი ხნის ანდერძთა განხორციელებას.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ქართველი ხალხი იხსნა დაუსრულებელი თავდასხმებისა და აოხრებისაგან რიცხობრივად ქარბი მტრების მხრივ და შესაძლებლობა მისცა მას მშვიდობიანი და შემოქმედებითი შრომისა და განვითარებისა. „ამ ღირსსახსოვარ დღიდან, — წერდა ილია რუსის ჯარის თბილისში შემოსვლის გამო, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰუგავდა ჩვენს მამა-პაპა-

¹ ი. ჰავეკაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ. გვ. 180.

თა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლებდა, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სასოვარად-და დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა... დაიდგა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა" ¹.

რუსეთთან შეერთებული ქართველი ხალხი პატიოსნად და თავგანწირვით იბრძოდა რუს ხალხთან ერთად უცხოელ დამპყრობთა და დამმონებელთა წინააღმდეგ. ქართველმა ხალხმა სისხლით შეჰკრა თავისი ერთგულება და მეგობრობა დიდ რუს ხალხთან. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ქართველი და რუსი ხალხების ამ მეგობრობას და მკაცრად ილაშქრებდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა ძირი გამოეთხარა ამ მეგობრობისათვის. მან მკაცრად გააკრიტიკა ცნობილი რეაქციონერი და შოვინისტი კატკოვი, რომელმაც თავის გაზეთში უდიერად მოიხსენია ქართული დროშა. ი. ჭავჭავაძე წერდა: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუშფიცველად და უჩირქოდ გარდაუცია; გაპირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუდგარია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და შუსულმანობას... ძღვეამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში,

ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ეპიკაციონებულ და თავგანწირვებით თან გაპყობდა, მასთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საციროდ გაგვიხადა ერთმა ვილაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა" ¹.

თავის რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებს ი. ჭავჭავაძე, რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების მსგავსად, ასაბუთებდა მატერიალიზმის საფუძველზე და დიალექტიკის ცალკეული ელემენტების გამოყენების საშუალებით.

ფილოსოფიის ძირითად საკითხს — საკითხს აზროვნებისა და ყოფიერების დამოკიდებულების შესახებ — ჭავჭავაძე მატერიალისტურად წყვეტდა. წინააღმდეგ იდეალისტებისა, მას მიაჩნდა, რომ ბუნება მატერიალურია და არსებობს ობიექტურად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებულად.

ილია აკრიტიკებდა რეაქციულ-რომანტიკული მიმართულების პოეტებს და წერდა, რომ „ის (ბუნება, — ა. ქ.) როგორც ობიექტი არ არსებობს იმათთვის“ ². მეორე ადგილას იდეალისტი პოეტის შესახებ ამბობს: „გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ღბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძნია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი. ეს მიმართულება ისე გაუფლებულია ჩვენში, რომ არამც თუ ჩვენი სასიქადულო და სახელოვანი პოეტები, არამედ ფსიც, ვინც კი უნიჭოდ მოაწყობს ხოლმე ორ

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 9-10, 1928 წ.

² ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, თბილისი, 1927 წ. გვ. 383.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული, ტ. II, გვ. 498, 1941 წ.

რითმას, ისიც ამგვარ პოეზიის მიმდევარია¹.

ჩვენს გარეშე ობიექტურად არსებული ბუნება, სინამდვილე, ი. ჭავჭავაძის აზრით, მატერიალურია და ვითარდება თავისი თვითმყოფი ობიექტური კანონების თანახმად. თვით ცხოვრება განსაზღვრავს თავის კანონებსა და წესრიგს. მწერალი ასახულებს ამ აზრს და ასკვნის: „ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიყრიკაზედ“².

რაკილა ბუნება, თვითმყოფი ცხოვრება აღიარა მატერიალურად, ობიექტურად და პირველად, ჭავჭავაძემ ცნობიერებას თელის მეორადად, მატერიალური სინამდვილის ნაყოფად. ცნობიერება, მისი მტკიცებით, არ არსებობს დამოუკიდებლად და განცალკევებულად. იგი წარმოადგენს მატერიალური სინამდვილის გამოხატულებასა და ნაყოფს. „ცნობიერება მხოლოდ ცხოვრების გამხილავი და გამომეტყველია“³. ცხადია, რომ ცნობიერება როგორც ცხოვრების „გამხილავი“ და „გამომეტყველი“, მატერიალური ცხოვრების ასახვას წარმოადგენს. გამოდის რა ცნობიერების ასეთი ღრმა მატერიალისტური გაგებიდან, ილია უკუაგდება მატერიალური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობის იდეალისტურ-აგნოსტიკურ უარყოფას. მატერიალური სინამდვილის ობიექტური კანონების შემეცნებაში ხედავდა ილია მეცნიერების მთავარ ამოცანას.

აღიარა რა ცნობიერება რეალური, თვითმყოფი ცხოვრების ნაყოფად და ასახვად, ი. ჭავჭავაძეს, წინააღმდეგ ვულგარული მატერიალისტებისა, რომ-

ლებიც აიგივებენ ცნობიერებას და მატერიას და უარყოფენ ცნობიერების აქტიურ როლს, მიაჩნია, რომ ცნობიერება წარმოადგენს ძალას, რომელიც აქტიურად მოქმედებს ცხოვრების განვითარებაზე. ის ხაზს უსვამს, რომ ცნობიერება, მეცნიერება და ხელოვნება, აღმოცენდებიან რა ცხოვრებიდან და ასახვენ რა მის ობიექტურ კანონებს, უკუზეგავლენას ახდენენ თავიანთ წარმომშობ ცხოვრებაზე, ამძრავებენ და ავითარებენ მას. „აი, როგორც შევიძელით, — ასკვნის მწერალი, — ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან... როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალს ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებას თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ“¹.

ცნობიერებისა და ცხოვრების ამ ურთიერთობაში ილია ჭავჭავაძე თვითმყოფ ცხოვრებას, რეალურ სინამდვილეს ანიჭებს პრიმატს, რადენადაც იგი აღიარებულია პირველად და ის წარმომშობს ცნობიერებას, მეცნიერებასა და ხელოვნებას. მეცნიერებასა და ხელოვნებას ქმნის ობიექტური რეალური ცხოვრება თავისი კანონებისა და მოთხოვნების გასააზრებლად და შესაშეცნებლად.

ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული განუწყვეტელი მოძრაობის, გან-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბილისი, 1927 წ. გვ. 385.

² იქვე, გვ. 83.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1953 წ. გვ. 446.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 73, 1927 წ.

ვითარებისა და ბრძოლის დიალექტიკური იდეა ქვეყანაში დაუპირისპირა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის რეაქციულ იდეოლოგიას, რომელიც იცავდა არსებული საზოგადოებრივი წყობილების მარადისობას. მან მოძრაობა და განვითარება აღიარა ცხოვრების საძირკვლად. ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება და ვითარდება; მასში უცვლელი და უძრავი არაფერია. თავის პროგრამულ სტატეას „საქართველოს მოამბეში“ შემდეგი სიტყვებით იწყებს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალბზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“¹.

ცხოვრების უკვდავება მის მარად მოძრაობასა და განვითარებაშია. ცხოვრება მოძრაობით და განვითარებით სულდგმულობს. ცოცხალი ცხოვრება მარადი განვითარება და მუდმივი განახლებაა. იგი მარად უარყოფს ძველსა და ავითარებს ახალს. ამ პროცესის შეჩერება არ შეიძლება, მოძრაობის და განვითარების ძალნი. გზას იკაფავენ ყოველგვარ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვით. დაბრკოლებებთან ბრძოლაში ახალი უფრო ძლიერი და განმტკიცებული გამოდის. ქვეყანაზე წერდა: „თუ ცხოვრება, როგორცა ვსთქვით, ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მო-

ძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ დასრულდნენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მამის ისინი მაინც კიდეც თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები“¹.

ი. ქვეყანაზე მოძრაობას და განახლებას თელის არა ძველის უბრალო გამეორებად, არა წრიულ ბრუნვად, არამედ პროგრესულ განვითარებაში მყოფ პროცესად. ცხოვრების განვითარების ყოველი ახალი საფეხური წარმოადგენს კიდეც უფრო უკეთესი მომავალი სინამდვილის მატარებელს. განმტკიცებული ახლიდან აღმოცენდება კიდეც უფრო უკეთესი მომავალი. პროგრესული ისტორიული განვითარების ჯაჭვში. ილიას სიტყვებით, „ისტორიულ ყველითა გრებილში“ „მომდევარი წინაღმსვლელებზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“².

დიალექტიკის ელემენტებს ი. ქვეყანაზე იყენებდა და აშუქებდა არა მარტო თავის პუბლიცისტურ სტატიებში, არამედ მხატვრულ ნაწარმოებებშიც, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ამას აკეთებდა მხატვრული სახის საშუალებებით. მარადი მოძრაობის, განვითარებისა და ბრძოლის დიალექტიკური პრინციპის შესანიშნავ და ღრმა მხატვრულ-სახოვან გაშუქებას მწერალი გვაძლევს თავის „მგზავრის წერილებში“, რომელიც 1861 წელს დაწერა. იგი იღებს დიდებული და ცივი მყინვარწვერისა (ყაზბეგისა) და მარად მოძრავი, მქუხარე, დაუღეგარი თერგის სახეებს და

¹ ი. ქვეყანაზე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 65.

¹ ი. ქვეყანაზე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 69, 1927 წ.

² ი. ქვეყანაზე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 67, 1927 წ.

მათ ერთმანეთს უპირისპირებს. ამ შედარებით მწერალი უპირატესობას აძლევს და ასაბუთებს მარად მოძრაობას და ბრძოლას, როგორც ცხოვრების არსს. „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადევ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“...¹.

ი. ჭავჭავაძე ვერ მივიდა მწყობრ დიალექტიკურ თეორიამდე, მაგრამ ის იძლეოდა დიალექტიკის ცალკეულ დებულებებს და მათ იყენებდა თავის პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებიც მიძღვნილი იყო უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენებისადმი.

დიალექტიკის ამგვარი ნიმუშებიდან ყურადღებას იპყრობს უპირველეს ყოვლისა ილიას მითითება ქეშმარიტების კონკრეტულობის შესახებ. იგი არაერთგზის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ არ არსებობს განყენებული და უცვლელი ქეშმარიტება, რომ ქეშმარიტება კონკრეტულია და ისტორიული. „რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ქეშმარიტებად, .რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდევ გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ქეშმარიტებად, როგორ არ ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩია თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი“².

ამიტომ, საზოგადოებრივი მოვლენე-

ბის კონკრეტულ-ისტორიულ შესწავლას ილია ჭავჭავაძე თვლიდა მათი სწორი, მეცნიერული გამოკვლევის აუცილებელ მეთოდოლოგიურ მოთხოვნად. იგი ამ თვალსაზრისით მოითხოვდა, მაგალითად, კეთილის და ბოროტის პრობლემის შესწავლას. გამოდიოდა რა ამ მოთხოვნიდან, ილია ამტკიცებდა ეთიკური ცნებების ისტორიულ ხასიათს, ცვალებადობას. მწერალი უარყოფდა კეთილისა და ბოროტის არსებობას ადამიანთა საზოგადოების გარეშე და ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ განვითარებაში ეს ცნებები იცვლება. „კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვი ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის“...¹ „რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთელედა ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევეში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში“².

ისტორიული პროცესის გაგებაში ი. ჭავჭავაძე, ისე როგორც ყველა მარქსამდელი მოაზროვნე, იდეალიზმის პოზიციებზე დარჩა. ის ფიქრობდა, რომ მეცნიერების განვითარება და განათლების გავრცელება ისტორიის მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ ეს განმანათლებლური იდეალიზმი ისტორიის გაგებაში ბევრად განსხვავდება ტრადიციული ბურჟუაზიული, მაგალითად ფრანგი, განმანათლებლების შეხედულებებისაგან. ჭავჭავაძე ამ საკითხში გამოდის დიდი რუსი მოაზროვნეების რევოლუციურ-დემოკრატიული განმანათლებლური შეხედულებებიდან. იზიარებდა რა ყველა განმანათლებლისათ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 21, 1950 წ.

² ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 65, 1927 წ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. VII, თბილისი, 1928 წ. გვ. 75.

² იქვე, გვ. 74.

ვის საერთო მცდარ შეხედულებას, რომ ისტორიის განვითარების მამოძრავებელი ძალა არის მეცნიერების განვითარება და განათლების, ცოდნის გავრცელება, ამავე დროს, რუს რევოლუციურ-დემოკრატიულ განმანათლებლებთან ერთად დაფიქრებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ თვით მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრების, მისი საჭიროებით გამოწვეული ნაყოფია და როგორც ასეთს შეუძლიათ წინ წასწიონ და წასწევენ კიდევ ცხოვრებას, ისტორიას. „რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას მიჰყავს წინ? — კითხულობს ილია თავის პროგრამულ სტატიამი „საქართველოს¹ მოამბეში“ და იქვე უპასუხებს: „ცოდნას, მეცნიერებასა, რომელნიც თვით ცხოვრების ნაყოფნი არიან“¹. იმ დებულებას, რომ ცოდნა და მეცნიერება თვით ნაყოფნი არიან ცხოვრებისა, ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მას არაერთგზის ასაბუთებს. საკითხს მეცნიერებისა და ხელოვნების, როგორც ცხოვრებისა და ისტორიის მამოძრავებელ ძალთა როლის შესახებ იგი ხსნის საერთო პრინციპული საკითხის — ცნობიერებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების რეალურ სინამდვილესთან, ცხოვრებასთან დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტის საფუძველზე. ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ აღიარა რა ცნობიერება, მეცნიერება და ხელოვნება — შეორადად, თვითმყოფი ცხოვრების ნაყოფად, იგი სრულიადაც არ უარყოფს მათს აქტიურ შემოქმედებას მათს წარმომშობ რეალურ ცხოვრებაზე.

მეცნიერება და ხელოვნება რეალური ცხოვრებიდან და მისი საჭიროებებიდან წარმოიშობა. ისინი გაიზარებენ

მათ წარმომშობ ცხოვრებში და მის საჭიროებებს, აღმოაჩენენ მათ კანონებს. ამ კანონების გამოყენება ცხოვრებას და წინ სწევს ცხოვრებას, ისტორიას. „ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველათვის, — ასვენის ილია, — ... რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იზადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება“¹.

ცხადია, რომ ყოველივე ამის მიუხედავად ი. ჭავჭავაძე მაინც პრინციპულად განმანათლებლური იდეალიზმის პოზიციებზე დარჩა, რამდენადაც ეს ისტორიის განვითარების მამოძრავებელ ძალად აღიარებდა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას და მათს გავრცელებას ხალხის ფართო ფენებში. მართალია, იმის აღიარება, რომ მეცნიერება და ხელოვნება იმიტომ სწევენ ცხოვრებას წინ, იმიტომ ავითარებენ ცხოვრებასა და ისტორიას, რომ თვითონ ცხოვრების ნაყოფნი არიან ცხოვრების კანონების აღმოსაჩენად, მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა, მაგრამ იგი ვერ იქნება მაინც გადამწყვეტი და გამსაზღვრელი, რამდენადაც ვერ გვიხსნის ობიექტური ცხოვრების განვითარების მატერიალურ კანონებს — საზოგადოების მატერიალური ცხოვრების წარმოების წესს, ურომლისოდაც წარმოდგენილია ისტორიის მატერიალისტური გაგება.

მაგრამ ისტორიის ამ განმანათლებლური-იდეალისტური გაგებასთან ერთად ჭავჭავაძემ წამოაყენა მთელი რიგი ისეთი დებულებანი, რომლებიც უახლოვდებიან მეცნიერულ, მატერიალის-

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 68, 1927 წ.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 83, 1927 წ.

ტურ გაგებას. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, მის მიერ ისტორიის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის აღიარება, ისტორიაში ხალხის მასების გადაწყვეტი როლის გაგება, ისტორიის ობიექტურ-კანონზომიერ პროცესად აღიარება და ა. შ. ჯერ კიდევ თავის პირველ კრიტიკულ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოვის „შემოღობის“ თარგმანზედა“ ახალგაზრდა მწერალი იცავდა ისტორიის დიდ შემეცნებით მნიშვნელობას. ის წერდა: „იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება? თუ ამას ფიქრობენ, მაშინ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის პიკასა, როგორ უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ“¹.

ისტორიის დიდ შემეცნებით მნიშვნელობის აღიარებას ი. ჭავჭავაძე მჭიდროდ უკავშირებდა ისტორიის, როგორც ობიექტურ-კანონზომიერი პროცესის შემეცნებას. ისტორია, მისი აზრით, იცვლება მისი საკუთარი ობიექტური კანონებით და არა ცალკეული, თუნდაც ფრიად გამოჩენილი პიროვნებების სურვილითა და ბრძანებით. ისეთ აღმანიანებს, რომლებიც უგულვებელყოფენ ისტორიის ობიექტურ კანონებს და რომლებსაც სურთ შეცვალონ მისი. მოვლენების მსვლელობა თავიანთი სუბიექტური ზრახვების მიხედვით, იღია ბრძოლებს უწოდებს. „ჩვენ ისე არ გავბრძოლებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვიხდომით

ცხოვრების გატარება“, — ამბობდა იგი. უნდა აღმოვაჩინოთ ისტორიის ობიექტური კანონები და იგი დარტყვა მისათვის მისაწვდომი გაეხადოს, რათა მის შესაბამისად გაიუმჯობესონ ცხოვრება, სინამდვილე. „თვითონ ცხოვრება, — წერდა ის, — აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის... კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს“¹.

ჩვეულებრივი ბურჟუაზიული განმანათლებლებისაგან განსხვავებით, ი. ჭავჭავაძე, როგორც რევოლუციური დემოკრატი, ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად თვლიდა არა განათლებულ პიროვნებებს, მეფეებს ან გამოჩენილ სარდლებს, არამედ ხალხთა მასებს, ხალხს. იგი ბრალს დებდა ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიას, რომ ის მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და არა ხალხის ისტორია, მაშინ როდესაც ხალხია, და არა მეფეები ან სარდლები, ისტორიის გადაწყვეტი ძალა. „ჩვენს ისტორიაში, — წერდა იღია, — ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საექვოა. ჩვენ ვამბობთ მართა იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ, ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვითებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორიაა ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენსაგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საქამოა კაცმა იყო-

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწარების სრული კრებული, ტ. II, გვ. 8, 1941 წ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გვ. 78, 1927 წ.

დეს მარტო მეფეთა ისტორია“¹. ილიას არ იზიდავდა მეფეთა ისტორია, ის ხალხს ეძებდა, როგორც ისტორიის მოძრაებულ ძალას. „მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, — წერდა იგი ჯერ კიდევ მანამდე ერთ-ერთ პირად წერილში, — რომ მეფეების და იმების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“².

რაკი ილია ხალხს ისტორიის მთავარ მოქმედ პირად თვლიდა, ამიტომ მოითხოვდა ხალხის განათლებას, მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვართა ხალხის ფართო მასებში გავრცელებას. მაგრამ ხალხის განათლების მხურვალე გადაგებას ის უყურებდა არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც საშუალებას, რომლითაც დაჩაგრული ხალხი პოლიტიკურ თავისუფლებას მოიპოვებდა. ი. ჭავჭავაძე, ისე როგორც დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები, განათლების იდეებს უკავშირებდა მთელი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების იდეალს. მოუწოდებდა რა აქტიური ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ის მეცნიერებას და ხელოვნებას განიხილავდა როგორც ამ ბრძოლის ძლიერ საშუალებას. ამით აიხსნება, რომ ილია ასეთი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მეცნიერებისა და ხელოვნების მოწყვეტას ცხოვრებიდან, ხალხის უშუალო ინტერესებიდან. მეცნიერება და ხელოვნება ღრუბლებიდან და ბუნდოვანი სფეროებიდან ძირს, რეალურ სინამდვილეში, ხალხში უნდა დაეშვან და მოგვეცენ პასუხი ცხოვრების, ხალხის საჭიროებებსა და გადაუდებელ საარსებო საკითხებზე. ეს მიზანი საერთო უნდა იყოს როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნებისათვის. ამ საერთო ამოცანას და მიზანს მეცნიერება და ხელოვნება ახორციელებენ თვითელი თავისი საშუალებებით. მეცნიერება — ლოგიკური ცნებებით, ხელოვნება — სახეებით, სურათებით. „მეცნიერებას და ხელოვნებას, — წერდა იგი თავისი ეურნალის „საქართველოს მოამბის“ პროგრამული მოთხოვნის სახით, — ჩვენ ვუყურებთ. როგორც ცხოვრების გასააჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამოცხვარსა და მშვიერთთავეის მოსახმარესა და გამოსაღვსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვანზე... ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დაეინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვას“, „გაფლარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლოთს ცემასა“... დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა“¹.

მოწინავე რევოლუციური-დემოკრატიული იდეები შეუძლებელია განამტკიცო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ სფეროში ენის დემოკრატიზაციის გაუტარებლად, ენისა, რომელიც, როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, „განვითარებისა და ბრძოლის“ იარაღია. ი. ჭავჭავაძე თავისი მრღვაწეობის დასაწყისიდანვე, როგორც უკვე

მოწინავე რევოლუციური-დემოკრატიული იდეები შეუძლებელია განამტკიცო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ სფეროში ენის დემოკრატიზაციის გაუტარებლად, ენისა, რომელიც, როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, „განვითარებისა და ბრძოლის“ იარაღია. ი. ჭავჭავაძე თავისი მრღვაწეობის დასაწყისიდანვე, როგორც უკვე

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 201, 1927 წ.

² ი. ჭავჭავაძე, წერილები, 1949 წ. გვ. 35.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 79-80, 1927 წ.

აღნიშნეთ, ენერგიულად გამოვიდა ლიტერატურული ენის დემოკრატიზაციის დამკველად. ახალი, ხალხურ ენაზე დაფუძნებული, ლიტერატურული ენის აუცილებლობის დასაბუთებისას მან გამოთქვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებები ენისა და აზროვნების ურთიერთობის შესახებ, ლიტერატურული ენის ხასიათის შესახებ და ა. შ.

ი. ჭავჭავაძე ენასა და აზროვნებას განიხილავდა განუყრელ ერთიანობაში. ის ხაზს უსვამდა მათს მჭიდრო კავშირს და ურთიერთგანპირობებულობას. ის არ ცნობდა აზრს ენის გარეშე და ენას აზრის გარეშე. აზრი გამოიხატება ენის საშუალებით. სიტყვა აზრის გარეგანი სამოსელია. „ის-კი არ იციან, — ამბობდა იგი თავის მოწინააღმდეგეებზე, — რომ სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“¹. ენა აზროვნების საშუალებაა. ამასთან ერთად ილია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ აზრის გარეშე არც ენა არსებობს. აზრი აძლევს ენას მნიშვნელობას. „აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“², — ამბობდა ის.

ენის შემოქმედად, მის კანონმდებლად ი. ჭავჭავაძე თვლიდა ხალხს. „ხალხია ენის კანონის დამდები“³ — აცხადებდა იგი. ხალხის ცხოვრების შეცვლასა და განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება აგრეთვე ენაც. ენის დაცემის ნიშნად მიაჩნდა მას, როდესაც ენა ხალხის ცხოვრებას მოწყდება. თავისი მოწინააღმდეგეების საბუთებს იმის შესახებ, რომ ესა თუ ის სიტყვა შენახული უნდა იქნეს იმიტომ, რომ ისინი ძველ წიგნებში, ძველ ძეგლებშია ხმარებული, ილია უარყოფდა, როგორც უსაფუძვლოსა და

მეტაფიზიკურს. ამა თუ იმ სიტყვის ვარჯისობა თუ უვარჯისობა განადაწუდეს არა იმის მიხედვით, იხმარებოდა თუ არა ისინი ძველ წიგნებში, არამედ იმის მიხედვით, ხმარობს თუ არა მათ ხალხი ამჟამად. ენის განვითარების ძალით, სიტყვები და ასოები, რომლებიც ვარგოდა და იხმარებოდა ერთ ისტორიულ პირობებში, შეიძლება უვარჯისი და ზედმეტი გახდეს სხვა, უკვე შეცვლილ ისტორიულ პირობებში. „კაცის ენა, — წერდა იგი, — კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარჯისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა. მაშასადამე, თუ მიზრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ ეს ასო, — ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება“⁴.

კონსერვატორებისა და არქაისტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ლიტერატურულ ენას და რეალისტურ ლიტერატურას. მან შექმნა კრიტიკული რეალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული მთელი აიგი მხატვრული ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებთა იდეურ და მხატვრულ ღირსებებზე აქ ვერ შევიჩრდებთ.

60-ან და 70-ან წლებში ილია ჭავჭავაძის მიერ განვითარებულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა და მატერიალისტურმა შეხედულებებმა დიდი როლი შეასრულეს მოწინავე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის განვითარებაში.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 37, 1927 წ.

² იქვე, გვ. 41.

³ იქვე, გვ. 47.

⁴ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 43, 1927 წ.

დავით მიქელაძე (მეველე)

1843 — 1918

★

რუსეთის რევოლუციონერ - დემოკრატებს ადზრდილი და ამ იდეების ერთ-ერთი ქართველი პოპულარიზატორი, რადიკალურად მოაზროვნე პუბლიცისტი, ნიჟიერი ფელეტონისტი და თავისი ღრისათვის შესანიშნავი ჟურნალისტი „მეველე“ — დავით მიქელაძე თვალსაჩინო ფიგურაა სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა პლეადაში. ახალი თაობის ამ დასით განაწყენებულმა გრიგოლ ორბელიანმა „შვილების“ მიმართ თავის ცნობილ „პასუხში“ ერთი საგრძნობი ქიმუნჯი დავ. მიქელაძესაც უწილადა. „მამათა“ თაობის პატრიოტი პოეტი წუხდა, რომ მის სათაყვანო „გმირთა სამშობლოს“ თანდათან „ეხელმწიფებოდნენ“, მისი აზრით, „ცრუ პოეტები, ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები, მესხი, მეველე, მელიქაძეები“. გრ. ორბელიანი ახალ ვითარებასა და მომავლის გათვალისწინებაში თუ მკლარ პოზიციაზე იდგა, არ ცდებოდა „მეველეს“ პუბლიცისტური ძალის შეფასებაში.

ეს ძალა ერთ-ერთი მიქელაძე შენაკადი იყო იმ ახალი დაჯგუფებისა, რომელსაც შემდეგ „შვილთა“ ბანაკი ეწოდა და რომლის წარმომადგენელთა უმეტესობის საქმიანობას გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერალი ნ. ჩერნიშევსკი თავის ჟურნალ „სოვერემენიკში“ იწონებდა. ჩერნიშევსკის აზრით, მათი ნაწერები და მოღვაწეობა სიმართლისათვის ბრძოლა იყო და საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა (ტ. II, 72).

ამ მოწონებაში საკმაო წვლილი დავით მიქელაძესაც ხედება. ის იყო ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი, სერგეი მესხის გაზ. „დროების“ მუდმივი თანამშრომელი, აქტიური წევრი მოწინავე ქართველთა იმ დასისა, რომელსაც ამშვენებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, დავ. ერისთავი, კ. ლორთქიფანიძე და სხვა იმდროინდელი ცნობილი ქართველი მოღვაწეები, მწერლები, ლიტერატორები და ჟურნალისტები.

დავით (იგივე დათა) ალექსანდრეს ძე მიქელაძე დაიბადა 1843 წელს სოფ. კულაშში. მამა მწერლისა, რომელსაც სეხნია თანამოგვარეთაგან გასარჩევად დიდ ალექსანდრეს ეძახდნენ, შეძლებული თავადი იყო, — ქართულ მალიციაში ნამყოფი, 1854 — 1878 წ.წ. თურქეთთან წარმოებულ ომების მონაწილე. რამდენიმეჯერ დაჯილდოებული მხედარი, გვარდიის პოლკოვნიკი და ბოლოს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის პირველი წინამძღოლი.

დავით მიქელაძე 1853—1863 წლებში ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. ჟურსის დამთავრების შემდეგ, 1863 — 67 წ.წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო უმაღლესი განათლების დასამთავრებლად გაემგზავრა პარიზში, სადაც 1873 წლის მაწურულამდე დარჩა.

ამ ხნის განმავლობაში ევროპა ისტორიულმა მოვლენებმა მოიცვა. გერმანიასთან ომში დამარცხებულ საფრანგეთში რევოლუციის ხანძარი, 1871 წლის 18 მარტის აჯანყებამ კომუნის დაარსება გამოიწვია. მსგავსი მოვლენები ამ ღირსშესანიშნავი ამბების თვითმხილველი და ერთგვარად მონაწილე შეიქნა. საზოგადოებრივი საკითხებით და რევოლუციური მოძრაობით გატაცებულ დავითს ხიბლავდა ფრანგ რევოლუციონერთა გაბედული მოქმედება და ზოგიერთების ორატორული ნიჭი. იმ ხანებში პარიზში შედგა ქართველი ახალგაზრდების მცირერიცხოვანი ჯგუფი. ამ ჯგუფში მაშინ პარიზში მყოფი ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეც ერია. ცნობილია ამ პატარა წრის მიზანდასახულობა, ეს იყო ევროპის სახელმწიფო მოღვაწეების დახმარებით საქართველოს განთავისუფლება თვითმპყრობელობის კლანჭებისაგან.

ამგვარი იდეებით გამსჭვალული დავით მიქელაძე 1871 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. გაზეთ „დროებაში“ მკითხველთა ყურადღებას იქცევდა მისი დემოკრატიული ხასიათის კორესპონდენციები და წერილები პარიზიდან. ეს წერილები იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობას ასახავდნენ.

დ. მიქელაძის იმ ხანების ჟურნალისტურ მუშაობაში ყველაზე უფრო საგულისხმო და აღსანიშნავია მისი დაინტერესება პარიზის კომუნით და, საერთოდ, სოციალური საკითხებით. მიუხედავად ცენზურული დევნისა და შევიწროებისა, მან მოახერხა ამ საკითხების გაშუქება და ასახვა ქართული გაზეთის ფურცლებზე.

მაშინდელი მკითხველის ყურადღებას უთუოდ იპყრობდა გაზეთი „დროების“ ფურცლებზე დაე. მიქელაძის ხელმოწერით მოთავსებული პარიზიდან გამოგზავნილი კორესპონდენციების სერია. ამ წერილებში უმთავრესი ადგილი პარიზის კომუნასა და პირველი ინტერნაციონალის შექმნის საკითხებს აქვს დათმობილი.

ინტერნაციონალის, ანუ როგორც „დროების“ კორესპონდენტი დ. მიქელაძე უწოდებდა, „ხალხთა შორისი მუშების საზოგადოების“, უმთავრესი მიზანია გამოიყვანოს მუშა ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ეხლა იმყოფება, და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად“ („დროება“, 1872 წ. № 7).

პარიზის კომუნის გარშემო იმდროინდელი ქართველი მკითხველი 1871 წლის „დროების“ ყოველ ნომერში კითხულობდა ახალ ცნობებს, თუ როგორ მიმდინარეობდა 18 მარტს პარიზში დაწყებული აჯანყების საქმე, რომელიც, გაზეთ „დროების“ (№ 17) სიტყვებით რომ ვთქვათ „ლუკმა-პურისათვის ბრძოლა იყო“.

„დროების“ მკითხველისათვის საკვირველიც იყო ის ცნობა, რომ ამ მსოფლიო მნიშვნელობის მოძრაობის — პარიზის კომუნის — ბარიკადებზე იარაღით ხელში ქართველი ვოლონტიორებიც იბრძოდნენ კომუნართა დასახმარებლად („დროება“, 1872 წ. № 22).

თოფით შეიარაღებულ ამ ქართველ კომუნართა გვერდით თამამად შეიძლება დავაყენოთ მაშინ ენევესა, ციურისსა და პარიზში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტებიც. მათ შორის დაე. მიქელაძეს შესამჩნევად ადგილი ექვია.

ამ ხანებს მიეკუთვნება დაე. მიქელაძის, ნ. ნიკოლაძის და პ. იზმაილოვის მიერ პირველი სოციალისტური მიმართულების არალეგალური ქართული გაზეთის — „დროის“ გამოცემა პარიზში. „დროის“ პირველი ნომერი 1873 წ. 14

აპრილს გამოსულა. გაზეთის სათაურზე გამოსახულ გამწვანებულ ფრთებზე წარწერილი იყო ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „აწმყო თუ აღარ გავწყალობს, მომავალი ჩვენია“. გაზეთი სულ 10 ნომერი (თითო ას-ასი ცალი) დაამუშავა ჰექტოგრაფზე. მათგან, საქართველოში მხოლოდ სამ ნომერს ჩამოუღწევია (დაცულია „იმელსში“), დანარჩენი კი, როგორც ნიკო ნიკოლაძე უჩვენებს, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. აღნიშნული სამი ნომრის გაცნობითაც ამკარავდება გაზეთის დაინტერესება საგარეო პოლიტიკით, სოციალიზმის პრობლემებითა და სხვა სოციალურ, ისტორიულ, ნაციონალურ და მუშათა მოძრაობის საკითხებით. „დროშის“ ამ 3 ნომრის გაცნობითაც ირკვევა, რომ გაზეთის ფურცლებზე ყველაზე აქტიურად დავით მიქელაძე მონაწილეობდა.

დ. მიქელაძის კალმის სიმახვილითა და ნაყოფიერებით მოხიბლულ სერგეი მესხი 1873 წლის 13 სექტემბერს პარიზიდან სწერდა მაშინ ციურჩისში მყოფ თავის მომავალ მეუღლეს — ეკატერინე მელიქიშვილის ასულს: „მომავალი წლიდან ახალი პლანები მაქვს გაზეთის თაობაზე, მინდა მიქელაძე წავათრიო აქედან და ახალი წლიდან კვირაში სამჯერ გამოვსცე გაზეთი... ეს თუ მეყოლა, სხვა არაფერ მინდა. ჩვენ ორნი ძალიან კარგად გამოვიყვანთ გაზეთს კვირაში სამჯერო“ („ლიტ. მემკვიდრ.“ ტ. I).

დ. მიქელაძე 1873 წლის მიწურულში მართლაც პარიზიდან თბილისში დაბრუნდა. თუ მისი სტატიები სათაურით — „საფრანგეთიდან“ თითქმის ყოველ ნომერში (№ 1 — 30-მდე) იბეჭდებოდა, დეკემბრის პირველ რიცხვებში ის უკვე თბილისშია და „დროებაში“ (№ 499, 400, 401) კვლავ ჩნდება „მეველეს“ ცოცხალი ფელეტონები, რომელთა უმეტესობა ეხება სამეურნეო საკითხებს, გლეხთა უფლებების დაცვას, თეატრს, ქართული ინტელიგენციის საქმიანობას და სხვ. დავ. მიქელაძე აღშფოთებით შეხვდა კაცხელ აბაშიძეთა საქციელს ადგილობრივ გლეხთა მიმართ. ამ საკითხს მან ვრცელი მოწინავე წერილი უძღვნა სათაურით — „აღივსო საწყაული“ („დრ.“ 401). სტატიის დასკვნაში იგი მიმართავს თავად აბაშიძეებს, თუ რომელი კანონის საფუძველით თხოულობენ ისინი თავისუფალი ადამიანები ხელახლა „საბატონო უფლებაში ჩაადგონო?“

ერთ წერილში ის მოითხოვს, რომ თეატრის რეპერტუარი კარგად უნდა იყოს შერჩეული, მსახიობები უნდა იყვნენ მომზადებულნი, დადგმა ყოველ მხრივ გამართული, „თორემ სცენა სატიკტიკო და სალაყბო მოედნად იქცევაო“ („დრ.“ 402).

მევიღეს უამრავ ფელეტონებსა და მეთაურ სტატიებს მთელი გაზეთი მიჰყავდა და მას ერთგვარ გეზსა და მიმართულებასაც აძლევდა. როცა რედაქტორი ს. მესხი პარიზში განაგრძობდა ყოფნას (1873 — 74), დ. მიქელაძე იყო გაზეთის ფაქტიური რედაქტორი, გამომცემელი და უმთავრესი თანამშრომელიც. ადევნებდა რა თვალყურს პარიზში მყოფი ს. მესხი „დროების“ ნომრებს, 1874 წლის 20 იანვარს კვლავ სწერდა თავის მეუღლეს, რომ ეს ერთი წელიწადი როგორმე გასძლებდეს, ამა წლის ნოემბერში მეც ჩამოვალ და დიდი იმედი მაქვს, რომ ერთი კი არა, სამ კარგ ნომერს გამოვსცემთ კვირაში მე, მიქელაძე და კირილეო“ („ლიტ. მემკვიდრ.“ ტ. I).

დ. მიქელაძის ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ნიჭის დასახასიათებლად საგულისხმოა ს. მესხის შემდეგი სიტყვებიც. ერთ-ერთ ბარათში იგი სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „მოწინავე სტატიებს მე და მიქელაძე გავიყოფთ, სადაც ვაკრივით ლოდიკა, მოსწრებული სიტყვა, დამჯდარი ლაპარაკი იქნება საქირო,

იქ მე დავწერ მოწინავეს, სადაც ლოკრუსავეთ გაცხარებული სიტყვა, ყვერ-
ლი, ბაქი-ბუქი იქნება გამოსადეგი, იქ მიქელაძე მეყოლებოა“ (იქვე).

პირველი ნამდვილი ქართული პრესის ამ თავდადებული მუშაკის გვეხსენებენ მისივე უანგარო, დაუცხრომელი შრომისა და მეველეს მსგავს მეგობართა დახმარების შედეგად, გადაჭარბებით შესრულდა. გაზეთი „დროება“ 1877 წლიდან ყოველდღიურ გამოცემად იქცა. მისი ძირითადი და წამყვანი თანამშრომლები, გარდა რედაქციის მუშაკებისა (დ. მიქელაძისა და კ. ლორთქიფანიძისა), იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ალ. ყაზბეგი, ნ. ნიკოლაძე, ვ. პეტრიაშვილი, პ. უმიკაშვილი, ივ. მანაბელი, ი. მეუნარგია, გ. თუმანიშვილი და სხვანი. მათ შორის იყო დავით მიქელაძეც. ს. მესხის სიტყვით ის იყო „სიმპატიური, ყველასათვის საყვარელი კაცი, თვალადი, კარგი ტანადი, ლამაზი, კარგად ზრდილი, ყუყუნა თვალებიანი და ფართო შუბლით... მის ხასიათში საშუალო საუკუნის რაინდული თვისებანი და მე-19 საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილება ერთად იყო შეზავებული... ის იყო პარიზში ნამყოფი და აღტაცებული ფრანგების პოლიტიკური ცხოვრებით და ნაციონალური კრების ორატორებითო...“ (ს. მესხი. თხზ. ტ. I, გვ. 334).

ს. მესხის ეს „საყვარელი კაცი“ ამ კრების მართო ორატორებით როდია გატაცებული. იგი დინტერესებულია აგრეთვე ლონდონში არსებული იმ კომიტეტით, „რომლის შეთავარი, როგორც მეველე წერს, ყოფილა ნემეცი კარლ მარქსი, რომელმაც კრებას საზოგადოების ანგარიში წაუკითხა. კრებამ გადაწყვიტა, რომ განსაკუთრებული ყურადღება საფრანგეთისა და რუსეთის მუშებს უნდა მივაქციოთ“.

1873 წ. დავ. მიქელაძე თავის პარიზულ სტატიასი კიდევ უფრო ვრცლად ეხება იმ კომისიის საქმიანობას, რომლის პრეზიდენტი ბუა ლუი-ბლანი და რომელიც იმ ხანებში ამუშავებდა საკითხს ბავშვებისა და ქალთა შორის პირობების შესახებ ფაბრიკა-ქარხნებში. „მაგრამ ეს კიდევ რაა,—განაგრძობს მიქელაძე,— გაიგონეთ, რას ამბობს კარლ მარქსი: ინგლისის ფაბრიკებში მომუშავენი ისეთ გაქირვებაში არიან, რომ ორი წლი-ნახევრის ბაღლებს დააჯღენენ სამუშაოზედ და რვა-რვა საათს ამუშავებენ დღეში“ („დრ.“ № 6). საცენზურო კომიტეტის მიერ აკრძალულ ერთ-ერთ სტატიასი დასახელებულია აგრეთვე კარლ მარქსის ცნობალი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და ციტირებულია ამ ნაშრომის წინასიტყვაობიდან დიდი ნაწალი.

აქედან, ცხადია, არ შეიძლება დაეასკვნათ, თითქოს საქართველოში მარქსიზმის შემომტანი მეველე ყოფილიყოს, მაგრამ ის მძლავრი ტენდენცია, რომელიც მის პუბლიცისტიკას ახასიათებს, ტენდენცია სოციალური საკითხების, ახალი პოლიტიკური ვითარების, კ. მარქსის, ლუი ბლანისა და სხვათა ღვაწლის გამუქებისა ქართველი მკითხველის წინაშე, დ. მიქელაძეს ერთგვარ დამსახურებად ჩაეთვლება. მიქელაძე მართო ცნობების მოკრეფითა და სტატიების წერით როდი კმაყოფილდებოდა. ის ცდილობს, პირადად იცნობდეს ისეთ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ გამბეტა, პრუდონი, ლუი ბლანი, ლანგლუა, ბაზენი და სხვები. ნაწილობრივ ის კიდევაც ახერხებს ამას. მათგან უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილებები მისთვის ერთგვარი შთამაგონებელი წყარო ხდება. თავის პუბლიცისტურ მუშაობაში მას იგი ქართული აზროვნებით ავლენდა. ამ აზროვნების საერთო დროშაზე კი სერგეი მესხის სიტყვები ეწერა: „მომავალი ყოველთვის ახალგაზრდებს ეკუთვნისო“.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დავით მიქელაძეს არ აკმაყო-

ფილებდა ლეგალური მუშაობა, რა გზითაც ქართველი ინტელიგენციის უღედესი ნაწილი ცდილობდა საქართველოსათვის სხვადასხვა უფლებების მოპოვებას. მან მელიტონ ნაკაშიძესთან ერთად მოაწყო ფარული რევოლუციური (საზღვრისა) ზაცია, რომელმაც რამდენიმე რევოლუციური აქტი მოახდინა ხალხის უკმაყოფილო მოხელეების მკვლელობის სახით. მაგრამ მთავრობის სასტიკი რეპრესიის შედეგად ეს ორგანიზაცია მალე დაიშალა. მ. ნაკაშიძე სტამბოლში გადასახლდა და იქ, ბალკანეთის რევოლუციონერებთან განაგრძო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა. დავ. მიქელაძე კი იძულებული გახდა, კვლავ ლეგალურ მდგომარეობაში განეგრძო მუშაობა, თუმცა ამ ლეგალურ პრესაშიაც ახერხებდა ის თავისი აზრის გამოთქმას ბალკანეთის იმ სახელმწიფოებზე, სადაც მისი მეგობარი მ. ნაკაშიძე გადაიხვეწა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი სტატიები ბულგარეთზე, რომელიც ის-ის იყო თურქეთის მონობის მძიმე უღელს აღწევდა თავს.

დავით მიქელაძემ ბულგარეთის განთავისუფლების საკითხსაც მიუძღვნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია, სადაც მეტად საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვა. მისი აზრით თურქეთის საშინელი მონობიდან თავდაღწეულ ბულგარეთზე ახლა ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები ილესდნენ კბილს. ევროპის დიდი სახელმწიფოების ეს განსაკუთრებული ყურადღება პატარა ბულგარეთისადმი გამოწვეული იყო არა მარტო ამ ქვეყნის სიყვარულითა და პატივისცემის უანგარო გრძნობებით, არამედ მისი გეოგრაფიული მდებარეობის დაუფლების აუცილებლობით ევროპის კაპიტალიზმისათვის, ეს „გეოგრაფიული მდებარეობა, — წერდა მეველე, — ჰხდის ბულგარეთს, არა თუ საინტერესოდ, არამედ საფრთხილო ერად, რომელზედაც დამოკიდებულია მრავალი დიდი და თვალსაჩინო ინტერესი ევროპის სახელმწიფოებისა“ („ივერია“, 1893 წ. №149).

ბულგარეთის სამოქალაქო ცხოვრების კიდევ უფრო დაკვირვების შემდეგ იგივე მეველე წერდა: „დიდისხნით დაჩაგრული და დაბეჩავებული ბულგარელი წელში გაიმართა, ხალხმა ეხლა პირველად იგრძნო, რომ ისიც ადამიანი ყოფილა და მცირე ერს, სადაც კი სამართალი ფხიზლობს, ისეთივე წილი უღვეს ქვეყნის ბედნიერებაში, როგორც დიდ სახელმწიფოს. ამ ქვეყანამ ცხადად დაინახა და დარწმუნდა, თუ რა განსხვავებაა დამორჩილებულ, უფლებადახდილ მონასა და თავისუფალ მამულიშვილს შორის“ (აქვე, № 243). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი მებრძოლისათვის, როგორც მეველე იყო, ამგვარი განწყობილება დამახასიათებელია. ყოველი მცირე ერის უფლებებისა და ღირსების დაცვა იმდროინდელი მოწინავე ქართველის ერთგვარი მოვალეობა იყო და მით უფრო რაინდულად განწყობილ დავით მიქელაძისა, რომელსაც მეგობრები ზემოთხსენებულ ცინცინატს და ხან გარიბალდს უწოდებდნენ. მართლაც, იგი ყოველთვის აჯანყების გუნებაზე იყო.

ახალი აზროვნების ისტორიაში დავით მიქელაძეს უთოვოდ საპატიო ადგილი უჭირავს. იგი მთელი სამი ათეული წლების მანძილზე სამწერლო ასპარეზიდან არ გასულა. 1885 წლამდე, ვიდრე გაზეთი „დროება“ ცოცხლობდა, მეველე მისი განუყრელი თანამშრომელი იყო. ხოლო როდესაც ბაუროკრატიულმა მთავრობამ „დროება“ დახურა და მის ნაცვლად ილია ქავეჯავაძემ ეურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა (1886 წ.), მეველე ამ გაზეთის რედაქციაში იქნა მიწვეული — ჯერ როგორც თანამშრომელი და შემდეგ როგორც რედაქციის მუდმივი მუშაკი.

ილია ქავეჯავაძემ 1892-3 წლებში გაზეთის წარმოება მთლიანად დ. მიქელა-

ძეს მიანდო. დათა იყო გაზეთის ფაქტიური რედაქტორი, რედაქციის გამგე. მეთაურებისა და სხვა სარედაქციო წერილების ავტორიც. სწორედ აქ პერიოდს ემთხვევა ნიკო დადიანის ცნობილი „საამდროვო გამოცანების“ დაბეჭდვა გაზეთ „ივერიაში“. ამ გამოცანებში დათა მიქელაძეს შემდეგი აკროსტიხული სტრიქონები მიეძღვნა:

ღროზედ მჭევრი სიტყვა იცის, წერთაცა წერს თამამად,
პუინდელი ცხოვრების სვე საზრუნად აქეს და საწამად,
შავისასა არას დასდევს, ეკიდება არა შვამად,
ამ ღლის ვარამს მეღვრად ებრძვის და მით უფთა უჩანს შხამად.

დათა მიქელაძეს, მართალია, უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ის საკმაოდ განათლებული-კაცი იყო, ფრანგული და რუსული ენის კარგ მცოდნედ ითვლებოდა.

გასული საუკუნის მიწურულში დ. მიქელაძე თავს ანებებს ჟურნალისტურ მოღვაწეობას და საცხოვრებლად გადადის ქუთაისში. აქ მას ირჩევენ შავი ქვის მრეწველობის საბჭოში. მას ამ მხარეზე თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების საქმეში.

უკანასკნელ ხანებში დავითი მუშაობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრად და ზოგჯერ დირექტორადაც.

აღსანიშნავია დავით მიქელაძის აქტიური მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. ის არ შეუშინდა რევოლუციის ჯალათ ალიხანოვ-ავარსკას, რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად და დაძაგული რაზმების უფროსად. 1906 წ. 12 მარტს ერთ-ერთ მრავალრიცხოვან მიტინგზე დავითმა თამამად განაცხადა სასტიკი პროტესტი ამ რაზმების ველური მოქმედების გამო. შემდეგ მან ეს პროტესტი კიდევ უფრო მკაცრად და დასაბუთებულად გამოთქვა იმ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც დასაყვეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობას მიართვა. ყრილობა მაშინ ირჩევდა სახელმწიფო საბჭოში გასაგზავნ დეპუტატს, რომელსაც ქართველი ხალხის უფლებები უნდა დაეცვა. დავ. მიქელაძის განცხადებაში მოცემულია მთელი სამოქმედო პროგრამა, რომელიც თავის შინაარსით ძლიერ უახლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს დეპუტატის ილია ჭავჭავაძის მიერ ამ საბჭოზე წარმოდგენულ ისტორიულ სიტყვას.

1909 წ. 22 თებერვალს ერთ-ერთ ყრილობაზე წარმოდგენილი სიტყვის გამო ქუთაისის გუბერნატორ სლოვოჩინსკის (რომელსაც სალდაფონობისათვის „სვოლოჩინსკის“ ეძახდნენ) განკარგულებით დავ. მიქელაძე დაპატიმრებულ იქნა. მოსთხოვეს დაეწერა ის სიტყვა, რაც მან ამ ყრილობაზე წარმოდგენა. დავითმა შეუმცირებლად და უკლებლივ დაწერა და დაამატა ისიც, რაც იმ კრებაზე კიდევ უნდა ეთქვა. დავითის ამგვარი გამბედაობამ საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. მსკოვანი მოღვაწე ძლიერ გადაურჩა ციმბირში გადასახლებას („შინაური საქმეები“, 1909 წ. № 9).

ამგვარივე რაინდული გაბედულებების შემცველია მისი დამოკიდებულება ალიხანოვ-ავარსკასადმი. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მაშინდელ წინამძღოლს სიმონ წერეთელს დავითი რალაც შემთხვევის გამო შინ მიუწვევია სადილად, მაგრამ, როცა ამ ოჯახს ალიხანოვი ჰსტუმრებია, დავითს პროტესტი განუცხადებია მასპინძლისათვის რა ოიმონსტრაციულად დაუტოვებია დარბაზობა.

დავით მიქელაძის კალამს ეკუთვნის ავტორობა ქართველი ხალხის ვრცელი შემორანდუმის იმ ტექსტისა, რომელიც შედგენილ იქნა 1907 წლის ჯაგის საერთაშორისო კონგრესზე წარსადგენად.

დავით მიქელაძეს კალმისთვის ხელი სიკვდილამდე არ გაუშვია. 1899 წელს აკაკის „კრებულში“ (№ 2) იბეჭდება მისი 4-მოქმედებიანი დრამა „ხაფანგი“. პიესა ქუთაისის თეატრს განუსახიერებია და საზოგადოების საკმაო გამოხმაურება მოუპოვებია.

1908 წ. დ. მიქელაძემ თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ლ. ტოლსტოის 5-მოქმედებიანი დრამა „მეუფეა წყვედიადისა“, რომელიც იმავე ხანებში წარმოდგენილი იქნა ქართულ სცენაზე. მთარგმნელს დიდი ავტორისათვის გაუგზავნია ეს თარგმანი და პატარა ბარათი, რომელშიც ჩაგრულთა დიდ ქომავს ერთხელ კიდევ აგონებდა ცარიზმისაგან ქართველი ერის შევიწროებასა და გათელვას. „თქვენ, რასაკვირველია, მიხვდებით იმასაც, — სწერდა მიქელაძე ტოლსტოის, — რომ ქართველისათვის დიდად სანუგეშოა აუწყოს თქვენს დადგულს თავისი ტანჯული სამშობლოს ბედი“... არც ლევ ტოლსტოის დაუტოვებია თავისი შორეული მეგობარი უპასუხოდ და უთანაგრძნობოდ. ტოლსტოის თავისი მდივნის ნ. გუსევისათვის დაუვალეზია მიქელაძისადმი სამადლობელი, თან სანუგეშო და კარგი მერმისის იმედით აღსავსე წერილის მიწერა. ამ წერილში დავით მიქელაძის მიმართ ნათქვამია: „ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი დიდად მადლიერია თქვენი, რამ გითარგმნიათ „მეუფეა წყვედიადისა“ და თანაც გადმოუგზავნეთ ის. რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ამაზე ლევ ნიკოლოზის-ძემ მთხოვა მომეხსენებინა თქვენთვის, რომ იგი ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულად და ნათლად ხედავს დიდ სახელმწიფოთა მიერ „წერილ“ ეროვნებათა ჩაგვრისაგან გამომდინარე ბოროტებას და დაინტერესებულია რა ამ ვითარებით, ამკამად მუშაობს ამ საკითხებზე“ („ზარია ვოსტოკა“, 1940, № 271).

სამოცდამეთხუთმეტე წელს მიღწეული მსოფიანი ამაგდარი, ქართველ მესამოციანელთა ეს თვალსაჩინო მოპიკანთაგანი — დავით მიქელაძე (მეველე) გარდაიცვალა ქ. ქუთაისში 1918 წლის 25 ნოემბერს. იგი დაკრძალულია საფიჩხაის სასაფლაოზე.



„უილიამსშექსპირის „ტრაგედიები“



„საბჭოთა შერჩაობა“ წელს გამოცდა უილიამ შექსპირის ტრაგედიების მანაბლისეული თარგმნების I და II ტომი (გიორგი ლეონიძის რედაქტორობით, გივი განეჩილაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით). წინასიტყვაობის ავტორსა და კომენტატორს შინადა დაუსახავს მოგვეცეს ზოგადი ხასიათის ცნობები უილიამ შექსპირისა და მისი შემოქმედების შესახებ. ესაა ივანე შანაბლიძე კლასიკური თარგმანების კომენტარებზელი გამოცემის პირველი ცდა. კარგადაა მოფიქრებული გამოცემის გეგმა: შექსპირის მანაბლისეული თარგმანები დალაგდება არა იმ თანმიმდევრობით, რა დროს ითარგმნა, არამედ იმის მიხედვით, როდის შეიქმნა ისინი. წინასიტყვაობის ავტორის ეს ჩანადიქტი უსათუოდ მართებულია.

უ. შექსპირი გვიანდელი რენესანსის უდიდესი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება ეპოქის შესანიშნავ სურათს იძლევა. შექსპირმა თავის ნაწარმოებებში გვიჩვენა იმდროინდელი ინგლისის კლასები და მათი ურთიერთდაამოკიდებულება, მოგვცა მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ცხოვრების ამახველი დიდი მხატვრული ტილოები.

ადამიანის ემანსიპაცია, მისი აზრის განთავისუფლება შესაბუნებობრივი წყედადისაგან, მისი შემოქმედებითი უნარის აღორძინება, უპირატესად კომედიებში ვაძლიერება შექსპირმა, ხოლო ბურჟუაზიის ნამდვილი სახის ჩვენება, იმედგაცრეება და ჰუმანიზმის კრიზისი — ტრაგედიებში აისახა. მარქსი და ენგელსი დაუმერს წიგნის „ახალი საუკუნის რელიგია“ რეცენზიაში წერენ: „ძველი კლასების დაღუპვაში მისცა მასალა ხელოვნების უდაღეს ტრაგიკულ ნაწარმოებებს“. მარქსსა და ენგელსს, ეშვარეშეა, აქ მხედველობაში ჰყავდათ სერკანტესი და შექსპირი, პოეტი, დრამატურგი და მოაზროვნე — უ. შექსპირი იდგა ეპოქის წინააღმდეგობათა ცენტრში და ხელოვნებას არ თმავდა სინამდვილისაგან. სწორედ ამიტომ შეინარჩუნა საუკუნეთა მანძილზე მისმა შემოქმედებამ ცხოველი ინტერესი და მნიშვნელობა. მის მიერ დახატული სახეები — ეპიკალურია, მოვლენები — ისტორიული, ძალა და ცხოველმყოფელობა მისი ნაწარმოებებისა თანამედროვე სინამდვილის ღრმა ანალიზშია. შექსპირი რეალისტური ფერებით გამოგვიცემს ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს

შორის ბრძოლის სურათებს, ასახავს თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგობებსა და მანკიერებებს. ვარემოცველი საწყაბოს თვისებათა ობიექტური ასახვა აქცევს შექსპირს უკვლავ მხატვრად, რომლისადმი შეუნელებელია ვეღა საუკუნის მკითხველთა უერთესი.

მარქსი და ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევენ შექსპირის შემოქმედებას. მარქსის აზრით, შექსპირის გამოყავდა ადამიანები მათი ცოცხალი მოთხოვნისგან და ინტერესით, დაბალი წარმოშობის მსახურები, მასწრები და გლეხები შექსპირთან ხშირად გვევლინებიან ჯანსაღი აზრის მატარებლებად, სიმართლის მოქმედებად, თავიანთი ბატონების ცბიერების აღიარებლებად და თანამედროვე იდეების მქადაგებლებად.

წინასიტყვაობის ავტორის ამოუკრებია შეცნიერული კომენტარების მამამთარებლის მიერ გამოქმეული აზრები აღორძინების ეპოქის გენიოსის უ. შექსპირის შესახებ და ამ აზრების ასპექტში იხილავს მის შემოქმედებას. კარგადაა გულმოკეპული ეპოქის დახასიათება, ნაჩვენებია როგორი განსაკუთრებული გზით მიმდინარეობდა ინგლისში კაპიტალიზმის განვითარება და რა გამოხატულება ჰყოვა შექსპირის შემოქმედებაში ფეოდალური წყობის ნგრევამ და ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოშობის სურათებმა. წინასიტყვაობის ავტორი გვიჩვენებს, რომ შექსპირი თანაბრად ამხელდა ორივე კლასის მნიკიერებებს, ამავე დროს მხედველობიდან არაა გავებული ისიც, რომ ესექსისა და საუთგემპტონის დასჯას ერთგვარი ზემოქმედების მოხდენა შეეძლო შექსპირზე, რადგან ისინი მისი მფარველები იყვნენ. წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ კომედიების ტრაგედიებით შეცვლის მიხეზაა ჰუმანიზმის იდეების აშკარა მარცხი. ის, რომ ბურჟუაზიამ არ გაიმართლა იმედები, რასაც მასზე აყვარებდნენ. აქედან ჰუმანიზმის კრიზისი, რომელიც ინგლისში დაიწყო მე-16 საუკუნის გარეგარეზე, ხოლო იტალიასა და საფრანგეთში რამდენიმე ათეული წლით ადრე. ამ დროს შექსპირს ეუფლება შეგრძნება იმისა, რომ ყოველი საქმე ამ წუთისოღისა ფუჭი და ამაოა, რამ ქვეყანა „აბოია“, სადაც მხოლოდ ღვარძლი, შწარე ბალახი ხარობს. მაგრამ მძიმე წუთებშიაც მას იმედის ნაპერწყალი უღვივის გულში. მისი ტრაგედიის გმირები იბრძებიან სოკეთისათვის და ამ ბრძოლაში იღუპებიან, ფიზი-

კურად მარცხდებოდნენ, მაგრამ მორალურად იმარჯვებდნენ. შექსპირის პესიმიზმი თავისებურია, მისი გმირების უიმედო განწყობილებებთან მაინც გამარჯვების რწმენის სიღრმის და შეთანხვებული გრძობის, რომ ავტორი მომავლისადმი რწმენას ინარჩუნებს, მას სწამს, რომ ბოროტებას დასძლევს სიკეთე.

ამ გამოცემის წინასიტყვაობაში მოცემულია შექსპირის ქრონიკების მოკლე, მაგრამ საკმაოდ სრული გარჩევა, ვარგადაა დამუშავებული და გადმოცემული ხალხის როლის საკითხი შექსპირის შემოქმედებაში. ნაჩვენებია, რომ აღორძინების ეპოქის უდიდესი ადამიანია, შექსპირმა, სწორად ვთქვაო ხალხის ისტორიული ძალა, რომ შექსპირი მოგვევლინა არა მარტო ხალხის უფლების ამოაჩვენებლად „პუერის ნატეხზე“ როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. არამედ მისი ინტერესების დამცველად. ხალხის, მასის როლი ნათლად არის ნაჩვენები „რიჩარდ III-ში“ რიჩარდის მთვედ არჩევას ესწრებთან და თავის ხმებს ეუბრებენ ლონდონის მერის და მოქალაქენი, ასევე „ჰენრი 5-ში“, სადაც გადაცემული მეფე დადის ხალხში და ეცნობა მათ ქირსსა და ვარსს. ასევე „ჰენრი მე-4“-ში, „ჰენრი მე-6“-ში „იულიუს კეისარში“ და „კოროლიანოსში“. „იულიუს კეისარში“ გამოყვანილ ხალხს ჯერ კიდევ აკლია შეგნება. ხალხს ამ ტრაგედიაში ჯერ შეუქმლები ბრეტოსი და კასიუსი მიიმჭობენ, ხოლო შემდეგ კი ანტონიუსი ხიბლავს მკვერმეტველურ სიტყვით. ტრაგედია „კოროლიანოსში“ კი ხალხი ნათელი ფერებითაა დახატული. აქ ხალხმა იცის, ვის უნდა ებრძოდეს, აქ ხალხი პასუხისმმარდამკურის როლშიც კი არ გამოდის, არამედ მას თავისი ინტერესების დამცველი ტრიბუნებიც გააჩნია და მათთან ერთად იბრძვის იგი უფლებებისათვის.

შექსპირს „კოროლიანოსში“ პირველ სერათიდანვე გამოჰყავს ხალხი, რომელიც დამოუკიდებლად გამოსიქვამს თავის შეხედულებებს სენატზე, პატრიციებზე. დიდია განსხვავება იმ ხალხისა, რომელიც გამოყვანილია „იულიუს კეისარში“ 1601 წელს და იმ ხალხს შორის, რომელიც გამოყვანილია „კოროლიანოსში“ 1607 წელს. შექსპირის მსოფლმხედველობამ წინ წაიწია ისევე, როგორც წინ წაიქცა ინგლისის ხალხის კლასობრივი შეგნება. ყოველივე ეს ძალიან მოკლე, დასვენებლად და ამოწურავად აქვს გადმოცემული წინასიტყვაობის ავტორს.

ასევე ლაკონურად ვადმოგვცემს იგი შექსპირის სახელგანთქმული ტრაგედიების საკვანძო საკითხებს. მას დიდი შრომა გაუწევია, შეუდარებია მანამდელის კლასიკური თარგმანები დედანთან, გ. ვაჩეჩილაძე იძლევა ი. მანამდელის ფასდაუდებელი ღვაწლის ანალიზსა და შეფასებას: „ივანე მანამდელი, — წერს იგი, — მაილწია თავის

მიზანს, ამაღლა ქართული კულტურა, შექმნა მტკიცე ტრადიცია არა მარტო შექსპირის, არამედ საერთოდ ქართული მხატვრული თარგმნის ხელოვნებასათვის. ჩვენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გრძელდება და ღრმავდება ეს ტრადიცია არა მიახველისათვის ბრძა მობძავის, არამედ მისი პრინციპების, მის მიერ აღმოჩენილ შესაძლებლობათა შესწავლისა და რეალიზაციის გზით“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვერ დავთანხმებით წინასიტყვაობის ავტორს თითქოს ტრაგედია „ტიმონ ათენში“ ყველაზე სუსტი ტრაგედიაა შექსპირის ტრაგედიებში. ტრაგედიაში სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი და მეგობრების მუდამ დამხმარე ტიმონი (შექსპირის იდეალი ვაქის ტიმონსა, მან ხომ „ვენეციულ ვაჭარში“ ანტონიოსიც ასეთად დახატა) უპირისპირდება მთელ უდაბნოში ბურჯუაზიულ სამყაროს. ტრაგედიაში ნაჩვენებია ფულის — ოქროს გამოყვანილი როლი საზოგადოებისათვის. ოქრო შექსპირის მიერ მიჩნეულია ყოველგვარი უბედურების მიზეზად, ფიცის გამტეხად, უთანხმოებისა და შფოთვის ჩამომგდებად, ომის სათავედ და სხვა; ტიმონის პირით შექსპირი თავს ესხმის ბურჯუაზიულ საზოგადოებას და მიწასთან ასწორებს მას. ამ გარემოებამ ზოგიერთს აფერებინა, რომ აქ შექსპირი მიზანშეწონილია, რაც არამც და არამც არ არის სწორი. მოვიფიქროთ სცენა ტიმონის ფლავიუსთან, სადაც ტიმონი ღმერთებს ეველებს, მისი წყველა-ჭრთლევა ნუ გავრცელებთ ამ პატიოსან ეპოქა — ფლავიუსზე. აქედან დასკვნა: ტიმონი უდაბნოში, უსატყუნარ საზოგადოების წინააღმდეგ ამხედრებული ადამიანია, და არა ყველას წინააღმდეგ ამხედრებული ცნობილია, რომ მეცნიერული კომუნისმის მამამთავარმა ე. მარქსმა რამდენიმეჯერ მიმართა ოქროს დაშლასათებლად ტიმონის მონოლოგის ციტატებს, რაც გ. ვაჩეჩილაძეს აღნიშნული აქვს წინასიტყვაობაში და ეს მონოლოგი კიდევ გადმოქართულდება. აღორძინების ეპოქის დიდი პეპანისტი იმთავითვე მიუხედა ბურჯუაზიის გულისნადებებს, რომ იგი ოქროს კვხვად, თამაშს — ფეტრად, ხოლო ადამიანთა ურთიერთობებს ფულად ურთიერთობად გადაქცევდა. გენიალური პოეტისა და დრამატურგის ეს სიტყვები სავსებით დადასტურდა მოვლენათა შემდგომი მსვლელობამ. ამერსიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ოქრო ყოველივეს საზოგადოება, იგი ბურჯუაზიის ახალი ღმერთია, რომელსაც მან დაუწინა: მორალი, სიყვარული და ადამიანობა.

დიდმა პროლეტარულმა მწერალმა მკსიმ გორკიმ ნიუ-იორკს „ვეითელი ეშმაკის ქალაქი“ უწოდა, ხოლო შიგ მცხოვრებთ „ცივი ვეითელი ეშმაკის მონები“ ცოტა აშერიკის შესახებ. 1952 წ. გვ. 15).

შექსპირის მანაბლისეული თარგმანები, როგორც ცნობილია, არამცთუ არ ჩამოუვარდებია შექსპირის, ნაწარმოებთა სხვა ენებზე არსებულ მრავალრიცხოვან თარგმანებს, არამედ ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი თარგმანია. როგორც შექსპირის უკვდავი ქმნილებებმა გაუძლეს დროის გამოცდას, შეიძლება დაჯერებულად ითქვას, რომ ივანე მანაბლის თარგმანებიც ასევე გაუძლებენ მას. უდავოა ის ფაქტი, რომ მისმა თარგმანებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. მართალია, ივანე მანაბელს არ შეუქმნია ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები, მაგრამ შექმნილებელია იგი ბუნებით დიდი შემოქმედი არ ყოფილიყო, ასეთი სრულყოფილი თარგმანების შესაქმნელად მონდომებისა და საქმის სიყვარულის გარდა უუკველად საჭიროა იყო ნამდვილი შემოქმედებითი წვა, რასაც საინტენსიო გამოცემის კომენტატორი გენიალურ შემოქმედებით ინტუიციას უწოდებს. როგორც ინგლისურ, ასევე ქართული ენის ღრმა ცოდნამ, დიდმა შემოქმედებითმა ალომ, ნამდვილი შემოქმედის ყეთოსინდისიერებამ მანაბელს შეაძლებინა ისეთივე ძარღვიანი ქართულით აუშუბუშულებინა შექსპირის უკვდავი გმირები, როგორი ინგლისურთავე ისინი ორიგინალში აალაპარაკა ინგლისის დრამატურგიის მამამ.

მანაბლის თარგმანების უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მასთან, ისევე როგორც შექსპირთან, სიტყვა ყოველთვის თავის ადგილზეა, მიგნებულია ყოველი სიტყვის მოწოდება, ოსტატურადაა ისინი განლაგებული. ამიტომაც უღერს შესანიშნავად მანაბლის თარგმანი, ამიტომაც სწევდება იგი მკითხველის გულსა და გონებას, ამიტომაც ტოვებს იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას, ამიტომაც რჩება იგი მესხიერებაში ასე ღრმად. ქართული ხატოვანი თქმები, ქართული მდიდარი იდიომატიკა შექსპირის მიერ გამოყენებულ ადიომატიკას შესანიშნავად ენაცვლება მანაბლის ხელში. მანაბელი უაღრესად ყეთოსინდისიერი,

თ ა რ გ მ ა ნ შ ი ა :

თუ აქ, ამ კრებაში არის ვინმე ერთგული მეგობარი კეისრისა, მე მას ვერცხვი, რომ ბრუტოსს კეისარი მასზე ნაკლებ არ უყვარდა, იქნება მკითხოს, რომ ბრუტოსმა კეისარი რად გამოიმეტაო; აი ჩემი პასუხი: მე კეისარი ნაკლებად არ მიყვარდა, მაგრამ რომ მიყვარდა მეტად.

ღ უ დ ა ნ შ ი ა :

„საბარლო! ცეცხლივით დაუწითლა თვალები ტირილმა.“

ღ უ დ ა ნ შ ი ა :

„ზოგი კი გვიღიმიას, მაგრამ ვწიშობ, რომ მათ გულში მილიონობით ავი განზრახვა უღვეთ.“

მაგრამ ამავე დროს უაღრესად გაბედული მთარგმნელია: ის ბოლომდე სწევდება ყოველ სიტყვის მნიშვნელობას და დანიშნულებას. დედნისათვის და მინც ძირითადად თავის უწრფილებას მხრისა და განწყობილების რანტატურ გამოხატვას აქცევს. ამიტომაც უღერს ბუნებრივად მანაბლის უკვე დიდი ხნის სახელმოხვეჭილი თარგმანები, თოხმეტმარცკლოვანი ლექსი, რომლითაც მანაბელმა თარგმანა შექსპირის უკვდავი ქმნილებანი, მანამდეც არსებობდა, მაგრამ იგი ქართულ ლიტერატურაში მტკიცედ მხოლოდ ივანე მანაბელმა დაამკვიდრა. ქართული ენის ღრმა, საფუძვლადანი ცოდნის პრაქტიკული, ვირტოზული გამოყენებით მანაბელმა დიდი ამაგი, დასალო ქართული ლიტერატურული ენის განვითარების სამშეღიშვილო საქმეს.

ურიგო არ იქნება, თუ შექსპირის მანაბლისეული თარგმანების ზოგიერთ ადგილს დავეხიროსიპრებთ დედნის იმავე ადგილების პროზაულ სიტყვასიტყვით თარგმანს. ამით, ინგლისური ენის არამცოდნე მკითხველი ნაწილობრივ მაინც დაინახავს მანაბლის მთარგმნელობით გენიას, ნაწილობრივ მაინც ჩაწევდება მანაბლის შემოქმედებითი ლაბორატორიის არსს. შესადარებლად, რა თქმა უნდა, მინცდაამინც არ ვედილევართ საგანგებო, საუკეთესო ადგილები ამოგვეჩაია, რადგანაც მანაბელი ყველგან ჩანს, როგორც თავისი საქმის დიდი, არაჩვეულებრივად დიდი ოსტატი.

ასე მაგალითად, „იულის კეისარში“ დ უ დ ა ნ შ ი ა : „თუ ამ თავყრილობაში არის კეისარის რომელიმე თავდადებული მეგობარი, მე მას ვერცხვი, რომ ბრუტოსს სიყვარული კეისრისადმი მის სიყვარულზე ნაკლები არაფრით იყო, და თუ ეს მეგობარი იყოთხავს, მამ რატომ აღდგა ბრუტოსი კეისრის წინააღმდეგო, ჩემი პასუხი ეს იქნება: — არა, კეისარი მასზე ნაკლებად არ მიყვარდა, მაგრამ რომ მიყვარდა მეტად.“

თ ა რ გ მ ა ნ შ ი ა :

„ნალვერდალივით დაუწითლა ცრემლმა თვალები.“

თ ა რ გ მ ა ნ შ ი ა :

ზოგი გვიღიმიას, მაგრამ ვინ იცის ამ ღიმილის ქვეშ რა გესლს გვიმზადებს.“



დ ე ღ ა ნ შ ი ა :

„მიზეზი ჩემი სურვილია: არ მინდა და არ წავალ, სენატის დასაქმყოფილებლად ესეც კმარა“.

დ ე ღ ა ნ შ ი ა :

ეჭლა ეს კაცი ღმერთად იქცა, კასიოს კი საბრალო არსებად, რომელიც მთელს ტანით უნდა მოიხაროს, თუ ვინიცბაა, კეისარი თავს დაუტარავს, თუნდაც ანგარიშმიუცემლად.“

დ ე ღ ა ნ შ ი ა :

„რატომ იქცა კეისარი მტარვალად? საბრალო კაცი! მე ვიცი, ის მგლად არ იქცეოდა, რომ არ ხელაფდეს რომაელები რომ ცხვრები არიან და ლომად არ გახდებოდა, რომაელების შელობას რომ არა ხელაფდეს“.

„ო ტ ე ლ ო ღ ა ნ“

დ ე ღ ა ნ შ ი ა :

„აი მიზეზი, ჩემო სულ, — ნუ გამამხვლინებთ მას თქვენთვის, სპეტაკო ვარსკვლავებო! — აი მიზეზი.“

და მაინც ვერ დავედრი მის სისხლს; ვერც კი გავაწირავ თოვლზე უფითრეს და ძველისათვის განუფთვინილ მარშარილოზე უსწორეს მის კანს; და მაინც უნდა მოკედეს იგი, არადა კიდევ ბევრს

მოატყუებს; ჯერ ამ სინათლეს ჩაეპრობ, მერე იმას; შექმდინარო ლამპარო, თუ შენ ზაგაქრობ, როგორც კი შემენანები, შემიძლია ისევე ალგიდგინო

სინათლე, მაგრამ თუ შენს ნათელს ჩაეპრობ, ბუნების ნაოსტატართა უმშვენიერესო ნიშნო, მე არ ვიცი სად არის ის პრომეთეს

ცეცხლი, რომელიც შენ ნათელს დაგიბრუნებს... მე მინდა ვიტყვო, მაგრამ სასტიკია ჩემი ცრემლები. ეს ჩემი მწუხარება ზეცისას ჰგავს ვინც უყვარს, იმას ატყდება რისხვად“.

მოყვანილი მავალითები ცხადყოფენ, რა ბრწყინვალედ ფლობდა ივანე მანაბელი ქართულ ენას, რა შესანიშნავად, შემოქმედლებითად გადმოაქართულა მან შექსპირის საუკეთესო ქმნილებანი.

შექსპირის ტრაგედიების მანაბლისეული

თარგმანშია:

მიზეზი ჩემი ნება არის, არ მნებავს მისგლ, სენატისათვის ესა კმარა“.

თარგმანშია:

„ახლა ეს კაცი ღმერთი არის და კასიოს კი რაღაც ქმნილება საყოდავი, რომელიც უნდა ორკეცად წელში მოიხაროს, თუ კეისარი აღიარებს თავის ძლიეს დაქნევას“.

თარგმანშია:

„მეშ კეისარი რაღამ ვარდაქმნა ჩვენს მტარვალად, საბრალო სული! არ იყისრებდა იგი მგლობას, რომ რომაელნი ცხვრები არ ვყოფთ; შევლებად გვსახავს და ჰმაძიეს ლომსა“.

თარგმანშია:

„აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი, მიზეზი! ნუ მოთქმევიანებთ, თქვენს წინაშე მას, თქვენ უბიწო ზეცის მნათობნო! აი-მეთქი, აი, მიზეზი! მაინც მე იმის სისხლს ვერ დავედრი, ვერც კი გავაწირავ მის კანს თოვლზედაც უსპეტაკესს და უსუფთესსა თვით ძველისათვის დამხადებულ მარშარილოზედ. მაგრამ უნდა კი მოკედეს იგი, თორემ სხვასაც ხომ

ბევრს მოატყუებს. ჯერ გავაქროთ, აბა, სანთელი, მერე გავიქრობ მე ნათელსაც. ო, შენ ლამპარო, ნათლის მომფენო! რომ ჩაეპრო, მე შემიძლიან, თუ შევინანებ, ვე სინათლე კვლავ ალგიდგინო; მაგრამ შენ კია, საგანგებო, ტურფა ქმნილება დაჭლოფენებულ ბუნებისავ, თუ შენ დავაქმე, პრომეთეოსის ცეცხლიც მაგ შექს ვერ დაგიბრუნებს

ტირილი მომდის და უწყალო ცრემლები მცვივ; ჩემი ვარაზი ზეცისას ჰგავს მას სჯის, რაც უყვარს!!

თარგმანების გამოსვლას მკითხველი საზოგადოება მიესალმება და მოუთმენლად ელის იმ ხარვეზის შეგვხებასაც, რაც ქართულ მკითხველს გაანინა შექსპირის ნაწარმოებთა სრული კრებულის უქონლობით.

ელგუჯა მადრაძე

ახალი წიგნები



სახელმწიფო გამომცემლობა

ა. ედნოვი — საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე უფრო იდეური, ყველაზე უფრო მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში. გვ. 12, ფასი 15 კაპ.

გიორგი ლეონიძე — ლექსები და პოემები. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 640, ფასი 14 მან. 25 კაპ.

თედო სახოკია — ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტომი II რედ. ქ. ძოწენიძე გვ. 210, ფასი 9 მან.

დავით გვრიტიშვილი — გორის ისტორია. რედ. გ. გულბანი. გვ. 304, ფასი 4 მან. 70 კაპ.

კალე ბობოხიძე — საყვარელის სიმღერები. რედ. რ. ორჯონიძე. გვ. 132, ფასი 8 მან. 20 კაპ.

საბავშვო

ნინო ნაკაშიძე — მოწიფის დღიური. რედ. გ. თაყაიშვილი. გვ. 154, ფასი 3 მან. 80 კაპ.

სერგო კლდიაშვილი — ზურია. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 106, ფასი 2 მან. 20 კაპ.

ვ. კორილენკო — უსინათლო მუსიკოსი. (თარგმ. ი. და ა. ახალშენიშვილებისა) რედ. ნ. კალანდარიშვილი გვ. 164, ფასი 3 მან. 40 კაპ.

ბ. ფურბა — აღექსანდრე მატროსოვი. (თარგმ. რ. კენჭიანი). რედ. დ. შენგელაია. გვ. 354, ფასი 7 მან. 90 კაპ.

კ. გოგიაშვილი — ჯიურტ ბეკეა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 28, ფასი 1 მან. 50 კაპ.

მიხეილ კეცელიძე — მოთხრობები. რედ. დ. შენგელაია. გვ. 120 ფასი 2 მან. 90 კაპ.

ნინო აღნიაშვილი — საჩუქარი. რედ. ს. კლდიაშვილი. გვ. 112, ფასი 2 მან 60 კაპ.

მწედლობისათვის — რედ. ა. გაბესკირია. გვ. 238, ფასი 6 მან, 20 კაპ.

სამშობლოს მიწა-წყალზე — რედ. ა. გაბესკირია. გვ. 188, ფასი 6 მან. 80 კაპ.

„ხელოვნება“

შალვა დადიანი — წერილები. წიგნი II. რედ. ბ. ფლენტი. გვ. 248, ფასი 10 მან.

ლესია ფერაინკა — ულრან ტყეში. (დრამატული პოემა. თარგმ. ალიო შირცხულავასი) რედ. შ. აფხაიძე. გვ. 102, ფასი 3 მან.

მამია დედუჩავა — იაკობ ნიკოლაძე. რედ. შ. ამირანაშვილი. გვ. 144, ფასი 10 მან.

სერაპის ციხე — (სიმონ შთაბრძნის პიესა დანიელ ქონჭაძის მოთხრობის მიხედვით). რედ.

ა. აღამია. გვ. 92, ფასი 3 მან.

თ. ჯანელიძე — აღექსანდრე ეორგილიანი. რედ. ით. ეგაძე. გვ. 32, ფასი 2 მან. 25 კაპ.

რ. ხახორდია — შალვა ღამბაშიძე — რედ. ით. ეგაძე. გვ. 24, ფასი. 2 მან.

ვ. გურაბანიძე — გიორგი შვედლიძე. რედ. ით. ეგაძე. გვ. 36, ფასი 2 მან. 25 კაპ.

ა. მონიავა — კობეტა ყარალაშვილი. რედ. ით. ეგაძე. გვ. 18, ფასი 2 მან.

ვ. ლოლაძე — დავით რონდელი. რედ. ლ. ვსაკია. გვ. 34, ფასი 2 მან. 25 კაპ.

ა. მონიავა — კოტე მიქაბერიძე. რედ. ით. ეგაძე. გვ. 16, ფასი 2 მან.

ლ. გეგეკორი — ქართული ხალხური სიმღერების ოსტატები. რედ. ვრ. ჩხიკვაძე. გვ. 148, ფასი 10 მან.



ფასი 8 ლ.

6-2/109
3226/29

Госиздат в Г.А.

1 12 1955



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ